შენი ფინანსური რევოლუცია

დასვენებოს ძალა

გარი ჭისი

შენი ფინანსური რევოლუცია

დასვენებოს ძალა

გარი ჭისი

Your Financial Revolution, The Power of Rest, Georgia
Copyright © 2020 by Gary Keesee
Originally published in English
Copyright © 2015 by Gary Keesee
ISBN : 978-0-9729035-9-2
Gary Keesee Ministries,
P.O. Box 779, New Albany,
OH 43054, USA
GaryKeesee.com
This book is a FREE GIFT from Gary Keesee Ministries and is
NOT FOR SALE

შენი ფინანსური რევოლუცია, დასვენების ძალა, ქართულად
Copyright © 2020 by Gary Keesee
ორიგინალი დაიბეჭდა ინგლისურ ენაზე
Copyright © 2015 by Gary Keesee
ISBN : 978-0-9729035-9-2
gari qisis msaxureba,
P.O. Box 779, New Albany,
OH 43054, USA
GaryKeesee.com
ეს წიგნი გარი ქისის მსახურების საჩუქარია და არ იყიდება.

ამ წიგნში, გარი ქისი გვიზიარებს თუ როგორ შეგვიძლია ღმერთის სიტყვითა და პრაქტიკული ცოდნით აღჭურვილებს, გადავლახოთ გაჭირვება და შევიდეთ სიმშვიდეში, რომელიც უფალმა ყველა ჩვენგანს აღუთქვა.

მინდა, ეს წიგნი ჩემს ცოლს, დრენდას მივუძღვნა, რადგან სწორედ მისი გამხნევება, მისი ლტოლვა ღვთის საქმეებისადმი და მისი სიყვარული ოჯახისა და ჩემდამი იყო ის, რაც მთელი ამ წლების განმავლობაში შთამაგონებდა. ჩვენ ერთად დავამტკიცეთ, რომ ოცნებები მართლა ხდება!

გარი ქისი

შინაარსი

წინასიტყვაობა.....7

თავი 1: დასვენება - საფუძვლები.....11

თავი 2: კანონიერი უფლებები.....25

თავი 3: სამეფო შენი პასუხია.....43

თავი 4: მე სამეფოს მთავარი გასაღები ვიპოვე!.....63

თავი 5: ფრენა სიარულზე უკეთესია!.....77

თავი 6: ცხოვრება მეტია, ვიდრე მხოლოდ გადასახადების გადახდა!.....95

თავი 7: ეს შეუძლებელია.....107

თავი 8: ორმაგი წილი.....119

თავი 9: საკმარისზე მეტი!.....133

თავი 10: ორმაგი წილის საიდუმლოება.....155

წინასიტყვაობა

დღე, როცა ფერმის სახლი დავტოვეთ, ერთდროულად სიმწრით და სიხარულით იყო სავსე. დაახლოებით, ცხრა წელი ვიცხოვრეთ ამ ძველ, პაწაწინა, ჩამოშლილ ფერმის სახლში და ახლა ბარგის ბოლო ყუთები გადამქონდა ჩვენს მინივენში. ჩვენი ახალი სახლისკენ მივემართებოდი, რომელიც თავად ავაშენეთ. ეს იყო 715 $м^2$, ჯორჯიანული სტილის სახლი, რომელიც 22 ჰექტარ ოჰაიოს არაჩვეულებრივ მიწაზე იდგა, საიდანაც 8 ჰექტარი ტყეებსა და ჭაობებს ეკავა. ეს იყო ოცნება, რომლის წარმოდგენაც კი შეუძლებელი იყო რამდენიმე წლის წინ.

მიუხედავად იმისა, რომ ფერმის სახლს ვტოვებდით, მიყვარდა ძველი სახლი. დიახ, მისი დამსხვრეული ფანჯრის მინებით, ბინძური ჭერით და ფუტკრების გამუდმებული შემოტევებითაც კი, რომელსაც მთელი იქ ცხოვრების პერიოდი ვუძლებდით. იმდენი მოგონება ამოტივტივდა გონებაში. ჩემი ხუთი შვილიდან, ორი რეალურად მისაღებ ოთახში იყო დაბადებული.

ბევრი კარგი დრო გავატარეთ იქ, თუმცა ბევრი ფინანსური სტრესიც და უიმედობაც გამოვიარეთ. მიუხედავად იმისა, რომ ახლა რთულია წარმოდგენა, როცა ცხრა წლის წინ იმ ძველ ფერმის სახლში გადავედით, ძლივს ვიხდიდი ბინის ქირას, თვეში 300$. ჩვენი ორივე მანქანა ძალიან ძველი იყო, ასობით ათასი კმ. გარბენით და მაინც გირაოში ჩადებული. იმ დროს ისე ჩანდა, რომ ყველასგან ვალი გვქონდა აღებული. გვქონდა ათი გაუქმებული საკრედიტო ბარათი; ორი ფინანსური კომპანიის სესხი; რა თქმა უნდა, ჩვენი ორი მანქანის ვალი; IRS-ის ვალები; ათობით ათასი დოლარი ვალი ჩვენი ნათესავებისგან; და სია გრძელდება! ჩვენ ფინანსურად თავის გატანით ვცხოვრობდით, ვაგირავებდით ყველაფერს, რაც კი გვქონდა, რათა უბრალოდ სურსათი გვეყიდა. ყველაფერი, რასაც ვფლობდით ძველი და დამტვრეული იყო, რასაც ვყიდულობდით, ისიც კი ძველი იყო.

იმ დროისთვის ჩვენს საზარელ ფინანსურ სიტუაციას ნათელი მომავლის ძალიან მცირე იმედი ჰქონდა. გულწრფელად რომ

ვთქვა, დიდი იმედი არ მქონდა, რომ რაღაცები შეიცვლებოდა. მიყვარდა ჩემი ოჯახი, მშვენიერი ცოლი მყავდა, მაგრამ მათ ფინანსური ჯოჯოხეთისკენ მივათრევდი!

ანტიდეპრესიულ მედიკამენტებს მოვიხმარდი, პანიკურ შემოტევებს ვებრძოდი და შიში შთანთქავდა ჩემს ყოველდღიურობას. მოდი, უბრალოდ ვთქვათ, რომ გარშემო ყველაზე ბედნიერი ადამიანი ნამდვილად არ ვყოფილვარ! სიცოცხლის დაზღვევას ვყიდდი, გაყიდვებით ვცხოვრობდი და არსაითკენ არ მივდიოდი, გარდა იმისა, რომ უფრო და უფრო ღრმად ვიძირებოდი ვალებში მანამ, სანამ ვალის აღების არანაირი შესაძლებლობა აღარ დამრჩა. სწორედ ამ მომენტში, ვიგრძენი, რომ ემოციურად დამსხვრეული ვიყავი. ჩემი გონება მთლიანად პანიკამ და შიშმა მოიცვა. სახლის დატოვებისაც კი მეშინოდა, რაც სულაც არაა კარგი გაყიდვების სფეროში დასაქმებული ადამიანისთვის.

ჩემი ცოლი ფიქრობდა, რომ ქმარს დაკარგავდა და ტანჯავდა შიში, რომ ჩვენი ოთხი შვილის გაზრდა მარტოს მოუწევდა. მაგრამ მას სწამს ლოცვის ძალა და არ დანებებულა. ჩვენ, ერთად ვილოცეთ და შემდეგ ღვთის სამეფოს პრინციპების აღმოჩენა დავიწყეთ. როცა უფლის ძიება დავიწყეთ პასუხებისა და პრინციპებისთვის, იმედმა დაიწყო ჩვენს გულში ზრდა, რადგან ვხედავდით სასწაულებს, როცა იმას ვიყენებდით, რაც ღმერთმა გვაჩვენა.

განმსაზღვრელი მომენტი მოხდა ერთ ღამეს, როცა ღმერთმა მაჩვენა, რომ ჩემი საკუთარი კომპანია უნდა დამეარსებინა ფინანსების სფეროში, რათა დავხმარებოდი ადამიანებს თავი დაეღწიათ ვალებისგან და მესწავლებინა ის პრინციპები, რასაც ღმერთი მაჩვენებდა. იმ დროს, კომპანიის დაარსება და ადამიანებისთვის ვალებისგან თავის დაღწევის გზის ჩვენება საკმაოდ უცნაურად მომეჩვენა, რადგან ჩვენ თავად ჯერ კიდევ ვალები გვქონდა. ვილოცეთ ამაზე, მაგრამ უფალმა გვითხრა, რომ როგორც კი ნაბიჯს გადავდგამდით და ადამიანებისთვის ამ პრინციპების სწავლებას დავიწყებდით, ჩვენს თავისუფლებასაც ვიპოვიდით. კომპანიის დაარსება რწმენის ნაბიჯი იყო. წარმოდგენა არ გვქონდა, როგორ უნდა გაგვეკეთებინა ეს, მაგრამ მტკიცედ დავდექით. კომპანია გაიზარდა და მისგან მიღებულმა შემოსავალმა ჩვენი ოჯახი ვალებისგან სრულიად გაათავისუ-

ფლა ორ წელიწად ნახევარში. ჩვენი კომპანიის შესახებ ცოტა მეტს შემდეგ თავში ვისაუბრებ, მაგრამ ახლა, უბრალოდ იცოდეთ, რომ მან ჩვენი ცხოვრება რადიკალურად შეცვალა. ვერც კი აღვწერ: როგორ ვგრძნობდით, რომ თავისუფლები ვიყავით?! რა განცდა იყო, როცა საკუთარ მანქანას ვფლობდით და ახალი მანქანის საფასური გადავიხადეთ?! რას ვგრძნობდით, როცა ვქმნიდით, ვაშენებდით და ვიხდიდით ჩვენი ახალი სახლისთვის?! ის, რითიც ახლა სიამოვნებას ვიღებდით, ყველაფერს აღემატებოდა, რისი წარმოდგენაც კი ოდესმე შეგვეძლო.

დიახ, ფერმის სახლთან გარკვეული მოგონებები გვაკავშირებდა. სახლიდან ბოლო ყუთის გამოსატანად წასულმა, ჩემს ცოლს ჩავუარე, რომელიც პატარა სასადილო ოთახში იდგა. ცრემლიანი თვალებით ამომხედა. ეს არ იყო სევდის ცრემლები! ეს იყო სიხარულის და ამავდროულად სხვა ემოციების ცრემლები, რადგან გაახსენდა, რა გვასწავლა ღმერთმა იქ. მეც ვცდილობდი ცრემლების შეკავებას, როცა ოთახებს უკანასკნელად მოვავლე თვალი, სხვადასხვაგვარ ემოციებს იწვევდა ჩემში იმის გახსენება, რაც იქ მოხდა. ჩვენი ცხოვრების ერთ თავს ვხურავდით და ახალ ტერიტორიაზე გადავდიოდით. რა იყო ახლა ჩვენ წინ? ამ მოგზაურობამ დეპრესიიდან და უიმედობიდან იმედით სავსე მომავალში გადაგვიყვანა. როცა უკანასკნელი ყუთით ხელში გარეთ გავედი, გავჩერდი, მოვტრიალდი და სახლს ღიმილით შევხედე. „არა, მე არ მომენატრები! მე ახლა უკეთესი სახლი მაქვს!“

როცა ღვთის ძიება დავიწყეთ პასუხებისა და პრინციპებისთვის, იმედმა დაიწყო ჩვენს გულში ზრდა, რადგან ვხედავდით სასწაულებს, როცა იმას ვიყენებდით, რაც ღმერთმა გვაჩვენა.

ნამდვილად ამაღელვებელი იყო ჩვენს ახალ სახლში გადასვლა. მაგრამ საუკეთესო რამ ჩვენი მოგზაურობიდან ის იყო, რომ საბოლოოდ უნდა დაგვესვენა! შემეძლო ჩემს მომავალზე მეფიქრა და არა მხოლოდ გადასახადების გადახდაზე. წლების განმავლობაში მის მოსვენებაში ცხოვრება სრული ოცნება იყო! ის, რომ მანქანებისთვის გადახდილია, დასვენებაა. ვალებისგან თავისუფლება დასვენებაა. 22 ჰა-ზე გადაჭიმული ოცნების სახლის ქონა, რომლისთვისაც გადახდილია, დასვენებაა. ღიმილის დანახვა ჩემი ცოლის სახეზე, როცა საყიდლებზე მიდის და არ უწ-

ევს, ფულზე ინერვიულოს, დასვენებაა. საჭიროზე მეტის ქონა, იმდენის ქონა, რომ ასობით ათასი დოლარის გაცემა შეგვეძლოს სხვებისთვის, ასევე სახარების მხარდასაჭერად, დასვენებაა. მაგრამ, ალბათ, უდიდესი ცვლილება ჩემს ცხოვრებაში იყო იმ წნეხისა და შიშის გარეშე გაღვიძება ყოველ დღე, რაც მთელი ამ განვლილი წლების განმავლობაში გარს ერტყა ჩემს ცხოვრებას. კარგ რაღაცეებზე ოცნების შესაძლებლობა, იმის ნაცვლად, რომ მხოლოდ კიდევ ერთი კვირის განმავლობაში თავის გატანაზე გვეოცნება, დასვენებაა.

ის, რაც მე და დრენდამ აღმოვაჩინეთ, ისეთივე ხელმისაწვდომია შენთვის, როგორც ჩვენთვის იყო.

დიახ, ის დღე, როცა ბოლო ყუთებს ვალაგებდი მინივენში ახალ სახლში გადასასვლელად, ერთდროულად ტკბილიც იყო და მწარეც. მაგრამ მენდეთ, იმ დასვენების სიტკბომ, რაც მე და დრენდამ აღმოვაჩინეთ, იმდენად გადაძალა მოგონებების დატოვების მწარე ფიქრები, რომ თავი კვლავ სკოლის ასაკის ბავშვებად ვიგრძენით, რომლებიც ერთად იცინიან და ოცნებობენ.

ვიცი, რასაც ფიქრობ! ნეტავ, მეც ასე ვყოფილიყავი! ნეტავ, მეც მქონოდა მსგავსი გამოცდილება და მეცინა, მეოცნება, შემძლებოდა ფოკუსირებული ვყოფილიყავი სხვა რამეზე, გარდა გადასახადების გადახდისა! მიუხედავად იმისა, რომ წიგნის ამ ნაწილში, შეიძლება, ეს შენთვის დაუჯერებელია, გარწმუნებ, ის, რაც მე და დრენდამ აღმოვაჩინეთ, ისეთივე ხელმისაწვდომია შენთვის, როგორიც ჩვენთვის იყო. ვლოცულობ, რომ როცა ჩემს ისტორიას გაგიზიარებ, გამხნევდე და შენს ცხოვრებაშიც მიიღო ღვთის კანონები და პრინციპები.

ეს მართლა არაა ასე რთული! შენ უბრალოდ დასვენების ძალის აღმოჩენა გჭირდება!

„მოდით ჩემთან , ყოველნო მაშვრალნო და ტვირთმძიმენო და მე მოგასვენებთ თქვენ! იტვირთეთ ჩემი უღელი და ისწავლეთ ჩემგან, რადგან მშვიდი და გულით თავმდაბალი ვარ და ჰპოვებთ თქვენი სულის სიმშვიდეს. ვინაიდან ჩემი უღელი სასიამოვნოა და ჩემი ტვირთი მსუბუქი!“

– მათე 11:28-30

თავი 1

დასვენება – საფუძვლები

დასვენება - ესაა იყო მოთავსებული პოზიციაში ან უზრუნველყოფილი ისე, რომ დარჩე განსაზღვრულ პოზიციაში; მოდუნების მომენტი თუ პერიოდი, როცა წყვეტ დაძაბული და სტრესული აქტივობით დაკავებას. (გუგლი).

დაიღალე? გადატვირთული ხარ და ვერასდროს ვერაფერს ასწრებ? ფულის საჭიროება მართავს შენს ცხოვრებას, თუ სად იმუშავებ, როგორ იმუშავებ ან რამდენ ხანს იმუშავებ? გეჩვენება, რომ ვერასდროს დააღწევ თავს ვალებს? გეჩვენება, რომ გავრცელებული ვირთხების რბოლით ცხოვრობ? თუ ეს ყველაფერი შენზეა, მარტო არ ხარ!

ოდესმე გინახავთ ზაზუნას ბორბალი? დარწმუნებული ვარ გინახავთ, მაგრამ თუ ასე არაა, ესაა ბორბალი, რომელიც ზაზუნას გალიაშია მოთავსებული. ზაზუნას შეუძლია, ავიდეს ამ ბორბალში და ირბინოს და ირბინოს მანამ, სანამ ძალიან არ დაიღლება. მაგრამ ერთი პრობლემაა ამ ბორბალთან დაკავშირებით. მნიშვნელობა არ აქვს, რამდენად სწრაფად ირბენს ზაზუნა ან რამდენ ხანს ირბენს, როცა დაიღლება და გადმოვა, ზუსტად იგივე ადგილას იქნება, საიდანაც დაიწყო სირბილი. არაფერია შეცვლილი. შეუძლია, კმაყოფილებით მოიწმინდოს ოფლი თავისი პატარა ბეწვიანი სახიდან. მაგრამ არაფერი შესრულებულა, არანაირი სარგებელი არ მიადგება მის პოზიციას ცხოვრებაში; იგი კვლავ გალიაშია გამოკეტილი თავისუფლების გარეშე. ეს საკმაოდ კარგად გამოხატავს მრავალ ადამიანს, თუ არა უმრავლესობას და მათ ფინანსურ ცხოვრებას. ისინი მთელი კვირის განმავლობაში ბეჯითად შრომობენ და უქმეებზე ძალაგამოცლილები ცოტა ხნით გზიდან გადაუხვევენ, მაგრამ როცა ორშაბათი დილა დგება, საკუთარ თავებს ზუსტად იგივე ადგილას აღმოაჩენენ, სადაც ერთი კვირით ადრე იყვნენ.

ერთადერთი, რაც გააკეთეს, იყო ის, რომ კიდევ ერთი კვირით გაიტანეს თავი.

ასეთი იყო ჩემი ცხოვრება 9 ხანგრძლივი წლის განმავლობაში. დღეში 15-დან 18 საათამდე ვმუშაობდი, ბეჯითი და შრომისმოყვარე ვიყავი, მაგრამ როცა მეათედსა და გადასახადებს გადავიხდიდი, აღარაფერი მრჩებოდა. ჩვეულებისამებრ, ჩემი საჭიროებებისთვისაც არ მყოფნიდა და ნელ-ნელა თავის გასატანად სესხება ჩვევაში გამიჯდა. როცა ფინანსური წნეხი იზრდებოდა, უფრო და უფრო სწრაფად მივრბოდი, მაგრამ არანაირი ხეირი. როცა გავჩერდებოდი და ჩემს პროგრესს ვაფასებდი, აღმოვაჩენდი, რომ მხოლოდ უკან მივდიოდი.

ამან, რა თქმა უნდა, გარკვეული მძიმე ემოციური შედეგები გამოიწვია, იმედგაცრუება და შიში, რომელსაც ყოველ დღე ვებრძოდი, ნელ-ნელა ჩემს გონებასა და ფიზიკურ სხეულზე იწყებდა გავლენის მოხდენას. პანიკური შეტევები, ინტენსიური შიში და პარალიზება, ნელ-ნელა ეპატრონებოდა ჩემს სხეულს. ექიმები ვერ ხვდებოდნენ, რა მჭირდა?! შიშმა იმდენად შთანთქა ჩემი აზრები, რომ არ ვიცოდი, ვიცოცხლებდი თუ მოვკვდებოდი. ლომბარდებითა და ნათესავებისგან ნასესხები ფულით ცხოვრებამ თითქმის 9 წელს გასტანა! იმ დროისთვის, აღარაფერი გვქონდა დასაგირავებელი და ჩემი პიროვნებიდანაც ბევრი არაფერი იყო დარჩენილი. განადგურებული ვიყავი! შეგეძლო, მტვრის საწმენდით გადაგებერტყა ჩემი „მე“ იმ სიხარულთან ერთად, რაც ცხოვრებაში მქონდა დარჩენილი.

კრედიტორები ჩემს წინააღმდგე გამოსალაშქრებლად დაეწყვნენ და სწორედ მაშინ მოხდა ეს. როცა ჩემს ყველა ამოსუნთქვას უიმედობა ეკვროდა, ზარი გაისმა. ეს ზარი, ყველა სხვა დილის ზარს ჰგავდა: „ბატონო ქის, როგორც იცით, ჩვენი კლიენტის X რაოდენობის თანხა გმართებთ! როდის ფიქრობთ, რომ შეძლებთ მოტანას? იცით, ბატონო ქის, ბოლო სამ დარეკვაზეც ასევე მითხარით. ჩემი კლიენტი საქმეს აღძრავს თქვენს წინააღმდეგ ამ ვალის გამო. გასაგებია, ბატონო ქის?! სამი დღე გაქვთ. ნახვამდის!“

ამ ზარმა ისე მომცელა, თითქოს ტონობით აგური დამეყარა. ისედაც ვიცოდი, რა საშინელ მდგომარეობაში იყო ჩვენი ფინანსური სიტუაცია. არანაირი ფული არ მქონდა. ყველაფერი, რასაც ვფლობდი, გაფუჭებული იყო. ჩემი მაცივარი ცარიელი

იყო. ჩემს მშვენიერ ოჯახს ბუხართან ეძინა, რათა თბილად ყოფილიყვნენ, რადგან გათბობისთვის საჭირო თანხა არ გვქონდა. გამოსავალი არ მქონდა. ჩემი მეგობრები და ოჯახის წევრები, უკვე დაღლილები იყვნენ ფულის მოცემით. დაბნეული ნელა ავედი კიბეზე ჩემი საძინებლისკენ და საწოლზე დავემხე. ვქვითინებდი და ღმერთს შევღაღადებდი დახმარებისთვის.

ვფიქრობ, გამიკვირდა, თუ რამდენად სწრაფად დამელაპარაკა უფალი. ეს არ იყო მჟღერი ხმა, არამედ ხმა, რომელიც უეცრად მოვიდა ჩემს სულსა და გონებაში რაღაც ძალით. პირველი, რაც უფალმა მითხრა, ის იყო, რომ იმ არეულობას, რაშიც მე ვიყავი, არაფერი ჰქონდა საერთო მასთან. ალბათ, ეს იმიტომ მითხრა, რომ ცოტა დაბნეული ვიყავი იმით, თუ რატომ არ გვეხმარებოდა ის ჩემი პერსპექტივიდან. ჩვენ დიდ ეკლესიაში დავდიოდით, გულუხვები ვიყავით, როცა შეგვეძლო და ძირითადად ვიხდიდით ჩვენს მეათედს. ამის ნაცვლად, მან თქვა, რომ ჩემი ამ არეულობაში ყოფნის მიზეზი იყო ის, რომ არასოდეს შემისწავლია, როგორ მოქმედებს სამეფო? მან მითხრა, რომ მისი სამეფო არ მოქმედებს, როგორც მიწიერი სამეფო, ფულთან დაკავშირებით, და რომ უნდა მესწავლა მისი სამეფოს სისტემა, რათა გავმკლავებოდი ფინანსებს, თუ მინდოდა, განვთავისუფლებულიყავი.

მახსოვს, როგორ ჩავირბინე კიბეებზე, დრენდას ხელი დავტაცე და ვუთხარი, რაც ახლახანს უფალმა მითხრა და რომ პასუხი მისი სამეფო იყო. რა თქმა უნდა, ცოტათი დაბნეულები ვიყავით, რადგან ვფიქრობდით, რომ გვესმოდა, რა იყო მისი სამეფო? ამგვარად, როგორც ვთქვი, დიდ ეკლესიაში დავდიოდით, ორივეს გვიყვარდა ღმერთი და ვიცოდით, რომ ზეცის გზას ვადექით. მაგრამ როცა უნდა აღმოგვეჩინა, რეალურად ძალიან ცოტა ვიცოდით მისი სამეფოს შესახებ და იმაზე, თუ როგორ მოქმედებს იგი.

აღელვებული ვიყავი იმით, რომ ღმერთი დამელაპარაკა და პასუხი გამიცხადა - მისი სამეფო! ჯერ კიდევ უნდა ჩავჭიდებოდი იმ აზრს, თუ ეს რას გულიხმობდა, მაგრამ გავმხნევდი. რეალობა ის იყო, რომ წარმოდგენა არ მქონდა, რა იგულისხმა ღმერთმა სიტყვაში *სამეფო*. უნდა აღმომეჩინა, რომ ამ ერთ სიტყვაში, ნამდვილად იყო პასუხი, რომლისკენაც მე და დრენდა ვილტვოდით და რომელსაც ვეძიებდით.

იმ დღეს მე და დრენდამ ხელები ჩავჭიდეთ ერთმანეთს და ვილოცეთ. უპირველესად, ჩვენ მოვინანიეთ ღვთის წინაშე, რომ არ გამოვყოფდით დროს მისი სიტყვისა და სამეფოს მოქმედების პრინციპების შესასწავლად ფინანსებთან მიმართებაში. მეორე, მე, როგორც ოჯახის თავმა, დრენდას წინაშე მოვინანიე ოჯახის ამ აურზაურში შეყვანა. ორივემ ვილოცეთ და შევთანხმდით, რომ გვსურდა, გვესწავლა, როგორ მოქმედებდა სამეფო და გვეცხოვრა იმისგან განსხვავებული ცხოვრებით, რითიც ბოლო ცხრა წელი ვცხოვრობიდით.

საუკეთესო გზა იმის აღსაწერად, თუ რა მოხდა შემდგომ, სინათლის ჩამრთველზე შეხედვაა. შედით ბნელ ოთახში და უბრალოდ ხელი მიჰკარით ჩამრთველს. განათდა! უკვე ხედავთ. სწორედ ასეთი რამ მოხდა, როცა ღმერთმა ჩვენთვის თავისი სამეფოს შესახებ სწავლება დაიწყო. თითქოს ვიღაცამ სინათლის ჩამრთველი ჩართო და ისეთი რაღაცების დანახვა დავიწყეთ, რაც მანამდე არასდროს გვენახა. ჩვენ დავიწყეთ იმის გაგება, რომ ღვთის სამეფო მმართველობაა კანონებით, რომლებიც არ იცვლება. გავაცნობიერეთ, რომ შეგვეძლო ამ კანონების სწავლა და უზენაესის ძალასა და სიბრძნეში მოქცევა იმ სიუხვის შესაქმნელად, რაც გვჭირდებოდა.

ისეთი აღფრთოვანებულები ვიყავით, თუმცა ამავდროულად ისეთი დაბნეულები! საოცარი ისტორიები გადაგვხდა თავს, როცა ღმერთმა ჩვენთვის იმის სწავლება დაიწყო, თუ როგორ მოქმედებს სამეფო. ამ ადრეული ისტორიებიდან ბევრს აღარ მოვყვები აქ, რადგან უკვე განვიხილე ამ სერიის პირველ წიგნში - *შენი ფინანსური რევოლუცია: ერთგულების ძალა*. თქვენ შეგიძლიათ მისი ასლის მიღება garykeesee.com-დან ან Amazon.com-დან. თქვენ ასევე გჭირდებათ ჩემი წიგნის მიღება: *რწმენით ნადირობა*, რომელიც უკან დაგაბრუნებთ დასაწყისში, როცა ღმერთმა დაიწყო ჩემთვის იმის სწავლება, თუ როგორ მომემკა უზურნველყოფა ირემზე ნადირობისას. მაგრამ, გრძელი ამბავი რომ შევამოკლო, ნება მომეცით, ერთი მაგალითი მოვიყვანო!

როგორც უკვე გითხარით, ფეხის ფრჩხილიდან თმის ღერამდე ვალებში ვიყავით ჩაფლულები და გამოსავალი არ ჩანდა. IRS-ის ვალები, ლომბარდები, 10 ვადაგასული და გაუქმებული საკრედიტო ბარათი და 28%-იანი ვალი სამ საფინანსო კომპანიაში. ამასთან, გვქონდა ჩვენი სტომატოლოგის, ქიმ-

წმენდის, მშობლებისა და მეგობრების ვალებიც. სახელი თქვენ დაარქვით. ბუნებრივი გზით, იმედი არ არსებობდა. ჩემი ფინანსური გაყიდვების ბიზნესიც არ მიდიოდა კარგად, მიუხედავად იმისა, რომ ბევრს ვმუშაობდი. მაგრამ ახლა, მას შემდეგ რაც დავინახე, რომ სამეფო ასეთ საოცრებებს სჩადიოდა (კვლავ გეტყვით, წაიკითხეთ ისტორიები ზემოთ ნახსენებ ორ წიგნში), გავმხნევდით, რომ სამეფო იყო ჩვენი პასუხი. წარმოდგენა არ გვქონდა, როგორ? თუმცა დარწმუნებულები ვიყავით, რომ სწორ გზას ვადექით.

შემდეგ, ერთ ღამეს ღმერთმა მომცა სიზმარი და ამ სიზმარში მაჩვენა, რომ უნდა დამეტოვებინა ჩემი იმჟამინდელი კომპანია, სადაც ბოლო ცხრა წელი გავატარე და დამეარსებინა ჩემი კომპანია, ამას დააკვირდით, რათა ადამიანებს ვალებიდან თავის დაღწევაში დავხმარებოდი! ვიცი; ეს სიგიჟეა, არა? ანუ, რომ მცოდნოდა როგორ გავთავისუფლებულიყავი ვალებისგან, ამას წლების წინ გავაკეთებდი?! მაგრამ სწორედ ეს გააკეთა მან. რეალურად, ცოტა შოკირებული ვიყავი. წარმოდგენა არ მქონდა: როგორ დამეარსებინა ჩემი კომპანია, ან რა იგულისხმებოდა ამაში?! მაგრამ კომპანია ადამიანებისთვის ვალებიდან თავის დაღწევაში დასახმარებლად? მე ჯერ კიდევ მჭირდებოდა ვიღაც, ვინც მეტყოდა, როგორ გამეკეთებინა ეს?!

როცა ამაზე ლოცვა დავიწყე სულიწმიდასთან ერთად, ცხოვრების შემცვლელი გამოცდილება მივიღე იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ შეიძლებოდა, ეს მომხდარიყო? ეს მოხდა ერთ-ერთ ჩემს კლიენტთან სატელეფონო საუბარში, ჩემს დაზღვევის ბიზნესთან დაკავშირებით. ოჰ, დამავიწყდა მეთქვა, რომ როცა ეს ყველაფერი მოხდა, ფინანსური მომსახურების ინდუსტრიაში ვიყავი და დაზღვევებსა და ფასიან ქაღალდებს ვყიდდი. ვიცი, ეს იგივეა, იყო სანტექნიკოსი გაბზარული ონკანით, რომელიც ყველას პრობლემას აგვარებს საკუთარის გარდა. მიუხედავად იმისა, რომ ნელ-ნელა ვმარცხდებოდი ჩემი ფინანსური სერვისების პოზიციაზე, გამოცდილება, რაც ზოგადი ცოდნის მხრივ მივიღე ამ სფეროში ბოლო ცხრა წლის განმავლობაში, ახლა ძალიან მნიშვნელოვანი იყო იმისთვის, რის ჩვენებასაც ღმერთი აპირებდა ჩემთვის.

ჩემს კლიენტთან და მის ცოლთან ერთად ვიჯექი მათ სამზარეულოს მაგიდასთან, სტანდარტულ პრეზენტაციას მივყვე-

ბოდით, რასაც გარკვეული კითხვების დასმით და ე.წ. მონაცემების ანკეტის შევსებით მათი ამჟამინდელი ფინანსური მდგომარეობის სურათი უნდა დაეხატა. ეს მონაცემები უპირველესად იმისთვის გამოიყენებოდა, რათა განგვესაზღვრა რა ფასის სიცოცხლის დაზღვევა უნდა ჰქონოდათ? როცა მათი ვალების სიას გადავხედეთ, ორივე აღელდა და ცოლმა ტირილიც კი დაიწყო, ისინი აღწერდნენ, თუ როგორ უიმედოდ გრძნობდნენ თავს. მართალია, ორივენი სრული განაკვეთით მუშაობდნენ, თუმცა თვიდან თვემდე ძლივს გაჰქონდათ თავი.

ახლა, მას შემდეგ, რაც თავად ვცხოვრობდი ასე ცხრა წლის განმავლობაში და ღმერთმა დაიწყო ჩემთვის და დრენდასთვის სამეფოს შესახებ სწავლება, წარმოგიდგენიათ რას ვგრძნობდი მათ გამო? როგორც მე და დრენდა, ისინიც ქრისტიანები იყვნენ, მაგრამ არც მათ იცოდნენ: როგორ მოქმედებს სამეფო? იმ დროს რეალურად მართლა ვერ განვმარტავდი ბევრ რამეს სამეფოს შესახებ გარდა იმ საწყისებისა, რაც ღმერთმა უკვე გვაჩვენა და რაც მათაც გავუზიარე. რა თქმა უნდა, გავუზიარე ის გასაოცარი ამბებიც, რაც ჩვენს საკუთარ სიტუაციებში ვნახეთ.

დარწმუნებით შემეძლო მეთქვა, რომ სიცოცხლის დაზღვევა ნამდვილად არ იყო მათი მთავარი პრობლემა. რაღაც დრო დავუთმე იმის ახსნას, თუ რას მასწავლიდა ღმერთი სამეფოს შესახებ, მაგრამ მინდოდა, რაიმეს გაკეთება შემძლებოდა, რათა რეალური ფინანსური პასუხი შემეთავაზებინა მათ სიტუაციებში.

იმ ღამით ოფისში, როცა ჩემს სამუშაო დღეს ვასრულებდი და ჩვეულებისამებრ ვახარისხებდი ფაილებსა და შეტყობინებებს, რომელთაც კვლავ უნდა დავბრუნებოდი, უცებ აზრი მომივიდა: რა მოხდებოდა, თუკი სიცოცხლის დაზღვევის მიღმა გავიხედავდი და მთელს მათ ფინანსურ სურათს გადავხედავდი? იყო იქ რაიმე, რისი გაკეთებაც შემეძლო? რა მოხდებოდა, თუკი ფულის ძიებას დავიწყებდი? ამაში ვგულისხმობ, თუ რა მოხდებოდა, თუ აღმოვაჩენდი უფრო იაფ გზებს იმ რაღაცების გასაკეთებლად, რასაც ისედაც აკეთებდნენ? ჩემი მიზანი იყო, მარტივად მეპოვნა უფრო იაფფასიანი გზები იმ ყველაფრისთვის, რასაც უკვე აკეთებდნენ და დანაზოგი ვალების დასაფარად შემეთავაზებინა. ეს მარტივ წინადადებას ჰგავს, თუმცა ბევრი არაფერი ვიცოდი სხვა ნებისმიერი ფინანსური სფეროს შესახებ,

გარდა სიცოცხლის დაზღვევისა. და უნდა გითხრათ, რომ ეს იყო მანამ, სანამ ინტერნეტი იქნებოდა. კვლევა, რისი ჩატარებაც დამჭირდებოდა, ძველმოდური გზით უნდა ჩამეტარებინა: ტელეფონითა და ყვითელი ქაღალდებით.

ამაზე მთელი კვირა ვმუშაობდი, რადგან შემდეგ კვირაში მქონდა კლიენტთან შეხვედრა დაგეგმილი. გაოცებული ვიყავი იმით, თუ რამდენი თანხის გამოთავისუფლება შემეძლო ერთ თვეში, როცა დრო გამოვყავი, რომ მართლა ჩავძიებოდი ყველა ფინანსურ სფეროს. როცა დავასრულე, ასობით დოლარი დანამატი გამოდიოდა თვეში. ჩემი ფინანსური გათვლებით ყველა მათი ვალი შევკრიბე და შემდეგ გამოთავისუფლებული თანხა მათი ჩვეული, თვიური გადასახადებისკენ მივმართე. როცა კომპიუტერის ღილაკს თითი დავაჭირე, უბრალოდ გაოცებული მივაშტერდი პასუხს ეკრანზე - 6.2 წელი. პასუხი 6.2 წელი იყო სრული დრო, რაც დასჭირდებოდა ჩემს კლიენტს ყველა მისი ვალის გადასახდელად, მისი სახლის გირაოს ჩათვლით, შემოსავლის შეცვლის გარეშე. დიახ, კიდევ ერთხელ წაიკითხეთ, თვიური შემოსავლის შეცვლის გარეშე! გავოცდი და დარწმუნებული ვიყავი, რომ შეცდომა დავუშვი, ასე რომ კალკულაციებს ისევ და ისევ ვაკეთებდი თავიდან, სანამ არ დავრწმუნდი, რომ პასუხი სწორი იყო. ეს შესაძლებელი იყო? რატომ არ იცოდა ყველამ ამის შესახებ?

მაშინვე დავტაცე ხელი რამდენიმე სხვა კლიენტის ფაილს, რაც ხელთ მქონდა და სწრაფად გადავხედე. იგივე შედეგი მივიღე. ყველა მათგანი 5-დან 7 წელში განთავისუფლდებოდა ვალებისგან მათი გირაოს ჩათვლით და თვიური შემოსავლის ცვლილების გარეშე. უკვე ღამდებოდა, როცა ოფისში კალკულაციებს მოვრჩი, მაგრამ სახლში აღფრთოვანებული მივდიოდი. თუკი, რაც აღმოვაჩინე, სიმართლე იყო და ყველა ჩემი კალკულაცია ამაზე მიუთითებდა, მაშინ ეს რაღაც ძალიან, ძალიან დიდი იყო.

მოუთმენლად ველოდი ჩემი კლიენტის რეაქციას ასეთ ინფორმაციაზე. გადავწყვიტე, მომავალი შეხვედრისთვის ეს ციფრები მარტივ, ერთ გვერდიან პრეზენტაციაში მომექცია. ჩემი მიზანი იყო უბრალოდ იმედი მიმეცა მათთვის. ამაში საჩემო არაფერი იყო, რადგან ვიცოდი, რომ სიცოცხლის დაზღვევის მათთვის მიყიდვა ნაკლებად სავარაუდო იყო. მაგრამ ისიც

ვიცოდი, რომ იმის მოსმენა ენდომებოდათ, რაც აღმოვაჩინე. შემდეგ კვირას კვლავ გადავხედე ჩემს კალკულაციებს და დავრწმუნდი, რომ მართალი ვიყავი.

როცა კარზე ზარი დავრეკე, ვიგრძენი მღელვარე მოლოდინი ჩვენი შეხვედრისადმი. მათ სამზარეულოს მაგიდასთან დავჯექი და ვუთხარი: რას ვაკეთებდი მთელი კვირა მათ ციფრებთან? ნელ-ნელა მივიყვანე იმ ციფრებამდე, რაც აკრეფილი მქონდა, თან ვუხსნიდი როგორ მივედი გამოთავისუფლებულ თანხამდე, ყველა იმ კომპანიის სახელსა და თანხასთან ერთად, რისი ცოდნაც ჩემ მიერ ნაჩვენების განსახორციელებლად დასჭირდებოდათ. შემიძლია ვთქვა, როგორ იზრდებოდა მათი მღელვარება გამოთავისუფლებული თანხის ზრდასთან ერთად. მაგრამ როცა მივედი დასკვნამდე, 6.2 წელში ვალებისგან სრული გათავისუფლების შესახებ მათი სახლის ჩათვლით და იგივე შემოსავლის ქონით, ორივე ატირდა, ამჟამად სიხარულისგან. ისხდნენ, სახეზე ცრემლები ჩამოსდიოდათ და აგრძელებდნენ იმის თქმას, თუ როგორი შოკირებულები იყვნენ შედეგით. წამოხტნენ და ჩამეხუტნენ. იმ საღამოს ნამდვილად კარგი დრო გავატარეთ ამის აღნიშვნაში.

მოდი, წრფელები ვიყოთ! გეტყვით IRS როგორ გადავიხადოთ ნაკლები გადასახადები? გეტყვით ბანკირი, როგორ აარიდო თავი პროცენტის გადახდას? არა, მთელი სისტემა ისეა შექმნილი, რომ წაიღოს შენი თანხა, არა თუ დაიცვას იგი. ვიცოდი, რომ, რაც აღმოვაჩინე, ამერიკის ყველა ოჯახისთვის უნდა ესწავლებინა ვიღაცას! იმ ღამეს უდიდესი გავლენა ჰქონდა ჩემზე და მინდოდა, იგივე გამეკეთებინა ყველა კლიენტისთვის, ვისაც ვხვდებოდი.

ამრიგად, ამ ინფორმაციითა და იმ სიზმრით შეიარაღებულებმა, რაც ღმერთმა დასტურად მოგვცა, მე და დრენდამ მივატოვეთ ჩვენი სამსახური სიცოცხლის დაზღვევის კომპანიაში და დავაარსეთ ჩვენი საკუთარი კომპანია, სადაც ვაკეთებდით იგივეს, რაც იმ კლიენტთან გავაკეთე. იმ ადრეულ წლებში ჩვენს კომპანიას „რწმენით სავსე ოჯახური ფინანსები“ დავარქვით. სახელი ნათლად ამბობდა: რას შეეხებოდა ეს ყველაფერი, თუკი გესმოდა სამეფო და რწმენა, შენი ფინანსები გამრავლდებოდა. გეთანხმებით, რომ ეს ნამდვილად არ იყო მაინც და მაინც კარგი სახელი კომპანიისთვის, სცადეთ, ათჯერ გადაბმულად თქვათ!

მაგრამ იმუშავა. მოგვიანებით სახელი შევცვალეთ და მას „წინ მსვლელი ფინანსური ჯგუფი“ დავარქვით, რაც დღემდე ჰქვია და კვლავ ძლიერად მოქმედებს.

წრფელად რომ ვთქვა, პირადად ჩვენი ფინანსური შემოსავლები ჯერ არ იყო ავსებული. კვლავ გვქონდა ვალები გადასახდელი, თუმცა ვიცოდით, რომ ვიპოვეთ გზა, რომელსაც უნდა გავყოლოდით. როცა ჩვენი ახალი კომპანია დავაარსეთ, აღფრთოვანებულები ვიყავით და ამავდროულად ვნერვიულობდით. ბევრი რამ უნდა გვესწავლა კომპანიის მოწყობასა და მართვაზე, თუმცა ყველაზე დიდი დაბრკოლება, რასაც შევეჯახეთ, ამ ყველაფრის კეთებით ფულის გამომუშავება იყო. ჩვენი გამონვევა იყო, რომ ვგრძნობდით, არ უნდა დაგვეტვირთა და არც გვინდოდა დაგვეტვირთა ადამიანები გადასახადით იმის გამო, რომ მათ ვალებისგან გათავისუფლებაში დავხმარებოდით. ეს საკმაოდ დიდი ბარიერი იყო, რომელზე ლოცვაშიც და გამოსავლის ძიებაშიც საკმაო დრო გავატარეთ. დეტალურად რომ არ აღვწერო, ღმერთმა დაგვანახა გასაოცარი სტრატეგია კომპანიის მოსაწყობად და ის პოზიცია, თუ როგორ გამოგვემუშავებინა თანხა კლიენტების გადასახადით დატვირთვის გარეშე.

შემდეგ, უნდა გვეპოვა გზა, რომ დაგვეჩქარებინა ხანგრძლივი ხელით გაკეთებული კალკულაციები, რასაც ჩემი კლიენტის მონაცემებთან დაკავშირებით ვაკეთებდი. ვიცოდი, რომ უნდა დაგვეწერა კომპიუტერული პროგრამა, რომელიც იმას გააკეთებდა, რასაც ჩვენ ვაკეთებდით, მაგრამ არაფერი ვიცოდი კომპიუტერების შესახებ, არც ის, თუ როგორ მეპოვა ვინმე, ვინც ამას შეძლებდა. კვლავ ღმერთმა რაღაც გასაოცარი მოიმოქმედა. დამირეკა ადამიანმა, რომელიც ჩვენგან ძალიან შორს ცხოვრობდა და რომელმაც ჩვენ შესახებ გაიგო. მას სურდა, როგორც კლიენტს ენახა, რას ვაკეთებდით?! მოეწონა, რაც გავაკეთეთ და საუბრისას აღმოვაჩინე, რომ კომპიუტერის პროგრამისტი იყო და ნახევარ განაკვეთზე საკუთარ კომპანიასაც უძღვებოდა. დაველაპარაკე ჩვენი საჭიროების შესახებ, მანაც ენთუზიაზმით აღსავსემ გვითხრა, რომ სურდა, დაგვხმარებოდა იმაში, რასაც ვაკეთებდით. ვუთხარი, რომ ჯერ ახლა ვიწყებდით კომპანიას და არ გვქონდა საკმარისი ფულადი კაპიტალი გაწეული სამუშაოსთვის ასანაზღაურებლად, მიუხედავად იმისა,

რომ უდიდესი ფასდაკლება შემოგვთავაზა. მას მაინც სურდა ამის გაკეთება და მითხრა, რომ შემეძლო, მაშინ გადამეხადა, როცა შემოსავალი მექნებოდა. ამრიგად, აი ასე გავაკეთეთ ყველაფერი.

ხალხს შეუყვარდა ჩვენი ბიზნესი. ყველაფრის შემდეგ, რატომაც არა? ეს იყო უფასო და ხალხს მოსწონდა ფულის აღმოჩენა და ვალებისგან გათავისუფლება. ბიზნესი კარგად წავიდა და შევძელით ვალებისგან ორ წელიწად ნახევარში გავთავისუფლებულიყავით. მალე დაახლოებით 300 წარმომადგენელი გვყავდა, ვინც ჩვენს გეგმას აზიარებდა მთელს ქვეყანაში. გარდა იმისა, რომ შევძელით ჩვენი მანქანების საფასური დაგვეფარა, ჩვენ ავაშენეთ და გადავიხადეთ ჩვენი ოცნების სახლის საფასური. ჩვენი კომპანია ისე გაიზარდა, რომ ასობით ათას დოლარს გასცემს სახარებისა და ადამიანების მხარდასაჭერად ყოველწლიურად.

„ვალების გეგმა“, როგორც ჩვენ ვუწოდეთ, დღესაც უფასოდ იქმნება, 30 წლის შემდეგაც კი. კომპანიის მისიაც გაიზარდა წლების სვლასთან ერთად. 2001 წლის ფინანსური დარტყმის შემდეგ, საპენსიო დაბანდებაზე ვფოკუსირდით, განსაკუთრებით კი მას შემდეგ, რაც 2008 წლის დარტყმამ მილიონობით ადამიანს დააკარგვინა მათი საპენსიო დანაზოგის 50%-დან 80%-მდე. გამოვიკვლიეთ უსაფრთხო დაბანდების ვარიანტები და ბიზნესის ეს ასპექტი 2001 წელს ჩავუშვით მოქმედებაში. მეამაყება იმის თქმა, რომ იმ ასობით მილიონი დოლარიდან, რასაც ჩვენი კლიენტებისთვის განვაგებთ, არც ერთს არ დაუკარგავს ერთი პენიც კი თავიანთ დაბანდებებში ბოლო 16 წლის ფინანსური ქაოსისას ჩვენს ქვეყანასა და მსოფლიოში. და როგორც ჩვენი გეგმის შემთხვევაში, არც ჩვენი დაბანდების კლიენტებისთვის არსებობს საწყისი თუ წლიური გადასახადი და ადმინისტრაციული შენატანი. თუ დაიღალე შენი საპენსიო თანხის გარისკვით, შეგიძლია მეტი დეტალებისთვის დაუკავშირდე „წინ მსვლელ ფინანსურ ჯგუფს“ ნომერზე 1-(800)-815-0818 ან Forwardfinancialgroup.com-ზე.

გასაოცარია არა? ერთმა მარტივმა მაგალითმა სულიწმიდისგან სამუდამოდ შეცვალა ჩვენი ცხოვრება! დიახ, ჩვენ უნდა განგვეხორციელებინა იგი, მაგრამ ღმერთმა დაგვანახა საით უნდა წავსულიყავით. „გარი, როგორი განცდა იყო ვალებისგან გათავისუფლება?“ მშვიდობა! დასვენება! იფიქრეთ ამაზე!

საშინელი ფინანსური მოშლილობისგან, ვალებისგან სრულ გათავისუფლებამდე, მანქანების, სახლის და ყველაფრის გადასახადის გადახდამდე მივედით, რაც კი გვჭირდებოდა. ცხრა ხანგრძლივი წლის განმავლობაში ყოველ დღე და ყოველ წუთს საშინელი წნეხის ქვეშ ვიყავი. მოსვენება არ მქონდა. მნიშვნელობა არ ჰქონდა, კვირის რომელი დღე იყო ან დღესასწაული იყო თუ არა. მე არ მქონდა მშვიდობა. ჩემი ფინანსური პრობლემები ყველგან მომყვებოდა, სადაც კი მივდიოდი. მუდმივ სირცხვილს და დამცირებას ვუძლებდი ჩვენი ფინანსური მდგომარეობის გამო. შიში ჩემი მუდმივი თანმხლები იყო, პანიკური შეტევები და ანტიდეპრესანტები - ცხოვრების სტილი ჩემი სასოწარკვეთილების დონის მიხედვით.

მთელი ამ ფინანსური ცვლილებების მეშვეობით და რა თქმა უნდა, იმით, რომ ყველაფერი, რაც ცხოვრებაში გვჭირდებოდა, თავის ადგილზე იყო, შეიძლება ცდუნდე და იფიქრო, რომ თვითონ ჩვენი ფინანსები იყო გამარჯვება. რა თქმა უნდა, საბოლოოდ იმ ყველაფრის ქონა, რაც გვჭირდებოდა, უდიდესი გამარჯვება იყო, მაგრამ რეალური აღფრთოვანება ღვთის სამეფოს მოქმედების დანახვა იყო. როცა მე და დრენდა ისევ და ისევ ვხედავდით, როგორ ფუნქციონირებდა სამეფო, ხშირად ვამბობდით: „ეს დაინახე?“ როგორც სინათლის ჩამრთველის ჩართვისას ყველაფერი ცხადია სინათლეში; შეგიძლია, დაინახო! საოცარი განცდაა, შეძლო, დაინახო მას შემდეგ, რაც ბრმა იყავი და პასუხების გარეშე ცხოვრობდი. ჩვენი ნამდვილი განძის, ღვთის სამეფოს პოვნა უბრალოდ გასაოცარი იყო. ვცადო იმის თქმა, თუ რა ვიგრძენი? მარტივია - პირველად ჩემს ცხოვრებაში დავისვენე!

ერთმა მარტივმა მაგალითმა სულიწმიდისგან სამუდამოდ შეცვალა ჩვენი ცხოვრება! დიახ, ჩვენ უნდა განგვეხორციელებინა იგი, მაგრამ ღმერთმა დაგვანახა, საით უნდა წავსულიყავით.

დრამა დამთავრდა! წარსულში, თუკი საბურავი დაგვეშვებოდა, ეს დიდ ემოციურ კრიზისში გადაიზრდებოდა: „სად ვიშოვით ფულს? ბარათებზე არის კიდევ თანხა?“ მაგრამ დღეს, თუკი რაიმე მიზეზით მანქანა გაფუჭდება, უბრალოდ ვკითხავ ჩემს ცოლს: „ამჟამად რა ფერი გინდა?“ არანაირი

დრამა, არანაირი პანიკა, არანაირი ვალი, უბრალოდ დასვენება. უბრალოდ ვაკეთებთ იმას, რასაც უნდა ვაკეთებდეთ და მივყვებით ჩვენს მიზანს. აღარანაირი თავის გატანით ცხოვრება, ჩვენ უბრალოდ შეგვიძლია ᲕᲘᲪᲮᲝᲕᲠᲝᲗ!

> *„ამიტომ გეუბნებით თქვენ: ნუ წუხხართ თქვენთვის, რა ჭამოთ ან რა სვათ?! ნურც -თქვენი სხეულისთვის, თუ რითი შეიმოსოთ?! განა სიცოცხლე საზრდოზე მეტი არ არის და სხეული - სამოსელზე? შეხედეთ ცის ფრინველებს: არც თესავენ, არც მკიან, არც ბეღლებში აგროვებენ და თქვენი ზეციერი მამა ასაზრდოებს მათ! განა თქვენ მათზე ბევრად უკეთესები არ ხართ?“*
>
> – მათე 6:25-26

ამ ბოლო 36 წლის განმავლობაში, ათასობით ადამიანთან ვმჯდარვარ და გულახდილად განმიხილავს მათი ფინანსები ძალიან პიროვნულ დონეზე. მისაუბრია ათასებიან ხალხის ჯგუფებთან მთელს მსოფლიოში და ერთი რამ, რასაც ყველგან ვპოულობ, სადაც არ უნდა გავიხედო, არის ის, რომ ყველა ეძებს დასვენებას!!!!! ყველა მოელის უქმეებს, არდადეგებს ან პენსიას, რათა გაჩერდეს და დაისვენოს.

რამდენიმე ბოლო კვლევამ, რაც წავიკითხე, აღმოაჩინა, რომ ამერიკელების დაახლოებით 70% არ მოსწონს თავისი სამსახური და ამ 70%-დან 20% ვერ იტანს თავის სამსახურს. რატომ აკეთებენ ისეთ რამეს, რაც სძულთ? რა სახის სტრესის ქვეშ ცხოვრობენ, რომ ასეთ ემოციურ ტკივილს გაუძლონ ყოველ დღე? უხეშად რომ ვთქვათ, მონები არიან. (ჩვენ ყველანი ვართ მონები. ჩვენ გავიზარდეთ სამყაროში, სადაც წარმატების მისაღწევად ერთადერთი გზა საკმარისი ფულის ქონაა, რათა შეძლო არჩევნის გაკეთება. მაგრამ ადამიანთა უმეტესობისთვის, ასე არ ხდება). მათი ოცნებები წარმატებულობაზე ნელ-ნელა ფერმკრთალდება და თავის გატანით ცხოვრებამდე მიდის, როცა 30-იან, 40-იან ან თუნდაც 50-იან წლებში საკუთარ თავებს ისეთ სამსახურებში აღმოაჩენენ, სადაც თითქოს ჩიხში არიან.

ᲤᲘᲜᲐᲜᲡᲣᲠ ᲡᲢᲠᲔᲡᲨᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ... ᲐᲠ ᲧᲝᲤᲘᲚᲐ ᲦᲕᲗᲘᲡ ᲒᲔᲒᲛᲐ ᲓᲐᲡᲐᲬᲧᲘᲡᲨᲘ ᲓᲐ ᲐᲠᲪ ᲨᲔᲜᲗᲕᲘᲡᲐᲐ ᲔᲡ ᲣᲤᲚᲘᲡ ᲒᲔᲒᲛᲐ ᲓᲦᲔᲡ.

ბოლო სტატისტიკა ამბობს, რომ ამერიკის მოსახლეობის 69% ათასი დოლარიც კი არ აქვს დანაზოგი.[1] სტრესი და ემოციური ტრავმა, რის ქვეშაც ადამიანთა უმეტესობა ცხოვრობს, მათი იდენტობისა და საკუთარი თავის ღირებულების განცდას ამრუდებს. ოცნებები თაროზეა შემოდებული გადაუდებელი საჭიროებების ხარჯზე, მათ ადგილს კი დამთრგუნველი იმედგაცრუებები იკავებს. სიხარული ქრება.

ერთ დღეს, მახსოვს პასტორს ფინანსებზე ვესაუბრებოდი. მან მითხრა, რომ უყვარდა მსახურება და უყვარდა ხალხი, მაგრამ ყოველ დღე აღფრთოვანებული იღვიძებდა, სანამ თავისი ფინანსური სიტუაცია გაახსენდებოდა. მითხრა, რომ ეს დიდ შავ ღრუბელს ჰგავდა მის ტვინში, რომელიც მის გონებას იმონებს: თავის გატანის ფიქრით, ფინანსური უიმედობით და ხედვის გარეშე მონობაში.

ცხოვრება სხვების გამარჯვების ყურებამ ჩაანაცვლა. ჰოლივუდმა მილიარდები გამოიმუშავა მასებისთვის დიდ ეკრანზე იმის ჩვენებით, თუ როგორ იმარჯვებენ სხვა ადამიანები. ადამიანები, რომლებიც ვერ იხილავენ საკუთარ გამარჯვებას, რამდენიმე წუთს პოულობენ, რათა თავიანთ მოსაწყენ ცხოვრებას თავი დააღწიონ და თავიანთი ოცნებები გააცოცხლონ სრულყოფილი ადამიანების სრულყოფილი ცხოვრების ცქერით დიდ ეკრანზე.

სპორტი ბოლო დროს მილიარდობით დოლარს გამოიმუშავებს წლიურად მაყურებლისგან მთელს მსოფლიოში. 2017 წელს, NFL-ის მოგებამ 7.8 მილიარდს მიაღწია; სუპერ თასმა დაახლოებით 15.5 მილიარდი გამოიმუშავა; და ეს მხოლოდ ერთი თამაშია![2] [3] ადამიანებს უყვართ რჩეული გუნდების გულშემატკივრობა.

მაგრამ უნდა გვესმოდეს, რომ ჩვენ ყველა შექმნილები ვართ და წინასწარ განგვესაზღვრა გამარჯვება: ვიბრძოლოთ, ვიყოთ თამაშში და საბოლოოდ გავიმარჯვოთ. ფინანსური უიმედობა

1. Niall McCarthy, „კვლევა: ამერიკელთა 69%-ს 1,000 $-ზე ნაკლები დანაზოგი აქვს.“ *Forbes*, სექტემბერი 23, 2016. https://www.forbes.com/sites/niallmccarthy/2016/09/23/survey-69-of-americans-have-less-than-1000-in-savings-infographic/#2dcfcd161ae6

2. Michael David Smith, “Packers’ Books Show NFL teams Split $7.8 Billion in National Revenue,” NBC Sports, http:// profootballtalk.nbcsports.com/2017/07/12/packers-books-show-nfl-teams-split-7-8-billion-in-national-revenue/.

3. Joe D’Allegro, “Super Bowl Billions: The Big Business Behind the Biggest Game of the Year, CNBC, January 22, 2017, updated February 2, 2017, https://www.cnbc.com/2017/01/20/super-bowl-billions-the-big-business-behind-the-big-game. html.

ნორმაა და არა გამონაკლისი ადამიანთა დიდი ნაწილისთვის. ამრიგად, ერთადერთი გასაქცევი გზაა სხვისი ცხოვრების მეშვეობით იცხოვრო, იმ წარმატებით, რაზეც ყველა ვოცნებობთ. რა არის ლატარიის მოგების სატყუარა? რატომ იყო სატელევიზიო გადაცემა *„ვის უნდა გახდეს მილიონერი“* ასეთი პოპულარული? რატომ არის მდიდრად გახდომის სქემები დღეს ისევ ასეთი მაცდუნებელი? პასუხი? ᲓᲐᲡᲕᲔᲜᲔᲑᲐ! ყველა დაიღალა სირბილით, ყველა დაიღალა გაღვიძებისას იმ სიმძიმით, რასაც უზრუნველყოფის პოვნა ჰქვია და რაც მათ ოცნებებს ჰპარავს. მაგრამ ფინანსურ სტრესში ცხოვრება რაღაც ახალი არაა; რეალურად, იგი არსებობს მას შემდეგ, რაც ადამიანია ამ დედამიწაზე. თუმცა, ეს არ ყოფილა ღვთის გეგმა დასაწყისში და არც შენთვისაა ეს უფლის გეგმა დღეს.

თავი 2

კანონიერი უფლებები

უიმედო - აი, ასე აღვწერდი ჩვენს ცხოვრებას, სანამ გავიგებდით, როგორ დაგვესვენა. ცხრა წელი ხანგრძლივი დროა ფინანსურ ქაოსსა და სტრესში ცხოვრებისთვის. მახსოვს, ხშირად გადავხედავდი ხოლმე 34 ჰა-ზე გადაჭიმულ ფერმას, რომელსაც თვეში 300 $-ად ვქირაობდით, რაც ძალიან იაფია, თუმცა ამის გადახდასაც ძლივს ვახერხებდით და ვფიქრობდი: ნეტავ, ოდესმე თუ შემეძლებოდა ასეთი მიწის ფლობა?!

ფერმის მფლობელს თავის საკუთრებაში გოლფის კორტების მოწყობა სურდა და უბრალოდ უნდოდა, ვინმეს ეცხოვრა იქ, სანამ პროექტის განხორციელებას შეუდგებოდნენ, რათა უბრალოდ ყურადღება მიექცია მისი საკუთრებისთვის, ეს კი სამი ან ხუთი წელი გაგრძელდებოდა. ძველი ფერმის სახლი „ისე რა“ მდგომარეობაში იყო და ისინიც არაფერს გადაიხდიდნენ რემონტისთვის იმ პერიოდში. ჩვენ ავიღეთ ის და სერიოზული ღებვისა და დასუფთავების შემდეგ ძველმა სახლმა თავისი უნიკალური შარმი დაიბრუნა. ჩვენი გეგმა იყო, სამი წლით დავრჩენილიყავით იქ და შემდეგ გადავსულიყავით, მაგრამ ჩვენი იქ ყოფნის რვა წლის შემდეგაც რაიმეს ფლობასთან ახლოსაც კი არ ვიყავით.

მას შემდეგ, რაც ღმერთი სამეფოზე დამელაპარაკა და მისი პრინციპებისა და კანონების სწავლასა და გამოყენებას შევუდექით, რაღაცებმა შეცვლა დაიწყო. დასაწყისში, როცა ჩვენმა ფინანსებმა გაუმჯობესება დაიწყო, პაწაწინა გამარჯვებებიც კი ისეთ აღფრთოვანებას იწვევდა ჩვენში. მახსოვს, როცა ძველი ფერმის სახლისთვის ჭურჭლის სარეცხი მანქანა ვიყიდეთ, მე და დრენდა ძალიან ბედნიერები ვიყავით, განსაკუთრებით კი ის! მიუხედავად იმისა, რომ დროდადრო ვეხმარებოდი ჭურჭლის რეცხვაში, მე ბიზნესითაც ვიყავი დაკავებული. ოთხი შვილი

იმ დროს ნიშნავდა, რომ ის მუდმივად ჭურჭელს რეცხავდა. როცა ჭურჭლის სარეცხი მანქანა ვიყიდეთ, მახსოვს რაღაც ასეთი ვთქვი: „გჯერა, რომ ნაღდი ფულით გადავიხადეთ ახალი ჭურჭლის სარეცხი მანქანის საფასური?“ ვიცი, ფიქრობთ: „ვაუ, რა არის ასეთი განსაკუთრებული ჭურჭლის სარეცხი მანქანის ყიდვაში?“ ნუ, მთელს პერსპექტივაში რომ მოვაქციოთ, სხვა მოწყობილობებისთვის უნდა შეგეხედათ ჩვენი ფერმის სახლის სამზარეულოში. ჩვენი გაზქურაც და მაცივარიც ავოკადოსავით მწვანე იყო და 25 წელს ითვლიდა. ამრიგად, თუ შევადარებთ, ახალი ჭურჭლის სარეცხი მანქანის ყიდვა უდიდესი გამარჯვება იყო ჩვენთვის.

წინა თავში გაგიზიარეთ, როგორ მომცა ღმერთმა სიზმარი და გეგმა ბიზნესის დაწყების შესახებ, რაც გახდებოდა პასუხი ჩვენს ფინანსურ ქაოსში. შეიძლება ფიქრობდეთ: „ნეტავ მეც მითხრას ღმერთმა რამე ასეთი!“ კარგი ამბავი ისაა, რომ მას ასეც სურს, მაგრამ არის რაღაცები, რაც უნდა იცოდე სამეფოს მოქმედების შესახებ, სანამ შეძლებ მსგავსი დახმარების ქვეშ მოექცე. მიმართულება, რომელიც იმ დღეს სიზმარში მივიღე, მხოლოდ იქიდან გამომდინარეობდა, თუ რას გვასწავლიდა ღმერთი თავის სამეფოზე და პირდაპირი შედეგი იყო იმის მიღებისა, რაც მან გვაჩვენა. მიუხედავად იმისა, რომ ჩემს წინა წიგნში დეტალურად აღვწერე სამეფო, აუცილებლად მჭირდება კვლავ მიმოვიხილო იმ პლატფორმის შესაქმნელად, საიდანაც მუშაობის დაწყებას შევძლებთ.

ადამიანები მეკითხებიან, თუ რას ვგულისხმობ ღვთის სამეფოში. არანაირი ცოდნა არ მქონდა ღვთის სამეფოს შესახებ, მიუხედავად იმისა, რომ ქრისტიანი ვიყავი. ვიცოდი, რომ, როცა გარდავიცვლებოდი ზეცაში წავიდოდი, მაგრამ საერთოდ არ მესმოდა ღვთის სამეფო და ის, თუ როგორ ფუნქციონირებდა იგი. ამ აზრის გასაგებად უნდა გესმოდეთ რას ნიშნავს სიტყვა *სამეფო*?! პირდაპირი მნიშვნელობით იგი მეფის სამფლობელოს ნიშნავს. მეფის სამეფო მოქმედებს მეფის სიტყვისამებრ. მისი სიტყვები ხდება კანონები, რაც მის სამფლობელოსა და მისი მოქალაქეების ცხოვრებას განაგებს. კიდევ ერთი ცნება, რასაც სამეფო მოიცავს, არის ის, რომ მილიონი ადამიანისგან შემდგარი ბრბო სამეფოს არ ქმნის. სამეფო მიუთითებს მმართველობაზე კანონებით, რომელიც სამეფოს ყველა კანონიერი მოქალაქის

ცხოვრებაში ატარებს მეფის კანონს. ეს ცნება, რომ ღმერთს აქვს სამეფო დადგენილი კანონებით, რომლებიც მისი სამეფოს ყველა კანონიერი მოქალაქისთვისაა ხელმისაწვდომი, თითქოს არაფრის მთქმელია ბევრი ქრისტიანისთვის. ქრისტიანთა დიდ ნაწილს სჯერა, რომ ღმერთი წყვეტს რომელ ლოცვებს უპასუხოს ან ვისადმი გამოამჟღავნოს რჩეულობა. მათ სჯერათ, რომ, თუკი დიდხანს იმარხულებენ ან მეტ სულიერ საქმეს გააკეთებენ ღვთისთვის, მის კეთილგანწყობას მოიპოვებენ. მეგობარო, შენ უკვე გაქვს მოპოვებული მისი კეთილგანწყობა!

„მაშასადამე, თქვენ, უკვე აღარ ხართ ხიზნები და უცხონი, არამედ წმიდათა თანამოქალაქენი და ღვთის სახლეულნი!“

– ეფესელთა 2:19

შენ არა მხოლოდ მისი სამეფოს მოქალაქე ხარ, არამედ მისი სახლეულის წევრი, მეფის ძე თუ ასული. გალატელთა მე-4 თავი ცხადად გადმოსცემს, თუ რას გულისხმობს ეს ჩემთვის და შენთვის.

„ვამბობ: მემკვიდრე-მეთქი, მაგრამ ვიდრე ის ჩვილია, არაფრით განირჩევა მონისგან, თუმცა ყოვლის მფლობელია. არამედ აღმზრდელთა და მოურავთა ხელქვეით იმყოფება იგი მამამისის მიერ დანიშნულ ვადამდე. ასევე ჩვენც, ვიდრე ყრმანი ვიყავით, წუთისოფლის წესებს ვემონებოდით. და როცა მოვიდა სისრულე დროისა, მოავლინა ღმერთმა თავისი ძე, რომელიც დედაკაცისგან იშვა და დაემორჩილა რჯულს. რჯულის ქვეშ მყოფთა გამოსასყიდად, რათა შვილობა მიგვეღო. და რაკიღა თქვენ ძენი ხართ, ღმერთმა მოავლინა თქვენს გულებში თავისი ძის სული, რომელიც შესძახის: „აბბა, მამაო!“ ამიტომ, უკვე აღარ ხარ მონა, არამედ ძე, ხოლო თუ ძე, მემკვიდრეც ხარ ღვთის მიერ“.

– გალატელთა 4:1-7

შენ მთელი მისი ქონების მემკვიდრე ხარ როგორც ძე და ასული და კანონიერი უფლებები გაქვს როგორც მისი სამეფოს მოქალაქეს! მოდი ცოტა ხანი დაუფიქრდით ამას: შენ უკვე გაქვს ყველაფერი! არ არსებობს რაიმე, რაც გჭირდება და უკვე არ

გაქვს. ამრიგად, შეწყვიტე ხვეწნა და ტირილი! ვერ შეეხვეწები იმისთვის, რაც უკვე გაქვს. ღმერთი არ იღებს გადაწყვეტილებებს შემთხვევიდან შემთხვევამდე იმის მიხედვით, თუ ვის დაეხმაროს და ვის - არა. ყველას, ვინც ღვთის ძე ან ასულია, უკვე აქვს მისგან დახმარება.

გრძნობები კარგია და მე მიყვარს ღვთის თანდასწრების განცდა, მაგრამ, როცა საქმე კანონიერ საგნებს ეხება, მე არ მჭირდება, ვიგრძნო დახსნა, რომ დახსნილი ვიყო. ეს კანონის საკითხია.

ნება მომეცით, ეს აშშ მოქალაქეობას შევადარო. თუ შენ მოქალაქე ხარ, მაშინ უკვე გაქვს ამერიკის შეერთებული შტატების მმართველობის მიერ მხარდაჭერა იმის განსახორციელებლად, რასაც კანონი ამბობს. ეს უპირატესობა შენს მოქალაქეობაში შედიოდა. ამრიგად, ვერ იმარხულებ და ილოცებ დიდხანს მისი დახმარების მისაღებად; მან ეს უკვე მოგცა დაუმსახურებლად იმის მეშვეობით, რაც იესომ გააკეთა. ამრიგად, ისიამოვნე ამით! შენ უკვე ფლობ მას!

> *„აღგვადგინა მასთან ერთად და თანადაგვსხა ზეცაში, ქრისტე იესოში, რათა გამოჩნდეს მომავალ საუკუნეებში მისი მადლის გარდამეტებული სიმდიდრე ჩვენდამი მოწყალებით ქრისტე იესოში“.*
>
> – ეფესელთა 2:6-7

ეს ფრაზა, „*თანადაგვსხა ზეცაში*“, შენს კანონიერ პოზიციაზე ლაპარაკობს ღვთის სამეფოში. იესო ზის მამის მარჯვნივ და შენც ასევე, რადგან ქრისტეს სხეული ხარ. ამრიგად იესოს თანამემკვიდრე ხარ იმ ყველაფერში, რაც ღმერთს აქვს. ვიცი, ამაზე ფიქრი დაუჯერებელია, მაგრამ ეს სიმართლეა. შენ გაქვს ეს ყველაფერი; შენ ხარ ოჯახის ნაწილი, და ეს ოჯახის საქმეა! მაგრამ, რადგანაც ბოროტმა სცადა, დაემალა ყველაფერი: რაც ხარ და რაც გაქვს, ადამიანთა უმრავლესობა, ქრისტიანებიც კი, ცხოვრობენ ისე, როგორც დედამიწის თავის გატანის წყევლის სისტემით დაბმულები!

გასაღები, რამაც მთელი ჩემი ცხოვრება შეცვალა იყო, როცა გავაცნობიერე, რომ ეს იყო და არის მმართველობა კანონებით და მე, როგორც მოქალაქეს, კანონიერი უფლებები და სარგებლები მაქვს სამეფოში. გრძნობები კარგია და მე მიყვარს

ღვთის თანდასწრების განცდა, მაგრამ, როცა საქმე კანონიერ საგნებს ეხება, მე არ მჭირდება ვიგრძნო დახსნა, რომ დახსნილი ვიყო. ეს კანონის საკითხია. მე არ მჭირდება ვიგრძნო, რომ აშშ მოქალაქე ვარ, იმისათვის, რომ ვიყო. უკვე ვიცი, რომ ეს კანონის საკითხია, რაც დაკმაყოფილებულია იმ ფაქტით, რომ აქ დავიბადე. როცა სწორ პოზიციაში ხარ ღვთის წინაშე და შენი ცხოვრება დაფუძნებულია კანონზე და არა იმაზე, თუ რას გრძნობ, რაღაცები იცვლება.

> *„და აჰა, რა გაბედულება გვაქვს მის მიმართ, რომ როცა რამეს ვთხოვთ მისი ნებისამებრ, იგი გვისმენს. და როცა ვიცით, რომ გვისმენს იგი, რასაც კი ვთხოვთ, ვიცით, რომ გვაქვს, რაც ვითხოვეთ მისგან“.*
>
> – 1 იოანე 5:14-15

ერთი წუთით დაფიქრდით ამ მუხლზე! ერთ-ერთი ჩემი საყვარელი მუხლია. თუკი რაიმეს ვითხოვ მისი ნების თანახმად, ვიცი, რომ ის ისმენს! ეს არ გულისხმობს მჟღერად ხმის ტალღებს, რომლებიც ყურის მეშვეობით გვესმის. ეს არის კანონის მიერი წინადადება. იფიქრეთ მოსამართლესა და მის სასამართლო დარბაზზე. თუკი მოსამართლე გადაწყვეტს საქმის მოსმენას, ეს ნიშნავს, რომ ის დათანხმდა, კანონის მიხედვით განიხილოს საქმე. ჩვენს შემთხვევაში, რადგანაც მეფის კანონის თანახმად ვითხოვეთ, უკვე ვიცით, რომ თავის კანონს აღასრულებს. ამრიგად, დარწმუნებულები ვართ შედეგში; გამოცნობა არაა საჭირო!

მაგალითად, ა.შ.შ. არ არის სამეფო, რადგან არ ჰყავს მეფე, მაგრამ იგი მოქმედებს კანონების მიხედვით, რომლებიც თანაბარია და ხელმისაწვდომია ყველა კანონიერი მოქალაქისთვის. იგივენაირად, ღვთის სამეფო იმართება კანონების მიხედვით, რომლებიც ხელმისაწვდომია ყველა მოქალაქისთვის მიკერძოების გარეშე. ისტორიებ რომელთაც ბიბლიაში ვკითხულობთ, მხოლოდ ჩვენს გასაოცებლად არაა იქ, არამედ ჩვენთვის ამ კანონების ილუსტრირებისთვის, რათა მათი სწავლა და გამოყენება შევძლოთ. იესომ ბევრჯერ გამოიყენა ფრაზა: „ღვთის სამეფო ჰგავს“, როცა ადამიანებს უხსნიდა, თუ როგორ ფუნქციონირებდა სამეფო. იესო სამეფოს კანონებზე

მიუთითებდა, როცა იგავებს ყვებოდა, თვალსაჩინოდ აჩვენებდა, თუ როგორ მოქმედებდა კანონები ან განსაზღვრავდა, თუ რატომ მოხდა რაიმე. კვლავ ვიტყვი, რაღაც მიზეზით ადამიანებს წარმოდგენა არ ჰქონდათ ღვთის სამეფოს კანონებზე, რომლებიც მის მოქმედებას განაგებენ. მრავალი ფიქრობს, რომ ღმერთს ყველაფრის გაკეთება შეუძლია, რაც კი უნდა და როცა უნდა, რადგან ის ღმერთია. დავეთანხმები, რომ ღმერთს აქვს ძალაუფლება, გააკეთოს ყველაფერი, რაც სურს; თუმცა, იგი საკუთარი კანონებითაა შემოსაზღვრული. ვიცი, ეს შეიძლება უცნაურად ჟღერდეს თქვენთვის, მაგრამ რომ მიგახვედროთ, რას ვამბობ, ნება მომეცით, მარკოზის მე-6 თავს შევავლოთ თვალი.

> *„უთხრა მათ იესომ: „წინასწარმეტყველი არსად არ არის პატივის გარეშე, გარდა თავისი სამშობლოსი, სანათესაოსი და საკუთარი სახლისა“. და ვერ მოახდინა იქ ვერავითარი სასწაული, გარდა იმისა, რომ რამდენიმე სნეულს ხელები დაასხა და განკურნა. უკვირდა მათი ურწმუნოება და მიმოდიოდა გარშემო სოფლებში და ასწავლიდა“.*
>
> – მარკოზი 6:4-6

ამ ადგილის წაკითხვისას, ალბათ, რამდენიმე რამე იყო ისეთი, რაც თითქოს ფურცლიდან გადმოხტა და სამეფოს ფუნქცია განგიცხადა.

მან ვერ მოახდინა იქ ვერავითარი სასწაული...

უპირველესად, ბევრ ქრისტიანს თვალითაც არ უნახავს ეს ადგილი და იკამათებდნენ შენთან, თუ იტყოდი, რომ იყო სიტუაციები ბიბლიაში, სადაც იესომ ვერ განკურნა და გეტყოდნენ, რომ შენ ცდებოდი. მაგრამ, როგორც ხედავთ, მან ვერ შეძლო. როცა გაიგებთ იმას, რომ სამეფო კანონების მიხედვით მოქმედებს, შემდეგ შენ იწყებ ამ ისტორიაში უფრო ღრმად ჩახედვას. ქრისტიანთა უმრავლესობისთვის სტანდარტული გაგება იქნებოდა, რომ იესომ აირჩია, არ განეკურნა ისინი. ეს ლოგიკური იქნებოდა, თუკი არ გესმის სამეფოს კანონიერება. იმის ცოდნა, რომ იესოს ჰქონდა ძალაუფლება, თუმცა არ

განუკურნავს, კანონიერი მართლმსაჯულების გაგების გარეშე მიგიყვანდათ დასკვნამდე, რომ მან აირჩია, არ განეკურნა. სხვა რა უნდა ყოფილიყო?

შეიძლება მოგისმენია, რომ ვიღაცას უთქვამს: „ღმერთმა დაუშვა ამის მოხდენა“ ან „ღმერთმა უკეთესად იცის“ ან „ღმერთი ყველაფერს აკონტროლებს,“ ან რაიმე ამ წინადადებების მსგავსი, როცა ვინმე რაიმე პრობლემისა თუ სირთულის შესახებ საუბრობს, რომელშიც ან თავად ან მისი მეგობარი გადის. ჩვეულებრივი ქრისტიანისთვის ესაა, სადაც ჩერდებიან. რადგან არ იციან სამეფოს კანონები და თუ რას შეუშალა რეალურად ხელი იესომ? ერთადერთი დასკვნა, რისი გამოტანაც შეუძლიათ, ისაა, რომ, ალბათ, ღვთის ნება არ იყო მათი განკურნება. მეგობარო, ბიბლია არ ამბობს, რომ ის ირჩევს რომ არ განკურნოს. ის ამბობს, რომ მან ვერ განკურნა ისინი, მათი რწმენის ნაკლებობის გამო. როცა გააცნობიერებ, რომ განკურნების დამაბრკოლებელი ამ ისტორიაში იყო არა ღვთის სურვილის ნაკლებობა ასე მოქცეულიყო, არამედ ის, რომ იყო მართლმსაჯულების სულიერი კანონები, რამაც ღვთის ძალა შეაჩერა.

მიხვდები, რომ სხვა ისტორიებში იყო კანონიერი მიზეზები, რის გამოც უფლის ძალაუფლებას ჰქონდა მმართველობა განეხორციელებინა მისი ნება და სურვილი სიტუაციაში თუ არა ისევე, როგორც ამ კონკრეტულში. ამრიგად, უკიდურესად საჭიროა, აღმოაჩინო: როგორ მოქმედებს სამეფოს ეს კანონები? ერთ დღეს, როცა ზეციდან ჩარევა დაგჭირდება, არ გენდომება, რომ ზეცის ძალა შემოკლდეს, არამედ ჰქონდეს ძალაუფლება, რომ გამოიღოს ღვთის ნება შენს ცხოვრებაში. და სწორედ ამიტომ დავწერე ეს წიგნი.

მართლა რომ დაიწყო შენი მოგზაურობა, გირჩევდი დაიწყო შენი გონების განახლებით და იმის გაცნობიერებით, რომ გჭირდება თავიდან მოიშორო ძველი რელიგიური პასუხები, ის რაც მთელი ცხოვრება გესმოდა იმასთან დაკავშირებით, თუ რატომ აკეთებს ან არ აკეთებს ღმერთი რაიმეს. იმედი მაქვს, ახლა იცი, რომ გჭირდება, უარყო გავრცელებული განმარტება, რასაც ზოგადად ამბობენ იმასთან დაკავშირებით, თუ რატომ გარდაიცვალა პატარა ჯონი ახალგაზრდა ასაკში: „ღმერთმა უკეთ იცის, ის აკონტროლებს ყველაფერს“ და ა.შ. არა, შენ უნდა **იცოდე**, თუ რატომ ვერ განკურნა იესომ და იცოდე კანონები,

რომლებიც ღვთის ძალის ნაკადს მართავს მიწიერ სამეფოში. გჭირდება, იცოდე პასუხი კითხვაზე: „რატომ ვერ განკურნა იესომ?“ ბევრ ადამიანს ის ფაქტიც კი ანაწყენებს, როცა ვამბობ, რომ ამ კითხვაზე პასუხი არსებობს. მაგრამ მე მხოლოდ იმას გეუბნებით, რასაც ბიბლია ამბობს და ნება მომეცით, ხაზგასმით გავიმეორო, რომ შენ აუცილებლად უნდა იცოდე პასუხი ამ კითხვაზე!

მისი აღთქმები გვაძლევს განკურნების, აღდგენის, ფინანსური ზრდისა და კიდევ უამრავ აღთქმას და არა – უბრალოდ უნარს ვიტანჯოთ სირთულეებისა და კატასტროფების ჟამს.

მარტივი და მოკლე პასუხი, რომელიც განმარტავს, თუ რატომ ვერ შეძლო იესომ განკურნება ამ ისტორიაში, ისაა, რომ ზეცას არ ჰქონდა კანონიერი მმართველობა ამის განსახორციელებლად. ეს მართლმსაჯულება რწმენითაა მინიჭებული მიწიერ სამეფოზე კაცისა თუ ქალის მიერ, რომელიც სრულიად დარწმუნებულია იმაში, რასაც ზეცა ამბობს. მიუხედავად იმისა, რომ მეც და შენც ვეთანმებით, რომ იესოს ჰქონდა ძალა და სურვილი ადამიანთა განსაკურნად, მან ეს ვერ შეძლო. იესომ თავად თქვა, რომ მარცხი განკურნებაში იყო არა მისი სისუსტე, არამედ იმის ბრალი, რომ ადამიანებს არ ჰქონდათ რწმენა. ჩაიწერეთ ეს! აქ არის მთავარი გასაღები! რწმენა!

ჩემს წინა წიგნში საკმაო დრო დავუთმე იმის განმარტებას: თუ რა არის რწმენა? როგორ მოქმედებს? რატომ გვჭირდება რწმენა? რატომ ითხოვს ღმერთი რწმენას? როგორ ვიღებთ რწმენას და საიდან ვიცით, რწმენაში ვართ თუ არა? იმის თქმა, რომ სამეფოს ამ ყველაზე საწყისი კანონის შესახებ შენი გაგება მნიშვნელოვანია, ამ აზრის დაკნინება იქნება. ეს სიკვდილ-სიცოცხლის საკითხია!

ბოლო დროს მივიღე წერილი ცნობილი ქრისტიანული მსახურებიდან. მისი შინაარსი სამწუხაროდ ისეთივე იყო, რისიც ქრისტიანთა უმრავლესობას სწამს. ნება მომეცით, მისი ნაწილი გაგიზიაროთ!

იგი იწყება საოცარი სიტყვებით **მეორე რჯულის 31:6-დან:**

> *„გამაგრდი და განმტკიცდი, ნუ შეგეშინდება და ნუ შეძრწუნდები მათ წინაშე, რადგან თავად უფალი, შენი ღმერთია შენთან; არ მოგშორდება და არ მიგატოვებს!“*

შემდეგ გრძელდება...

„რატომ არ აჩერებს ღმერთი ტერორიზმსა და ტანჯვას? რატომ უშვებს ის ადამიანების სიკვდილს? მსგავსი კითხვები ბევრია და საქმე იმაშია, რომ ჩვენ არ ვიცით ყველა პასუხი. არ ვიცით, რატომ უშვებს ღმერთი რაღაცების მოხდენას. რაც ვიცით ისაა, რომ ღვთის სიყვარული სრულყოფილია. მისი გზები ჩვენსაზე აღმატებულია. უნდა მივენდოთ მის აღთქმებს, რაც იმას არ გვეუბნება, რომ ის იმაზე მეტს არ მოგვცემს, ვიდრე გავუძლებთ, არამედ იმას, რომ რასაც გვაძლევს, იგი ჩვენთან ერთად იქნება ყველა ნაბიჯზე“.

არასწორია, არასწორია, არასწორია! რეალურად, ბიბლია ამის სრულიად საწინააღმდეგოს გვეუბნება:

> *„არ შეგმთხვევიათ განსაცდელი, გარდა ადამიანურისა; ხოლო ერთგულია ღმერთი, რომელიც არ დაუშვებს, რომ თქვენს შესაძლებლობებზე მეტად გამოიცადოთ, არამედ განსაცდელთან ერთად გამოსავალსაც გაგიჩენთ, რომ გადატანა შეძლოთ“.*
>
> – 1 კორინთელთა 10:13

მისი აღთქმები გვაძლევს: განკურნების, აღდგენის, ფინანსური ზრდისა და კიდევ უამრავ სიკეთეს და არა - უბრალოდ უნარს, ვიტანჯოთ სირთულეებისა და კატასტროფების ჟამს. სრულყოფილი სიყვარული გამოსავალს გვთავაზობს. შემიძლია, გავაგრძელო, მაგრამ ეს, სამწუხაროდ, ისაა, რისიც ადამიანთა უმრავლესობას სჯერა ღვთის შესახებ.

ჩემთვის წარმოუდგენელია: როგორ შეუძლია ვინმეს იფიქროს, რომ ღმერთი, რომლის სიყვარულიც სრულყოფილია, ადამიანს კიბოს დამართებს და შემდეგ უარყოფს მის განკურნებას, როცა მას აქვს ამის გაკეთების ძალა. ამის შესახებ კითხვისას მათი ჩვეული პასუხი კვლავ ისაა, რომ მისი გზები ჩვენი გზები არაა. დამცინით? ჩვენ სრულყოფილი სიყვარული არ გვაქვს და ჩვენც კი არ გავუკეთებთ ამას საკუთარ შვილს! პირიქით, ის ძალიან მარტივს ხდის თავის გეგმებს მის სიტყვაში.

წერილი ამბობდა, რომ, რაც არ უნდა დაუშვას მან ჩვენს ცხოვრებაში, ის ჩვენთან იქნება ჩვენი ტანჯვის ყოველ ნაბიჯზე. ღმერთი მოგვცემს ისეთ რამეს, რაც ცუდია? არა! როცა

ბიბლია ამბობს, რომ ის ჩვენთანაა და არასდროს დაგვტოვებს, ის გულისხმობს, რომ ის ჩვენთანაა ყოველთვის, რათა მხარი დაუჭიროს საკუთარ აღთქმებს! ჩემო მეგობარო, ეს დოქტრინა რომ ღმერთი ჩვენი მტერია, ღვთისგან არაა. ეს არ გამოხატავს ღმერთს, რომელსაც ვემსახურები და იმედი მაქვს, არც შენ შეეგუები ამას! თუ შენი ეკლესია მსგავს ნაგავს ასწავლის, სასწრაფოდ უნდა მიატოვო ის!

ღმერთი სიყვარულია და სიტყვა ამბობს, რომ სიყვარული არასდროს მარცხდება. თუმცა მარცხდება ღვთის მმართველობა, მისი უნარი, ჩაერიოს მიწიერ სამეფოში, რაც ჩვენი რწმენითაა განპირობებული. კვლავ გავიმეორებ, ეს კანონის საკითხია და არა გრძნობების და ემოციების საკითხი ან რაიმე სხვა. ეს უბრალოდ კანონის საკითხია, რაც უნდა იცოდე! რადგანაც ადამიანს აქვს მმართველობა მიწიერ სამეფოზე, ღმერთს არ შეუძლია, უბრალოდ გააკეთოს, რაც სურს, როგორც უკვე ვთქვი. შენი თანხმობა ზეცასთან, შენი რწმენაა საჭირო ზეცისთვის მმართველობის მისანიჭებლად, რათა ღვთის ძალა კონკრეტულ სიტუაციაში გამოანთავისუფლოს და სამართალი გამოიღოს შედეგად. მეგობარო, შენ უნდა იცოდე: რა არის რწმენა და რატომაა იგი საჭირო ღვთისგან რაიმეს მისაღებად?!

იმ შემთხვევაში, თუკი ჩემი წინა წიგნი არ გაქვთ წაკითხული (შენი ფინანსური რევოლუცია: ერთგულების ძალა), ნება მომეცით, მოკლედ მიმოვიხილო: რა არის რწმენა?! მიუხედავად იმისა, რომ შეიძლება მიიჩნევდეთ, რომ თითქმის ყველა ქრისტიანმა, ვინც სიტყვა რწმენას იყენებს, უნდა იცოდეს, ეს რა არის, შესაძლებელია თქვენ ცდებოდეთ. პატარა ისტორიის გაკვეთილი გვჭირდება სამეფოს არსებითი აზრის გასაგებად კანონიერ იურისდიქციასთან დაკავშირებით.

მოდი, გადავხედოთ **რომაელთა 4:18-21-ს:**

> *„რომელიც (აბრაამი) უიმედობაში ერწმუნა იმედით, რათა გამხდარიყო მრავალი ერის მამა, როგორც ნათქვამია: „ასე იქნება შენი თესლი“. არ შესუსტებია რწმენა, როცა ხედავდა, რომ მისი სხეული, თითქმის ასი წლისა, უკვე ჩაკვდა, ხოლო სარას საშო მკვდარი იყო. და არ დაეჭვებულა ღვთის აღთქმაში ურწმუნობით, არამედ განმტკიცდა რწმენით და დიდება უძღვნა ღმერთს. და გულდაჯერებული იყო, რომ ის, ვინც აღუთქვა, შესრულებასაც შეძლებდა.“*

აბრაამი ცნობილია, როგორც ჩვენი რწმენის მამა. იგი სრულიად დარწმუნებული იყო, რომ ღმერთს ჰქონდა ძალა იმის აღსასრულებლად, რაც აღუთქვა. სრულად დარწმუნებულად ყოფნას ღმერთთან თანხმობაში რწმენა ჰქვია. ამ თანხმობის გარეშე ღმერთი ვერ იმოძრავებს მიწიერ სამეფოზე. ამრიგად, შეიძლება იკითხოთ: „რატომ დასჭირდებოდა ღმერთს ვინმე რაიმეს გასაკეთებლად, რაც მას რაიმეს გაკეთების უფლებას მისცემდა ან დააბრკოლებდა იმის გაკეთებისგან, რასაც აირჩევდა? ის ხომ ღმერთია?!“ ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად, სწრაფად უნდა გადავხედოთ დასაწყისს, ადამის დროს.

> *„ოდნავ დაამცირე იგი ანგელოზთა წინაშე; დიდებითა და პატივით დააგვირგვინე და დაადგინე იგი შენი ხელის ნამოქმედარზე. და ყოველივე მის ფერხთა ქვეშ დაუქვემდებარე. ხოლო, რაკი ყოველივე მას დაუქვემდებარა, <u>არაფერი დაუტოვებია მისთვის დაუმორჩილებელი.</u> მაგრამ ახლა ჯერ კიდევ ვერ ვხედავთ, რომ ყოველივე მას ემორჩილებოდეს“.*
>
> – ებრაელთა 2:7-8

ეს ადგილი ადამსა და ევას ეხება შექმნისას. გთხოვთ, ყურადღება მიაქციეთ, რომ არაფერი იყო დედამიწაზე, რაც მათ კანონიერ მმართველობაში არ შედიოდა. ადამი მოთავსებული იყო დედამიწაზე, რათა მისთვის გადაცემული ძალაუფლებით ემართა დედამიწა ღვთის სამეფოსთვის. ის მართავდა მთელს დედამიწას.

> *„თქვა ღმერთმა: „შევქმნათ კაცი ჩვენს ხატად და ჩვენს მსგავსად; დაე, <u>იბატონოს</u> ზღვაში თევზზე, ცაში ფრინველზე, პირუტყვზე, მთელ დედამიწაზე და ყოველ ქვეწარმავალზე, რომელიც დაძვრება მიწაზე!“*
>
> – დაბადება 1:26

ამრიგად, კვლავ ვხედავთ, რომ ადამი მართავდა დედამიწას მინიჭებული ძალაუფლებით და ჰქონდა დიდებისა (ძალაუფლების ცხებულება) და პატივის (ძალაუფლების

პოზიციის) გვირგვინი. არაფერი იყო მისი ბატონობის მიღმა. რეალურად, თუკი წაიკითხავ შექმნის შესახებ, ადამმა დაარქვა სახელები ცხოველებს, რადგან ის მართავდა მთელ პლანეტას. როგორც ყველამ ვიცით, ადამმა დაკარგა თავისი ძალაუფლების ადგილი, რომელიც სატანამ დაიკავა, რომელმაც მოატყუა ევა და აცდუნა ადამი, რომ ეღალატათ ღვთის მმართველობისთვის, რაც მან გააკეთა. პავლე წერს 2 კორინთელთა მიმართ 4:4-ში, რომ სატანა ადამის ღალატის მეშვეობით გახდა ამქვეყნიერების ღმერთი. მას არ უთქვამს, რომ ის ღმერთი გახდა, არამედ ამქვეყნიერების ღმერთი, რაც გულისხმობს, რომ კანონიერი სულიერი ძალაუფლება აქვს აქ. მიუხედავად იმისა, რომ ადამიანი კვლავ ცხოვრობდა დედამიწაზე, სულიერად იგი მკვდარი იყო ღვთისთვის. ადამიანის სული, რომელიც უზენაესის სულთან ერთობაში სიარულისთვის იყო შექმნილი, ახლა მას განშორდა. ადამიანმა დაიწყო საკუთარი გრძნობების, გონების, ნებისა და ემოციების მიხედვით სიარული.

> *„აიყვანა იგი მაღალ მთაზე და ერთ წამში უჩვენა ქვეყნიერების ყველა სამეფო. უთხრა მას ეშმაკმა: „შენ მოგცემ მთელ ამ ხელმწიფებასა და მის დიდებას, რადგან მე მაქვს მოცემული და ვისაც მინდა, იმას ვაძლევ. თუ თაყვანს მცემ, შენი იქნება ყოველივე!“*
>
> – ლუკა 4:5-7

შეამჩნევდით, სატანა ამბობს, რომ ის პოზიცია, რომელიც მას უკავია დედამიწაზე „**მოცემული**“ აქვს. რა თქმა უნდა, ვიცით, რომ ის, ვინც მისცა მას ეს, იყო ის, ვინც კანონიერად ფლობდა მას დასაწყისში და ეს ადამი გახლდათ. ეს მნიშვნელოვანია. თუ, რეალურად, სატანამ უკანონოდ სცადა მიწიერ სამეფოზე შემოჭრა, მას მაშინვე ძალისმიერად გააგდებდნენ. თუკი იფიქრებთ პოლიციელზე, რომელიც დამხმარე ძალას იძახებს, მიხვდებით, რატომ ვამბობ, რომ სატანას გამოაგდებდნენ. ნიშანი, რომელსაც პოლიციელი ატარებს, მიუთითებს იმაზე, რომ აშშ-ის მმართველობის მთელი ძალა და ძალაუფლება უმაგრებს ზურგს მის სიტყვებს.

გვირგვინმა, რომელსაც ადამი ატარებდა (პოზიცია, რომელიც მას ეკავა), რომელიც უზენაესის მმართველობისთვის მართავდა,

მოიტანა ღვთის ძალაუფლება მის მხარდასაჭერად. ადამის პოზიციის გამო სატანას არანაირად არ ჰქონდა იურისდიქცია მიწიერ სამეფოში. იგი ადამის და ევას მიერ იმართებოდა. ერთადერთი კანონიერი საშუალება სატანასთვის მიწიერ სამეფოზე იურისდიქციის მოსაპოვებლად მოითხოვდა, ადამს მოეხადა თავიდან გვირგვინი, რისი იძულების ძალაუფლებაც სატანას არ ჰქონდა. სატანამ იცოდა, რომ ერთადერთი ადამიანი, ვისაც ადამის თავიდან ამ გვირგვინის მოხდა შეეძლო, თავად ადამი იყო. სწორედ ამიტომ სატანა უნდა ნდობოდა თავისი სიცრუის გეგმას. რა იყო ეს სიცრუე? სატანამ თქვა, რომ ღმერთი არ იყო სანდო და გულში არ ჰქონდა კარგი ინტერესი. მან დაარწმუნა ევა, რომ ღვთისადმი ურჩობას შეეძლო სარგებელი მოეტანა მისთვის და რომ უფლის კანონები მას და ადამს რაღაც სასარგებლოს აკარგვინებდნენ.

სატანას ადამი და ევა მასში უნდა დაერწმუნებინა ანუ თავიანთი თავები მისთვის უნდა დაექვემდებარებინათ ღვთის ნაცვლად.

მარტივად რომ ვთქვათ, ესაა რწმენა. რწმენა შეიძლება განიმარტოს, როგორც უზენაესის ნათქვამში „სრულიად დარწმუნებულად“ ყოფნა. ადამმა და ევამ მიატოვეს ღვთის სიტყვა, როგორც სანდო და ამის ნაცვლად იმას დაეთანხმნენ, რაც სატანამ თქვა. შემდეგ თავიანთი რწმენისამებრ იმოქმედეს, რამაც გააუქმა მათი დგომა უფლის სამეფოში და მისცა სატანას კანონიერი ფეხისმოსაჭიდი კაცთა საქმეებში. შედეგი? ადამმა, რომელსაც ძალაუფლება ჰქონდა მიწიერ სამეფოზე, სულიერად გამოაგდო ღმერთი, როცა საკუთარი თავი სატანას დაუქვემდებარა! ადამმა მიატოვა თავისი გვირგვინი, მისი ძალაუფლების ადგილი, რათა სატანას გაჰყოლოდა. ასე მოქცევისას მან რეალურად ღმერთი გამოაგდო თავისი ცხოვრებიდან. ადამიანთა უმრავლესობა იტყვის: „არა, ეს ვერ მოხდებოდა; ადამი ვერ გამოაგდებდა ღმერთს მიწიერი სამეფოდან!“ მაგრამ, რადგანაც კაცთა საქმეები იყო აქ მთავარი, ის ნამდვილად ასე მოიქცა. ნება მომეცით, ეს დაგიმტკიცოთ! მოდი, ვნახოთ **დაბადების 3:17-19** კიდევ ერთხელ. მას შემდეგ რაც ადამმა შესცოდა, ღმერთი მივიდა მასთან და უთხრა:

„წყეულიმც იყოს მიწა შენ გამო! ტანჯვით ჭამდე მის ნაყოფს მთელი შენი სიცოცხლე! ეკალსა და ძეძვს აღმოგიცენებს და მინდვრის ბალახს შეჭამ. შენი პირის ოფლით შეჭამ პურს, სანამ მიწას დაუბრუნდები, რომლისგანაც ხარ აღებული, რადგან მტვერი ხარ და მტვერს დაუბრუნდები“.

ყურადღება მიაქციეთ, ის ამბობს: „ *წყეულიმც იყოს მიწა [დედამიწა] შენ გამო!“*

წყეულად ყოფნა უბრალოდ ნიშნავს ღვთის თანდასწრებისა და კურთხევის არ არსებობას. ეს ადამი იყო, ვისაც ძალაუფლება ჰქონდა მიწიერ სამეფოზე, რომელმაც ღვთის კანონიერ მმართველობას გზა გადაუკეტა მიწიერ სამეფოზე. უპირველესად, ღმერთი ამბობს: „ჰეი, ადამ, შენს გამო ხელები შემეკრა! ვერ დაგეხმარები!“ შემდეგ იგი ეუბნება ადამს, რომ მისი თავის გატანა ახლა მასზევე იქნება დამოკიდებული: მძიმე შრომით, ტანჯვით და ოფლით. მე ამას თავის გატანის „დედამიწის წყევლის სისტემას“ ვუწოდებ. სწორედ აქ ვიზრდებით ჩვენ, ყველა: თავის გატანისა და შიშის სამეფოში. ჩვენ ვსწავლობთ ვიდარდოთ, შიში ბატონობს ჩვენს აზრებზე დაბადებიდანვე. მინდა, ისევ წმიდა წერილს დავუბრუნდე ცოტა მოგვიანებით, რათა მეტად განვიხილო დედამიწის წყევლის სისტემა, მაგრამ ახლა, მინდა, დავრწმუნდე, რომ გაიგეთ, როგორ მოიპოვა სატანამ წვდომა მიწიერ სამეფოზე! კვლავ ვიმეორებ, მას უნდა ეპოვა კაცი თუ ქალი მიწიერ სამეფოში, ვისაც ჰქონდა ღვთისგან მიცემული კანონიერი იურისდიქცია მიწიერ სამეფოზე, რათა კარი გაეღო მისთვის. ადამს ჰქონდა ხელთ ეს გასაღები, მაგრამ სატანამ შეძლო, მოეტყუებინა იგი, რათა ეს კარი გაეღო. ახლა ისევ შევხედოთ ებრაელთა 2:7-8-ს.

„ოდნავ დაამცირე იგი ანგელოზთა წინაშე; დიდებითა და პატივით დააგვირგვინე და დაადგინე იგი შენი ხელის ნამოქმედარზე. და ყოველივე მის ფერხთა ქვეშ დაუქვემდებარე. ხოლო, რაკი ყოველივე მას დაუქვემდებარა, არაფერი დაუტოვებია მისთვის დაუმორჩილებელი. მაგრამ ახლა ჯერ კიდევ ვერ ვხედავთ, რომ ყოველივე მას ემორჩილებოდეს“.

ყურადღება მიაქციეთ, ეს მუხლი ამბობს, რომ ღმერთს არაფერი დაუტოვებია, რაც მის დაქვემდებარებაში არ **არის**. მიუხედავად იმისა, რომ ეს ადგილი შორეული წარსულის მოვლენას ეხება, იგი სიტყვა *„არის“* იყენებს აწმყო დროში ადამიანის ახლანდელი სტატუსის აღსაწერად დედამიწაზე. მიუხედავად იმისა, რომ ადამიანმა ადამის ცოდვის მეშვეობით დაკარგა თავისი სულიერი ძალაუფლება მიწიერ სამეფოზე, ადამიანს არ დაუკარგავს თავისი კანონიერი საქმიანობა დედამიწაზე, სწორედ ამიტომაა გამოყენებული სიტყვა *არის*. ამ კანონიერი დგომის გამო, რაც ადამიანს აქვს დედამიწაზე და იმის გამო, რომ სატანას კანონიერი სულიერი საყრდენი ადამიანია, ღმერთს არ შეუძლია უბრალოდ შემოიჭრას მიწიერ სამეფოში და დაარღვიოს საკუთარი სიტყვა ან სატანა ცრუდ გამოაცხადოს.

ღმერთმა უნდა იპოვოს კაცი ან ქალი დედამიწაზე, რომელიც დაეთანხმება მას, გახსნის სულიერ კარს უზენაესის სამეფოსთვის, რათა კანონიერი ძალაუფლება ჰქონდეს აქ. ისევე, როგორც სატანას უნდა ემუშავა კარის მცველთან, ადამთან, ახლა ღმერთმაც უნდა იმოქმედოს კაცისა თუ ქალის, დედამიწის კარის მცველების მეშვეობით, რათა სამეფოს იურისდიქცია მიანიჭოს აქ. შენს გულსა და გონებაში არსებულ სრულ დარწმუნებულობას ზეცის ნათქვამში რწმენა ჰქვია. რწმენა უნდა იყოს აუცილებლად წარმოდგენილი, რათა ღვთის სამეფოს ძალაუფლება ჰქონდეს აქ. აქ დროს აღარ გამოვყოფ იმის ასახსნელად, თუ როგორ მიიღოთ რწმენა ან საიდან უნდა იცოდე რწმენაში ხარ თუ არა. ყველა ამ საკითხს ჩემი სერიების პირველი წიგნი ფარავს. ამ საუბრის მიზანია, უბრალოდ დავრწმუნდე, რომ იცით, რა არის რწმენა და რატომაა ის აუცილებელი ზეცისთვის აქ, მიწიერ სამეფოში სამოქმედოდ.

ახლა იმედი მაქვს, უკეთ გესმით, თუ რატომ „ვერ“ მოახდინა იესომ ბევრი სასწაული თავის მშობლიურ ქალაქში - იქ მყოფ ხალხს არ ჰქონდათ რწმენა. ამრიგად, ზეცას არ ჰქონია კანონიერი ძალაუფლება. ნება მომეცით, ეს საუბარი საოცარი მუხლით დავასრულო, რომელიც ჩემი ნათქვამის ილუსტრაცია იქნება.

ყველას სმენია რომაელთა 10:10-ის შესახებ:

„ვინაიდან გულით სწამთ სიმართლე, ხოლო ბაგით აღიარებენ გადასარჩენად“.

ეს მუხლი იმის ნაწილია, რასაც ქრისტიანები რომაულ გზას უწოდებენ, ერთი იმ ოთხი ბიბლიური ადგილიდან, რომელიც გვაჩვენებს, როგორ უნდა გადავრჩეთ. მაგრამ მართლა შეჩერებულხარ და გიფიქრია იმ პროცესზე, რასაც რომაელთა 10:10 გვაჩვენებს? გულით გწამს და მოდიხარ თანხმობაში ზეცასთან. შენი გული, რომელიც თანხმობაშია ზეცასთან, ხდის კანონიერს ზეცისთვის, რომ დედამიწაზე შემოიჭრას. ეს მუხლი ამბობს, რომ როცა გწამს ზეცის, გამართლებული ხარ. სამართალი კანონის აღსრულებაა. ამრიგად, გულში დარწმუნება გაძლევს კანონიერ უფლებას ზეცისა და დედამიწის წინაშე, რათა გქონდეს ის, რასაც ზეცა ამბობს, რადგან ეს ზეცას კანონიერებას ანიჭებს მიწიერ სამეფოში. მაგრამ ყურადღება მიაქციეთ, ჯერ არაფერი ხდება. ამ მუხლს მეორე ნაწილიც აქვს: „...*ხოლო ბაგით აღიარებენ გადასარჩენად*“. ხედავთ, შეიძლება შენი გული თანხმობაში იყოს ზეცასთან, რაც კანონიერს ხდის ზეცისთვის მიწაზე შემოღწევას, მაგრამ არაფერი ხდება მანამ, სანამ შენ, კაცი ან ქალი მიწიერ სამეფოში, რომელსაც აქვს მმართველობა აქ, არ გამოათავისუფლებს ამას მიწიერ სამეფოში. რატომ? რადგან შენ გაქვს აქ მმართველობა; ზეცას არ აქვს შენ გარეშე!

„ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ: რასაც დედამიწაზე შეკრავთ, ზეცაშიც შეკრული იქნება. ხოლო რასაც გახსნით დედამიწაზე, გახსნილი იქნება ზეცაშიც“.

– მათე 18:18

უპირველესად, ეს ამბობს იმას, რაზეც ახლა ვსაუბრობდი. რასაც შეკრავ მიწაზე, ზეცაც მხარს დაუჭერს და რასაც გახსნი მიწაზე, ზეცაც მხარს დაუჭერს. ზეცა ამას შენ გარეშე ვერ გაა-კეთებს. ზეცა გელოდება შენ და ვერ იმოძრავებს მანამ, სანამ კაცი ან ქალი, რომელსაც აქვს რწმენა ანუ თანხმობა ზეცასთან, არ გამოათავისუფლებს ამ ძალაუფლებას მიწიერ სამეფოში.

იმის გაგება, თუ როგორ გამოათავისუფლო ზეცის ძალაუფლება და ძალა მიწიერ სამეფოზე, ყველაფერს ცვლის.

მან ეს გააკეთა ჩემს ცხოვრებაშიც და იმ წერილშიც, რომელიც მივიღე.

„გამარჯობა! მე და ჩემს ქმარს გვსურს გაგიზიაროთ ჩვენი გასაოცარი ისტორია „რწმენით ნადირობის“ შესახებ! 2011 წელს, ჩვენი „ოცნების სახლში“ ვცხოვრობდით, მაგრამ გადასახადიდან გადასახადამდე გაგვქონდა თავი და პერიოდულად ჩვენი საკრედიტო ბარათების გამოყენებაც გვჭირდებოდა სურსათის საყიდლად თუ სახლის გასათბობად. თავი გაგვქონდა, თუმცა არ ვყვაოდით. მე თაყვანისცემის ლიდერი ვიყავი ჩვენს ეკლესიაში, მაგრამ ჩვენი რწმენა დაკავშირებული არ იყო ჩვენს ფინანსებთან. Daystar-ზე ვნახე თქვენი გადაცემა *ფულის საკითხის მოგვარება, ფინანსური რევოლუციის* დისკებთან ერთად. მთელი ეს დრო ამ CD-ებს ვუსმენდით და ერთმანეთს ვუკითხავდით ამ წიგნს.

წარმოდგენა არ გვქონდა, რომ რწმენაში არ ვიყავით! ვიცოდით, რომ ამ ოცნების სახლის შესანარჩუნებლად გვჭირდებოდა პასუხები, თუ როგორ მოქმედებს ფული სამეფოში. დავთესეთ 200 $ რწმენით ცხოვრების მსახურებისთვის (რომელიც 2,000 $-ს უდრიდა, ეს ჩვენთვის იმ დროს საკმაოდ დიდი თანხა იყო!) და დავეთანხმეთ, რომ ღმერთი გვაჩვენებდა ნიშანს ბაზარზე, რის გაკეთებასაც სახლში შევძლებდი.

ღმერთმა მოგვცა ბიზნეს იდეა, ოქროსფერი რეტრივერისა და პუდელის ნაჯვარი ლეკვები გაგვეზარდა სახლში. ამ ჯიშის ორი ლეკვი ვიყიდეთ, ბელა და გრეისი და გავზარდეთ გასამრავლებლად, თან ღმერთთან ვთანამშრომლობდით. ვიცოდით, ჩვენით ვერ შევქმნიდით ლეკვებს!! ჩვენი ორი ლეკვი შევაჯვარეთ და 2014-ში 13 ლეკვი გვყავდა, თითოეულის საბაზრო ღირებულება 1200 $-ს შეადგენდა. ამ წელს, 2015 წელს 63 ლეკვი გვყავდა, ყველა მათგანი ჯანმრთელი. ლეკვების გაყიდვით გავთავისუფლდით ყველა ვალისგან, გარდა სახლისა. გადაუდებელი სიტუაციებისთვისაც გვქონდა ფონდი.

ჩვენდა გასაოცრად, დედაჩემმა გვკითხა, თუ გვინდოდა მისი ამ ჯიშის ორი ძაღლიც შეგვეჯვარებინა, რადგან ის უკვე პენსიაში გადიოდა! ღმერთმა სრულიად უფასოდ კიდევ ორი ძაღლით გვაკურთხა! ივლისში დედაჩემი დააწინაურეს სკოლის დირექტორად ადგილობრივ სკოლაში. ერთ წელში, ჩვენი შემოსავალი გაორმაგდა და 6 ციფრიან თანხას მიაღწია.

რწმენით ნადიროგა მუშაობს!! ჩვენ ღვთის სამეფოს კანონებში მოვექეცით. ახლა ჩვენ ვთესავთ სამეფოს ყველა სახის საქმისთვის და ვესწრებით თქვენს მსახურებებს ონლაინ ყოველ კვირა დილით, სანამ ჩვენს ეკლესიაში თაყვანისცემას გავუძღვებით! მადლობა, რომ გვასწავლეთ, როგორ მოქმედებს სამეფო!"

– კარლა

იგივე წყვილმა ამ კვირაშიც გამომიზავნა მეილი.

„ქრისტე აღდგა! გილოცავთ! გვინდოდა, გაგვეზიარებინა სიახლეების შესახებ ჩვენი ონლაინ პასტორისთვის, გარისთვის! გთხოვთ, უთხარით რომ ჩვენ ქრისტეს შობა წელს იერუსალიმში აღვნიშნეთ! (რისთვისაც ნაღდი ფულით გადავიხადეთ.) იმითაც ვიკურთხეთ, რომ ჩვენი თინეიჯერი ვაჟი კარტერი მდინარე იორდანეში მოინათლა და საღამოს ღმერთს თაყვანი ვეცით გალილეის ზღვასთან ჰილსონგ ავსტრალიასთან ერთად! ვაუ!!! ისეთი მადლიერი ვარ, რომ ფულის საკითხი მოვაგვარეთ!

უკვე 121 ლეკვი გვყავდა. იმდენად ბევრი ადამიანი ელოდა ჩვენგან ლეკვებს, მოგვინია, მათი ფასი 2,300 $-მდე გაგვეზარდა! დიდება ღმერთს!"

– კარლა

ეს შესანიშნავი მაგალითია იმისა, თუ რას გააკეთებს სამეფო შენს ცხოვრებაში. ამ წერილის მიღების შემდეგ კარლას დავურეკე და **ისეთი** აღფრთოვანებული იყო!!! მან თქვა, რომ წლის ბოლოსთვის უკვე სახლის გადასახადსაც დაფარავდნენ. თუკი პირველ წერილს წაიკითხავთ, იმ დროს ამას ამბობდა (ზემოთ მოყვანილი სიტყვებიდან ვციტირებ):

„გადასახადიდან გადასახადამდე გაგვაქვს თავი და პერიოდულად ჩვენი საკრედიტო ბარათების გამოყენებაც გვჭირდება სურსათის საყიდლად თუ სახლის გასათბობად. თავი გაგვქონდა, თუმცა არ ვყვაოდით".

ახლა, რამდენიმე წლის შემდეგ, სრულიად დაფარავენ მის გადასახადს? აი, სამეფო!

თავი 3

სამეფო შენი პასუხია

ახლა, რადგანაც უკვე გაქვთ საწყისი გაგება იმისა, თუ როგორ მოქმედებს სამეფო იმ კანონებისა და პრინციპების მიხედვით, რომლებიც არასდროს იცვლება, მინდა ვფოკუსირდე კანონებზე, რომლებსაც რეალურად აქვთ გავლენა თქვენს ფინანსებზე და საბოლოოდ თქვენს დასვენებაზე.

მაგრამ, სანამ იქით წავალთ, მინდა განვმარტო: რატომ დავარქვი ამ წიგნს *დასვენების ძალა* და რას ვგულისხმობ სიტყვა *დასვენებაში* ფინანსებისა და სამეფოს კონტექსტში? თქვენდა გასაოცრად, მე არ დამიკავშირებია ეს დასვენების ცნება ფინანსებთან, არამედ ეს ღმერთმა გააკეთა.

> *„გასრულდა ცა და მიწა და მთელი მათი ციური ლაშქარი. დაასრულა ღმერთმა მეშვიდე დღისთვის თავისი საქმე და დაისვენა მეშვიდე დღეს ყოველი საქმისაგან, რასაც აკეთებდა. აკურთხა ღმერთმა მეშვიდე დღე და წმიდაჰყო იგი, რადგან ამ დღეს დაისვენა მან ყოველი საქმისაგან, რასაც აკეთებდა“.*
>
> – დაბადება 2:1-3

უპირველესად, ნება მომეცით, ეს ცხადი გავხადო: ღმერთს არ დაუსვენია მეშვიდე დღეს იმიტომ, რომ ის დაიღალა. ღმერთი არ დაღლილა. მან დაისვენა, რადგან როგორც ტექსტი ამბობს, ყველაფერი გასრულდა, მან დაასრულა. მან შექმნის მეექვსე დღის ბოლოს შექმნა კაცი, რომ ეცხოვრა მას მეშვიდე დღეს. მეშვიდე დღეს არ ჰქონდა შიშის, თავის გატანის აზრები, არანაირი ავადმყოფობა ან ტანჯვითა და ოფლით შრომა უზრუნველყოფის მოსაპოვებლად. ამის ნაცვლად

ადამის ფიქრები მხოლოდ ღმერთს, მის ცოლს, მის მიზანსა და დანიშნულებას შეეხებოდა. ყველაფერი, რაც მას თავისი დანიშნულებისა და ზოგადად ცხოვრებისთვის სჭირდებოდა, უკვე გამზადებული და ხელმისაწვდომი იყო; ღვთის გეგმა დასრულებული იყო. დღეს ადამიანები ოცნებობენ იმაზე, რაც ადამს ჰქონდა, არსებობა საზრუნავის გარეშე, ლტოლვასა და ურთიერთობაზე კონცენტრირების უნარის ქონა, როცა ფიქრი არ გიწევს უზრუნველყოფაზე. სამწუხაროდ, როცა ადამი აჯანყდა, მან დაკარგა ღვთის უზრუნველყოფა და მას შემდეგ ადამიანი იძულებული გახდა ერბინა (ტანჯვითა და ოფლით) ყველაფრისთვის ცხოვრებაში.

> *„რადგან ყოველივე ამას წარმართნი ეძებენ; ვინაიდან იცის თქვენმა ზეციერმა მამამ, რომ გჭირდებათ ეს ყოველივე. თქვენ კი უწინარეს ყოვლისა ღვთის სამეფო და მისი სიმართლე ეძიეთ, ხოლო ყოველივე ეს შეგემატებათ!“*
>
> – მათე 6:32-33

უზრუნველყოფის პოვნის საფასური მძიმე ტვირთია, რაც ამრუდებს ადამიანის აღქმას ცხოვრებისადმი. სიმდიდრის საცდური, თავის გატანის ტანჯვისა და ოფლის მოთხოვნებისგან თავისუფლება ისაა, რაზეც ადამიანები ოცნებობენ. მილიონერობას მხოლოდ მაშინ აქვს აზრი, როცა მასთან ერთად გაქვს უნარი შეამსუბუქო უზრუნველყოფის ძიებით გამოწვეული სტრესი და სიმძიმე, რაც შესაძლებლობას მოგვცემს ვფოკუსირდეთ ჩვენს მიზანსა და დანიშნულებაზე. ლატარია უკიდურესად პოპულარულია, რადგან ის გვთავაზობს უშრომელ უზრუნველყოფას და დედამიწის წყევლის ფინანსური სისტემიდან თავის დაღწევას. „გახდი მდიდარი სწრაფად!“ სქემები ყველანაირი ფორმით მუდმივად ბომბავენ ჩვენს ელ-ფოსტასა და ფეისბუქ სტატუსებს. ამრიგად, ჩვენი ფინანსების კონტექსტში, გვჭირდება, პასუხი გავცეთ კითხვას: არსებობს გზა, რომ დავუბრუნდეთ მეშვიდე დღეს, როცა ყვე-

ᲧᲕᲔᲚᲐ ᲞᲐᲡᲣᲮᲘ, ᲠᲐᲪ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲗᲥᲕᲔᲜᲡ ᲓᲐᲜᲘᲨᲜᲣᲚᲔᲑᲐᲨᲘ ᲓᲐᲠᲩᲔᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲒᲭᲘᲠᲓᲔᲑᲐᲗ, ᲠᲐᲪ ᲜᲔᲑᲐᲡ ᲛᲝᲒᲪᲔᲛᲗ, ᲗᲥᲕᲔᲜᲘ ᲛᲘᲖᲐᲜᲘ ᲐᲦᲛᲝᲐᲩᲘᲜᲝᲗ, ᲡᲐᲛᲔᲤᲝᲨᲘᲐ.

ლაფერი დასრულებული, დაუზიანებელი და ხელმისაწვდომია? პასუხია დიდი ᲓᲘᲐᲮ! ამ წიგნის მიზანია, გადმოგცეთ, თუ როგორ ხდება ეს და დაგეხმაროთ სამეფოს იმ კანონების გაგებაში, რაც ამ სახის შედეგებს გამოიღებს. ვიცი, თქვენი გამოცდილება ცხოვრებასთან დაკავშირებით, ეკლესია და ქრისტიანებიც შეიძლება შეეკამათნონ ამას, რომ რასაც მე ვამბობ, ვერ იქნება სიმართლე, რადგანაც ბევრ ქრისტიანს ჩაბეჭდილი აქვს თეოლოგია „სიღარიბე სიწმიდეა". მაგრამ გარწმუნებთ, რომ ყველა პასუხი, რაც წარმატებისა და თქვენს დანიშნულებაში დარჩენისთვის გჭირდებათ, რაც ნებას მოგცემთ, თქვენი მიზანი აღმოაჩინოთ, სამეფოშია.

„ნეტარნი ხართ გლახაკნი, რადგან თქვენია ღვთის სამეფო".
– ლუკა 6:20

გლახაკთათვის პასუხი სამეფოა! ესაა პირველი მუხლი, რომლისკენაც ღმერთი წარმიძღვა, როცა ჩემთვის სამეფოს ფინანსური კანონის სწავლება დაიწყო. რა თქმა უნდა, ამ აზრის ჩასაწვდომად უნდა იცოდეთ, რა იგულისხმება სამეფოში, რაც უკვე ვახსენე. და ვფიქრობ, უკვე ცხადად უნდა გესმოდეთ, თუ რა მოხდა რეალურად ბაღში, როდესაც ადამმა შესცოდა. ამიტომ, ნება მომეცით მოკლედ მიმოვიხილო!

დასაწყისში ადამსა და ევას არანაირი საწუხარი არ ჰქონდათ; მათ არც ავადმყოფობაზე უწევდათ ყოველ დღე ფიქრი და არც უზრუნველყოფის მოპოვებაზე. ყოველ დღე ერთადერთი რაზეც უნდა ეფიქრათ, მათი დანიშნულება იყო, რაც იყო, ჰყვარებოდათ ღმერთი, ჰყვარებოდათ ერთმანეთი, და ეზრუნათ დედამიწაზე და ბაღზე, რომელიც ღმერთმა მისცა მათ. შიში არც კი არსებობდა მათ ცხოვრებაში. მაგრამ, როდესაც ადამმა უღალატა ღმერთს, რა თქმა უნდა, ყველაფერი შეიცვალა. როგორც ვთქვი, სატანა გახდა ამ ქვეყნიერების ღმერთი, ადამიანი დასცილდა ღმერთს და მას აღარ ჰქონდა კანონიერი იურისდიქცია ადამიანზე. ადამი შოკირებული იყო იმ ახალი რეალობით, თუ როგორია ცხოვრება. აქაა სიტყვები ღვთისგან ადამის მიმართ მას შემდეგ, რაც მან შესცოდა.

„წყეულიმც იყოს მიწა შენ გამო! ტანჯვით ჭამდე მის ნაყოფს მთელი შენი სიცოცხლე! ეკალსა და ძეძვს აღმოგიცენებს და მინდვრის ბალახს შეჭამ. შენი პირის ოფლით შეჭამ პურს, სანამ მიწას დაუბრუნდები“.

– დაბადება 3:17

ტანჯვით შრომა, ოფლი, შიში, მწუხარება და თავის გატანაზე ორიენტირებული მენტალობაა ახლა ის, რაც შთანთქავს ადამისა და ევას ფიქრებს. მათი მიზანი, რაც იყო ღვთის გეგმა მათზე, ახლა გადარჩენისთვის ბრძოლასა და რბოლაში დაიკარგა. ადამის შესანიშნავი დანიშნულება, მისი მიზანი, ახლა ცხოვრების საზრუნავებმა და უზრუნველყოფის საჭიროებამ ჩაახშო. ის კარგავს ხედვას იმის შესახებ, თუ ვინაა? ერთადერთი მიზანი, რისი დანახვაც ახლა შეუძლია, თავის გატანაა, რაც მუდმივ ტანჯვას და ოფლისღვრას მოითხოვს. ბევრი არ შეცვლილა იმ დღიდან აქამდე.

დღეს, როგორც პასტორმა აღმოვაჩინე, რომ უდიდესი კითხვა რასაც ადამიანები მისვამენ, არის: „რა მოვუხერხო ჩემს ცხოვრებას?“ მიზეზი, რის გამოც მეკითხებიან ისაა, რომ მიწიერ სამეფოზე ადამის შემდეგ უზრუნველყოფის ძიებაა მიზანი, რის მიხედვითაც იზომება სხვა ყველაფერი. გადაწყვეტილებები ძირითადად მიღებულია ფულზე დაფუძნებით და არა მიზანზე. ფული და მისი საჭიროება აიძულებს ადამიანებს ჰქონდეთ სამსახურები, რომლებიც სძულთ. რეალურად, ადამიანების უმრავლესობას წარმოდგენაც კი არ აქვთ: ვინ არიან? ეს მოინიშნეთ: „სანამ ღმერთს არ გაიცნობ, ვერასდროს გაიგებ მის ჩანაფიქრს შენი ცხოვრებისთვის. ისაა ვინც შეგქმნა“.

ადამიანებს ისე სწყურიათ, გაიგონ, ვინ არიან?! ქვეყნიერებაზე ისინი თითქოს უბრალოდ რიგითი ადამიანები არიან, მაგრამ ღვთისთვის ისინი განსაკუთრებული და უნიკალური ქმნილებები არიან იმ უნარებითა და პოტენციალით, რაც სხვას არ აქვს. თუმცა, რადგანაც არ იცნობენ ღმერთს და შესაბამისად არ იცნობენ საკუთარ თავებს, ისინი არასწორ ადგილას ეძებენ საკუთარი თავის ფასს. ისინი უფლებას აძლევენ კულტურას, უკარნახონ ღირებულებები. მაგრამ მედიის მიერ დახატული სურათი და კულტურის სარკე მოთამაშე ჩრდილებია. იმ დროისთვის, როცა ფიქრობ, რომ იმ ხაზში დადიხარ, რასაც იგი

მისაღებს უწოდებს, აღმოაჩენ, რომ ის შეიცვალა და უკვე მის მიღმა ხარ.

მახსოვს პარიზში ვიყავი და დრენდასთან ერთად ვსეირნობდი. პარიზი, რა თქმა უნდა, ცნობილია მოდით; იმ წლის მოდა ნაცრისფერები და შავები იყო. ყველა მაღაზიის ვიტრინა ნაცრისფერითა და შავით იყო სავსე. ქუჩის აქეთ-იქით ვიხედებოდი და ასობით მოსიარულე ადამიანს ვხედავდი. შოკირებული ვიყავი, რომ ფერის ერთ წინწკალსაც ვერსად ვხედავდი. ყველა ადამიანი, გამონაკლისის გარეშე, ნაცრისფერსა და შავში იყო გამოწყობილი. ასობით, ასობით ადამიანი იყო და ყველა ერთნაირად გამოიყურებოდა. ბოლოს როდის გითხრათ ვიღაცამ, რომ მათი საყვარელი ფერი ნაცრისფერი იყო? მაგრამ იმ დღეს, ხალხის მასები დარწმუნებული იყვნენ, რომ მათი საყვარელი ფერი ნაცრისფერი და შავი იყო.

რადგანაც უზრუნველყოფის პოვნის წნეხი ასეთი ძლიერია და გვძარცვავს ჩვენი იდენტობისგან, რადგან ვფიქრობთ, რა დაგვეხმარება, ვიპოვოთ იგი და გავხდეთ მიღებულები, მე და დრენდამ ჩამოვაყალიბეთ ანდაზა, რომელსაც წლები ვქადაგებდით: „თუ არ გადაწყვეტ ფულის საკითხს, ვერასდროს აღმოაჩენ შენს დანიშნულებას!“ თავის გატანაზე დამონება ცოტა დროს ტოვებს ბევრი არჩევნის შექმნისა თუ დაბანდებისთვის. სიმართლე ისაა, რომ როგორც უკვე გაგიზიარეთ, ხშირ შემთხვევაში ადამიანები გადაწყვეტილებებს იღებენ უზრუნველყოფის პოვნისა და შენარჩუნების მიზნის გარშემო. ფაქტი ისაა, რომ იმდენად წნეხის ქვეშ ვიყავით ჩვენი ტანჯვითა და ოფლით თავის გატანაზე ორიენტირებული აზროვნებით, რომ ოცნება შევწყვიტეთ. შიში ატყვევებს ჩვენს ოცნებებს, უზრუნველყოფის ნაკლებობა კი მათ შეუძლებლობის იარლიყს აწებებს.

მახსოვს ისეთი დროც, როცა ჩემი ოცნება იყო საკმარისი ფული მქონოდა საწვავისთვის, რათა სახლამდე მიმეღწია და არა რაიმე ცხოვრების შემცვლელი დანიშნულება. იმ დღეებში ჩემს რადარზე არანაირი დიდებული ხედვა არ ჩანდა. მთელი ჩემი წარმოსახვა მხოლოდ თვიური ქირის გადახდას წვდებოდა. ვაღიარებ, რთულია, თავის გატანის მიღმა იხედებოდე, როცა საკვების ფულიც გიჭირს და ფინანსური პრობლემების წნეხში ხარ.

როცა ადამმა გასცა სამეფო, მისი ცხოვრება სიკვდილის, შიშის, თავის გატანისა და პანიკის ახალმა სამყარომ მოიცვა.

დარწმუნებული ვარ, ყველამ ვიცით, როგორია შიში. უთვალავი ამბავი შემიძლია გავიხსენო ჩემი პირადი პანიკით, სირცხვილით და შიშით სავსე ცხოვრებიდან, რადგან მთელი ცხრა ხანგრძლივი წელი ვიტანჯებოდი ფინანსური ქაოსით, ვებრძოდი პანიკურ შემოტევებს და ანტიდეპრესანტებით ვცხოვრობდი. დედამიწის თავის გატანის წყევლის სისტემით ცხოვრებამ ყველა გაგვწვრთნა ცხოვრებისადმი უარყოფითი შეხედულების ჩამოყალიბებაში. ზოგიერთი ამას სხვებზე უკეთ უმკლავდება, მაგრამ ქრისტეს გარეშე ეს უარყოფითად მოწყობილი გონება მუდმივად გვეუბნება, რომ საკმარისად კარგები არ ვართ.

ოდესმე გაგიგიათ, რომ ვინმეს ეთქვა: „დიდი იმედი ნუ გექნება!“? როცა ვიზრდებოდი, თუკი ოდესმე ძალიან გახარებული ვიყავი ისეთი რაღაცით, რაც მამაჩემს სისულელე მიაჩნდა, ის მეტყოდა: „ერთ დღესაც გაიზრდები“. ამის გამო ძირითადად უფლებას არ ვაძლევდი საკუთარ თავს მეოცნება რაიმეზე გარდა იმისა, რაც მამაჩემის მიერ განსაზღვრული იყო როგორც საჭირო. ვიცი მამაჩემისთვის ძალიან მტკივნეული იყო ალკოჰოლიკების ოჯახში გაზრდა და ეს იყო, რისი გაკეთებაც უწევდა მასაც, როცა იზრდებოდა.

გულწრფელი რომ ვიყო, დაბადებამდე უკვე პროფესიონალი მომწუხარები ვიყავით. შიში მიწიერი სამეფოს ჩვეული ენაა. თუ გაჩერდები და ამაზე დაფიქრდები, სიტყვა არა ისეა ფესვგადგმული ჩვენში დაბადებიდანვე. „არა, შენ ეს ვერ გექნება!“ „არა, დადე თავის ადგილზე!“ „არა, იქ ვერ წახვალ!“ „არა, ამას ვერ შესწვდები!“ საბოლოოდ, ჩვენ უბრალოდ შევწყვიტეთ „კის“ თქმა ყველაფერზე გარდა პერიოდული გასაქცევისა იმ აქტივობისგან, რაც ჩვენს გონებას ჩვენი აქტუალური გარემოებებით აშეშებს, როგორც ჩვენი საყვარელი საკვების ზედმეტად ჭამა.

ერთი კვლევა ამბობს, რომ საშუალოდ ბავშვს სიტყვა არა ან *არ გააკეთო!* 148,000-ჯერ ესმის, სანამ გაიზრდება, თუ შევადარებთ *კის,* რომელიც მხოლოდ რამდენიმე ათასჯერაა გამოყენებული.[4]

ცოტა ხნის წინ გავმართე ჩვენი ყოველწლიური „უზრუნველყოფის კონფერენცია“. პლატფორმაზე დავაყენე 2017 წლის ფერარი, მანქანა, რომელსაც ყველა ინატრებს. ამ

4. “Becoming a Yes Mom,” http://www.babyzone.com.

მანქანის მფლობელი ჩემს ეკლესიაში დადის და მან ნაღდი ფულით გადაიხადა მისი საფასური, დაახლოებით 400,000 $. როცა ყველა დამსწრე შემოვიდა, ისინი გაგიჟდნენ და მიაშტერდნენ მანქანას. მიზეზი, რის გამოც იგი პლატფორმაზე დავაყენე, ის არ იყო, რომ მინდოდა შთამეგონებინა ისინი მატერიალური მიზნებით ეცხოვრათ, არამედ მსურდა გაკვეთილი მესწავლებინა მათთვის. ყველანი მანქანის გარშემო შეგროვდნენ და ყველა ამბობდა, რომ სიამოვნებით გაატარებდა მას.

ვიცი „არა“ წვრთნა, რაც მათ დედამიწის წყევლის ოფლისა და ტანჯვის სისტემაში მიიღეს, ქვეცნობიერში ეძახდა მათ: „ARA, შენ ვერასოდეს გეყოლება ასეთი მანქანა! არა, მას ვერასდროს შესწვდები! ამაზე არც კი იფიქრო!” იმ „ARA“ წვრთნის გამო, რაც მათ გაუვლიათ და ჩვენ ყველას გაგვივლია, მათი უმრავლესობა ვერც კი უშვებდა იმ აზრს, რომ ოდესმე ეყოლებოდათ ფერარი, რადგან არა-წყობა გონებაში ვერ ხედავდა და ვერ იღებდა მას. თუმცა, თუ მე გავაგრძელებდი მანქანების შეცვლას პლატფორმაზე ძვირიდან იაფისკენ, საბოლოოდ პლატფორმაზე დავაყენებდი მანქანას, რომელზეც იფიქრებდნენ და იტყოდნენ: „მომწონს ეს მანქანა; უნდა ვიყიდო ასეთი!“

რა განსხვავებაა? ეს იმაზე იყო დამოკიდებული, თუ როგორ ხედავდნენ საკუთარ თავებს, საკუთარ პოტენციალს და მანქანის ღირებულებას. დიახ, რამდენიმე იქნებოდა, ალბათ, ვინც იტყოდა: „ერთ დღესაც ასეთი მანქანა მეყოლება,“ ან ალბათ, ისეთი ადამიანებიც იქნებოდნენ იქ, რომლებსაც ჰქონდათ ფული და ამ მანქანას სხვანაირად უყურებდნენ. მაგრამ დარწმუნებული ვარ მასის დიდი ნაწილისთვის ასეთი მანქანის ყოლა, მათი ფიქრის არეალსაც კი სცდებოდა. იმ მილიონერს, ვინც ნაღდი ფული გადაიხადა ამ მანქანისთვის, რეალურად 5-6 ფერარი ჰყავს. მის აზროვნებაში, ეს უბრალოდ მაგარი მანქანაა. როცა მან ეს მანქანა დაინახა, ამ მანქანის ყიდვამ შთააგონა და მთელი პროცესი გაიარა მისი იტალიაში შეკვეთიდან მის სახლამდე, აშშ-მდე ჩამოყვანამდე. მისთვის რთული არ იყო, ემოქმედა თავისი ხედვისამებრ, რადგან ჰქონდა უზრუნველყოფა. ეს მნიშნელოვანი გასაღებია დასვენებისთვის - უზრუნველყოფა ხედვის წინა მდგომარეობაა.

მთავარი გასაღები:

<u>ᲣᲖᲠᲣᲜᲕᲔᲚᲧᲝᲤᲐ ᲮᲔᲓᲕᲘᲡ ᲬᲘᲜᲐ ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲐᲐ</u>

უზრუნველყოფის გარეშე ხედვაც არაა; მხოლოდ თავის გატანაა. დედამიწის გაჭირვების წყევლის სისტემამ ჩვენი ოცნებები და მომავალი მოიპარა. ვიცი ფერარი რადიკალური ილუსტრაცია იყო, თუმცა მან ჩემი სათქმელი თქვა. იქ მყოფმა ადამიანებმა საკუთარ თავებს იმის უფლებაც კი არ მისცეს, რომ ასეთი მანქანის ყოლაზე ეოცნებათ, რადგან მიუღწევლად მიაჩნდათ. მათ რომ ერთი წუთით მაინც დაეშვათ და ეოცნებათ ამაზე, მათი წვრთნა დედამიწის წყევლის სისტემაში მაშინვე შემოსძახებდა: „როგორი ფულის ფლანგვაა!“ მაგრამ რა მოხდებოდა თუ ანგარიშზე 25 მილიარდი დოლარი გაქვს (უბრალოდ მინდა ხაზი გავუსვა)? მანქანა იმდენად იაფი მოგეჩვენებოდა, რომ მხოლოდ უქმეებზე სასეირნოდაც კი იყიდდი. ეს ყველაფერი პერსპექტივაზეა დამოკიდებული, თუმცა ღვთის სიტყვა ამბობს, რომ უფლის ყველა აღთქმა „ჰო“ და „ამინია“ (დაე, ასე იყოს!), შენს პერსპექტივას სჭირდება შეცვლა, რათა იფიქრო ისე, როგორც ღმერთი ფიქრობს.

> *„რადგან ღვთის ყველა აღთქმა მასში არის „ჰო“ და მისით ითქმის ჩვენ მიერ „ამინ“ ღვთის სადიდებლად“.*
>
> *– 2 კორინთელთა მიმართ 1:20*

ლექსიკონის მიხედვით პერსპექტივის განმარტება ასეთია: განსაზღვრული დამოკიდებულება რაღაცისადმი ან გზა რაღაცის მიმართ; მოსაზრება, დამოკიდებულება, ცნობების ჩარჩო ან ინტერპრეტაცია. უპირველესად, პერსპექტივა არის, თუ როგორ ფიქრობ რაიმეს შესახებ.

აი, ცნება, რაზეც მინდა, რომ იფიქროთ. ადამი პრინცი იყო სანამ სატანას დანებდებოდა. ამრიგად, თუ იგი ამ დაცემის შემდეგ დაინახეთ, დაინახავდით დასუსტებულ ადამიანს, არეული ოჯახით (კაენმა, მისმა ძემ თავისი ძმა აბელი მოკლა) და შანსს არ მისცემდით, რომ ვინმე ყოფილიყო. მაგრამ შენ

ვერ დაინახავდი იმას, რომ მას სამეფო ოჯახის სისხლი აქვს. მიუხედავად იმისა, რომ შენ იგი ამ უნარით არ დაგინახავს, იგი შეიქმნა, რათა ემართა და ემეფა ცხოვრებაში. იგივე ჭეშმარიტება შეგესაბამება შენც. შენს თავს ვერ შეხედავ უბრალოდ იმაზე დაფუძნებით, თუ სად ცხოვრობ, რა გაქვს ან როგორია შენი ამჟამინდელი გარემოებები? შენ უნდა შეხედო პოტენციალს, რომლითაც ხარ შექმნილი.

მახსოვს, როცა რაღაც რთულ გარემოებებში გავდიოდი, ისეთი პრობლემების წინაშე ვიდექი, რაც ჩემზე დიდადაც კი მეჩვენებოდა. მე ისეთი გადაწყვეტილებების წინაშე ვიდექი, რასაც გაცილებით მეტი ფული სჭირდებოდა, ვიდრე მე მქონდა ხელთ. ვგრძნობდი, ვიცოდი, რის გაკეთებაზე მეუბნებოდა ღმერთი, მაგრამ ჯერ კიდევ მორცხვი ვიყავი ამ ნაბიჯის გადასადგმელად. იმ დროს უფალმა სიზმარი მაჩვენა. ცხენზე ვიჯექი მთის წვერზე. ქვემოთ, მთის ძირში ასობით, თუ არა ათასობით მტრის ჯარისკაცი იყო ცხენებზე ჩემ წინააღმდეგ აღმართული მახვილებით. მე სულ მარტო ვიყავი მთაზე და ნამდვილად უამრავი მტერი მერტყა გარს. ხმამ ჩემს სიზმარში ასეთი სიტყვები თქვა: „ნუ შეაფასებ შენს თავს ნაკლებად, გარი!“ ამის მოსმენისას ხმალი აღვმართე და ცხენით ქვევით, მტრისკენ დავეშვი. მათ დაინახეს რა ჩემი სვლა, ჩემკენ წამოვიდნენ ხმალაღმართულნი. მათკენ რომ მივაჭენებდი ცხენს, ხმამაღლა დავიყვირე: „თორი!“

შენი პერსპექტივა უნდა შეიცვალოს, რათა ღმერთივით იფიქრო.

როცა გავიღვიძე, ვიცოდი, რომ ეს უფალი მელაპარაკებოდა და მამხნევებდა, მაგრამ არ ვიცოდი, რას ნიშნავდა სიტყვა *თორი.* ჩემს ეკლესიაში იყო კაცი, რომელიც 30 წლის განმავლობაში იყო პასტორი და მრავალი ენა იცოდა. ვკითხე თუ იცოდა, რას ნიშნავდა ეს და მითხრა, რომ შეამოწმებდა. მეორე დღეს დამიძახა და მითხრა, რომ თორი ნიშნავდა ქუხილის ძეს. მადლობა გადავუხადე იმით გაოცებულმა, თუ რას მეუბნებოდა უფალი. მტრისთვის, მე ქუხილივით ვიყავი! თუ მე არ ვეტყვი ეშმაკს როგორი სუსტი ვარ, როცა ვლაპარაკობ, მას ისე ესმის, თითქოს ქუხილი (ძალა) ელაპარაკება.

ჩვენს პირველ „უზურნველყოფის კონფერენციაზე“ ვქადაგებდი 2010 წელს და ეს ისტორია მოვყევი. როცა დავასრულე

მოყოლა, იმით შევაჯამე, რაც უფალმა მითხრა სიზმარში: „გარი, როცა მტერი მისკენ მიმავალს გხედავს, შენ მისთვის ქუხილივით ხარ“. როცა ეს სიტყვები წარმოთქვი: „ქუხილივით ხარ“, დარბაზში ტაშმა იქუხა. არც წვიმდა, არც მანამდე ქუხდა, მხოლოდ ტაში იყო, რაც მთელი ღამე ქუხდა. იქ მყოფი ხალხი შოკირებული იყო. მაგრამ არავინ იყო ჩემზე მეტად გახარებული, ვიცოდი უფალი ამბობდა თავის „ᲐᲛᲘᲜᲡ“ იმაზე, რასაც ვამბობდი, რადგან ეს მის ყველა შვილს შეეხებოდა. სხვათა შორის, სატელევიზიო კამერები იწერდნენ იმ დღეს და თუ ამ საღამოს ნახვა გენდომებათ შეგიძლიათ ამ ბმულზე გადახვიდეთ: https://www.youtu.be/rtx1XYJGIAg.

ამრიგად, ეს არის არსი, რაც უნდა გესმოდეთ.

მონები არ ოცნებობენ დიადი ოცნებებით!

რაზე ოცნებობენ მონები? გაჩერებაზე, სულ ესაა. ისინი 5:00 საათის მოსვლაზე ოცნებობენ, დღის მეორე ნახევარში მუდმივად საათს უყურებენ, უნდათ გაჩერდნენ და სამსახური მიატოვონ. ისინი ოცნებობენ არდადეგებზე, ოცნებობენ პენსიაზე, ოცნებობენ ფულზე, რათა შეძლონ გაჩერება. მონები გაჩერებაზე ოცნებობენ და არა მეტი სამუშაოს შექმნაზე! მონური გონების წყობა ან პერსპექტივა არ აბანდებს ან არ ქმნის სამუშაოს; იგი სამუშაოდან თავის დასაღწევ გზას ეძებს. მონა უკვე გადატვირთულია და უბრალოდ ვეღარ ხედავს პოტენციალს, რაც ყოველ დღე გააძლებინებს.

იმისათვის, რომ თავი იყო და არა კუდი, შენი აზროვნება მონიდან მეპატრონესა და შემქმნელზე უნდა შეიცვალოს. კვლავ უნდა დაიწყო ოცნება. იმის მიღმა უნდა დაინახო, თუ ვინ გგონია რომ ხარ, რადგან შეიძლება შენს თვალში სუსტი ჩანხარ, მაგრამ ეშმაკისთვის ქუხილივით ხარ. სამეფო სისხლი გიჩქეფს კაპილარებში და უბრალოდ გჭირდება, რომ ასე იფიქრო და იმოქმედო.

მე მყავს მეგობარი, რომელიც მულტიმილიონერია. იგი ბევრ ლამაზ სახლს ფლობს და ყველა ოკეანის ან ტბის ნაპირასაა. ერთ დღეს, როცა მას ვსტუმრობდი, პორტში მივდიოდით ნავებს შორის. თითოეულთან ჩავლისას, იგი მათ მფლობელებს ასახელებდა. იმის მაგალითს მოვიყვან, თუ როგორი იყო ეს

საუბარი, მაგრამ სახელებს გამოვიგონებ, რადგანაც ნამდვილად არ მახსოვს. ჩემი მეგობრის საუბარი დაახლოებით ასეთი იყო: „ეს ნავი ეკუთვნის ბილი სმიტს, რომელიც ოჰაიოს სამედიცინო მომსახურეობას განაგებს. შემდეგი ნავი ჯონ როჯერსს ეკუთვნის, რომელიც ფლობს იურიდიულ ფირმას „როჯერსი და როჯერსი“. შემდეგი ნავი რალფ თაიდველისაა, რომელიც ჰაი სთრითზე საკმაოდ კარგ ფეხსაცმელების მაღაზიას ფლობს“.

როცა ნავების მწკრივს ჩავუარეთ და დაახლოებით 20 მათგანს გავცდით, მივხვდი რომ ყველა მათგანი რაიმე ბიზნესის მფლობელის საკუთრებაში იყო. არც ერთი ნავი არ ეკუთვნოდა ჩვეულებრივ ჯოს, რომელიც ცხრიდან ხუთამდე მუშაობს ადგილობრივ ნაყინის სტენდთან. მე არ ვარ ნაყინის სტენდთან მუშაობის წინააღმდეგი, არც იმის წინააღმდეგი, რომ რიგითი თანამშრომელი იყო, ძირითადად მაინც. უბრალოდ, მაგალითად მომყავს, თუ როგორ ადამიანებს აქვთ ქონება.

გთხოვთ, ყურადღება მიაქციეთ, თუ რას ვამბობ. ეს იმ ფულზე არაა, რაც მათ აქვთ; უბრალოდ იმ აზროვნებაზეა, რაც მათ აქვთ. პირიქით არ გააკეთოთ! ადამიანთა უმრავლესობა იტყვის: „ნეტავ, ასეთი ფული მქონდეს!“ მაგრამ უნდა ამბობდნენ: „ნეტავ, ასეთი აზროვნება მქონდეს!“ მათ განსხვავებული პერსპექტივა აქვთ ცხოვრებისა და საკუთარი თავისადმი.

ოჯახების დიდი ნაწილი ვერასდროს აღწევს ისეთ შემოსავალს, რაც უხვ შემოსავლად მიიჩნევა. ბოლო კვლევა ამბობს, რომ ამერიკის მოსახლეობის 51% წელიწადში 30000 $-ზე ნაკლებს გამოიმუშავებს.[5] ჩვენი ერის დაახლოებით ნახევარი 30000 $-ზე ნაკლებს გამოიმუშავებს წელიწადში?! თუ შენი ცხოვრების 20-იან წლებში ხარ და ჯერ ახლა იწყებ, ან ისეთ პოზიციაზე ხარ, რაც ძალიან გინდა და ფული შენთვის სიის თავში არაა, მაშინ კარგი, მაგრამ ვიცი, რომ ეს ასე არაა ჩვენი ერის ნახევრისთვის. ვიცი მათ მეტი ფული სჭირდებათ. მენდეთ, ათასობით და ათასობით ოჯახში ვყოფილვარ ფინანსური მომსახურების ინდუსტრიაში გატარებული 36 წლის განმავლობაში და უპირველესად სწორედ ამას ვხედავდი.

5. Michael Snyder, „მშვიდობით საშუალო კლასო: ამერიკელ მომუშავეთა 51 % წელიწადში 30,000 $-ზე ნაკლებს გამოიმუშავებს.“ „ამერიკული ოცნების დასასრული“, *Washington's Blog,* October 21, 2015, http://www.washingtonsblog.com/2015/10/goodbyemiddle-class-51-percent-of-all-american-workers-make-less-than-30000-dollars-a-year.html/.

ამრიგად, რატომ არ აქვთ მათ მეტი შემოსავალი? სანამ დაიწყებ ყვირილს იმის თაობაზე თუ როგორი უსამართლოა ცხოვრება ან როგორი მსხვერპლი ხარ ან კიდევ ათასი სისულელე, გეტყვი, რომ ეს ორი მიზეზის გამო ხდება. უპირველესად, ისინი დედამიწის სიღარიბის წყევლის სისტემაში არიან გამომწყვდეულები და არ იციან ღვთის სამეფოსა და მისი უზრუნველმყოფი პრინციპების შესახებ. მეორე, ისინი აყროლებულები არიან ნეგატიური აზროვნებით, იმ დედამიწის წყევლის წვრთნის გამო, რაც გავლილი აქვთ და ვერ ხედავენ გამოსავალს, მიუხედავად იმისა, რომ შეიძლება ცხვირწინ ჰქონდეთ. ძირითადად მონებს მონური მენტალობა აქვთ, როგორც უკვე გაგიზიარეთ. ისინი შესაძლებლობას ვერ ხედავენ, როცა გამოსავალს ეძიებენ. მოდი თვალებში შევხედოთ ამას! რეალური პასუხების გარეშე, ადამიანები გულს კარგავენ.

ნება მომეცით, ის მაგალითი მოგიყვანოთ, რომელიც ჩემს სემინარებზე მომყავს ხოლმე! მოდი ვთქვათ, გითხარით, რომ შემეძლო ყველა თქვენი ფინანსური პრობლემის ერთი წინადადებით გადაწყვეტა. ფურცელი და კალამი მოამზადეთ, რადგან გარანტიას გაძლევთ, რომ ეს იქნება თქვენი პასუხი. მზად ხართ? კარგით, აი, ისიც: ამ წელს 5 მილიონი დოლარის ქსელური შემოსავალი მიიღეთ. როცა ამას ვამბობ სცენიდან, ყველა სიცილს იწყებს! რატომ იცინიან? რადგან ვერ ხედავენ საკუთარ თავებში ამხელა ფულის გამომუშავების უნარს, არც იმას ფიქრობენ, რომ შესაძლებელია ერთ წელში ქსელურმა შემოსავალმა 5 მილიონ დოლარს მიაღწიოს. შემდეგ მათ ვეუბნები, რომ ისინი ვერასდროს ფლობენ იმას, რასაც ვერ ხედავენ. შემდეგ ვიმეორებ ამ სავარჯიშოს, მაგრამ ახლა უკვე ნელ-ნელა დაბლა ვწევ თანხას: 200,000 $, 100,000 $, 70,000 $ ან 40, 000 $ წელიწადში. საბოლოოდ, მათ ვეუბნები: „იმ რიცხვამდე მივალ, როცა იტყვით: კარგი, ეს მარტივია, ეს შემიძლია!“

შემდეგ მათ კიდევ ერთ ისტორიას ვუყვები. მოდი, ვთქვათ, რომ მდიდარი ბიზნესმენი ვარ ექსპორტის ბიზნესში. მინდა, რომ ჩინეთში ჩავიტანო ბურთები და გასაგზავნად დახმარება მჭირდება მათ შეფუთვაში. ვეუბნები, რომ 500 $-ს გადავუხდი თითო შეფუთული ბურთისთვის. ვთქვათ, რომ დღეში 200 ბურთის შეფუთვა შეუძლიათ, ანუ დღეში დაახლოებით 100,000 $-ს გამოიმუშავებენ. ასევე ვისურვებდი, რომ მათთვის ერთ წლიანი კონტრაქტი შემეთავაზებინა, ბურთების შეფუთვის

იგივე ტარიფით. ახლა, თუკი ვეტყვი, რომ მათი მიზანი იყო 12 თვეში 5 მილიონი დოლარის ქსელური შემოსავლის მიღება, რას მიპასუხებდნენ? „მარტივია, რა პრობლემაა, ამ ტარიფით მარტივად გამოიმუშავებ 5 მილიონს?!“

რა განსხვავებაა? გეგმა, სულ ესაა. გეგმა ქმნის განსხვავებას. ღმერთმა, რომელმაც შეგქმნა, იცის გეგმა, ერთადერთი, რაც გჭირდება, მისი მოსმენაა. ამრიგად, ეს ღვთის სამეფოსთანაა კავშირში. როცა ღმერთმა მომცა სიზმარი ბიზნესის დაწყების შესახებ და შემდეგ მაჩვენა, როგორ გამეკეთებინა ეს, ჩემი შემოსავალი მაშინვე არ შეცვლილა, თუმცა შინაგანად შევძახოდი: „ეს მარტივია! ჩემი ფინანსური პრობლემები დასრულდა, გეგმა მაქვს!“

> *„ვინაიდან მე ვიცი ზრახვანი, რაც თქვენზე განვიზრახე, ამბობს უფალი, სასიკეთო და არა საბოროტო ზრახვანი, რომ მომავალი და იმედი მოგცეთ“.*
>
> – იერემია 29:11

ღმერთს აქვს გეგმები შენს ასაყვავებლად! როცა აღმოაჩენ, რომ ღმერთს აქვს გეგმები შენი წარმატებისთვის, ბრძოლა ნახევრად მოგებულია! მომისმინეთ, ფულის პრობლემის გადაჭრა ასეთი რთული არაა. უზრუნველყოფა ხედვის წინა მდგომარეობაა! ეს მართლა მარტივია. პასუხი უსურსათობაზე არის სურსათის ქონა. უფრო დიდი სახლის ქონაზე პასუხი დიდი სახლის ქონაა. სანდო მანქანის ქონაზე პასუხი, სანდო მანქანის ქონაა.

ვიცი აქ ორაზროვნად ვსაუბრობ, მაგრამ მე წლების განმავლობაში გაფუჭებული მანქანით დავდიოდი. ყველგან 1 კილომეტრის მოშორებით მომავალს დამინახავდით, რადგან, სადაც არ უნდა წავსულიყავი, კვამლიან კვალს ვტოვებდი. ვიცი, რამდენად სტრესული შეიძლება იყოს მანქანის პრობლემები, როცა სადმე წასვლა გჭირდება. ისიც ვიცი, როგორი განცდაა მანქანის ბაზრობაზე წასვლა და ახალი მანქანის საფასურის ნაღდი ფულით გადახდა. მიხვდით რაა? არანაირი სტრესი, არანაირი წუხილი. რატომ? რადგან ჩემი საჭიროებები დაკმაყოფილებულია და მე მშვიდობა მაქვს. შემიძლია, ვფოკუსირდე იმაზე, რასაც უნდა ვაკეთებდე იმის ნაცვლად, რომ მანქანის კრიზისს ვაგვარებდე.

როგორც სამეფოს მოქალაქეს, კანონიერი უფლებები გაქვს და ყველა კანონი და პრინციპი ხელმისაწვდომია ახლა შენთვის.

საქმე იმაშია, რომ ადამიანთა უმრავლესობას უწევთ გაუმკლავდნენ ფულის რეალურ პრობლემებს იმ მხრივ, რომ მთელი ცხოვრება სტრესის ქვეშ არიან. ისინი შეიძლება უამრავი საათი მუშაობდნენ და ცდილობდნენ შეეგუონ იმას, რომ უბრალოდ ცხოვრება არ აქვთ. მეგობარო, ეს არაა ღვთის ნება შენი ცხოვრებისთვის!

როგორც უკვე ვთქვი, ადამიანები ტოვებენ თავიანთ ოცნებებს და მისწრაფებებს გადასახადების გამო ისეთ სამსაურებში, რომლებიც ეზიზღებათ. მონები ზოგადად დიდად ბედნიერი ადამიანები არ არიან! სამწუხაროდ, აი აქ ცხოვრობენ ადამიანები უბედურები იმით, თუ სად არიან ცხოვრებაში, ზიზღის განცდით და უიმედოები. მაგრამ რეალურად, მათი პერსპექტივა უბრალოდ გადახრილია თავისუფლებიდან ან, როგორც უკვე ვთქვი, გეგმის ფლობიდან.

ნება მომეცით, პირადი მაგალითი მოვიყვანო! ბევრმა თქვენგანმა იცით, რომ მიყვარს ნადირობა და თევზაობა, ველოსიპედის ტარება და ლაშქრობა, ყველაფერი, რაც გარეთ ხდება. ოჰაიოში გავიზარდე პატარა ფერმერთა დასახლებაში, რომელიც ცნობილია როგორც „სწორი გარეუბანი“. ასე იმიტომ დაერქვა, რომ წარმოიდგინეთ, სულ ბრტყელი იყო. რა თქმა უნდა, ეს კარგი იყო ფერმერებისთვის, მაგრამ ყველაზე მომხიბვლელი ლანდშაფტი ნამდვილად არ ყოფილა. ყველა ნადირობის თუ თევზაობის ჟურნალი გამოვიწერე, რაც კი შემეძლო, *Outdoor Life, Sports Afeld, Field & Stream* და სხვები. ვკითხულობდი დიდებულ ისტორიებს თევზაობისა და ნადირობის შესახებ ველურ და ლამაზ მთებში, დასავლეთით და აპალაჩის ველების ქორფა მწვანე მთებში, რომელიც ჩემგან ერთი საათის სავალში იყო აღმოსავლეთით. თუმცა ამ ადგილებს არასდროს ვსტუმრებივარ. 40 წლის ვიყავი, როცა მთა პირველად დავინახე.

რატომ? ფული მქონდა სამოგზაუროდ, ჩემი პირადი მანქანაც მყავდა და შტატთა შორისი ტრანსპორტიც ჩემი მშობლიური ქალაქის გავლით მიდიოდა კლდიანი მთებისკენ. სიმართლე ისაა, რომ ერთხელაც არ მიფიქრია იქ წასვლაზე, ჩემი თავისთვის იმის უფლებაც კი არ მიმიცია, რომ მეფიქრა: „ერთ დღესაც

იქ წავალ“. აღფრთოვანებული ვუცქეროდი იმ ადგილებს ჟურნალების კაშკაშა სურათებიდან, მაგრამ იქ წასვლაზე არასდროს მიფიქრია. ჩემთვის ეს ადგილები მთვარეზე იყო; იქ წასვლა შეუძლებელი იყო ჩემს გონებაში. როცა 40 წლის ვიყავი და საბოლოოდ დასავლეთში წავედი, ვერ ვიჯერებდი, რა გამოვტოვე მთელი ცხოვრება? ახლა, წელიწადში მინიმუმ ერთხელ უნდა ვესტუმრო მთებს. მეგობარო, გარეთ ბევრად მეტია, ვიდრე ახლა ხედავ! არსებობს ცხოვრების განსხვავებული პერსპექტივა, რაც უნდა დაინახო და გამოსცადო.

როცა დაიწყებ იმის გაგებას და სწავლას, თუ როგორ მოქმედებს ღვთის სამეფო და რას ამბობს უზენაესის სამეფო იმაზე, რაც უკვე გაქვს, შენი პერსპექტივა შეიცვლება!

„მაშასადამე, თქვენ უკვე აღარ ხართ ხიზნები და უცხონი, არამედ წმიდათა თანამოქალაქენი და ღვთის სახლეულნი“.
– ეფესელთა 2:19

როგორც სამეფოს მოქალაქეს, კანონიერი უფლებები გაქვს და ყველა კანონი და პრინციპი ხელმისაწვდომია ახლა შენთვის. ეს იყო ჩემი და დრენდას პრობლემა. მიუხედავად იმისა, რომ ქრისტიანები ვიყავით და გვიყვარდა ღმერთი, ჩვენ უზენაესისს სამეფოს მოქალაქეები ვიყავით მის კანონებსა და პრინციპებზე ცოდნის გარეშე. ჩვენი შეზღუდული პერსპექტივის გამო, რაც დედამიწის წყევლის სისტემამ მოგვცა, არ გვქონდა ოცნებები. მაგრამ ცოდნა ძალაა.

მაგალითად, სასამართლო დარბაზში ხელმოწერილი იჯარის შეთანხმება კანონიერ უფლებას გაძლევს იცხოვრო შენს სახლში. ცოდნა იმის შესახებ, რომ არასებობს ხელმოწერილი დოკუმენტი და წვდომა სამართალზე, რაც გარწმუნებს, რომ კანონიერი უფლება გაქვს იმ სახლში იცხოვრო, გაძლევს მშვიდობასა და ნუგეშს შენში. იგივენაირად, ცოდნა იმაზე, თუ რას ამბობს ღმერთი და რა აქვს სამეფოს შენთვის, დარწმუნებულობას გაძლევს, რათა ჩაეჭიდო ყველაფერს, რაც კანონიერად შენია. მაგალითად, რა არის ფერმერის წარმატება? ფული? არა. თესლი, რასაც თესავს? არა. ეს არის ცოდნა, რასაც ის ფლობს თესვისა და მკის კანონების შესახებ. მნიშვნელობა არ აქვს, რამდენად

ღარიბი შეიძლება იყოს იგი, მან იცის, როგორ გამდიდრდეს. ის უბრალოდ ექცევა მიწიერი სამეფოს იმ კანონებში, რაც ღმერთმა დაადგინა. თესვისა და მოსავლის აღების პროცესს შეუძლია კვლავ და კვლავ შექმნას ფერმერისთვის სიუხვე.

მას ესმის მოსავლის აღების კანონები და სრულიად დარწმუნებულია მათში. იგი ათასობით დოლარის ღირებულების თესლს თესავს მიწაში, თუმცა არ ეშინია. ვერ ნახავთ ფერმერს, რომელიც თესლის დათესვის შემდეგ ტრაქტორთან ჩამოჯდება და ტირილს იწყებს იმ ფულის გამო, რაც მიწაში გადაყარა. არა, ის არ იტირებს მარცვლის საფასურის გამო! ის დარწმუნებული იქნება იმ კანონებში, რაც დედამიწის ბუნებრივ სამეფოს მართავს. შეუძლია, გითხრას, როგორ იზრდება თესლი? ვეჭვობ, თუმცა ის გეტყვის, რომ ფერმისთვის მეტ მიწას ეძებს. იგივეა სიმართლე ჩემსა და შენს ცხოვრებაშიც. სანამ არ გვეცოდინება სამეფოს კანონები და არ დავრწმუნდებით მათში, ვერ ვისიამოვნებთ იმ ცხოვრებით, რაც ღმერთმა განგვისაზღვრა.

ერთ-ერთი ყველაზე ამაღელვებელი ისტორია, რისი მომსწრეებიც გავხდით იმ ადრეულ დღეებში, მაშინ მოხდა, როცა ზარი მივიღე ადამიანისგან, რომელსაც „დონს“ ვეძახი და რომელიც საშინელი ფინანსური პრობლემების წინაშე იდგა. მას გაგონილი ჰქონდა, რომ ადამიანებს ფინანსებში ვეხმარებოდი.

როცა პირველად შევხვდი დონს, ის ჩემს ოფისში ვალებში ჩავარდნილი და იმედგაცრუებული შემოვიდა. თითქოს არაფერი მიდიოდა სწორად მის ცხოვრებაში იმ დროისთვის. როცა დავჯექი და მასთან საუბარი დავიწყე, აღმოვაჩინე, რომ დაახლოებით სამი-ოთხი თვე იყო არც ქირა ჰქონდა გადახდილი და არც სხვა რაიმე გადასახადი. ქორწინებაშიც პრობლემები ჰქონდა: მის ცოლს ყელში ამოუვიდა მათი ფინანსური სიტუაცია და პატივისცემას კარგავდა დონისადმი, რადგან არ შეეძლო უზრუნველეყო ის და მათი ხუთი შვილი. ფაქტი ის იყო, რომ დონიც კარგავდა პატივისცემას საკუთარი თავისადმი და კითხვებით იყო სავსე.

მისი იმ დროინდელი სამსახური მოიცავდა ჯანმრთელობის დაზღვევების გაყიდვას ოჰაიოში, მაგრამ წარმატების ნაკლებობა სწრაფად მიაქანებდა მას დამღუპველი ფინანსური გზისკენ.

მიუხედავად იმ ყველაფრისა, რაც დონის წინააღმდეგ მიდიოდა, მასში პოტენციალი დავინახე. მას სურდა ესწავლა

და სურდა ემუშავა. ამ ძლიერმა კომბინაციამ საკმარისად დამაინტრიგა იმისათვის, რათა დამექირავებინა და საკუთარი თავი ჩამედო მისი მომავლის კეთილდღეობაში. საბოლოოდ, ეს იყო დაბანდება, რომელიც ორივეს ძალიან დიდ წილად დაგვიბრუნდა.

ჩემს ბარტყების დამზრდელ კომპანიას ახალი მოგებული ჰქონდა ჰავაიში მოგზაურობა ერთ-ერთი ჩვენი მომწოდებლისგან და ვიფიქრე, ეს კარგი შანსი იქნებოდა დონისთვის ღვთის სამეფოს შესახებ გასაზიარებლად. მიუხედავად იმისა, რომ დონი ქრისტიანი იყო, მას ჩემნაირი გაგება არ ჰქონდა. მანამდე რამდენჯერმე ვცადე მისთვის ღვთის პრინციპების შესახებ გამეზიარებინა, თუმცა თითქოს არ სჯეროდა, რასაც ვეუბნებოდი.

დავიწყე გზის ძიება, თუ როგორ მიმეზიდა დონის ყურადღება, რაც დაეხმარებოდა გაეცნობიერებინა, რომ ღვთის სამეფოს მოქმედების გაგებით მასაც შეეძლო მიეღწია წარმატებისთვის. თუმცა დონი იმდენად სასოწარკვეთილი იყო, საკუთარი თავისაც კი არ სჯეროდა და ვერც იმის, რომ ცვლილება შეიძლებოდა მომხდარიყო. ვიცოდი, ეს ჰავაიზე მოგზაურობა ჩემი შანსი იყო.

რამდენიმე კვირით ადრე, სანამ მე და დონი წავიდოდით, ვისაუბრეთ და დავგეგმეთ, თუ რას ვნახავდით და გავაკეთებდით იქ ყოფნისას. ერთმა რაღაცამ განსაკუთრებულად მიიპყრო დონის ყურადღება. მას სურდა ლურჯი მარლინი დაეჭირა წყნარი ოკეანის მშვენიერ წყლებში. „ჰავაი ლურჯი მარლინის დედაქალაქია მთელს მსოფლიოში“ - მითხრა დონმა აღფრთოვანებით. „ყოველთვის მინდოდა ლურჯი მარლინის დაჭერა; ეს ჩემი ოცნებაა!“ ამ კვირების განმავლობაში პირველად შევნიშნე ნაპერწკალი დონის თვალებში. რაღაცამ მართლა ააღელვა და ვიცოდი, ეს აღფრთოვანება კარს გახსნიდა ძლიერი გაკვეთილისთვის.

„დონ!“ - ვუთხარი მე, „იცოდი, რომ შესაძლებელია, იცოდე, არა იმედოვნებდე, არამედ *იცოდე*, რომ ჰავაიზე ლურჯ მარლინს დაიჭერ ღვთის სამეფოს მეშვეობით?“ დაბნეულ, თუმცა დაინტერესებულ დონს მეტის ცოდნა სურდა, და მეც გავაგრძელე ახსნა სამეფოს შესახებ. მარკოზის 11:24 მოვიყვანე, რომელიც ამბობს: „*ამიტომ გეუბნებით: ყველაფერს, რასაც ლოცვაში ითხოვთ, გწამდეთ, რომ მიიღებთ და მოგეცემათ*!“ დონისთვის

ეს თითქოს ზედმეტად კარგი იყო იმისთვის, რომ დაეჯერებინა. დრო გამოვყავი, რათა დავხმარებოდი, ჩაწვდომოდა სამეფოს და იმას, თუ როგორ გამოეთავისუფლებინა რწმენა. ამრიგად, სანამ სამოგზაუროდ წავიდოდით, მან და მისმა ცოლმა ილოცეს თანხმობის ნიშნად და ირწმუნეს, რომ მათ მიიღეს ლურჯი მარლინი. მათ ასევე დათესეს ფინანსური თესლი ღვთის სამეფოში მათი მოსავლისთვის. ეს იყო ის, რაც სულიწმიდამ მასწავლა, გამეკეთებინა მაშინ, როცა რწმენას გამოვათავისუფლებდი იმისთვის, რაც მჭირდებოდა.

რაღაც დროის განმავლობაში, დონმა ყველაფერი გააკეთა, რაც იცოდა, რათა თავისი მხრიდან მოსავლის აღებისთვის ხელი წაეშველებინა. გამოიკვლია შესაძლო გემები და ფასები და საბოლოოდ დაჯავშნა კაპიტანთან, რომლისადმიც დადებითად განეწყო. ყველაფერი მზად იყო და ყველანი მოუთმენლად ველოდით ჰავაის ლურჯ წყლებში წასვლას.

გამგზავრების დღეც დადგა, გემზე ასვლისთანავე აღტაცებით ვუთხარით კაპიტანს, რომ იმ დღეს ლურჯ მარლინს დავიჭერდით. რადგან ის ელოდა, რომ წარმატებული დღე გვექნებოდა სხვა თევზების დაჭერაში, დაგვარწმუნა, რომ ის დღე, ლურჯი მარლინის ჭერისთვის ვერ იქნებოდა კარგი. ორ გემს ჩარტერული ტურები ჰქონდა ყოველ დღე, ბოლო ოთხი თვის განმავლობაში და მისმა გუნდმა მხოლოდ ერთი ლურჯი მარლინი დაიჭირა მთელი ამ ხნის განმავლობაში. ეს მეტწილად იმ ფაქტის გამო იყო, რომ მარლინი მიგრირებადი თევზი იყო და მისი სეზონი ჯერ არ დამდგარიყო. ჩვენ უარვყავით ყოველგვარი უიმედობა და პატივისცემით ვუთხარით, რომ ერთს აუცილებლად დავიჭერდით და ამძრავის გამზადება დავიწყეთ.

ექვსი საათი იყო გასული, რაც სატყუარა წყალში გადავაგდეთ და ანკესი ერთხელაც არაფერს მოუქაჩავს, უკვე ნერვიულობას ვიწყებდი, რომ უმოქმედობას შესაძლოა დონის რწმენა დაესუსტებინა. ჩაფიქრებულმა ხმამაღლა ვკითხე დონს. „დონ!“ - გადავძახე მე ჩემი ქანდარიდან მის ზევით ხიდამდე - „ნება მომეცი, კითხვა დაგისვა! როდის მიიღე ლურჯი მარლინი, როცა გამოჩნდება, თუ როცა ილოცე?“ დონმა დარწმუნებით, მტკიცედ მიპასუხა: „გარი, ეს მარტივია. მე მივიღე ის, როცა ვილოცე!“ აღფრთოვანებული და დარწმუნებული ვიყავი, მისი პასუხის მოსმენის შემდეგ. ახლა უკვე ვიცოდი, რომ დონმა

ჩემი მითითებები სერიოზულად მიიღო და განზრახული ჰქონდა მარლინის მიღება.

რამდენიმე წუთის შემდეგ, დონის მასრამ ღრჭიალი დაიწყო, რადგან ზღვისკენ გადაიხარა და ბიჭებმაც დაიძახეს: „თევზია!“

„ძალიან ნუ აენთები!“ - გააფრთხილა კაპიტანმა. „მართალია, დიდი თევზია, მაგრამ ლურჯი მარლინი არაა. მარლინები პირდაპირ ზედაპირზე მოდიან და საოცრად ხტებიან ჰაერში, ეს თევზი კი ღრმად რჩება წყალში“. წუთები გადიოდა, როცა დონი თევზის ამოთრევას აგრძელებდა, რომელიც ზედაპირთან უკვე იმდენად ახლოს იყო, რომ დანახვა შეიძლებოდა. დონზე მეტად დაღლილი თევზი მალე დანებდა და ბრძოლა შეწყვიტა. დონს და მე არ გაგვკვირვებია, როცა მან დიდი, ლამაზი, ლურჯი მარლინი ამოიყვანა, მაგრამ გემზე სხვა, ყველა გაოცებული დარჩა.

დონისა და მისი თევზის სურათი დღემდე ჩემს ოფისში რჩება, როგორც დამოწმება სხვებისადმი და მუდმივი შეხსენება ჩემთვის, რომ ღვთის სამეფო რეალურია. გარეგნულად, უბრალოდ თევზია. მაგრამ დონისთვის, მარლინი ბევრად მეტს ნიშნავდა. თუკი უფლის სამეფო მარლინისთვის მოქმედებდა, მაშინ ის ნამდვილად იმოქმედებდა იმ ყველაფრისთვისაც, რაც მას ცხოვრებაში სჭირდებოდა. დონისთვის, ეს იმ გავლენის გაცნობიერების მხოლოდ დასაწყისი იყო, რაც ღვთის სამეფოს შეეძლო ჰქონოდა მის ცხოვრებაზე.

მიყვარს ეს ისტორია და მიყვარს იმის დანახვა, რომ ადამიანებს რეალურად აქვთ გამოცდილი უზენაესის სამეფო. ესაა ის, რაც შენთვისაც მინდა!

თავი 4

მე სამეფოს მთავარი გასაღები ვიპოვე!

ყველა ჩვენგანს გვაქვს სხვადასხვანაირი გასაღები ჩვენი სახლებისთვის, მანქანებისთვის და ყველაფრისთვის, რისი დაცვაც გვინდა. გასაღები გვაძლევს წვდომას იმაზე, რაც დაცულია შიგნით ან ძალაუფლებას, რომ გამოვიყენოთ ნივთი, მაგალითად მანქანა. როცა ცხრა ხანგრძლივი წლის განმავლობაში, როგორც ქრისტიანი ვცხოვრობდი ფინანსურ ქაოსსა და უიმედობაში, ვიცოდი, რომ რაღაც აკლდა, რაღაც ისე ვერ იყო. არავის სჭირდებოდა ჩემთვის ამის თქმა. მე მჭირდებოდა იმის თქმა, თუ რა იყო არასწორად და როგორ მომეგვარებინა ეს?!

როცა ღმერთი დამელაპარაკა მაშინ, როდესაც ჩემს დანგრეულ ფერმის სახლში საწოლზე დამხობილმა დახმარებისთვის შევღაღადე, მითხრა, რომ ჩემი პრობლემა ის იყო, რომ არასდროს მისწავლია, თუ როგორ მოქმედებს სამეფო? ამ ერთ წინადადებაში მოვისმინე გასაღები, ან უნდა ვთქვა: იმ გასაღების ან გასაღებების წყარო, რაც მე მჭირდებოდა - სამეფო. ღმერთი მეუბნებოდა, რომ ჩემი პასუხი მის სამეფოში იყო. არასდროს გამომიყვია დრო იმის შესასწავლად, თუ როგორ მოქმედებს მისი სამეფო, მაგრამ თუ ასე მოვიქცეოდი, ჩემს პასუხს ვიპოვიდი. როცა იმ დღეს ღმერთი დამელაპარაკა სამეფოს გაგებაზე ჩემი ნაკლოვანების შესახებ, წარმოდგენა არ მქონდა, რა იგულისხმა სამეფოში. მაგრამ ხმამაღლა და მკაფიოდ გავიგონე, რომ თუ ვისწავლიდი, როგორ მოქმედებს მისი სამეფო, ვიპოვიდი იმ პასუხებს, რასაც ასე ვეძებდი. ამრიგად, ჩემთვის მთავარი გასაღები ამ ზოგად წინადადებაში იყო: „შენ არასდროს გამოგიყვია დრო, რათა გესწავლა როგორ მოქმედებს ჩემი სამეფო!“ რა

თქმა უნდა, თავად ეს წინადადება ბევრს ამბობდა. ეს იყო ჩემი პირველი მთავარი გასაღები ჩემი ცხოვრების გარდასაქმნელად.

> *„რადგან ვაჟი შეგვეძინა, ძე მოგვეცა; მის მხრებზე დაივანებს მმართველობა და ეწოდება მას სახელად საკვირველი მრჩეველი, ძლიერი ღმერთი, საუკუნო მამა და მშვიდობის მთავარი. განივრცობა მისი ხელმწიფება და არ ექნება დასასრული მის მშვიდობას დავითის ტახტსა და მის სამეფოზე, რათა განამტკიცოს იგი და დააფუძნოს სამართლითა და სიმართლით ამიერიდან უკუნისამდე; ცაბაოთ უფლის მოშურნეობა აღასრულებს ამას“.*
>
> – ესაია 9:6-7

იმის გაგებამ, რომ ღვთის სამეფო არის რეალურად სახელმწიფო, რომელიც ფუნქციონირებს მმართველობასა და კანონებზე დაფუძნებით, თვალი ამიხილა სამეფოს გაგებაზე, რაც მანამდე არასდროს ვიცოდი. იმის ცოდნამ, რომ ღვთის სამეფო დაფუძნებული და გამტკიცებულია სამართალსა (კანონის ადმინისტრირება) და უფლის სიმართლეზე (მისი კანონები), დამანახა, რომ ყველაფერი, რაც სამეფოში ხდება სახელმწიფოს კანონისა თუ პრინციპის შედეგია. შეიძლება ციდან მოწყვეტილი ვარსკვლავი არ ვარ, მაგრამ საკმარისად ჭკვიანი აღმოვჩნდი იმის მისახვედრად, რომ თუკი სამეფო კანონებზე დაფუძნებით მოქმედებს, შემეძლო, მესწავლა ეს კანონები და ჩემს ცხოვრებაში გამომეყენებინა. როცა ღმერთმა ჩემთვის და დრენდასთვის თავისი კანონების სწავლება და გამოვლენა დაიწყო, მივხვდი, რომ ყველა ისტორია ბიბლიაში ფლობდა გასაღებს, რაც მე მჭირდებოდა იმის გასაგებად, თუ როგორ მოქმედებს სამეფო. სხვანაირად დავიწყე ბიბლიის ყველა ისტორიის წაკითხვა: „რატომ მოხდა ეს? რატომ არ მოხდა ეს?“ ყველა ისტორიას ასეთი დამოკიდებულებით ვკითხულობდი: „რა პრინციპები გამოვლინდა ამ ისტორიაში? როგორ მოხდა ეს?“

ჩემს თავს სულიერი მეცნიერი ვუწოდე და აღფრთოვანებული ვიყავი, როცა სულიწმიდა ერთმანეთის მიყოლებით მიცხადებდა კანონებს. კიდევ უფრო აღმაფრთოვანა იმის დანახვამ, თუ როგორ მოქმედებდა ჩემ მიერ აღმოჩენილი კანონები ჩემს პირად ცხოვრებაში, ისევე როგორც ბიბლიაში. ხალხი მეკითხება:

„გარი, რას გულისხმობ სამეფოს კანონებში?!“ მეც ზოგადად შევახსენებ ყველა კანონს, რასაც აქ მიწიერ სამეფოზე იყენებენ: გრავიტაცია, ფიზიკის კანონები და ყველა ის კანონი, რაც ბუნებას მართავს.

ფერმერი იყენებს ამ კანონებს, მაშინ როცა უნდა; მათი ამოქმედებისთვის ლოცვა არ სჭირდება. ისინი ყოველთვის მოქმედებენ, როცა მათ გამოყენებას ირჩევს. ისინი ხელმისაწვდომია ყველასთვის და ყოველთვის, ვისაც მათი გამოყენება სურს. იგივენაირად, ღვთის სამეფო მოქმედებს კანონებით, რომელთა სწავლაც შეიძლება. რადგან ისინი კანონებია, არასდროს იცვლება და მათი სწავლა და გამოყენება შესაძლებელია სამეფოში ცხოვრებისთვის.

როცა ღმერთმა ჩემთვის და დრენდასთვის თავისი კანონების სწავლება და გამოვლენა დაიწყო, მივხვდი, რომ ყველა ისტორია ბიბლიაში ფლოგდა გასაღებს, რაც მე მჭირდებოდა იმის გასაგებად, თუ როგორ მოქმედებს სამეფო?

სხვათა შორის, მას შემდეგ, რაც ქრისტესთან მოხვედი, შენ მისი სამეფოს მოქალაქე ხარ და მთელი სამეფო შენია. სამეფოს ეს კანონები შენც შეგიძლია, ისწავლო და გამოიყენო!

„კარგი!“ - მეტყვის ხალხი - „ეს გავიგე, მაგრამ სამეფოს კანონის მაგალითი მომიყვანე!“ ძალიან, ძალიან ბევრი კანონია. რეალურად, რამდენიმე უკვე დავწერე, მაგალითად, იურისდიქციის კანონი, რწმენის კანონი და თანხმობის კანონი, თუმცა წინა თავებში მათთვის იარლიყი არ მიმიწებია. კვლავ ვიტყვი, ბევრი კანონია და ყველა ეს კანონი შეიძლება დავშალოთ ფუნქციად და გამოყენებად, ესაა ნაწილები, რაზეც გვჭირდება ფოკუსირება. ნება მომეცით, ისტორია მოვიყვანო იმის საილუსტრაციოდ, თუ რას ვამბობ?!

თვითმფრინავი მყავს Piper Mirage, რომელსაც შეხვედრებზე გასაფრენად, კლიენტებთან შესახვედრად და ბიზნესის საქმეებზე სამოგზაუროდ ვიყენებ. კონფერენციაზე დასასწრებად კოლორადოში მქონდა დაგეგმილი ვიზიტი და მოგზაურობამდე ასევე ყურადღებით დავგეგმე ყოველწლიური სავალდებულო შემოწმება, რომელსაც კანონი ითხოვს მისი შენარჩუნების უფლების მისაღებად. თუ ეს არ იცით, ყველა თვითმფრინავი,

რომელიც აშშ-ში დაფრინავს, ვალდებულია, წელიწადში ერთხელ გაიაროს ეს შემოწმება. ჩვენს პილოტს თვითმფრინავი უნდა წამოეყვანა და შეხვედრაზე გავფრენილიყავით. მაგრამ წამოყვანის წინა დღეს დაწესებულებიდან დაგვირეკეს და გვითხრეს, რომ შემთხვევით გატეხეს წინა, მეორე პილოტის საქარე მინა. ისინი აპირებდნენ, რომ უფასოდ ჩაენაცვლებინათ იგი, მაგრამ ამ პროცესის გამო კიდევ სამი დღე ვერ შეძლებდა თვითმფრინავი გაფრენას. ეს ნიშნავდა, რომ მე და დრენდას მოგვიწევდა კომერციული რეისით გავფრენილიყავით. არ ვწუწუნებდით, მაგრამ ყოველთვის ვამჯობინებდით ჩვენი პირადი თვითმფრინავით გაფრენას ყველგან, თუკი ამის შესაძლებლობა გვქონდა. ცოტა იმედგაცრუებულები ვიყავით, მაგრამ კონფერენციაზე ჩასვლა მოვახერხეთ. გეგმის მიხედვით ჩვენი პილოტი უნდა ჩამოფრენილიყო და უკან ოჰაიოში წამოვეყვანეთ.

კონფერენციის დაწყებიდან ორი დღის შემდეგ უეცარი, ძლიერი სეტყვა დაატყდა იმ ადგილს. იმხელა სეტყვის მარცვლები ცვიოდა, რომ მთელი ტერიტორია დააზიანა. ზოგ ადგილას, ყინულის დიდმა ნატეხებმა ჭერშიც კი გააღწიეს. ასობით მანქანა ისე დაზიანდა, რომ მათი შეკეთება შეუძლებელი იყო. შენობები და სახურავები დაზიანდა. როცა ჩვენი პილოტი ჩვენს წასაყვანად მოვიდა, თვითმფრინავი იმ ადგილას დააყენა, სადაც დავაყენებდით პირველივე დღეს, რომ ჩვენი თვითმფრინავით ჩავფრენილიყავით. ჩვენმა თვალებმა საოცარი რამ ნახა. ყველა თვითმფრინავი, რომელიც იქ იდგა, სადაც ჩემი თვითმფრინავი იქნებოდა მალე რომ ჩავსულიყავით, დაზიანებული იყო. ღვთის მადლით, ჩემი თვითმფრინავი იქ არ იყო და შესაბამისად, არაფერი მოსვლია. გასაოცარი ამბავია, არა? მაგრამ როგორ მოხდა ეს? ანუ უბრალო დამთხვევა იყო, თუ ჩემი თვითმფრინავი სულიერი კანონის შედეგად არ იყო იქ, რომელმაც ამ შემთხვევაში კარგი გავლენა იქონია?

ზუსტად ვიცი, რომ ეს იმ სულიერი კანონის შედეგი იყო, რომელიც მე გამოვიყენე და რომელზეც ცოტა ხანში მოგიყვებით. კანონის გაგება, მისი შედეგების გაორმაგების შესაძლებლობას გაძლევს, როცა არ უნდა დაგჭირდეს. ამ შემთხვევაში, გავაპრაქტიკე კანონი, რომელიც ღმერთმა დასაწყისში მასწავლა, როცა უფალმა ჩემი წვრთნა დაიწყო მისი სამეფოს კანონებისა და მოქმედებების შესახებ.

ნება მომეცით, დაგანახოთ კანონი, რომელიც ღმერთმა მაჩვენა და შემდეგ გაჩვენებთ, თუ როგორ გამოვიყენე ის?! გახსოვდეთ, ყველა ისტორია ბიბლიაში რაღაცას გაჩვენებთ სამეფოზე და იმაზე, თუ როგორ მოქმედებს იგი?! ჩემს თავს სულიერ მეცნიერს ვუწოდებ. როცა ბიბლიას ვკითხულობ, ყოველთვის ვეძებ კანონებს, რომელმაც რაღაც გამოიწვია ან პირიქით კანონებს, რომლებმაც საშუალება არ მისცა რაღაცას, მომხდარიყო. ისტორიას, რომელიც იმ გაკვეთილთანაა დაკავშირებული, რისი ჩვენებაც მინდა, მარკოზის მე-6 თავში ვპოულობთ.

„უკვე გვიანი იყო; მივიდნენ მასთან მოწაფეები და უთხრეს: „ეს ადგილი უდაბურია და თანაც უკვე გვიანია. გაუშვი ეს ხალხი გარშემო სანახებსა და სოფლებში, რომ საზრდო იყიდონ თავიანთთვის!“

მაგრამ მიუგო მათ და უთხრა: „თქვენ მიეცით მათ საჭმელი!“

უპასუხეს: „წავიდეთ, ორასი დინარის პური ვიყიდოთ და ამათ მივცეთ საჭმელად?“

უთხრა: „რამდენი პური გაქვთ? წადით, ნახეთ!“

ნახეს და უთხრეს: „ხუთი პური და ორიც თევზი“.

მაშინ უბრძანა მათ, ყველანი ჯგუფ-ჯგუფად დამსხდარიყვნენ მწვანე ბალახზე. და დასხდნენ მწყობრად, ასასად და ორმოცდაათ-ორმოცდაათად. აიღო ხუთი პური და ორი თევზი, ზეცას ახედა, აკურთხა, პურები დატეხა და მოწაფეებს მისცა, რომ მათთვის ჩამოერიგებინათ. ორი თევზიც ყველას გაუნაწილდა. ყველამ ჭამა და გაძღა. დარჩენილი ნატეხებით კი თორმეტი გოდორი გაავსეს. და ხუთი ათასამდე მამაკაცი იყო პურის მჭამელი“.

– მარკოზი 6:35-44

ეს ღვთის სამეფოს მოქმედების შესახებ დიდებული ისტორია და ილუსტრაციაა. ხუთმა პურმა და ორმა თევზმა 20,000 ადამიანი დააპურა! მაგრამ იტყვით: „გარი, ბიბლიაში წერია, რომ იქ მხოლოდ 5000 კაცი იყო!“ დიახ, ასე წერია, მაგრამ ვფიქრობ, რომ იქ ქალები და ბავშვებიც იყვნენ! ასე რომ, ალბათ, დაახლოებით 20 000 ადამიანი იქნებოდა.

როცა მოწაფეები იესოსთან საჭმლის პრობლემით მიდიან, იესოს სურს, რაღაც ასწავლოს მათ სამეფოს შესახებ და ამბობს: „თქვენ გამოკვებეთ!“ ამან, შეიძლება ითქვას, შოკში ჩააგდო ისინი. საიდან უნდა მოიტანონ ამდენი საკვები? ისინი უზრუნველყოფის იმ ერთადერთი წყაროდან გამომდინარე პასუხობენ, რაც იციან - მუშაობა! ამბობენ: „ამას რვა თვის შემოსავალი დასჭირდება!“ დედამიწის წყევლის სისტემის გადმოსახედიდან, რომელიც ოფლსა და ტანჯვაზე, დოლარებსა და სამუშაო საათებზეა დაფუძნებული, მათი გამოკვება წარმოუდგენელი იქნებოდა.

მაგრამ სამეფოში არსებული მოქმედების სხვადასხვა კანონები ყველაფერს შესაძლებელს ხდის. იესოს სურს, მათ დაეხმაროს, რომ დედამიწის წყევლის სისტემის მიღმა დაინახონ და ისწავლონ ღვთის სამეფოს ახალი შესაძლებლობის შესახებ. შემდეგ იესო სთხოვს, ნახონ: რა აქვთ ხალხის გამოსაკვებად?! ისინი მიდიან და ნახულობენ და შემდეგ პასუხობენ, რომ ხუთი პური და ორი თევზი იპოვეს, მაგრამ იციან, რომ არავის ეყოფა. შემდეგ იესო სთხოვს, მისცენ პური და თევზი! ხელში იღებს, ლოცულობს მათზე და აკურთხებს. შემდეგ მაშინვე უკან აძლევს მოწაფეებს, რათა ხალხს დაურიგონ. რა თქმა უნდა, ისტორიის გაგრძელება იცით; 20,000 ადამიანიდან ყველამ ჭამა, სანამ არ დანაყრდნენ და 12 კალათა ნარჩენებით გაავსეს.

ჩემი კითხვები ასე ჟღერს: „რატომ სთხოვა იესომ, რომ პური და თევზი ჯერ მისთვის მიეცათ სანამ ეტყოდა რომ დაერიგებინათ? რატომ არ სთხოვა იესომ პირდაპირ დაერიგებინათ მოწაფეებს საკვები როგორც კი ნახეს? აუცილებელი იყო, რომ ჯერ იესოს ეკურთხებინა?“ სწორი პასუხი ისაა, რომ ჯერ იესოს უნდა ეკურთხებინა პური და თევზი. ხედავთ, პური და თევზი დედამიწის სამეფოზე იყო კაცის მმართველობისა და იურისდიქციის ქვეშ, როცა მოწაფეებმა იპოვეს. ამ მდგომაროებაში იესოს არ ჰქონდა მასზე მმართველობა. მაგრამ როცა პური და თევზი ნებაყოფლობით მისცეს მას, უფალს უკვე შეეძლო მისი კურთხევა. სიტყვა *კურთხევა* ნიშნავს *განწმიდო და გამოყო.* ღვთის სამეფოს კანონიც გამოვლინდა.

როცა იესომ პური და თევზი აკურთხა, პურმა და თევზმა სამეფო შეიცვალეს.

შესაბამისად, მმართველობაც შეიცვალა პურსა და თევზზე. ახლა ღმერთს კანონიერი უფლება ჰქონდა, გაემრავლებინა პური და თევზი ხალხისთვის.

იესოს რომ არ აეღო პური და თევზი და ეკურთხებინა, არ გამრავლდებოდა!

იგივე კანონს ვიყენებთ, როცა ვაკურთხებთ ჩვენს საკვებს, მიუხედავად იმისა, რომ ვფიქრობ, ადამიანთა უმრავლესობა ვერც კი აცნობიერებს, რას აკეთებენ რეალურად, როცა საკვებზე ლოცულობენ. მაგრამ მარტივად რომ ვთქვათ, როცა ჩვენს საკვებზე ვლოცულობთ, იგი სამეფოებს იცვლის, შესაბამისად ნებას ვრთავთ ღმერთს, დაგვიცვას ნებისმიერი საზიანო რამისგან, რაც შეიძლება შევჭამოთ. აქ პატარა შენიშვნა უნდა დავამატო. თუ გაცნობიერებულად გავაგრძელებთ მუდმივად არაჯანსაღი საკვებით კვებას და ისეთი რამის ჭამას, ~~რაც ვიცით,~~ რომ ცუდია ჩვენთვის, იმას მოვიმკით, რასაც ვთესავთ. მაგრამ თუკი შემთხვევით რამე საშიში შევჭამეთ, რაზეც ვერ გავაცნობიერეთ, რომ ზიანს მოგვაყენებდა, ღვთის სიტყვა ისევე დაგვიცავდა, როგორც ჩემი თვითმფრინავი დაიცვა. მე არ ვსაუბრობ რიტუალურ ლოცვებზე, რასაც ადამიანთა უმრავლესობისგან გაიგებ სადილობისას. არამედ რწმენით ლოცვა, მადლიერება ღვთისადმი აშორებს სენს ჩვენი საკვებიდან და როგორც მისი დიდებული სამეფოს მოქალაქეებს, შესაძლებლობას გვაძლევს, ვისიამოვნოთ მისი აღთქმებით.

„და თუნდაც რაიმე სასიკვდილო შესვან, არ ავნებთ!“
– მარკოზი 16:18

დღევანდელ მსოფლიოში გვჭირდება დარწმუნება ღვთისგან დაცვაში, რათა სიმშვიდე მოგვეცეს. იმდენი რამაა, რამაც ჩვენი მშვიდობა შეიძლება მოიპაროს ყოველ დღე ყველა მხრიდან, იმ საკვების ჩათვლით, რასაც ვჭამთ. მენდე, შეგიძლია,

დარწმუნებული იყო, რომ სატანას გეგმა აქვს, თუ როგორ მოგპაროს საჭმლის მეშვეობით ჯანმრთელობა და უნარი, ეფექტური იყო მის წინააღმდეგ მიწიერ სამეფოში!

კიდევ ერთი მაგალითი შეგვიძლია, ვნახოთ, თუ როგორ ექცევა ჩვენი პრობლემები, კითხვები, გონების მშვიდობა და ყველაფერი ჩვენს ცხოვრებაში სამეფოს მმართველობაში ფილიპელთა 4:6-7-ში.

> *„არაფერზე იდარდოთ, არამედ ყოველგვარ ლოცვასა და ვედრებაში მადლიერებით აუწყეთ თქვენი სურვილი ღმერთს! და ღვთის მშვიდობა, რომელიც ყოველგვარ გონებას აღემატება, დაიცავს თქვენს გულებს და თქვენს ფიქრებს ქრისტე იესოში“.*
>
> – ფილიპელთა 4:6-7

რაიმეზე ლოცვით, ეს პრობლემა თუ საკითხი ღვთის სამეფოს მმართველობაში ექცევა. თუ მასზე არ ვლოცულობთ, ღმერთს ხელები შეკრული აქვს. ამრიგად ბიბლია ამბობს: ილოცეთ განუწყვეტლივ! (1 თესალონიკელთა 5:17) და ამბობს: არ გაქვთ, რადგან არ ითხოვთ! (იაკობი 4:2).

როცა ჩემი თვითმფრინავი ვიყიდე ან როცა რაიმეს ვყიდულობ, ვლოცულობ მასზე, ხელებს ვასხამ და ღვთის სამეფოს მმართველობაში ვაქცევ, რათა შეასრულოს ის, რისთვისაც არის გამიზნული, რადგან იგი ღვთის სამეფოს და ჩემს დანიშნულებას ემსახურება. ამის გამო, ჩემს თვითმფრინავს არ აქვს შეზღუდვები სატანისა და მისი დამქაშებისგან. არანაირი ზიანი არ უნდა მომადგეს იმ თვითმფრინავში!

ერთი თვის წინ, ჰიუსტონიდან ოჰაიოში მივფრინავდი ამ თვითმფრინავით კონფერენციის შემდეგ. ბნელოდა, როცა სოფლის თავზე მოვექეცით. მოშორებით ელვა ანათებდა ცას ჩვენს მარჯვნივ და მარცხნივ, რადგან შტორმი იყო სოფლის თავზე. ამ ყველაფრის გამო მოგვიწია კურსი შეგვეცვალა, რათა უსაფრთხოდ დავრჩენილიყავით, რის გამოც იმაზე მეტი საწვავი დაგვჭირდა, ვიდრე ვგეგმავდით. ამრიგად, იმაში დასარწმუნებლად, რომ სახლში მშვიდობით ჩავფრინდებოდით და FAA-ის რეგულაციების დასაცავად ბორტზე საწვავის მარაგთან დაკავშირებით, გადავწყვიტეთ, ლუისვილში, კენ-

ტუკში გავჩერებულიყავით საწვავის დასამატებლად. როცა დავეშვით დაახლოებით 30 გალონი საწვავი გვქვონდა ბორტზე, მაგრამ კიდევ ერთი საათი უნდა გვეფრინა და არ გვინდოდა, ამოგვწურვოდა. FBO-ში მივედით და ვთხოვეთ, 20 გალონი ჩაესხათ თითო ფრთის ავზში. ეს 70 გალონამდე აგვიყვანდა, რაც საკმარისზე მეტი იყო ოჰაიოში ჩასაფრენად, რადგან ამ თვითმფრინავს საათში 22 გალონი საწვავი სჭირდება.

FBO-ში საწვავს ველოდებოდით, სალაროსთან მყოფმა გოგონამ გვითხრა, რომ შეეძლო წინასწარ დაერეკა, რათა 40 გალონი გაემზადებინათ. ეს თქვა თუ არა, მონიტორი მოვიდა ფურცლებით ხელში რაღაც ტრანზაქციასთან დაკავშირებით. გოგონამ აიღო ხელში, ჩააშტერდა და თქვა: „აქ რაღაც არასწორადაა. ციფრები არ ემთხვევა!“ მონიტორმა თქვა, რომ მან ჩაასხა საწვავი და შეეძლო ციფრები მოგვიანებით შეესწორებინა. გოგონაც დაეთანხმა, მაგრამ გვითხრა, რომ სანამ ციფრებს გაასწორებდნენ ჩეკს ვერ მომცემდნენ, თუმცა შეეძლოთ, იგი ელექტრონულად გადმოეგზავნათ ფოსტაზე. ჩვენც ვუთხარით: „კარგით!” და თვითმფრინავისკენ წავედით მონიტორთან ერთად. ჩემმა პილოტმა სთხოვა მონიტორს, დაედასტურებინა, რომ ნამდვილად 20 გალონი ჩაასხა თითო მხარეს და მანაც თქვა: „დიახ, 20 გალონი ჩავასხი თითო მხარეს!“

ამრიგად, გავფრინდით ოჰაიოში, მაგრამ ჩვენი ფრენიდან დაახლოებით 40 წუთში მარცხენა ფრთა ცარიელი იყო. შოკირებულები ვიყავით; როგორ შეიძლებოდა ეს მომხდარიყო? ერთ წუთში მარჯვენა ავზიც დაცარიელდა. შუაღამე იყო, ძალიან ბნელოდა და ჩვენ 4.5 კმ. სიმაღლეზე ვიყავით სიმძლავრის გარეშე. რა მოხდა? ჩვენ ხომ ახლახანს ჩავასხით საწვავი? ალბათ, იკითხავთ: „კი, მაგრამ თქვენს თვითმფრინავს საწვავის რადარი არ აქვს?“ რა თქმა უნდა, აქვს, მაგრამ ჩვენი თვითმფრინავის საწვავის რადარი ნელა მუშაობს საწვავის დამატებისას. თუ ოდესმე ძველი საბურბანი გიტარებიათ, მიხვდებით, რაზე ვლაპარაკობ. მათი საწვავის რადარი ნელა ეპასუხება ჩამატებულ საწვავს.

ამ შემთხვევაში ჩემმა პილოტმა ჰკითხა მონიტორს, თუ ჩაასხა თვითმფრინავში საწვავის ის რაოდენობა, რაც უნდა ჩაესხა. ჩვენ თავად დავინახეთ საწვავის სატვირთო როგორ ასხამდა საწვავს ჩვენს თვითმფრინავში. ჩემმა პილოტმა თავისი პასუხისმგებლობა

შეასრულა, დაინახა, საწვავის სატვირთო როგორ ასხამდა საწვავს თვითმფრინავში და სიტყვიერადაც გადაამოწმა ორჯერ, რომ სულ 40 გალონი ჩაასხეს თვითმფრინავში. როცა საწვავს ვამოწმებთ, ვაყენებთ ციფრულ რადარს, რომელიც მეათედების სიზუსტით გამოთვლის, თუ რეალურად რამდენი გალონი იწვება. ვიფიქრეთ, რომ ყველაფერი გავაკეთეთ ჩვენი მხრიდან, რაც ჩვენი უსაფრთხოებისთვის იყო საჭირო.

ᲐᲠᲡᲔᲑᲝᲑᲡ ᲙᲐᲜᲝᲜᲔᲑᲘ ᲡᲐᲛᲔᲤᲝᲨᲘ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ ᲣᲜᲓᲐ ᲘᲡᲬᲐᲕᲚᲝ, ᲠᲐᲗᲐ ᲘᲧᲝ ᲔᲤᲔᲥᲢᲘᲐᲜᲘ, ᲓᲐᲪᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲒᲥᲝᲜᲓᲔᲡ ᲣᲖᲠᲣᲜᲕᲔᲚᲧᲝᲤᲐ ᲐᲥ, ᲛᲘᲬᲘᲔᲠ ᲡᲐᲛᲔᲤᲝᲖᲔ.

საგანგებო მდგომარეობა გამოვაცხადეთ და ნელა უნდა დავშვებულიყავით ცინცინატის დიდ აეროპორტში, რაც რეალურად არ იყო პრობლემა, რადგან ზუსტად მის თავზე ვიყავით, როცა ავზები დაცარიელდა, მაგრამ, რა თქმა უნდა, მაინც ამაღელვებელი იყო. როგორც მოგვიანებით გავარკვიეთ, ეს იყო პირველი თვითმფრინავი, რომელშიც იმ მონიტორს ოდესმე საწვავი ჩაუსხამს. მან თითო ავზში 2 გალონი ჩაასხა და არა 20. არ იცოდა, როგორ წაეკითხა მრიცხველი? მართლა? ესაა, რასაც ეროვნული კომპანია აკეთებს საწვავის ჩასხმისას - წარმოუდგენელია!

ის, რაც მტერმა ჩვენს დასაზიანებლად ჩაიფიქრა, რეალურად პრობლემა არ იყო, თუმცა შეიძლებოდა პრობლემა გამხდარიყო, ნებისმიერ სხვა ადგილას რომ გაგვთავებოდა საწვავი 4.5 კმ. სიმაღლეზე. მაგრამ ისევ ვიტყვი: მტერს არ შეუძლია მავნოს მე ან ჩემს თვითმფრინავს! ჩვენი მოწინააღმეგის კიდევ ერთი მცდელობისთვის ხელის შესაშლელად, ჩვენ საწვავის ჩასხმის პროცედურებში გარკვეული ცვლილებები შევიტანეთ. ახლა აღარ ვტოვებთ თვითმფრინავს მონიტორთან, სანამ ის ასხამს საწვავს, ჩვენც იქ ვართ და ვამოწმებთ. ეს შემთხვევა შეიძლებოდა კატასტროფული აღმოჩენილიყო ქვევით დაბალი სიჩქარით რომ გვეფრინა, ან ცუდი ამინდი ყოფილიყო; მაგრამ, რა თქმა უნდა, ასე არ მომხდარა, რადგან მე დაცვის აღთქმა მაქვს ღვთისგან.

ეს ორივე ინციდენტი ჩემს თვითმფრინავთან დაკავშირებით, რომელიც ჩემი თვითმფრინავის, ისევე როგორც თავად ჩემს

უსაფრთხოებას ეხებოდა, ჩემი აღთქმის შედეგი იყო, ჩემი კანონიერი უფლებების სამეფოში. რა თქმა უნდა, შემეძლო, ჯერ მომეყოლა როგორ მივიღე ეს თვითმფრინავი, მაგრამ ამას ახლა არ გავაკეთებ. ვფიქრობ, მთავარს მიხვდით - ღმერთი გასაოცარია!

არსებობს კანონები სამეფოში, რომლებიც უნდა ისწავლო, რათა იყო ეფექტიანი, დაცული და გქონდეს უზრუნველყოფა აქ, მიწიერ სამეფოზე. სატანას ვძულვართ, მაგრამ მას არ შეუძლია ჩვენი შეჩერება, დიდება ღმერთს! დაცვაც დასვენებაა, არანაირი ნერვიულობა, არანაირი შიში! ეს შენი კანონიერი უფლებაა.

სხვათა შორის, კანონს რომელიც ახლა აღვწერე და გამოვიყენე იურისდიქციის კანონს ვეძახი იმ შემთხვევაში, თუ გაინტერესებთ.

„ნეტარნი ხართ გლახაკნი, რადგან თქვენია ღვთის სამეფო!“
– ლუკა 6:20

მე და დრენდამ დავიწყეთ იმის სწავლა, თუ რა იგულისხმა ღმერთმა „ღვთის სამეფოში“ ამ მუხლით, როცა პირველად მიგვითითა მასზე. მან გვაჩვენა, რომ ის სამეფოს მეფეა, რომელიც იმართება და ფუნქციონირებს კანონებით. მაგალითად, მოდი, ჩვენს სამხრეთ საზღვარს შევხედოთ! ყოველ წელს ათასობით ადამიანი ცდილობს, მალულად შემოაღწიოს აშშ-ში. რატომ? რადგან ლამაზი პეიზაჟი არ აქვთ იქ, სადაც ცხოვრობენ? არა, რა თქმა უნდა, არა. ისინი ცდილობენ აშშ-ში შემოსვლას იმ მმართველობის გამო, რაც აქაა. ჩვენს მმართველობას აქვს კანონები, რომლებიც იცავს ადამიანთა უფლებებს და სთავაზობს ისეთ თავისუფლებას, რაც არაა ხელმისაწვდომი სხვა ქვეყნებში: საკუთრების ქონა, უფლება - გქონდეს შენი ბიზნესი, უფლება - თაყვანი სცე, როგორც შენ გსურს და სიტყვის თავისუფლება. ყველა მათგანი არაა ხელმისაწვდომი ბევრ ქვეყანაში.

უკვე საკმაოდ ვისაუბრეთ ღვთის სამეფოზე, ყველა გასაღების, პრინციპისა და კანონის საფუძველზე, რაც შემოქმედმა მოგვცა როგორც მოქალაქეებს. შენმა ცოდნამ ან ცოდნის ნაკლებობამ ამ კანონებისადმი შეიძლება განასხვაოს სიცოცხლე და სიკვდილი, გამარჯვება და მარცხი. დამასუსტებელ ფინანსურ შიშში ცხრა წლიანი ტანჯვის შემდეგ, ახლა, როცა თავისუფალი

ვარ, საკმარისად ვერ აღვწერ, თუ რამდენად მნიშვნელოვანია, იცოდე, რას ნიშნავს, იყო ღვთის სამეფოს მოქალაქე და იცოდე ყველა კანონი და პრინციპი, რაც სამეფოს შეადგენს?!

იმ ათასობით წლის განმავლობაში, რაც დედამიწა არსებობს, ბევრი რამ, რითიც დღეს სიამოვნებას ვიღებთ, არ ესმოდათ ადამიანებს. მაგალითად, მინდა, წარმოიდგინოთ: როგორი იყო 1906 წლის შობის ღამე Ocean BlufBrant Rock-ზე, მასაჩუსეთში?! იმ დღეს რაღაც ისეთი მოხდა, რამაც სამყარო შეცვალა. რეჯინალდ ფესენდერმა *Oh Holy Night* დაუკრა ზღვაში გასული გემებისთვის რადიო ტალღების მეშვეობით და ლუკას მეორე თავი წაიკითხა. ეს იყო მსოფლიოს პირველი რადიო გადაცემა. ახლა ვიღებთ მობილურ ტელეფონს ხელში და შეგვიძლია, დაუფიქრებლად ველაპარაკოთ ნებისმიერს ამ პლანეტაზე.

ან რას იტყვით 1879 წლის იანვარზე? თომას ედისონმა წარმატებით გამოიგონა ნათურა და ახლა ყველა ერი დედამიწაზე ელექტროობისა და ფიზიკის იმავე კანონებს იყენებს, რათა ღამით დაინახონ.

ან რას იტყვით 1903 წლის 17 დეკემბერზე? ძმები ვრაითები წარმატებით გაფრინდნენ პირველი თვითმფრინავით და ახლა ჩვენ შეგვიძლია ავიდეთ თანამედროვე რეაქტიულ თვითმფრინავია და მთელ მსოფლიოს გადავუფრინოთ რამდენიმე საათში. A380 ყველაზე დიდი კომერციული რეაქტიული თვითმრინავია, რომელიც 600 ტონას იწონის და შეუძლია 800 ადამიანი 9 საათის განმავლობაში აფრინოს საწვავის დამატების გარეშე დაახლოებით 1000 კმ/სთ სიჩქარით დედამიწის გარშემო. ადამიანებს რომ რაიმე ასეთი 1800-იან წლებში ენახათ, გული წაუვიდოდათ ამის დანახვისას. თუმცა ახლა ეს ისეთივე ჩვეულებრივია ჩვენთვის, როგორც ჩამრთველზე მიჭერით ნათურის ანთება.

იმის თქმა მინდა, რომ ეს კანონები უკვე აქ იყო, ყოველთვის აქ იყო მიწიერ სამეფოზე მაშინაც კი, როცა ადამიანი შეიქმნა. ისინი ყოველთვის ხელმისაწვდომი იყო ადამიანისთვის, რათა გამოეყენებინა; იგი უბრალოდ ვერ ხედავდა მათ. ის ხედავდა ჩიტების ფრენას, ელვას, მაგრამ არ ესმოდა.

იგივეა წმიდა წერილთან მიმართებაში. რელიგიამ საზღვრები დააწესა იმასთან დაკავშირებით, თუ რას გულისხმობს, ღვთის სიტყვა. მე და შენ წლებია გვესმის, რომ ამ ყველაფერმა

ჩაიარა, ღმერთი აღარ ახდენს სასწაულებს, სულიწმიდის ნიჭები მხოლოდ მოციქულებისთვის იყო ან პავლეს ეკალი დაავადება იყო. რეალურად, სიტყვა საკმაოდ მარტივია. ზუსტად იმას გულისხმობს რასაც ამბობს. სამეფოს საფუძველია ის პირველი მთავარი გასაღები, რომელიც აუცილებლად უნდა გქონდეს, რათა ყველა სხვა კარი გახსნა.

კიდევ ერთი მთავარი გასაღები:

კანონები არ იცვლება!

დააგდე ქვა და ის დაეცემა. რამდენჯერ დაეცემა? ყოველ ჯერზე! გრავიტაციის ძალა გვარწმუნებს, რომ ერთსა და იმავე პასუხს მიიღებ ყოველ ჯერზე. იგივეა ღვთის სამეფოს შემთ-ხვევაშიც.

თავი 5

ფრენა სიარულზე უკეთესია!

ფრენა სიარულზე უკეთესია! როცა ეს თავი დავწერე, ჩემი საზაფხულო სახლიდან, კანადიდან მივფრინავდი ჩემი საკუთარი თვითმფრინავით, რომელიც 400 კმ/სთ სიჩქარით მიფრინავდა მიწიდან 7 კმ. სიმაღლეზე. წლების განმავლობაში სახლიდან, ოჰაიოდან მანქანით მივდიოდით კანადაში. გრძელი და დამღლელი 31 საათი სჭირდებოდა იქ ჩასვლას. მთელი ღამე უნდა მევლო, რომ მეორე დღეს ჩავსულიყავი. მართალია, იყო შემთხვევები, როცა მოგზაურობა იქ ჩასვლის ორი დღის გამო გავყავით, მაგრამ, როცა ორ კვირიანი არდადეგები გაქვს და აქედან 4 დღეს მანქანის საჭესთან ატარებ, ძალიან ბევრ დროს კარგავ. დაღლილი ჩავდიოდი იქ და ვაუ, უკან ისევ 31 საათი უნდა მეტარებინა ოჰაიომდე.

ყოველთვის მიყვარდა თვითმფრინავები, 19 წლის ასაკში ავიღე პილოტის ლიცენზია, მაგრამ არასდროს მიფიქრია თვითმფრინავის ფლობაზე. ანუ, შეგიმოწმებიათ თვითმფრინავების ფასი? მაგრამ, რაც მეტს ვსწავლობდი სამეფოზე, ვაცნობიერებდი, რომ მე ვიყავი ის, ვინც აკავებდა ამ თვითმფრინავს ჩემი „არა“-თი და მწირი აზროვნებით. ახლა რეალურად ორი თვითმფრინავი მყავს. ერთი, რომლითაც გასართობად დავფრინავ, ჩემი პირველი თვითმფრინავი და მეორე, რომელსაც სამოგზაუროდ ვიყენებ. როგორც წინა თავში ვახსენე, ჩვენი „არა-წვრთნა“ უფლებას არ აძლევს ოცნებებსა თუ შესაძლებლობებს. მანამდე ვკეტავთ, ვიდრე დაიწყება.

მანამდე არასდროს მიფიქრია თვითმფრინავის ფლობაზე. უბრალოდ ვერ ვხედავდი: როგორ შეიძლებოდა ეს მომხდარიყო? წლების განმავლობაში ვქირაობდი თვითმფრინავებს,

რომლებითაც დავფრინავდი. მაგრამ, როცა სამეფოს კანონები შევისწავლე და დავინახე უამრავი ისტორია ჩემს ცხოვრებაში, რომლებიც ღმერთის სამეფოს წარმოაჩენდნენ, გადავწყვიტე, მერწმუნა უფლის ჩემი პირადი თვითმფრინავისთვის. იმ დროს ამის ფული არ მქონდა, მაგრამ ავიღე ჩეკი და დავაწერე „ჩემი თვითმფრინავისთვის“. ზუსტად ისეთ თვითმფრინავზე დავწერე როგორიც მინდოდა, მიმელო. მე და ჩემმა ცოლმა ეს ჩეკი სამეფოში დავთესეთ მარკოზის 11:24-ის თანახმად, ვირწმუნეთ, რომ ლოცვისას უკვე მივიღეთ. ესაა ის, რისი გაკეთებაც ღმერთმა თავიდანვე მასწავლა სამეფოსთან დაკავშირებით და ძალიან, ძალიან ბევრჯერ მინახავს მისი ნაყოფები ჩემს ცხოვრებაში.

რამდენიმე კვირის შემდეგ, რეგულარულ კვლევას ვიტარებდი და ექიმმა უბრალოდ მითხრა: „სხვათა შორის, ვინმე ხომ არ იცი, ვინც შეიძლება თვითმფრინავის ყიდვით დაინტერესდეს?“ გაოცებული ვიყავი, რადგან მანამდე არავის ეკითხა მსგავსი რამ. „როგორი თვითმფრინავია?“ - ვკითხე მე. მან დაიწყო ახსნა თუ რა თვითმფრინავი იყო და მითხრა, რომ ადგილობრივ აეროპორტში იდგა, თუ მისი ნახვა მენდომებოდა. ჩემდა გასაოცრად, ზუსტად ისეთი თვითმფრინავი იყო, რისთვისაც დავთესე! აეროპორტში წავედი მის სანახავად, ნამდვილად მშვენიერ მდგომარეობაში იყო. ვიცოდი, ეს ჩემი თვითმფრინავი იყო. მაგრამ ერთი პრობლემა არსებობდა; თვითმფრინავის საყიდლად ფული არ მქონდა. ექიმს ვუთხარი, რომ ძალიან ვიყავი დაინტერესებული თვითმფრინავით და მასთან დავბრუნდებოდი.

რამდენიმე კვირა გავიდა და სატელეფონო ზარი მივიღე ჩემი ძმისგან, რომელიც მამაჩემის რესტორანში მუშაობდა იმ შენობის გვერდით, რომელსაც ვფლობდი. სულ რამდენიმე თვით ადრე, გვიან შემოდგომაზე გადმოვიდა ეს შენობა ჩემს საკუთრებაში. ვაპირებდი იგი ჩემი ფინანსური სერვისების კომპანიის საოფისე კომპლექსად მექცია. თუმცა, რადგანაც შენობა არ შეესაბამებოდა კომერციული შენობის კოდექსს, რა მიზნითაც ვფლობდი მას, ვიცოდი, რომ მისი თავიდან აშენება მომიწევდა. დავეკონტაქტე მშენებელს, რომელმაც ნახაზები შეადგინა და კონტრაქტს ხელი მოვაწერეთ. თუმცა, გადავწყვიტეთ გაზაფხულამდე დაგვეცადა ამინდის გამო და შემდეგ დაგვეწყო პროექტის განხორციელება. რეაბილიტაცია ფაქტობრივად შენობის თავიდან აშენებას გულისხმობდა.

შენობის წინა მფლობელმა მითხრა, რომ წყალი ზამთარში გადაკეტილი იყო და მეც არ შემიმოწმებია. ჩემმა ძმამ გვიან თებერვალში დამირეკა, მაშინ, როცა სითბომ თოვლის დადნობა დაიწყო. მითხრა, რომ მთელი შენობა ჩამოშლილი იყო, რადგან წყალი გზაზეც კი გადმოდიოდა. ორივემ ვიცოდით, ეს რას ნიშნავდა - წყალი არ ყოფილა გადაკეტილი, როგორც წინა მფლობელმა მითხრა. როცა დაზიანება შევისწავლე, მივხვდი, რომ ზედა სართულის სააბაზანოს მილებმა, ისევე როგორც ქვედა სართულის სააბაზანოსა და სამზარეულოს მილებმა ამოხეთქა და წყალმა მთელი შენობა აავსო. თაბაშირმუყაო, ჭერი და კედლები სულ ჩამოვარდნილი იყო.

ერთი შეხედვით, ეს შეიძლება დიდ კატასტროფად ჩანდეს, მაგრამ ჩემი სარეაბილიტაციო გეგმა ყველა თაბაშირმუყაოს კედლებიდან მოხსნას და ოთახების ახლებურად გატიხვრას მოიცავდა. გარეთა მხარეც უნდა ჩანაცვლებულიყო. ამრიგად რეალურად, წყალს საერთოდ არ დაუზარალებია შენობა. ყველაფერი, რაც დაზიანდა, ისეთი იყო, რის ხელახლა აშენებასაც ისედაც ვაპირებდი. თუმცა შენობა შეძენისთანავე დავაზღვიე. მათ ზარალი მთლიანად დაფარეს. სადაზღვევო კომპანიამ ჩეკი გამომიწერა და აბა, მიხვდით, რა მოხდა?! ამ ჩეკმა ჩემი თვითმფრინავის საფასურიც მთლიანად დაფარა. ამ თვითმფრინავით, Piper Warrior-ით ფრენა მარტივია და ხშირად დავფრინავ სიამოვნებისთვის. ყოველთვი როცა ამ თვითმფრინავში ვზივარ, გაოცებული ვარ, რა მაგარია, იფრინო თვითმფრინავით, რომლისთვისაც გადაიხადე. უკვე თითქმის 20 წელი გავიდა და ეს თვითმფრინავი დღესაც ჩემს მფლობელობაშია.

მიუხედავად იმისა, რომ ამ ისტორიაში გასაოცარი ამბები მოხდა, არ მინდა არასწორი პერსპექტივა დაგიტოვოთ იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ მოქმედებს რაღაცები. ყველაფერი ყოველთვის ისე უეცრად არ ჩნდება, როგორც ამ ამბავში. ღმერთი შეიძლება წარგიძღვეს შესაძლებლობისკენ, რომ გამოიმუშავო თანხა შენი თვითმფრინავის საყიდლად ან შეიძლება კარგი გარიგება დადო. აზროვნება, რაც სამეფოში თესვისას უნდა გქონდეს ისაა, რომ ღმერთი გაჩვენებს ნაყოფს და გეგმას მის ხელში ჩასაგდებად. მეორეა, დარჩე შენს განვითარებად რწმენასა და შესაძლებლობაში. მყოლია ადამიანები, რომლებიც

ფიქრობდნენ, რომ რადგან ღმერთი აჩვენებდა მათ როგორ გადაეხადათ თავიანთი მანქანებისთვის, შეეძლოთ ასევე წინ წასულიყვნენ და დაეთესათ ერთი ტრილიონი დოლარისთვის. შენ არ გაქვს ტრილიონი დოლარისთვის საკმარისი რწმენა! დაიწყე იმით, სადაც ახლა ხარ, დაიწყე სამეფოს კანონის გამოყენება და ამ კანონებში შენი თავდაჯერებულობის და შენი უნარის აშენება, რომ ხელი ჩასჭიდო იმას, რასაც ღმერთი გაჩვენებს.

მაგრამ აი, რა მინდა, დაიჭიროთ?! დაახლოებით 20 წელი იყო, რაც პილოტი ვიყავი, სანამ ამ თვითმფრინავს შევიძენდი. როგორ ფიქრობთ, სამეფოს კანონები 20 წლით ადრეც მოქმედებდა? რა თქმა უნდა. ჩემი გაგება, უფრო სწორი იქნება, რომ ვთქვა: ჩემი გაგების ნაკლებობა არ მაძლევდა საშუალებას, წარმომედგინა თვითმფრინავის ფლობა.

ადამიანი ათასობით წლის განმავლობაში უყურებდა ჩიტების ფრენას, აწევის კანონი დღის სინათლეზე ფუნქციონირებდა ყველას დასანახად, თუმცა ვერავინ ხედავდა. რას ვერ ხედავ შენ? იფიქრე ამაზე!

ერთ-ერთი ადგილი წმიდა წერილიდან, რაც ღმერთმა დასაწყისშივე მასწავლა, სამეფოს უზრუნველყოფაში მოსვენების შესახებ იყო იგავთა 10:22.

> *„უფლის კურთხევაა, რომ ამდიდრებს და დარდი არ მოჰყვება მას“.*
>
> – იგავნი სოლომონისა 10:22

ეს ადგილი ეხება პრინციპს დაბადების 3:17-დან, რაც უკვე გაგიზიარეთ.

> *„წყეულიმც იყოს მიწა შენ გამო! ტანჯვით ჭამდე მის ნაყოფს მთელი შენი სიცოცხლე! ეკალსა და ძეძვს აღმოგიცენებს და მინდვრის ბალახს შეჭამ. შენი პირის ოფლით შეჭამ პურს, სანამ მიწას დაუბრუნდები“.*
>
> – დაბადება 3:17

როცა ადამმა დაკარგა სამეფო, მან დაკარგა სამეფოს უზრუნველყოფა და საკუთარი ძალების ამარა დარჩა თავის გა-

სატანად. მაგრამ როგორც უკვე მე და შენ აღმოვაჩინეთ, ჩვენ უბრალოდ ვერ ვირბენთ საკმარისად სწრაფად ოფლითა და ტანჯვით, რათა მივაღწიოთ იმ თავისუფლებას, რისკენაც ასე მგზნებარედ ვილტვით. მაგრამ აი, კეთილი უწყება!!! იესო მოვიდა გლახაკთათვის სახარებლად!

„უფლის სულია ჩემზე, რადგან მცხო უფალმა გლახაკთა სახარებლად“.

– ესაია 61:1

იესო იქნა გამოგზავნილი გლახაკთა სახარებლად. რა იქნებოდა კეთილი უწყება გლახაკთათვის? მარტივად, ისინი არ არიან ვალდებულნი, მიბმულნი იყვნენ დედამიწის წყევლის სისტემის უზრუნველყოფის ნაკლებობასა და სიღარიბეზე. მენდეთ, ცხრა წლის განმავლობაში მხოლოდ ვალებითა და სტრესით ცხოვრების, უფრო სწორად თავის გატანის შემდეგ, ეს მუხლი კეთილი უწყება იყო ჩემთვის, თუმცა საგონებელში ჩამაგდო. მართლა იმას გულისხმობდა, რასაც ამბობდა? დიდებული არ იქნებოდა, თუ მართლა ამას გულისხმობდა, რომ უფლის კურთხევას რაღაცნაირად მართლა მოჰქონდა სიმდიდრე ჩვენს ცხოვრებაში? მე რეალურად მჭირდებოდა იმის ცოდნა: ეს სიმართლე იყო თუ არა და შემდეგ როგორ გამომეყენებინა იგი? თუმცა ერთი, რაც გავიგე იყო ის, რომ ტანჯვისა და ოფლის წყევლა მხოლოდ თავის გატანის დონეზე უზრუნველგყოფდა და თავის გატანა საკმარისად კარგი ნამდვილად არ იყო. არავის სურდა ამ წყევლიდან განთავისუფლება ისე, როგორც მე, თუმცა წარმოდგენა არ მქონდა: როგორ გამეკეთებინა ეს ჩემს ცხოვრებაში? ვფიქრობ, ასე ცხოვრობს ბევრი ქრისტიანი: კითხულობენ ღვთის აღთქმებს, თუმცა არ იციან როგორ მიიღონ და გამოამჟღავნონ თავიანთ ცხოვრებაში?!

როცა დავიწყე შესწავლა და ღმერთი გამიძღვა სამეფოს პრინციპების გაგებაში, წავიკითხე: როგორი მდიდარი იყო აბრაამი?! გაჩერდით! კი, მაგრამ დედამიწის წყევლის სისტემა?! როგორ გადალახა მან იგი?

„ძალზედ მდიდარი იყო აბრამი ჯოგებითა და ოქროვერცხლით“.

– დაბადება 13:2

ის გახდა მდიდარი? არა, ბიბლია ამბობს, რომ ძალზედ მდიდარი გახდა, მაგრამ როგორ? შეიძლება თქვათ: „ეს იმიტომ, რომ ის აბრაამი იყო“. არა, ამიტომ არა და აი, აქ უნდა ჩაეჭიდო სამეფოს კანონის გაგებას! კანონები ყურადღებას არ აქცევენ, თუ ვინ ხარ შენ? არანაირი პატივისცემა არ აქვთ ადამიანებისადმი. თუ ვინმე, ნებისმიერი ემპაირ სტეიტ ბილდინგიდან პარაშუტის გარეშე გადმოხტება, მნიშვნელობა არ აქვს, რამდენად დიდი ან პატარა ადამიანი იქნება, ყველამ იცის შედეგი. გრავიტაციის კანონი ყოველთვის იმოქმედებს. ამრიგად, როგორ მიაღწია აბრაამმა წარმატებას მიუხედავად დედამიწის წყევლისა? არსებობს მინიშნებები მის ისტორიაში, რაც შეგვიძლია, ვიპოვოთ? პასუხის ნაწილს შეგვიძლია, დაბადების მე-12 თავში მივაგნოთ. აქ ღმერთმა აბრამს, რომელიც მოგვიანებით აბრაამი გახდა, მისცა აღთქმა მის ცხოვრებასა და შთამომავლებზე.

> *„უთხრა უფალმა აბრამს: „წადი შენი ქვეყნიდან, შენი სამშობლოდან, მამაშენის სახლიდან იმ ქვეყანაში, რომელსაც გაჩვენებ! დიდ ერად გაქცევ, გაკურთხებ, განვადიდებ შენს სახელს და კურთხეული იქნები! ვაკურთხებ შენს მაკურთხებელს და დავწყევლი შენს მაწყევარს; და იკურთხება შენში დედამიწის ყოველი ტომი“.*
>
> – დაბადება 12:1-3

აღთქმა დამოკიდებული იყო აბრაამის ღვთისადმი რწმენაზე და მის მორჩილებაზე. ამას დიდი რწმენა დასჭირდა, რადგან არ იცოდა: სად მიდიოდა?!

> *„რწმენით დაემორჩილა აბრაჰამი მოწოდებას, წასულიყო ქვეყანაში, მემკვიდრეობად რომ უნდა მიეღო; და ისე წავიდა, რომ არ იცოდა სად მიდიოდა“.*
>
> – ებრაელთა 11:8

ამრიგად ვხედავთ, რომ ღმერთმა კანონიერი წვდომა იპოვა მიწიერ სამეფოსთან ადამიანის მიერ, რომელიც ერწმუნა მას მაშინაც კი, როცა თითქოს აზრი არაფერს ჰქონდა. აბრაამის რწმენამ საშუალება მისცა ღმერთს, პირადად ეკურთხებინა იგი.

მაგრამ, მოგვიანებით, აბრაამის რწმენის გამო, ღმერთი ასევე აღთქმას დადებდა მასთან მის შთამომავლებთან დაკავშირებით. არ იფიქროთ, რომ ეს უცნაურია. გახსოვდეთ, სწორედ ასე მოიპოვა თავად სატანამ წვდომა დედამიწის სამეფოზე დასაწყისში! ადამმა, რომელსაც კანონიერი იურისდიქცია ჰქონდა დედამიწაზე, როგორც ებრაელთა 2:7-8-ში წერია, აირჩია სატანის ერწმუნა და არა ღვთის.

აბრაამის რწმენამ, რომელმაც ზეცის გავლენის კანონიერი კარი გახსნა მის ცხოვრებაში, ნება მისცა, წარმატებული ყოფილიყო. ეს სიუხვე გავრცელდა აბრაამის შთამომავლებზეც. როცა ამას უფრო ღრმად ვსწავლობდი, იოსების, აბრაამის შვილთაშვილის შესახებ დავიწყე კითხვა. საოცარი ილუსტრაცია და გაგება აღმოვაჩინე სამეფოზე და იმაზე, თუ როგორ მოქმედებს, განსაკუთრებით კი იმაზე, რაზეც იგავთა 10:22 საუბრობს.

იოსების ძმებს სძულდათ იგი და მონად გაჰყიდეს იმ მონებით მოვაჭრეების მეშვეობით, რომლებიც ხშირად მოგზაურობდნენ იმ ტერიტორიებზე. მათ იოსები ეგვიპტეში წაიყვანეს, სადაც იგი მოგვიანებით ფოტიფარს მიჰყიდეს, ეგვიპტის სამხედრო სამსახურის ხელმძღვანელს. ქვემოთ მოყვანილ ტექსტში მივაგენი ფაზლის მთავარ ნაწილს იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ შეძლო აბრაამმა ასეთ დონეზე აყვავება.

„ეგვიპტეში ჩაიყვანეს იოსები და იყიდა იგი ისმაელიანთაგან ეგვიპტელმა ფოტიფარმა, ფარაონის კარისკაცმა და მცველთა უფროსმა. არ მიუტოვებია უფალს იოსები და ხელი ემართებოდა ყველაფერში. თავისი ეგვიპტელი ბატონის სახლში ცხოვრობდა იგი. და იხილა მისმა ბატონმა, რომ უფალი იყო მასთან და ხელს უმართავდა ყველაფერში, რასაც აკეთებდა. მადლი ჰპოვა იოსებმა მის თვალში და ემსახურებოდა მას. დანიშნა იგი თავისი სახლის ზედამხედველად და მას ჩააბარა მთელი თავისი საბადებელი“.

„მას შემდეგ, რაც თავისი სახლის ზედამხედველად დანიშნა, აკურთხა უფალმა იმ ეგვიპტელის სახლი იოსების გამო და კურთხეული იყო უფლისგან მთელი მისი ქონება

ᲡᲐᲮᲚᲨᲘ ᲗᲣ ᲛᲘᲜᲓᲕᲠᲐᲓ. იოსებს მიანდო მთელი თავისი ქონება, თვითონ კი აღარაფერზე ფიქრობდა ჭამა-სმის გარდა“.

– დაბადება 39:1-6

ტექსტი ცხადად ამბობს, რომ უფლის კურთხევამ გამოიწვია იოსების წარმატება. მაგრამ რა იყო ან არის უფლის კურთხევა? შევამჩნიე, რომ აქ კურთხევა განსაზღვრული არტიკლითაა მოცემული და არა განუსაზღვრელით. ყველა ჩვენგანი უბრალოდ ვიტყოდით რაიმე დიდზე, რომ ეს კურთხევაა. მაგრამ ეს ტექსტი არაა მიმართული ზოგადი, კარგი რაღაცის მოხდენისადმი. ეს განსაზღვრულ კურთხევაზე ლაპარაკობს.

გავაცნობიერე, რომ უფლის კურთხევა რეალურად იყო აღთქმა ღმერთსა და აბრაამს და მის შთამომავლებს შორის. კონკრეტულად, კურთხევა იყო ის დაპირებები, რომლებიც აბრაამს მიეცა ამ აღთქმაში. კანონიერი თანხმობა მოიცავდა მოთხოვნებსა და ვალდებულებებს ორივე მხრიდან, თუმცა ასევე სარგებელსაც ორივესთვის. ამ შემთხვევაში, აბრაამისადმი მიცემული დაპირებები იყო ამ შეთანხმების სარგებელი. იმისთვის, რომ ამ სარგებლით გესიამოვნა, ვალდებული იყავი, გაყოლოდი უფლის ბრძანებებსა და კანონებს. მე ასევე ცხადად დავინახე, რომ, რაც არ უნდა მოეტანა იოსებს ამ კანონიერი მმართველობის ქვეშ, იგივე აღთქმების სარგებლით იღებდა სიამოვნებას.

შემდეგ იგავთა 10:22-მაც აზრი შეიძინა ჩემთვის. ღვთის მიერ აბრაამისადმი მიცემულმა აღთქმებმა, როგორც კანონიერმა შეთანხმებამ, უკუაგდო დედამიწის სიღარიბის წყევლის სისტემა. აბრაამისადმი მინიჭებულმა კურთხევამ კანონიერი გახადა ღვთისთვის, ეკურთხებინა აბრაამი და მისი მემკვიდრეობითი ხაზი წარმატებითა და იმ გავლენით, რომელიც ღმერთს ერთ დროს უნდოდა, რომ ადამიანს ჰქონოდა. მოდი, ახლა იგავთა 10:22 ფრჩხილებში ჩასმულ ჩვენს გაგებასთან ერთად წავიკითხოთ!

მთავარი გასაღები:

უფლის კურთხევაა [აბრაამისადმი მიცემული აღთქმები], რომ ამდიდრებს და დარდი არ მოჰყვება მას.

ფრაზა *„დარდი არ მოჰყვება მას“* დაბადების 3:17-ის დედამიწის წყევლის სისტემას, ტანჯვისა და ოფლის სისტემას მიემართება. ებრაული სიტყვა *დარდი* მძიმე შრომასაც ნიშნავს! ხედავთ ამას? ადამიანს შეუძლია, დედამიწის წყევლის ტანჯვისა და ოფლის შეზღუდვებს თავი დააღწიოს აბრაამისადმი მიცემული აღთქმებით. ოჰ, ვიცი, რასაც ფიქრობთ: „ეს აღთქმები მხოლოდ აბრაამსა და მის თესლს მიეცათ“. დიახ, მაგრამ კიდევ ერთი მუხლი უნდა გაჩვენოთ! გალატელთა 3:13-14.

> *„ქრისტემ გამოგვისყიდა რჯულის წყევლისგან და ჩვენს ნაცვლად გახდა წყეული, ვინაიდან დაწერილია: „წყეულია ყველა, ვინც ძელზეა დაკიდებული.“ იმისთვის, რომ აბრაჰამის კურთხევა [აღთქმები] ქრისტე იესოს მიერ იყოს წარმართებზე, რათა რწმენის მეშვეობით მივიღოთ სულის აღთქმა“.*
>
> – გალატელთა 3:13-14

ახლა, რწმენის მეშვეობით, როგორც იესო ქრისტეს მორწმუნენი აბრაამისადმი მიცემული კურთხევის მონაწილენი ვხდებით. ამრიგად, რა არის აბრაამისადმი მიცემული კურთხევა? აღთქმების სია შეგვიძლია მეორე რჯულის 28-ე თავში ვნახოთ.

> *„და თუ გულდასმით მოუსმენ უფლის, შენი ღვთის ხმას, რათა დაიცვა და აღასრულო მისი ყველა მცნება, რომელსაც გამცნებ დღეს, მაშინ დაგაყენებს უფალი, შენი ღმერთი, დედამიწის ყველა ერზე მაღლა. გადმოვა შენზე ყველა ეს კურთხევა და მოგეწევა, თუ შეისმენ უფლის, შენი ღვთის ხმას.*
>
> *კურთხეული იქნები ქალაქში და კურთხეული იქნები მინდორში!*
>
> *კურთხეული იქნება შენი მუცლის, მიწისა და საქონლის*

ნაყოფი, შენი ნახირის მონაგები და შენი ფარის ნამატი!“

კურთხეული იქნები შესვლისას და კურთხეული იქნები გამოსვლისას!

და დასცემს უფალი შენ წინაშე შენს მტრებს, რომლებიც ამბოხდებიან შენს წინააღმდეგ! ერთი გზით გამოვლენ შენს წინააღმდეგ და შვიდი გზით გაიქცევიან შენგან.

კურთხევას ბრძანებს შენთვის უფალი შენს ბეღლებსა და შენს ყოველ საქმეზე; და გაკურთხებს იმ ქვეყანაში, რომელსაც გაძლევს უფალი, შენი ღმერთი!

დაგადგენს უფალი თავის წმიდა ხალხად, როგორც შეგფიცა, თუ დაიცავ უფლის, შენი ღვთის მცნებებს და ივლი მისი გზებით. იხილავს ყოველი ხალხი, რომ უფლის სახელით ხარ წოდებული და შეეშინდება შენი! სიუხვეს მოგცემს უფალი ყველა სიკეთეში, შენი მუცლის, საქონლისა და მინდვრის ნაყოფებში, იმ მიწაზე, რომლის მიცემაც შეჰფიცა შენს მამებს უფალმა!

გაგიხსნის უფალი თავის საგანძურს, ზეცას, რათა თავის დროზე მისცეს წვიმა შენს მიწას და აკურთხოს ყოველი საქმე შენს ხელში! მრავალ ერს ასესხებ შენ და თავად კი არ ისესხებ! თავად გაქცევს უფალი და არა კუდად, მაღლა იქნები და არა ქვემოთ, თუ შეისმენ უფლის, შენი ღვთის მცნებებს, რომელთაც გამცნებ დღეს, რომ დაიცვა და აღასრულო! ნუ გადაუხვევ ნურც ერთ სიტყვას, რომელსაც გამცნებ დღეს, რათა არ გაჰყვე სხვა ღმერთების კვალს სამსახურებლად!“

– მეორე რჯული 28:1-14

ყველა ეს აღთქმა, მიუხედავად იმისა, რომ ძველი აღთქმისაა, ახლა შენია, რათა ისიამოვნო. განსხვავება ისაა, რომ ძველ აღთქმაში ადამიანებს ამაზე წვდომა მათი საქმეების მიხედვით ჰქონდათ, მაგრამ ჩვენ ახალი აღქმით, იესო ქრისტეში რწმენის მეშვეობით გვაქვს წვდომა. შენ და მე, როგორც წარმართები დავემყნეთ; და ახლა, იესო ქრისტეს მეშვეობით ვიზიარებთ აბრაამის კურთხევას. მაგრამ მეტი გვაქვს, ვიდრე აბრაამის ფიზიკური კურთხევა, ჩვენ ხელახლა შობის სულიერი კურთხევაც გვაქვს. ახლა ჩვენ გვაქვს აბრაამის ფიზიკური, ამქვეყნიური კურთხევა, მაგრამ ასევე გვაქვს ზეცის მარადიული კურთხევა და სულიწმიდა რეალურად ცხოვრობს ჩვენში, როგორც ღვთის

ძეებსა და ასულებში. გახსოვდეთ, მხოლოდ ძეები და ასულები იღებენ მემკვიდრეობას; მონები ვერ იღებენ. ხელახლა შობის გარეშე, მიუხედავად იმისა, რომ აბრაამს უყვარდა ღმერთი, სულიწმიდა არ ცხოვრობდა მასში, არც სამოთხეში შესვლა შეეძლო. რა თქმა უნდა, მან მოიპოვა ზეცა მას შემდეგ, რაც იესომ ცოდვის ვალი გადაიხადა.

ახლა მესმის რეალურად: რა იგულისხმა იგავთა 10:22-ში? როცა თქვა, რომ უფალი ამდიდრებს და დარდი არ მოჰყვება მას. დარდი ებრაულ ენაში მძიმე შრომას ნიშნავდა, რომელიც ახლა მესმის, რომ დედამიწის ტანჯვის და ოფლის წყევლის სისტემას შეესაბამებოდა. მე გავიგე, რომ ამ აღთქმამ, ამ კურთხევამ, ღვთის დახმარებისა და სარგებლობების შესახებ დაპირებამ აამაღლა აბრაამი დედამიწის წყევლაზე მაღლა, რამაც მისი წარმატება გამოიწვია. გავაცნობიერე, რომ ამ კურთხევის უპირატესობები, როგორც მეორე რჯულის 28-ე თავშია განსაზღვრული, ნათლად მაჩვენებს, რომ მე წარმატებული უნდა ვიყო. ამ აღთქმების ეფექტი ის უნდა იყოს, რომ მე თავი უნდა ვიყო და არა კუდი, გამსესხებელი და არა მსესხებელი. ეს არის ღვთის ყველა შვილის კანონიერი უფლება. როგორც იოსებს, მეც მაქვს უზენაესის კურთხევა, ამიტომ წარმატებული უნდა ვიყო. მეც მაქვს ღვთის მთელი სამეფოს მემკვიდრეობა. ეს ყველაფერი უკვე კანონიერად ჩემია, როგორც მისი ძის.

როცა კვლავ შევხედე იოსების ისტორიას დაბადების 39-ე თავში, ცხადად დავინახე, რომ იოსების წარმატებამ მიიპყრო ფოტიფარის ყურადღება, სწორედ ხილულ წარმატებას უნდა მიეპყრო მსოფლიოს ერების ყურადღება და ნება მიეცა მათთვის, განსხვავება დაენახათ ღვთის ხალხში.

> *„იხილავს ყოველი ხალხი, რომ უფლის სახელით ხარ წოდებული და შეეშინდება შენი! სიუხვეს მოგცემს უფალი ყველა სიკეთეში, შენი მუცლის, საქონლისა და მინდვრის ნაყოფებში, იმ მიწაზე, რომლის მიცემაც შეჰფიცა შენს მამებს უფალმა!“*
>
> – მეორე რჯული 28:10-11

კიდევ ერთი დიდი მინიშნება იყო დაბადების 39:6-ში, რაც ასევე აღვნიშნე და მინდა, თქვენც დაინახოთ! ფოტიფარზე საუბრისას იგი ამბობს: *„იოსებს მიანდო მთელი თავისი ქონება, თვითონ*

კი აღარაფერზე ფიქრობდა [დარდობდა] ჭამა-სმის გარდა“. მე ეს დავინახე! აქ იყო დასვენების მაგალითი, რაზეც ყველა ვსაუბრობთ. ფოტიფარს არაფერი ჰქონდა საწუხარი გარდა თავისი საჭმლისა. ეს მიანიშნებს იმაზე, რომ იმ წარმატებამ და უფლის კურთხევამ, რაც იოსებმა მოუტანა თავის სახლეულს, შედეგები გამოიღო და უფლება მისცა ფოტიფარს თავის დანიშნულებაზე ფოკუსირებულიყო და არა თავის გატანაზე!

მე და დრენდას გვაქვს გამოთქმა, რომელსაც წლებია ვიყენებთ: „სანამ ფულის პრობლემას არ გადაწყვეტ, ვერ აღმოაჩენ შენს დანიშნულებას!“ ვერასდროს აღმოაჩენ: ვინ ხარ რეალურად?! ვერასდროს იპოვი შენს ნიშას, შენს მისწრაფებას, ვერასდროს იპოვი რეალურად კმაყოფილებას. ყველა შენი გადაწყვეტილება თავის გატანის გარშემო იქნება, ფულის შოვნასა თუ დაგროვებაზე ორიენტირებული. იქნები ის, ვინც რეალურად არ ხარ, მხოლოდ იმისთვის, რომ გადასახადები გადაიხადო. აქ უფლის კურთხევის ეფექტს ფოტიფარზე ვხედავთ, რომელმაც არც კი იცოდა რაიმე ღვთის სამეფოზე. იმით, რომ ყველაფერი იოსების მზრუნველობაში მოაქცია, მისი ქონება, მისი აზრები იმ აღთქმის ქვეშ მოექცა, რომელსაც იოსები ატარებდა. ამ ცვლილების მომენტი ცხადად შეგიძლიათ, დაინახოთ 39-ე თავის მე-5 მუხლში.

> *„მას შემდეგ, რაც თავისი სახლის ზედამხედველად დანიშნა, აკურთხა უფალმა იმ ეგვიპტელის სახლი იოსების გამო და კურთხეული იყო უფლისგან მთელი მისი ქონება სახლში თუ მინდვრად“.*
>
> – დაბადება 39:5

აქ ისევ ვხედავთ თუ ის, რაც მიწიერ სამეფოშია, რაც დედამიწის წყევლის სისტემის საგანია, როგორ ექცევა ღვთის სამეფოს მმართველობის ქვეშ და როგორ ხდება ძირეული ცვლილებები. მოდი, ვაღიაროთ: თუკი ღმერთი გეხმარება თავისი სიბრძნით, მიგიძღვის სწორი გადაწყვეტილებებისკენ და გაფრთხილებს შესაძლო სირთულეების შესახებ, ყველას შეუძლია, იყოს წარმატებული! ხედავთ ამას? უფლის კურთხევა შენია!

ეს მაშინ ვისწავლე, როცა ღმერთი სამეფოს შესახებ მასწავლიდა, მაგრამ დაბნეული ვიყავი იმით, თუ რატომ ჰქონდა იოსებს უზარმაზარი წარმატება ამ კურთხევის გამო, მიუხედავად იმისა, რომ ქრისტიანთა უმრავლესობა, ვისაც დღეს ვიცნობ, ქვითრების გადახდისთვისაც კი ძალიან წვალობს. იყო სრულიად თავისუფალი ფინანსურად, ბევრს შესაძლოდ არც კი მიაჩნია. თუმცა, უკეთეს აღთქმებზე დაფუძნებული უკეთესი აღთქმა გვაქვს, ვიდრე ძველი აღთქმა იყო. მიუხედავად იმისა რომ კარგად მესმოდა უფლის კურთხევების შესახებ, მაინც არ ვიცოდი, ზუსტად როგორ შექმნიდა ეს კურთხევა იმ პასუხებს რაც მე მჭირდებოდა - მაგრამ ვსწავლობდი და მეტი და მეტი თავისუფლებით ვიღებდი სიამოვნებას, როცა იმის გამოყენება და გამოცდა დავიწყე, რასაც ღმერთი მასწავლიდა.

შემდეგ ჩემი ყურადღება ახალი აღთქმისკენ მივაპყარი, იესოს და მის მსახურებას შევხედე, რათა მეტი მესწავლა იმაზე, თუ როგორ ცვლიდა ღვთის სამეფო სიტუაციებს და გარემოებებს იქ.

„ერთხელ, როცა გენესარეთის ტბასთან იდგა და ხალხი აწყდებოდა მას, რათა ღვთის სიტყვა მოესმინა, დაინახა ტბასთან მდგომი ორი ნავი და მათგან გადმოსული მებადურები, ბადეებს რომ რეცხავდნენ. ავიდა ერთ ნავზე, რომელიც სიმონისა იყო. სთხოვა, ნაპირს ცოტა გაშორებოდა, ჩაჯდა და ნავიდან ასწავლიდა ხალხს.

ლაპარაკი რომ დაამთავრა, უთხრა სიმონს: „შეცურდით ღრმად და ბადეები ჩაუშვით თევზის დასაჭერად!“ მიუგო სიმონმა პასუხად: „მოძღვარო, მთელი ღამე ვიშრომეთ და ვერაფერი დავიჭირეთ, მაგრამ შენი სიტყვისამებრ ჩავუშვებთ ბადეს!“

ასეც მოიქცნენ და იმდენი თევზი მოიმწყვდიეს, რომ ბადეები ეხეოდათ. ნიშანი მისცეს მეწილეებს მეორე ნავში, რომ მოსაშველებლად მოსულიყვნენ. მოვიდნენ და ორივე ნავი ისე აავსეს, რომ იძირებოდნენ.

ამის მნახველი სიმონ-პეტრე იესოს წინაშე მუხლებზე დაეცა და უთხრა: „გამშორდი, უფალო, რადგან ცოდვილი კაცი ვარ!“ რადგან გაოგნებამ შეიპყრო ისიც და ყველა მასთან მყოფიც იმ თევზის სიმრავლის გამო, მათ რომ

დაიჭირეს; ასევე დაემართათ იაკობსა და იოანეს, ზებედეს ძეებს, სიმონის მეწილეებს.
უთხრა იესომ სიმონს: „ნუ გეშინია, ამიერიდან ადამიანებს დაიჭერ!“ მიაყენეს ნავები ნაპირს, ყველაფერი მიატოვეს და მას გაჰყვნენ“.

– ლუკა 5:1-11

ეს არის ისტორია, რომელიც გვაჩვენებს, თუ ერთ დილას როგორ ჩაანაცვლა ღვთის სამეფომ დედამიწის წყევლის სისტემა სამი მეთევზის ცხოვრებაში. თუ ტექსტს წაიკითხავთ, აღმოაჩენთ, რომ პეტრე, იაკობი და იოანე მთელი ღამე თევზაობდნენ და ვერაფერი დაიჭირეს, საერთოდ ვერაფერი. როგორც დამახასიათებელია დედამიწის წყევლის ოფლისა და ტანჯვის სისტემისთვის, მათი ღამე წარუმატებელი იყო და არაფერი ჰქონდათ, რაც მათი შრომის შედეგს აჩვენებდა. მაგრამ, როცა იესო ღვთის სამეფოსა და მის ფუნქციებში ექცევა, იგივე მეთევზეები იმდენად ბევრ თევზს იჭერენ რომ მათი ნავები ლამის ჩაიძირა!

შეჩერდი!!! მოდი, ვიფიქროთ იმაზე, რაც ახლა წავიკითხეთ! არაფერი, არც ერთი თევზი და სრული გაკოტრება შეიძლება იქცეს ისეთ ნაყოფად, რაც ლამის ძირავს ორ ნავს? ადამიანები კითხულობენ ამ ისტორიას უკვე ასობით წელია და ვერ ხედავენ, რომ ეს მათაც შეიძლება დაემართოთ. რატომ? ჩვეული პასუხი იქნებოდა, რომ იქ იესო იყო და მან გააკეთა. გახსოვთ ისტორია, რომელიც გაჩვენეთ მარკოზის მე-6 თავში, სადაც იესომ ვერ განკურნა ადამიანები, რადგან მათ არ ჰქონდათ რწმენა და შესაბამისად, სამეფოს არ ჰქონდა მმართველობა? ვიღაცას უნდა მიეცა ზეცისთვის მმართველობა, სანამ სასუფეველი შეძლებდა მოქმედებას ამ სიტუაციაში.

„მიუგო სიმონმა პასუხად: „მოძღვარო, მთელი ღამე ვიშრომეთ და ვერაფერი დავიჭირეთ, <u>მაგრამ შენი სიტყვისამებრ ჩავუშვებთ ბადეს!“</u>

პეტრე დაეთანხმა ზეცას, რამაც სამეფოს ლეგალური წვდომა მიანიჭა ამ ისტორიაში. კვლავ ვიტყვი, ჩვენ ვხედავთ როგორ

შეცვალა მიწიერი სამეფო ღვთის სამეფომ. გიჟური არაა, ისევე, როგორც ადამიანები ათასობით წელი ხედავდნენ ჩიტების ფრენას და ვერ აცნობიერებდნენ, რომ ფრენა მათთვისაც იყო შესაძლებელი და შესაბამისად არასდროს იბრძოდნენ ამ მიზნისთვის. ასევე არიან ქრისტიანები დღეს, ვერ აცნობიერებენ, რომ არ უნდა შეეგუონ ცარიელ ბადეებ რადგან წვდომა აქვთ ზეცის ძალაზე, რომელსაც შეუძლია, დაეხმაროს მათ ცხოვრებაში წარმატების მისაღწევად. მინდა, აქ დაინახოთ, რომ იგივე ადამიანები, რომლებმაც წარმატებას ვერ მიაღწიეს არიან ისინი, რომელთა ორი ნავიც სისავსისგან იძირებოდა!

ჩემო მეგობარო, განსხვავება სამეფოშია და არა ადამიანებში! შეიძლება იფიქრო, რომ მომავალი არ გაქვს, წარუმატებელი ხარ, არაფერი გამოგდის. მაგრამ რეალურად ერთადერთი, რაც გჭირდება, ისაა, რომ სამეფომ შენი ცხოვრება წარმატების ისტორიად აქციოს. დიახ, შენც უნდა ითამაშო შენი წილი! ისინი უნდა წასულიყვნენ სათევზაოდ, უნდა ეზრუნათ თავიანთ ბადეებზე და მომზადებულიყვნენ დასაჭერად, მაგრამ ყველას შეუძლია თევზის დაჭერა, თუ ღმერთი გაჩვენებს სად უნდა ჩააგდო ბადე?

მომისმინეთ, დედამიწის წყევლის ოფლის და ტანჯვის სისტემა ვერ განგახორციელებინებს ამას! ვერ ირბენ საკმარისად სწრაფად ან ხანგრძლივად, რათა შენი ოცნებები აასრულო! ღმერთს არ განუზრახავს, რომ კბილებით გაგეტანა თავი და შენი ძალებით გეცადა რაიმეს გაკეთება.

ღვთის სამეფოს კანონებსა და პრინციპებში მოქცევით შეგვიძლია ვიფრინოთ სიარულის ნაცვლად. ნება მომეცით, სხვანაირად ვთქვა! მიუხედავად იმისა, რომ გრავიტაციის კანონი კვლავ მოქმედებს, შეგვიძლია სხვა კანონის მოქმედებით, აწევის კანონით ვიფრინოთ და ვისიამოვნოთ ახლებური ცხოვრებით.

გახსოვდეს, ქრისტესთან მოსვლით ღვთის სამეფოს წევრი ხდები. როგორც მოქალაქეს, კანონიერი უფლებები გენიჭება და როგორც ძეს ან ასულს, გეძლევა მემკვიდრეობის მიღების უფლება. შენმა კანონიერმა უფლებებმა და უპირატესობებმა დედამიწის წყევლის, გაჭირვების, ავადმყოფობის და დამარცხების სისტემაზე მაღლა დაგაყენა.

წარმოიდგინეთ: როგორ ჟღერდა ეს მუხლი ისრაელიანებისთვის, რომლებიც მთელი ცხოვრება მონები იყვნენ?! რეალ-

ურად, ერთადერთი, რაც იცოდნენ, მონობა იყო, რადგან მხ-ოლოდ ეს ახსოვდათ. ესაა მოსეს სიტყვები ისრაელის ერისადმი, როცა ისინი აღთქმული მიწისკენ მიემართებოდნენ.

> *„როცა მიგიყვანს უფალი, შენი ღმერთი, იმ ქვეყანაში, რომელიც შეჰფიცა შენს მამებს - აბრაჰამს, ისაკსა და იაკობს, რათა მოგცეს დიდი და კარგი ქალაქები, რომლებიც <u>შენ არ აგიშენებია;</u> და ყოველგვარი სიკეთით სავსე სახლები, რომლებიც <u>შენ არ აგივსია</u> და ამოკვეთილი ჭები, რომლებიც <u>შენ არ ამოგიკვეთავს,</u> ბაღ-ვენახები და ზეთისხილის ხეები, რომლებიც <u>არ დაგირგავს;</u> და, როცა შეჭამ და გაძღები. გაფრთხილდი, არ დაივიწყო შენი უფალი, რომელმაც გამოგიყვანა ეგვიპტის [სხვა სამეფოს] ქვეყნიდან, **მონობის** სახლიდან [მონობის სამეფოდან]“.*
>
> – მეორე რჯული 6:10-12

როგორც წარსულში მონებმა, ერთადერთი გზა, რაც რაიმეს განსახორციელებლად იცოდნენ, ტანჯვისა და ოფლის გზა იყო. მაგრამ აქ ღმერთი ეუბნება, რომ მათი შრომა ვერ უზრუნველყოფს იმას, რაც სჭირდებათ. იმას არ ეუბნება, რომ ამიერიდან აღარ იშრომებდნენ, არამედ იმას, რომ აღარ იქნებოდნენ მიბმულები სისტემაზე, რომელიც თავის გასატანად საჭიროებდა შრომას. ღმერთი ამბობს, რომ ისინი წარმატებულები იქნებოდნენ იმ ქვეყანაში, სადაც იგი მიუძღოდა.

ნება მომეცით, ეს თავი კიდევ ერთი ისტორიით დავასრულო, რომელიც მეტად წარმოაჩენს, რასაც ვამბობ! მე და დრენდას დიდად არ გვაინტერესებს მანქანები. ზოგიერთს აინტერესებს და შეუძლიათ გაუთავებლად გესაუბრნონ ყველა მანქანაზე, რომელსაც აკერპებენ. რაღაც მიზეზის გამო, ჩვენ უბრალოდ არასდროს გვაინტერესებს ეს თემა. არასწორად არ გამიგოთ! მოგვწონს კარგი რაღაცები, მაგრამ უბრალოდ არასდროს გვითქვამს, რომ რაღაც კონკრეტული მანქანა უნდა გვქონოდა. როგორც წესი, ვყიდულობთ მანქანას და შემდეგ დაახლოებით, ათი წელი გვყავს იგი. რა თქმა უნდა, კარგად ვზრუნავთ ჩვენს მანქანებზე და ისინი არასდროს გამოიყურებიან, როგორც ძველი მანქანები, მაგრამ სანამ კარგად გამოიყურებიან და კარგად დადიან, ჩვენც ბედნიერები ვართ.

მაგრამ რამდენიმე წლის წინ ჩვენი ეკლესია რამდენიმე ესკელადეს ქირაობდა კონფერენციისთვის, რომელსაც ვმასპინძლობდით. მანქანები ჩვენი სტუმრების გადასაადგილებლად ვიქირავეთ, გვინდოდა, ამისთვის კარგი მანქანა გვქონოდა. ეს არ იყო პირველი შემთხვევა, როცა ეს გავაკეთეთ. ყოველთვის ასე ვიქცეოდით კონფერენციებისა თუ სხვა ღონისძიებების დროს. მაგრამ ეს იყო პირველი შემთხვევა, როცა ჩვენ თავად ვატარეთ ის ღონისძიების დღეებში, როცა ჩვენს ხელთ იყო. ზუსტად არ მახსოვს, რატომ ვატარებდით ჩვენ, მაგრამ სახლში ამ მანქანით წავედით. და იცით რა? ძალიან მოგვეწონა. მე და დრენდას ძალიან მოგვეწონა, თუ როგორ დადიოდა და როგორ გამოიყურებოდა იგი.

იმ დროს კარგი ჰონდა პილოტი გვქონდა, მაგრამ ესკელადე ნამდვილად ერთი ნაბიჯით წინ იყო პილოტზე. ეს თეთრი, მარგალიტისფერი მოდელი და მოკლე ვერსია იყო. თუ ბევრი იცით ამ ესკელადების შესახებ, ორი ზომით გამოდიან: გრძელი და მოკლე. ჩვენ მოკლე უფრო მოგვეწონა, რადგან უფრო მოსახერხებელი ჩანდა მეტად მოქნილი მანევრირებით. როცა დრენდასთან ერთად ესკელადეს ვატარებდი, მან თქვა: „იცი, ეს მომწონს; ვფიქრობ ერთი ასეთი უნდა გვქონდეს!“ მე დავეთანხმე. „უნდა გვქონდეს ერთი ასეთი, მოკლე ვერსია, მარგალიტისებრი თეთრი“. ორივენი დავეთანხმეთ ამ აზრს.

მიუხედავად იმისა, რომ არავისთვის გვითქვამს ჩვენი საუბრის შესახებ, დაახლოებით ერთი თვის შემდეგ, როცა გარეთ გავდიოდი გაზეთის ასაღებად, ჩემმა მობილურმა ტელეფონმა დარეკა. ხმა მეცნო, ეს ადამიანი ჩემს ეკლესიაში დადიოდა. „გამარჯობა!“ - თქვა მან და შემდეგ მითხრა, რომ უნდოდა, ჩემთვის ესკელადე ეყიდა. რამდენიმე წუთის განმავლობაში სრულიად გაოცებული ვიყავი, თუმცა ვუთხარი: „დიდებულია!“ შემდეგ მკითხა: რა ფერის მინდოდა? და ვუთხარი, რომ მარგალიტისებრი თეთრი მომწონდა. მანაც თქვა: „დაგირეკავთ, როცა მის პოვნას შევძლებ!“ თუმცა მას ჩემთვის არ უკითხავს: გრძელი ვერსია მინდოდა თუ მოკლე? ერთი თვე გავიდა და ვიფიქრე, რომ შესაძლოა დაავიწყდა მანქანის შესახებ. მაგრამ ცოტა ხანში დარეკა და გვითხრა, რომ მივსულიყავით, რადგან ჩვენი ესკელადე წამოსაყვანად მზად იყო.

როცა მას შევხვდით, დავინახეთ: ლამაზი, მარგალიტისებრი თეთრი, მოკლე ვერსიის ესკელადე. ყველა მხრივ სრულყოფილი იყო, არც ერთი ნაკაწრი, მართლა საოცარი იყო. ვუთხარით, რომ ძალიან მოგვეწონა. შემდეგ მან მოგვიბოდიშა, რომ ამდენი ხანი დასჭირდა, რადგან ცდილობდა, გრძელი ვერსია ეშოვა, თუმცა მხოლოდ მოკლე ვერსიის პოვნა შეძლო. ჩვენ გავიცინეთ და ვუთხარით: „ჩვენც ზუსტად მოკლე ვერსია გვინდოდა!“ ამ მანქანით წავედით სახლში და ვფიქრობდით, რომ პლანეტაზე ყველაზე მდიდარი ადამიანები ვიყავით, რადგან ამ მანქანას ვატარებდით. მაგრამ იცით რა? ეს ესკელადეები უკვე დიდი ხნის გამოსული იყო. უბრალოდ არასდროს გამჩენია აზრი, რომ მყოლოდა! ეს ისტორია რომ სრულყოფილად გაიგოთ, უნდა იცოდეთ, რომ წარსულში რვა მანქანა გავეცი, ასე რომ, მანქანებთან დაკავშირებით უკვე დათესილი მქონდა მიწაში. უბრალოდ არასდროს მითქვამს, რომ მინდოდა.

P.S. - ვიცი, რასაც ფიქრობთ, რომ ასეთი რამ მხოლოდ მქადაგებლებს შეიძლება გადახდეთ. ნუ, უკვე 36 წელია ფინანსების სფეროში ვარ და უამრავ მქადაგებელთან მილაპარაკია. სიმართლე გითხრათ, მათი უმრავლესობა მხოლოდ თავის გატანით ცხოვრობს. არა, ეს რაღაცები იმიტომ არ ხდება ჩვენს თავს, რომ სამეფოს შესახებ ვქადაგებთ, არამედ, რადგან ვცხოვრობთ სამეფოში და სამეფოს კანონებს ჩვენს ცხოვრებას ვუქვემდებარებთ. რეალურად, ვალებისგან მანამდე განვთავისუფლდი, სანამ ჩემს ეკლესიას დავაარსებდი. იმისთვის არ დამჭირვებია ეკლესიის დაფუძნება, რომ სამსახური მქონოდა და გადასახადები გადამეხადა. მე ეკლესია დავაფუძნე, რათა ხალხისთვის მეთქვა, რაც მე და დრენდამ აღმოვაჩინეთ - სამეფოს კეთილი უწყება!

თავი 6

ცხოვრება მეტია, ვიდრე მხოლოდ გადასახადების გადახდა!

ეს პატარა ოაზისს ჰგავდა ცხოვრების შტორმის დროს, რის წინაშეც ვიდექი. ერთ საღამოს დაახლოებით 50 ადამიანი მოვიწვიეთ ჩვენს ძველ ფერმის სახლში, რათა კოცონით, ჰოთ-დოგებითა და მოზიარეობით გვესიამოვნა. ეს იყო უკიდურესად სტრესული წლების პერიოდში, როცა ფული საერთოდ არ გვქონდა და ვწვალობდით, რომ კიდევ ერთი კვირით გაგვეტანა თავი. მოუთმენლად ველოდებოდი ამ ღონისძიებას, რადგან ემოციურად დაღლილი ვიყავი და რაიმე პოზიტიური მჭირდებოდა, რაზეც ცოტა ხნით გადავერთვებოდი. საღამომ წარმატებით ჩაიარა: საჭმელი არაჩვეულებრივი იყო, ბევრი ჩვენი მეგობარი შვილებთან ერთად მოვიდა და ყველა კარგ დროს ატარებდა. სახლი ხალხით იყო სავსე, როცა კარზე კაკუნი გავიგე. ვიფიქრე, რომ დაგვიანებული სტუმარი მოვიდა, მაგრამ როცა კარი გავაღე, ელექტრო ენერგიის კომპანიის თანამშრომელი დამხვდა. მან ზრდილობიანად მითხრა, რომ შუქი უნდა ჩაეჭრა გადაუხდელობის გამო. ძალიან შემეშინდა. სახლი სტუმრებით იყო სავსე და სინათლე მჭირდებოდა, რომ არაფერი ვთქვა იმ სირცხვილზე, რასაც ეს გამოიწვევდა.

სწრაფად ვთხოვე, უკანა ეზოში გამომყოლოდა ერთი წუთით. ვკითხე: რამდენი დამჭირდებოდა, რომ სინათლე არ ჩაეჭრა?! მანაც თანხა დამისახელა. „ძალიან დიდი თანხაა," - ვიფიქრე, „ცოტას ვერ დამიკლებ?" მან ცოტა ხანს იფიქრა და საბოლოოდ ფასი დაწია. „შეგიძლია ჩეკი სამშაბათამდე შეინახო, სანამ ბანკში

შეიტან?“ - ვკითხე მე. „რა პრობლემაა?“ - მითხრა მან და მეც ჩეკი გამოვწერე. პარასკევს ჩემს ანგარიშზე არანაირი თანხა არ იყო და წარმოდგენა არ მქონდა, სამშაბათამდე როგორ უნდა გაჩენილიყო, თუმცა სულ მცირე ის შაბათ-კვირა მექნებოდა სინათლე. არ მახსოვს რა გავაკეთე სამშაბათს, მაგრამ, ალბათ, რაიმე ვიპოვე დასაგირავებლად?!

ეს იყო ერთ-ერთი დღე ჩვენი ფინანსური დისფუნქციით ცხოვრებიდან. ახლა წარმოიდგინეთ ასე ცხოვრება ცხრა წლის განმავლობაში! ასეთ სტრესში ცხოვრება აჩერებს ყველანაირ ხედვას და ნელ-ნელა გძარცვავს ყველანაირი სიხარულისგან, რაც კი შეიძლება ცხოვრებამ მოგიტანოს. ყველა აზრი თავის გატანაზეა ორიენტირებული, სად უნდა იშოვო ფული შემდეგი გადასახადისთვის? გასულ კვირას ზედმეტად ბევრი ხომ არ დავხარჯე? კალკულატორი ხომ არ წავიღო თან, სურსათის საყიდლად რომ არ გადავცდე? ყოველთვის ფიქრობ იმაზე, თუ როგორ გამოძებნო ყველაზე იაფი შესაძლებლობა. მეგობარო, ეს ცხოვრება არაა! ნახეთ რას ამბობს მათეს 6:25.

> *„ამიტომ გეუბნებით თქვენ: ნუ წუხხართ თქვენთვის, რა ჭამოთ ან რა სვათ, ნურც თქვენი სხეულისთვის, თუ რითი შეიმოსოთ. განა სიცოცხლე საზრდოზე მეტი არ არის და სხეული - სამოსელზე?“*
>
> – მათე 6:25

იესო ამბობს, რომ ცხოვრების საგნები ცხოვრება არაა! ყველაფერმა აქ ჩვენს სიცოცხლეში ჩვენს მიზანს, ჩვენს ცხოვრებას უნდა დაუჭიროს მხარი. მაგრამ, რადგანაც ადამმა დაკარგა სამეფოს უზრუნველყოფა, ცხოვრება თავდაყირა დადგა და ახლა ყველაფერი, რაც ცხოვრებას ეხმარება, უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე თავად ცხოვრება. ჰკითხე ნებისმიერს, თუ ვინაა და გეტყვის იმას, თუ რას აკეთებს. „მე ექიმი ვარ, მე უძრავი ქონების გაყიდვების აგენტი ვარ“ და ა.შ. არა, ეს არაა, თუ ვინ ხარ; ესაა რას საქმიანობ. ადამიანმა დაკარგა თავისი ოცნებები. ვგულისხმობ იმას, რომ ადამიანი ახლა ოცნებობს იმაზე, თუ როგორ იშოვოს მეტი ფული, თუმცა მიზნის ოცნება დაკარგა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვა, რაც მეტ ფულს იხდის, მისი ოცნებაც ის ხდება. თუმცა, რადგანაც თითოეული ადამიანი უნიკალურადაა შექმნილი სხვადასხვა ნიჭებითა და

შესაძლებლობებით, ისინი საკუთარ თავებს ისეთ საქმიანობასა თუ სამსახურში აღმოაჩენენ, რაც მათი მისწრაფება არაა. ცხოვრება იქცევა გრძელ, გაწელილ კვირებად, რომელიც თავისუფლებას ელოდება უქმეებზე, ან კიდევ უფრო გაწელილ წლებად, რომელიც პენსიაზე გასვლას ელოდება.

ამრიგად, ნება მომეცით, ერთი კითხვა დაგისვათ. ფული რომ არ გჭირდებოდეთ და იმაზე მეტი ფული გქონდეთ, რის დახარჯვასაც მთელს სიცოცხლეში შეძლებთ, რას გააკეთებდით? ალბათ, რაიმე სხვას გააკეთებდი და არა იმას, რასაც ახლა აკეთებ. როგორც უკვე ვახსენე, სტატისტიკიდან ვიცი, რომ სულ მცირე ამერიკელების 70 % კითხვაზე: „მოსწონთ თუ არა თავიანთი სამსახური?“ ამბობენ, რომ იმას არ აკეთებენ, რაც უყვართ. მინდა, გესმოდეთ, რომ ეს: ქონებისადმი ლტოლვა, წნეხით იმუშაო და მუდმივი დარდი ხვალინდელ დღეზე - არასდროს ყოფილა ღვთის გეგმა დასაწყისში.

„შექმნა ღმერთმა კაცი თავის ხატად, ღვთის ხატად შექმნა იგი, მამაკაცად და დედაკაცად შექმნა ისინი. აკურთხა ღმერთმა ისინი და უთხრა: „ინაყოფიერეთ და იმრავლეთ, აავსეთ ქვეყანა და იუფლეთ მასზე; იბატონეთ ზღვაში თევზებზე, ცაში ფრინველებზე და ყოველ ცოცხალ არსებაზე, რაც კი მიწაზე იძვრის“.

თქვა ღმერთმა: „აჰა, მოგეცით საჭმელად ყოველი ბალახი თესლის მთესველი და ნაყოფიერი ხე, რაც დედამიწის ზურგზეა“. მიწის ყველა ცხოველს, ცის ყველა ფრინველს და ყველა ქვეწარმავალს დედამიწაზე, რასაც სიცოცხლის სუნთქვა აქვს, მცენარეები მივეცი საჭმელად“. და იქმნა ასე.

იხილა ღმერთმა ყოველივე, რაც შექმნა და აჰა, კარგი იყო ფრიად. იყო საღამო და იყო დილა - მეექვსე დღე“.

– დაბადება 1:27-31

ადამიანი შეიქმნა შექმნის მეექვსე დღეს, უფრო ზუსტად - მეექვსე დღის ბოლოს. იგი შეიქმნა მეექვსე დღის ბოლოს, რადგან ღმერთთან ერთად ეცხოვრა მეშვიდე დღეს, დღეს რომელიც დასვენების დღედაა ცნობილი.

„გასრულდა ცა და მიწა და მთელი მათი ციური ლაშქარი. დაასრულა ღმერთმა მეშვიდე დღისთვის თავისი საქმე და დაისვენა მეშვიდე დღეს ყოველი საქმისაგან, რასაც აკეთებდა. აკურთხა ღმერთმა მეშვიდე დღე და წმიდა ჰყო იგი, რადგან ამ დღეს დაისვენა მან ყოველი საქმისაგან, რასაც აკეთებდა“.

– დაბადება 2:1-3

ბიბლია ამბობს, რომ ღმერთმა დაისვენა მეშვიდე დღეს. ის დაღლილი არ ყოფილა! მან დაასრულა. ყველაფერი დასრულებული იყო. ყველაფერი, რაც ადამიანს ოდესმე დასჭირდებოდა ამ პლანეტაზე, უკვე დედამიწაზე იყო, როცა ადამიანი გამოჩნდა. მშვიდობა! ადამიანს სრული უზრუნველყოფა ჰქონდა, რაც კი ოდესმე დასჭირდებოდა. არ დარდობდა გადასახადებზე, არ დარდობდა ავადმყოფობაზე. სრულყოფილი სხეული ჰქონდა და სრულყოფილი ცოლი ჰყავდა. ერთადერთი, რაზეც უნდა ფოკუსირებულიყვნენ, იყო ერთმანეთი, ღმერთი და მათი დანიშნულება ანუ მიზანი. ადამი განაგებდა დედამიწას; ის მართავდა მას სრულად ღვთის სამეფოს ძალითა და ძალაუფლებით. მაგრამ უკვე ვიცით, როგორ დასრულდა ეს ამბავი. ადამი და ევა აჯანყდნენ უზენაესის სამეფოს წინააღმდეგ და დაკარგეს თავიანთი პოზიცია, დაკარგეს თავიანთი უზრუნველყოფა და დაკარგეს თავიანთი მიზანი. მათი მიზანი თავის გატანა გახდა. წუხილმა და შიშმა შთანთქა ახლა მათი ფიქრები ისევე, როგორც თავის გატანისთვის ბრძოლამ. როგორც დაბადების 3:17 ამბობს, იგი ტანჯვასა და ოფლის ღვრას მოითხოვდა.

ᲡᲘᲛᲓᲘᲓᲠᲔ ᲒᲕᲐᲪᲓᲣᲜᲔᲑᲡ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲝ ᲒᲐᲡᲐᲥᲪᲔᲕᲘᲗ ᲓᲐᲡᲕᲔᲜᲔᲑᲘᲡ ᲐᲓᲒᲘᲚᲖᲔ, ᲘᲛ ᲐᲓᲒᲘᲚᲖᲔ, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲨᲔᲒᲕᲘᲫᲚᲘᲐ, ᲤᲝᲙᲣᲡᲘᲠᲔᲑᲣᲚᲔᲑᲘ ᲕᲘᲧᲝᲗ ᲘᲛᲐᲖᲔ, ᲠᲘᲡᲘ ᲙᲔᲗᲘᲚᲔᲑᲐᲪ ᲛᲐᲠᲗᲚᲐ ᲒᲕᲘᲜᲓᲐ, ᲕᲘᲪᲮᲝᲕᲠᲝᲗ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲡᲐᲕᲡᲔ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲗ ᲓᲐ ᲐᲠᲐ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲒᲐᲢᲐᲜᲘᲗ.

ადამმა დაკარგა მეშვიდე დღე!

ახლა არანაირი დასვენება აღარ იყო, არანაირი მშვიდობა. ბნელმა არასრულყოფილებამ მოიცვა მისი სიცოცხლე და ადამი უნდა გაქცეულიყო, რათა ეს სიცარიელე უკან მოეტოვებინა. მას შემდეგ ადამიანი ამ არასრულყოფილ მდგომარეობაში ცხოვრობს. მაგრამ არსებობდა იმედი. როცა ადამიანი დაეცა, ღმერთმა მას სამახსოვროდ მისცა იმის სურათი, რასაც ერთ დღეს აღადგენდა თავისი შექმნის მიხედვით. ამას შაბათი ეწოდა. სიტყვა *შაბათი* სიტყვა-სიტყვით დასვენებას ნიშნავს. კვირის მეშვიდე დღე ადამიანს მიეცა, როგორც შაბათის დღე. შაბათის მთავარი მოთხოვნა, თქვენ წარმოიდგინეთ და, იყო: არ გემუშავა! არანაირი ტანჯვა და ოფლის ღვრა არ იყო დაშვებული! ეს იყო დღე, როცა ადამიანი უნდა შეჩერებულიყო, ესიამოვნა თავისი ოჯახით და თაყვანი ეცა ღვთისთვის. შაბათისთვის სრულიად უზრუნველყოფილნი უნდა ყოფილიყვნენ წინასწარ, სანამ ეს დღე დაიწყებოდა. შაბათის დღის სადილიც კი წინა ღამით უნდა მომზადებულიყო. ეს იყო დასვენების დღე სრული უზრუნველყოფით, ყველა დეტალი, რაც შეიძლებოდა საჭირო გამხდარიყო, უკვე მზად იყო. ადამიანს შეეძლო, შეჩერებულიყო და ეფიქრა რაიმე სხვაზე თავის გატანის გარდა.

შაბათის დღე უბრალოდ დღე იყო, მაგრამ ადამიანი მას შემდეგ ოცნებობს დასვენების ცხოვრებაზე. ადამიანის მიერ სიმდიდრის ძიება არის სიმპტომი მისი სურვილის, იყოს თავისუფალი ტანჯვითა და ოფლით შრომისგან, რისი პატიმარიცაა მთელი ცხოვრება. სიმდიდრე გვაცდუნებს შესაძლო გასაქცევით დასვენების ადგილზე, იმ ადგილზე, სადაც შეგვიძლია, ფოკუსირებულები ვიყოთ იმაზე, რისი კეთებაც მართლა გვინდა, ვიცხოვროთ მიზნით სავსე ცხოვრებით და არა თავის გატანით.

დღეს, შაბათის დღე, მეშვიდე დღე, რომელ დღესაც არ უნდა აღნიშნავდე შაბათს თუ კვირას, ისეთი პატივით არ აღინიშნება ჩვენს კულტურაში. დიახ, მრავალი ეკლესიის წევრი მიდის ეკლესიაში კვირა დილით. თუმცა იმდენადაა კულტურაში შერწყმული, რომ სხვა სამუშაო დღეებისგან ვერ გამოარჩევ. როცა ბავშვი ვიყავი, ყველაფერი იხურებოდა კვირას. საყიდლებზე ვერ წახვიდოდი კვირას; საწვავსაც კი ვერ ჩაასხამდი კვირას. მამაჩემი დარწმუნებული უნდა ყოფილიყო, რომ შაბათს კვირის

სამყოფ საწვავს ყიდულობდა. თუ ჩემს შესახებ ცოტა იცით, გეცოდინებათ, რომ ნადირობა მიყვარს, მაგრამ ნადირობაც კი არ შემეძლო კვირას. კვირას ნადირობა არალეგალურად ითვლებოდა. კვირაობით ადამიანები საუკეთესო სამოსს იცმევდნენ და დიდ ოჯახურ სადილებს აწყობდნენ. მაგრამ, რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი დღეს შეცვლილია. შაბათის ნამდვილი სურათი ასეთი არ იყო.

მაგრამ მნიშვნელობა არ ჰქონდა, რამდენად კარგად მოემზადებოდნენ შაბათისთვის, მნიშვნელობა არ ჰქონდა, რამდენად კარგად ჩაივლიდა ოჯახური სადილი, ორშაბათი მოდიოდა. ფრაზა „ორშაბათი მოდის!“ რაც თავი მახსოვს, სულ სიტყვა *ძრწოლასთან* ასოცირდება. „სამსახურში უნდა წავიდე“ და „ძველ წისქვილის ქვას უნდა დავუბრუნდე!“ - იყო ფრაზები, რომლებიც ორშაბათ დილას აღწერდა. თუ შეჩერდებით და ამაზე დაფიქრდებით, ეს მონობის მსგავსად ჟღერს. მაგრამ მადლობა ღმერთს! არსებობს პარასკევი! დღესაც კი უქმეები და შაბათი პატარა დასასვენებელ ადგილს სთავაზობს ადამიანთა უმრავლესობას. მაგრამ ეს მოკლე ვადიანია, ორშაბათი დილის საცობი არ იცდის.

რა იქნებოდა, თუკი მართლა არსებობს გზა იცხოვრო მარადიულ შაბათში?! როგორი საოცარი იქნებოდა, თუკი შეგეძლებოდა, გეცხოვრა: შიშის გარეშე, უზრუნველყოფით, მიზნით სავსეს, დასვენების ადგილას! მე და დრენდა ტანჯვის, შიშის, ავადმყოფობისა და დაუცველობის ცხოვრებით ვცხოვრობდით ცხრა ხანგრძლივი წლის განმავლობაში, სანამ აღმოვაჩენდით, რომ შაბათის მოსვენება იყო რეალურად გამოსავალი ჩვენი ცხოვრებისთვის. სერიოზულად ვამბობ!

> *„ესე იგი, შაბათის სიმშვიდე კვლავ რჩება ღვთის ხალხისთვის. ვინაიდან, ვინც მის სიმშვიდეში შევიდა, მანაც ისევე დაისვენა თავისი საქმეებისგან, როგორც ღმერთმა თავისისგან. მაშ, ვეცადოთ იმ სიმშვიდეში შესვლას, რათა მათ მსგავსად ურწმუნოებით არ დავეცეთ“.*
>
> – ებრაელთა 4:9-11

მეგობარო, ეს არის ახალი აღთქმა! შაბათის სიმშვიდე დღესაც ხელმისაწვდომია ღვთის ხალხისთვის. ეს მუხლი მიუთითებს,

რომ შეგვიძლია, შევიდეთ ღვთის მოსვენებაში და დავისვენოთ ჩვენი საქმეებისგან. გახსოვთ, რა ვისწავლეთ ახლახანს: ღვთის სიმშვიდე ამბობს, რომ ყველაფერი: სრულია, დასრულებულია და უზურნველყოფა უკვე ხელმისაწვდომია. არსებობს: თავისუფლება თავის გატანის მენტალობისგან, თავისუფლება სიღარიბის მონობისგან და თავისუფლება ავადმყოფობისგან. არსებობს ახალი გამოსავალი! შაბათი არ ყოფილა მხოლოდ ძველი აღთქმის ინფორმაცია, იგი ჩვენთვისაცაა დღეს. სანამ იფიქრებთ რომ ძველი აღთქმის კანონებისა და რიტუალების ქვეშ ცხოვრებაზე ვლაპარაკობ? ასე არაა? ამის ნაცვლად, მინდა გამოვიკვლიო შაბათის სიმშვიდე, რაზეც ებრაელთა წერილი საუბრობს. რადგან, როგორც მე და დრენდამ აღმოვაჩინეთ, აქ ძალიან მნიშვნელოვანი გასაღებია ღვთის სამეფოს ფუნქციონირების შესახებ და ჩვენს ცხოვრებაში უზრუნველყოფის შესახებ, როგორც ღმერთმა განიზრახა.

როგორი საოცარი იქნებოდა, თუკი შეგეძლებოდა გეცხოვრა: შიშის გარეშე, უზურნველყოფით, მიზნით სავსეს, დასვენების ადგილას!

შოკისმომგვრელი სიახლე: შაბათი ერთი დღე აღარაა!

იმედი მაქვს, ამ წინადადებამ თქვენი ყურადღება მიიპყრო! ქრისტეს სხეულში დიდი განხილვა იყო იმაზე, თუ როგორ უნდა აღინიშნებოდეს შაბათი: შაბათ დღეს, კვირას თუ პარასკევი მზის ჩასვლიდან შაბათს მზის ჩასვლამდე. მთელი დენომინაციები ჩამოყალიბდა იმის თაობაზე, თუ ვინ როგორ განმარტავს შაბათს? სანამ ამ წიგნს ოთახის კუთხეში მოისვრით და ზიზღით იფიქრებთ, რომ ერეტიკოსი ვარ, გთხოვთ, კიდევ ერთი წუთით ამიტანეთ და კოლასელთა 2:16-17-ს შეხედეთ!

> *„ამიტომ ნურავინ განგსჯით თქვენ საჭმლისა თუ სასმლისთვის, ან რაიმე დღესასწაულისთვის, ანდა ახალმთვარობისა და შაბათებისთვის. ეს მომავლის ჩრდილია, სხეული კი ქრისტესია“.*
>
> – კოლასელთა 2:16-17

ყურადღება მიაქციეთ თუ რას ამბობს პავლე?! შაბათის დღე იმის ჩრდილი იყო, რაც მომავალში უნდა ყოფილიყო; თუმცა, რეალობა ქრისტეშია. შაბათის დღე ჩრდილი იყო, ეს არ ყოფილა ნამდვილი. თუ ქრისტეა ნამდვილი მაშინ შაბათი იყო იმის ჩრდილი, თუ ვინაა იგი და რა გააკეთა? ნება მომეცით, ასე ვთქვა: შაბათის დღეს არ აქვს ძალაუფლება, წაიღოს ან შეცვალოს დედამიწის ტაჯვისა და ოფლის წყევლის სისტემა, რომელიც ადამმა მოიტანა მიწიერ სამეფოზე. თუ შენ თავად ამ დღეს სცემ რელიგიურად პატივს, მას არანაირი ძალაუფლება არ აქვს შენს განსათავისუფლებლად. მაგრამ ესაა ჩრდილი, სურათი იმისა, რასაც ქრისტეში ჰპოვებ.

როცა პირველ კლასში ვიყავი, მასწავლებელმა ყველა ჩვენგანის თავის სილუეტი მოხაზა პროფილში. იგი პროჟექტორის წინ გვსვავდა და ჩვენი თავის ჩრდილს თეთრ ფურცელზე გამოსახავდა. შემდეგ იგი ჩრდილს კონტურს შემოავლებდა და ჩვენს სილუეტებს ქმნიდა, რომლებიც ჩვენ ამოვჭერით და დედებს წავუღეთ სახლში დედის დღისთვის. ჩრდილი ჩემი მსგავსი იყო, მაგრამ ის არ ასახავდა ჩემს რაობას, ჩემს ხასიათს თუ პიროვნულობას. ამის მიუხედავად, ის რაღაც ინფორმაციას აძლევდა ჩემს შესახებ.

შაბათიც იგივეს აკეთებდა. მისი ჩრდილი ამბობდა, რომ არ უნდა გემუშავა, არანაირი ტანჯვა და ოფლი არ უნდა ყოფილიყო. ეს მხოლოდ ჩრდილი იყო და არა რეალური, მაგრამ იგი იესო ქრისტეზე მიუთითებდა, მასზე, ვინც რეალურად განგვათავისუფლა რჯულისა და დედამიწის წყევლის სისტემისგან და ხელახლა დაგვაფუძნა როგორც ღვთის ძეები და ასულები და ღვთის დიდებული სამეფოს მოქალაქენი! კვლავ ვიტყვი, ეს იყო სურათი იმისა, თუ რას დააბრუნებდა იესო ერთ დღეს. ეს არის დასრულებული სამუშაო, სადაც ყველაფერი, რაც გვჭირდება ცხოვრებისთვის, უკვე აღდგა ჩვენთვის. თუმცა, როგორც ებრაელთა მიმართ წერილი ამბობს, ჩვენ რწმენით შევდივართ ამ სიმშვიდეში. გახსოვდეთ, რწმენაა საჭირო, რათა ზეცისთვის კანონიერი იყოს მმართველობის ქონა აქ, მიწიერ სამეფოზე! ჯვარზე იესომ შეჰღაღადა: „აღსრულდა!“ ისევე როგორც ღმერთმა თქვა, რომ დასრულდა მეექვსე დღეს.

დღეს შაბათი ადამიანთა უმრავლესობისთვის რელიგიური დღეა. ხალხი მას უდგება, როგორც ღვთის დღეს, დღეს როცა

გვმართებს უფლისადმი, რომ წავიდეთ ეკლესიაში, სხვადასხვა რამ ვაკეთოთ მისთვის, რელიგიური საქმეები ვაკეთოთ. იესოს უნდა შეესწორებინა იმ მოწაფეებისთვის, ვისაც მსგავსი აზროვნება ჰქონდათ.

> *„შაბათი ადამიანისთვის არის შექმნილი და არა ადამიანი შაბათისთვის“.*
>
> – მარკოზი 2:27

შაბათი იყო ადამიანისთვის შექმნილი და არა ადამიანი შაბათისთვის. ბევრ ადამიანს იცნობთ, ვინც თავს დამნაშავედ გრძნობს ეკლესიის გაცდენისთვის? რატომ გრძნობენ თავს დამნაშავედ ეკლესიის გაცდენისთვის, როცა თავად არიან ეკლესია? არ ვამბობ, რომ ერთად არ უნდა შევიკრიბოთ თაყვანსაცემად, მაგრამ აზროვნება მიუთითებს, რომ ისინი არასწორად აღიქვამენ შაბათს.

ვიცი, შეიძლება ისევ დაბნეული ხართ, ამიტომ ნება მომეცით, ცოტა მეტად ჩავუღრმავდე და შევხედო: რა თქვა იესომ იოანეს მე-11 თავში?

> *„როცა მივიდა იესო, ნახა რომ უკვე ოთხი დღეა, რაც სამარხში ასვენია. ბეთანია ახლოს იყო იერუსალიმთან, თხუთმეტი სტადიონის მანძილზე. ბევრი იუდეველთაგანი მივიდა მართასთან და მარიამთან, რომ ძმის გამო ენუგეშებინათ ისინი. მართამ რომ გაიგო, იესო მოდისო, წინ შეეგება. მარიამი კი შინ დარჩა.*
>
> *უთხრა მართამ იესოს: „უფალო, აქ რომ ყოფილიყავი, ჩემი ძმა არ მოკვდებოდა. თუმცა, ახლაც ვიცი, რასაც სთხოვ ღმერთს, მოგცემს ღმერთი.“*
>
> *იესომ უთხრა: „აღდგება შენი ძმა.“*
>
> *მართამ უთხრა: „ვიცი რომ აღდგება აღდგომისას, უკანასკნელ დღეს.“*
>
> *იესომ უთხრა: „მე ვარ აღდგომა და სიცოცხლე! ჩემი მორწმუნე, კიდეც რომ მოკვდეს, იცოცხლებს! ყველა ვინც ცოცხლობს ჩემში და სწამს ჩემი, უკუნისამდე არ მოკვდება. გწამს ეს?“*

უთხრა: „დიახ, უფალო, მწამს რომ შენ ხარ ქრისტე, ძე ღვთისა, რომელიც მოდის წუთისოფელში“.

– იოანე 11:17-27

იესომ თქვა, რომ ის იყო აღდგომა; ეს არ იყო მხოლოდ ერთი დღე. შაბათის დღე იყო და არის იმის აჩრდილი, რაც იესომ ჩვენთვის ჯვარზე გააკეთა. იესო არის ჭეშმარიტი შაბათი და მასში ვპოულობთ წვდომას ღვთის სამეფოზე და იმ ყველაფერზე, რაც მას აქვს. ამრიგად, ჩვენ შეგვიძლია დავისვენოთ!

ასე რომ, მოდი, ახლა დავუბრუნდეთ ჩვენს ახალი აღთქმის მუხლს ებრაელთა მიმართ წერილიდან.

„ესე იგი, შაბათის სიმშვიდე კვლავ რჩება ღვთის ხალხისთვის. ვინაიდან, ვინც მის სიმშვიდეში შევიდა, მანაც ისევე დაისვენა თავისი საქმეებისგან, როგორც ღმერთმა თავისისგან. მაშ, ვეცადოთ იმ სიმშვიდეში შესვლას, რათა მათ მსგავსად ურწმუნოებით არ დავეცეთ“.

– ებრაელთა 4:9-11

შაბათის დღის აჩრდილი ამბობს, რომ აკრძალულია შენთვის ტანჯვა და ოფლის ღვრა შენი საჭიროებებისთვის შაბათ დღეს, მაგრამ ეს მხოლოდ თვალის შევლება იყო იმაზე, რაც იესომ გააკეთა. რაც გვათავისუფლებდა დედამიწის წყევლის სისტემისგან, რომელიც თავის გატანისთვის ტანჯვასა და ოფლის ღვრას მოიცავს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, რასაც ის გამოსახავდა, რეალობა გახდა ქრისტეში. რეალურად, პირველი უწყება, რაც იესოს ოდესმე უქადაგია შაბათის დღეზე იყო გათვლილი. ესაიას 61-ე თავში მისი პირველი მსახურების სიტყვებს ვპოულობთ, რომლებიც მან ლუკას მე-4 თავში იქადაგა.

„უფლის სულია ჩემზე, რადგან მცხო უფალმა გლახაკთა სახარებლად“.

– ესაია 61:1

იმის თქმით, რომ არსებობდა გამოსავალი სიღარიბიდან, მან თქვა, რომ არსებობდა გამოსავალი დედამიწის ტანჯვისა და ოფლის წყევლის სისტემისგან. სწორედ უზრუნველყოფის ძიების მონობამ დაატყვევა ადამიანი და მოსვენება დააკარგვინა მას. მაგრამ შაბათის დღე არ ყოფილა ერთადერთი სურათი, რაც ღმერთმა თავის ხალხს მისცა იმის შესახებ, თუ რა უნდა აღმდგარიყო ერთ დღეს?! არსებობდა შაბათის წელიც!

> *„ყოველი მეშვიდე წლის მიწურულს გამოაცხადე პატიება. აი, პატიების რაობა: აპატიოს გამსესხებელმა, ვისაც უსესხებია თავისი მოყვასისთვის და ნუ მოსთხოვს თავის მოყვასს ან ძმას, რადგან პატიება ცხადდება უფლის სახელით! უცხოელს მოსთხოვე, მაგრამ თუ შენს ძმას მართებს შენი - აპატიე!*
>
> *თუმცა არავინ იქნება შენს შორის ღარიბი, რადგან ფრიად გაკურთხებს უფალი იმ ქვეყანაში, რომელსაც უფალი, შენი ღმერთი, გაძლევს დასამკვიდრებლად! ოღონდ თუ შეისმენ უფლის, შენი ღვთის ხმას, რათა შეასრულო ყველა ის მცნება, რომელსაც გიბრძანებ დღეს. რადგან გაკურთხებს უფალი, შენი ღმერთი, როგორც აღგითქვა და ასესხებ მრავალ ხალხს, თვითონ კი არ ისესხებ, იბატონებ მრავალ ხალხზე, შენზე კი არავინ იბატონებს!“*
>
> – მეორე რჯული 15:1-6

ყურადღება მიაქციეთ, რომ მათ უნდა გაეუქმებინათ ყველა ვალი ყოველ მეშვიდე წელს. კვლავ ვხედავთ, თუ როგორ იყენებს ღმერთი ციფრ შვიდს იმის საჩვენებლად, რომ ყველაფერი სრულია. ნაკლი არ აქვს! მან უზრუნველყო ყველაფერი რაც ადამიანს დასჭირდებოდა. თუმცა, თუ ვინმე კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენებდა მის სიბრძნეს ვალების პატიების შესახებ მოთხოვნის გამო, მან დაამატა: **„თუმცა არავინ იქნება შენს შორის ღარიბი, რადგან ფრიად გაკურთხებს უფალი იმ ქვეყანაში, რომელსაც უფალი, შენი ღმერთი, გაძლევს დასამკვიდრებლად!“** მან გააგრძელა იმის თქმით, რომ ისინი ისეთი კურთხეულები უნდა ყოფილიყვნენ, რომ გამსესხებელნი ყოფილიყვნენ და არა მსესხებელნი. კვლავ ვხედავთ აქ, რომ დედამიწის ტანჯვისა და ოფლის წყევლის სისტემა გაუქმებული და ანულირებული იყო

ახალი სიცოცხლის რჯულით, რომელმაც აგვამაღლა ცოდვისა და სიკვდილის რჯულის წყევლაზე მაღლა.

როგორც შაბათის დღეს, მათ მთელი წლის განმავლობაში არ უნდა ეტანჯათ და ეღვარათ ოფლი; ამრიგად, არ ჰქონდათ უფლება, დაეთესათ თესლი! მაგრამ რაღაცები უფრო შრომატევადი ხდებოდა. მათ არა მხოლოდ უნდა ეპატიებინათ ყველასთვის ვალი, არც უნდა დაეთესათ რაიმე. ამ მომენტში ვიღაცამ შეიძლება თქვას: „კარგი, შემიძლია, თავი გავიტანო იმით, რაც მაცივარში მაქვს ერთი დღე, მაგრამ მთელი წელი თავი გაიტანო მუშაობის გარეშე, ცოტათი რთულია?!“

აქაც კვლავ ჩრდილი გვეუბნება, რომ ვაპატიოთ ვალები. მან უთხრა, რომ მათ ვალი არ უნდა გამოეყენებინათ, რადგან გამსესხებელნი უნდა ყოფილიყვნენ და არა მსესხებელნი. ვალი არის არასაკმარისობის სისტემაზე დაფუძნებული, მაგრამ ღმერთი აპირებს, რომ სრულად უზრუნველყოს ისინი, რათა ვალი აღარ გახდეს საჭირო. ეს ჩრდილი ამბობს: „შენ არ უნდა დათესო თესლი!“ რითიც მიუთითებს ცხოვრების ახალ გზაზე დედამიწის წყევლის სისტემის მიღმა. ახლა, ეს ყველაფერი იესო ქრისტეშია ნაპოვნი.

მაგრამ, მოიცადეთ, აქ მეტია - უდიდესი სურათი, რასაც ღვთის ხალხისთვის უნდა ეჩვენებინა, თუ რა მოდიოდა?! მას საიუბილეო წელი ეწოდებოდა.

თავი 7

ეს შეუძლებელია!

ახლა, რაც უნდა წაიკითხოთ, გასაოცარია! არა, ნება მომეცით, სხვანაირად ვთქვა! რეალურად იფიქრებ, რომ ეს სრულიად შეუძლებელია! მე საიუბილეო წელზე ვლაპარაკობ, ეს არის ძველ აღთქმაში დახატული უდიდესი სურათი იმისა, თუ რისი გაკეთება სურს იესოს შენს ფინანსებთან დაკავშირებით, თუმცა ცოტა ადამიანმა იცის ან ესმის რაზეა საუბარი. უკვე ვისაუბრეთ შაბათის დღეზე და შაბათის წელზე, რომელთაგან ორივე იმის აჩრდილია, რაც ქრისტეში გვაქვს, თუმცა ახლა ყველაზე დიდ დღესასწაულს, საიუბილეო წელს მივადექით.

მხოლოდ სახელიც კი ისე ჟღერს, როგორც რაღაც საზეიმო, ასე არაა? თუმცა ფინანსების სფეროში ადამიანთა უმრავლესობას და როცა ვამბობ უმრავლესობას, სამწუხაროდ, ეს ქრისტიანთა უმრავლესობასაც ნიშნავს, ბევრი არაფერი აქვთ აღსანიშნი. როგორც გაგიზიარეთ, უკვე 36 წელია, რაც ფინანსების სფეროში ვარ აქტიურად ჩართული. ამ დროის განმავლობაში რამდენიმე კომპანია მქონია და ამავდროულად ათობით თუ არა ასობით ათას ადამიანთან მიშრომია მათ პირად ფინანსებთან დაკავშირებით. ამრიგად, ვიცი, რაც ხდება გარშემო და ვიცი, რაც დგას ძირითადად ამ ბრწყინვალე ახალი მანქანის ან კარგი დიდი სახლის უკან. ეს, ძირითადად დიდი ვალი და სტრესია. მე არ ვამბობ, რომ კარგი მანქანა ან დიდი სახლი არ უნდა გვქონდეს. დღეს უბრალოდ ძვირი ჯდება კარგად ცხოვრება.

დედამიწის წყევლის სისტემა თავის გატანის სისტემაა, რაც, როგორც წესი, ადამიანების განთავისუფლებისთვის ნამდვილად არ გამოდგება. მენდეთ, მთელი იმ ათასობით ადამიანისგან, ვისაც შევხვედრივარ, უმრავლესობა ცუდი ხალხი არ იყო.

ისინი, რაც კი შეეძლოთ, ყველაფერს აკეთებდნენ, მაგრამ არ იცოდენენ ღვთის სამეფოს შესახებ, არც იმაზე, რასაც ამ წიგნში გიზიარებთ. რა თქმა უნდა, იცით რომ მე და დრენდა ფინანსურად სტრესული ცხოვრებით ვცხოვრობდით ცხრა ხანგრძლივი და რთული წლის განმავლობაში, სანამ შაბათის სიმშვიდის შესახებ გავიგებდით. ამდენ ხანს ასე ცხოვრების შემდეგ ვეღარ აანალიზებ, რამხელა დისფუნქციას ეგუები და ფიქრობ, რომ ეს ყველაფერი ნორმალურია.

რამდენიმე წლის წინ, ღმერთმა დაიწყო ზრუნვა ჩემს შეზღუდულ აზროვნებაზე და ნება მომცა, მცოდნოდა, რომ უნდა მესიამოვნა იუბილეთი, წვეულებით, მაგრამ ასე არ ვიქცეოდი. დიახ, ვალებისგან თავისუფალი ვიყავი! დიახ, ბევრი საოცარი რამ ვნახე! და დიახ, ბედნიერი და სრული ვიყავი! მაგრამ მე შევწყვიტე ოცნება და ღმერთმა ეს იცოდა, მას უნდოდა, კვლავ გავმართულიყავი, გამეგრძელებინა შექმნა და ოცნება. ცოტა ძალადაკარგული გავხდი, ბედნიერი, მაგრამ ძალადაკარგული.

როგორც ვთქვი, ფინანსური მომსახურების კომპანიას ვფლობ და ყოველწლიურად ერთი ჩემი მომწოდებელი მეპატიჟებოდა წინა წლის წარმატების აღსანიშნავ ღონისძიებაზე. დაახლოებით, 250 ადამიანი ესწრებოდა ტოპ პარტნიორებისა და აღმასრულებელი დირექტორებისგან. ეს იყო ყველა ხარჯდაფარული მოგზაურობა, რომელიმე საოცარ ადგილას, მაგრამ ტოპ რამდენიმესთვის განსაკუთრებული აღიარება და ბონუსის ჩეკიც იყო. რადგან დიდი ეკლესიის მწყემსობით, ტელეგადაცემით და კომპანიის მართვით ვიყავი დაკავებული, ყოველთვის ვთვლიდი, რომ დრო არ მქონდა მაღალი აღიარების დონის მისაღწევი პროდუქციის შექმნისთვის.

თუმცა ერთ კონკრეტულ წელს, როცა შეხვედრაზე ვიჯექი და ვუყურებდი, როგორ აღიარეს ტოპ 10 პარტნიორი და მისცეს 100 000 $-იანი ბონუსის ჩეკი, მემხილა. ვიფიქრე: „მოიცადეთ! მეც სცენაზე უნდა ვიყო აღიარებული, მე ღვთის შვილი ვარ და სულიწმიდაა ჩემი მრჩეველი, მეც იქ უნდა ვიყო და ღვთის სიკეთეზე ვუმოწმებდე და ვუზიარებდე!“ ამრიგად, მე და დრენდამ ჩვენი გონება იქით მოვმართეთ, რომ მომავალ წელს სცენაზე უნდა ვყოფილიყავით. როგორ? წარმოდგენა არ გვქონდა!

გასული 10 წლის განმავლობაში, ამ ერთი კომპანიით წელიწადში 3-დან 4 მილიონ დოლარამდე გამოვიმუშავებდი, მაგრამ ტოპ ათეულის მისაღწევად საჭირო პროდუქციის რაოდენობა 11 მილიონ დოლარს აღწევდა. წარმოდგენა არ მქონდა, როგორ ვაპირებდი ამ დონისთვის მიღწევას და არც იმაში ვიყავი დარწმუნებული, რომ ეს შესაძლო იყო ჩემი განრიგით. თუმცა, ერთი, რაც ვისწავლე, ის იყო, რომ ამას ჩემი ძალით ვერ გავაკეთებდი. ამრიგად, მე და დრენდამ ვილოცეთ და მიზანი დავისახეთ, დავთესეთ ფინანსური თესლი, გამოვათავისუფლეთ ჩვენი რწმენა და მას აღსრულებული ვუწოდეთ.

გრძელი ამბავი რომ შევამოკლო, მეორე წლის იანვარში, როცა ახალი წელი ჯერ ახლა იწყებოდა, ღმერთმა სიზმარში მაჩვენა, თუ როგორ მიმეღწია ჩემი მიზნისთვის. მან მაჩვენა ზუსტად, რისი გაკეთება მჭირდებოდა; და როცა იმას გავაკეთებდი, რაც მან მაჩვენა, მივაღწევდი კიდეც. იცით რომ ეს 11 მილიონ დოლარიანი გეგმა მხოლოდ ერთი გაყიდვით შევასრულეთ! როგორი ამაღელვებელი იყო სცენაზე დგომა მომდევნო ყრილობაზე ტოპ 10-ს შორის კომპანიაში და 100 000 $-იანი ბონუსის მიღება. გინდათ, იცოდეთ, რა გასაოცარი განცდაა?! ეს უბრალოდ უზარმაზარი ზეიმი იყო. არა მხოლოდ მიზანს მივაღწიეთ და ბონუსი მივიღეთ, ჩვენი შემოსავალიც ასობით ათასი დოლარით გაიზარდა იმ წელს. ეს ჩემთვის ზეიმია!

ვეღარ აანალიზებ რამხელა დისფუნქციას ეგუები და ფიქრობ რომ ნორმალურია.

ამრიგად, როცა ძველი აღთქმის რომელიმე დღესასწაულზე ვიწყებ საუბარს, მაგალითად საიუბილეო წელზე, თავს ნუ გააქნევ და იფიქრებ, რომ ეს მოსაბეზრებელია, რადგან ასე არაა! გახსოვდეთ, ცხოვრება უკეთესია ზეიმით, ამიტომ მოდი, შევხედოთ ისრაელის უდიდეს დღესასწაულს, ზეიმს და ვისწავლოთ როგორ გვქონდეს იგივე.

საიუბილეო წელი

„გადათვალე შაბათის შვიდი წელი, შვიდჯერ შვიდი წელი და იყოს შენთვის დრო ამ შვიდი საშაბათო წლებისა ორმოცდაცხრა წელი! დაჰკარი ბუკს მეშვიდე თვეში და აუწყე

თვის მეათე დღეს; აუწყეთ ბუკით გამოსყიდვის დღე მთელ თქვენს მიწაზე!

წმიდა ჰყავით ორმოცდამეათე წელი და გამოაცხადეთ თავისუფლება მთელს ქვეყანაში ყველა მისი მცხოვრებისთვის; საზეიმო იყოს იგი თქვენთვის; დაუბრუნდით თითოეული თავის სამფლობელოს, თითოეული თავის ოჯახს დაუბრუნდით! საზეიმო იყოს თქვენთვის ორმოცდამეათე წელი: არ თესოთ და არც თავისით აღმოცენებული არ მოაგროვოთ, არც ყურძენი დაკრიფოთ გაუსხლავი ვაზიდან! რადგან ზეიმია ეს; წმიდა იყოს ის თქვენთვის: ველიდან ჭამდეთ მის მოსავალს. თითოეული თავის სამკვიდროს დაუბრუნდით ამ საზეიმო წელს!“

– ლევიანთა 25:8-13

საიუბილეო წელზე საუბრის დაწყებისას, ნება მომეცით, გარკვეული საფუძველი ჩავუყარო ამ საკითხს, რაც, ალბათ, უკვე შეამჩნიეთ! საიუბილეო წელი ყოველ 50-ე წელს იყო და ზუსტად შაბათის წლის, 49-ე წლის შემდეგ მოდიოდა. ვფიქრობ, უკვე ხედავთ უზარმაზარ პრობლემას, ასე არაა? შაბათის წლის განმავლობაში ისრაელიანებს თესლის დათესვის უფლება არ ჰქონდათ. საიუბილეო წელსაც, რომელიც ამ წელს მოჰყვებოდა, იგივე მოთხოვნა ჰქონდა, რომ არ უნდა დაეთესათ. ანუ რეალურად, ისრაელს ორი წლის განმავლობაში არ უნდა აეღო მოსავალი მიყოლებით და შემდეგ მესამე წელს უნდა დალოდებოდა, რომ თესლი მომწიფებულიყო და აეღოთ, სანამ კვლავ შეივსებდნენ საკვების მარაგს. ეს სერიოზული პრობლემა შეიძლებოდა ყოფილიყო ნებისმიერისთვის, ვისაც კარგად ჭამა უყვარდა ან ვისი შემოსავალიც მარცვლეულის გაყიდვა იყო. შეგიძლიათ, წარმოიდგინოთ, რამხელა დაბნეულობას გამოიწვევდა ის ინსტრუქციები, რაც მოსემ საიუბილეო წელთან დაკავშირებით წარადგინა? რა თქმა უნდა, აზრი სამი წლით დასვენების შესახებ კარგია, მაგრამ ვიღაცას უნდა გადაეხადა ამისთვის. პირველი, რაც მოსეს ჰკითხეს როცა ამის შესახებ გაიგეს, იყო: „ეს როგორაა შესაძლებელი?“

„თუ იკითხავთ: რა ვჭამოთ მეშვიდე წელს, როდესაც არც დავთესავთ და არც მოსავალს ავიღებთო? ვბრძანებ ჩემს

კურთხევას თქვენზე მეექვსე წელს და იგი მოიყვანს სამი წლის მოსავალს. დათესავთ მერვე წელს, მაგრამ მეცხრე წლამდე ძველი მოსავლიდან შეჭამთ: ვიდრე მოიწევა მისი მოსავალი, ძველი ჭამეთ!“

– ლევიანთა 25:20-22

ღმერთმა მათ საოცარი პასუხით უპასუხა, რის აღმოჩენაშიც დიდ დროს გავატარებთ წიგნის დარჩენილ ნაწილში. მან თქვა, რომ ის ისეთი კურთხევის გამოგზავნას აპირებდა მეექვსე წელს, რომ სამი წლისთვის საკმარისად ინაყოფიერებდა, სანამ ახალ მოსავალს არ აიღებდნენ საიუბილეო წლის შემდეგ. აქ შექმნის დღეებთანაა პარალელი გავლებული. ბიბლია ამბობს, რომ ღმერთმა დაასრულა შექმნის მეექვსე დღეს და დაისვენა. მიუხედავად იმისა, რომ მან დაისვენა, იგი დაღლილი არ ყოფილა. არამედ მან დაასრულა. ყველაფერი, რაც ადამიანს სჭირდებოდა შექმნილი და მისთვის ხელმისაწვდომი იყო.

ღმერთი ახლა ისრაელს საკმარისზე მეტის სურათს აჩვენებდა, რაც დედამიწის წყევლის სისტემის ტანჯვის და ოფლის აბსოლიტურ კონტრასტს გვაძლევს. მას სურდა, ხალხს იგი დაენახა, როგორც მათი უზრუნველმყოფი და გაეგოთ, რომ იგი ყოვლისშემძლე უზრუნველყოფით უზრუნველყოფს მათ. კვლავ ვიტყვი, მიუხედავად იმისა რომ ეს მათთვის ღვთის უზრუნველყოფის სურათი იყო მათ პერიოდში, იესოს მოსვლამდე ვერ ვხედავდით რას გვაჩვენებდა ეს ჩრდილი?! ბუნებრივი გზით უბრალოდ შეუძლებელი იყო სამი წელი თავის გატანა თესლის დათესვის გარეშე. იგივენაირად, რეალურად დედამიწის წყევლის სიტემაში მცხოვრებთათვის შეუძლებელი იქნებოდა ფინანსურად გამარჯვებული ყოფილიყავი დღის და ღამის ოფლში გატარების გარეშე. უბრალოდ ვერ ირბენ საკმარისად სწრაფად, რომ ეს შეძლო. სცადეთ სამი წელი თავის დანებება თქვენი ამჟამინდელი სამსახურისთვის, სადაც საოცარი მოვალეობები გაქვთ და ბანკროპტის რეცეპტი გარანტირებული გაქვთ. მაგრამ ღმერთი ცდილობს მათ ახალი გზის სურათი აჩვენოს, სადაც ის უზრუნველყოფს თავის ხალხს, ისევე, როგორც ადამი იყო უზრუნველყოფილი იმ ყველაფრით, რაც ღმერთმა მისთვის გაამზადა შექმნის დროს.

კიდევ ორი რამ არის, რასაც საიუბილეო წელი გვაჩვენებს და რისი დანახვაც გვჭირდება. ვხედავთ, რომ მიწა ისვენებს,

არანაირი ტანჯვა და ოფლის ღვრა არაა ორმოცდამეათე წელს. ასევე შეამჩნევთ, რომ ყველა მიწა უნდა დაბრუნებოდა თავის საწყის მფლობელს. როცა ისრაელმა იორდანეს მდინარე გადალახა, ყველა ტომსა და ოჯახს მიეცა მიწა, რომლითაც უნდა მიეღოთ საკვები და ის შემოსავალი, რაც თავის გასატანად სჭირდებოდათ. რეალურად, მიწა იყო მათი სიმდიდრე. მასზე ზრდიდნენ მარცვლეულსაც და პირუტყვსაც. ამრიგად, მთელი მიწის საწყისი მეპატრონისთვის დაბრუნება წარმატების შესაძლებლობის დაბრუნება იყო.

კვლავ ვიმეორებ, ეს იმის ჩრდილია, რაც იესომ ჩვენთვის გააკეთა. ჩრდილი ამბობს, რომ კეთილდღეობა უნდა დაბრუნებოდა ისრაელის ერის მოქალაქეებს. რეალობაც იგივეს გვეუბნება, რომ ჩვენი წარმატებაც დაგვიბრუნდა, რომ ღვთის სამეფოს მემკვიდრეობა კვლავ ჩვენია.

მას შემდეგ, რაც გაიგებ, რას გაჩვენებს რეალურად შაბათი, უზარმაზარი ცვლილებები შეიძლება მოხდეს შენს ფინანსურ ცხოვრებაში.

მესამე რაღაცაა, რასაც საიუბილეო წელი გვაჩვენებს და ესაა ის, რომ ყველა მონა უნდა განთავისუფლებულიყო და თავიანთ ოჯახებს დაბრუნებოდა. ეს უზარმაზარი რამაა. კვლავ ვიტყვი, აჩრდილი ამბობს, რომ შენ აღარ ხარ მონა, არამედ ძე და ასული. რეალობა ქრისტეში ამბობს, რომ შენ აღარ ხარ მონა, არამედ ძე და ასული ღვთის სახლში, რომელსაც სრული უფლება აქვს სახლის მემკვიდრეობასა და კეთილდღეობაზე.

ამრიგად, დაფიქრდით იმაზე, რაც ახლა გაიგეთ! იესომ დაგვიბრუნა ის, რაც ადამმა დაკარგა. იესომ განგვათავისუფლა მონობისგან, ღვთის ძეები და ასულები გაგვხადა. მან განგვათავისუფლა დედამიწის ტანჯვის და ოფლის წყევლის სისტემისგან, ნება მისცა ღმერთს, ეკურთხებინა ჩვენს ხელთა ნამოქმედარი გასაოცრად. მიუხედავად იმისა, რომ იესომ ამ ყველაფრისთვის გადაიხადა, უნდა ვიცოდეთ, როგორ მივაკუთვნოთ ეს უპირატესობები ჩვენს რეალურ ცხოვრებას აქ, მიწიერ სამეფოზე. ესაა, რასაც ბევრი, ბევრი ქრისტიანი უშვებს ხელიდან. არ იციან, რომ სამეფო კანონებით მოქმედებს, არ იციან თავიანთი კანონიერი უფლებები: როგორც ძეებმა, ასულებმა და მოქალაქეებმა, სწამთ, რომ ღმერთი ხელოვნურად ირჩევს

ვინ სურს, რომ აკურთხოს და ვინ არა. ამრიგად, ისინი არ სწავ-ლობენ სამეფოს კანონებს, რის ხელშიცაა იმ ყველაფრით სია-მოვნების მიღების და გამოყენების გასაღები, რაზეც ბიბლია ამბობს, რომ მათია. გეუბნებით, მას შემდეგ, რაც გაიგებ, რას გვაჩვენებს რეალურად შაბათი, უზარმაზარი ცვლილებები შეიძ-ლება მოხდეს შენს ფინანსურ ცხოვრებაში.

ერთმა ადამიანმა ჩემს ეკლესიაში დაიწყო ჩემი სწავლების მოსმენა რწმენაზე და იმაზე, თუ როგორ მოქმედებს ღვთის სამეფო. მისი ოჯახი და შვილები ერთად, ოჯახურად სწავლობდნენ ამ კანონებს. ახალი წელი რომ მოახლოვდა, გადაწყვიტეს, რომ გაავარჯიშებდნენ თავიანთ კანონიერ უფლებებს და ირწმუნეს, რომ სრულად დაფარავდნენ ორი იჯარაში ჩადებული საკუთრების ღირებულებას, რომელიც იმ წელს შეიძინეს. თუ სწორად მახსოვს, ორივე სახლის გამოსასყიდად სულ 400,000 $ იყო საჭირო. ამრიგად, მათ ილოცეს და დათესეს საყურადღებო ფინანსური თესლი ამ მიზნისთვის, რომ იმ წელს ორივე სახლი გამოესყიდათ. ეს მათთვის უზარმაზარი გაწელვა იყო, მაგრამ ეს კაცი ისეთ სფეროში მუშაობდა, სადაც არსებობდა შესაძლებლობა, ეპოვნა საკმარისი კლიენტები და/ან მსხვილი კლიენტების კონტრაქტები, რომელთაც ასეთი შესაძლებლობის დაფინანსება შეეძლებოდათ. მთელმა ოჯახმა ერთად ილოცა და დაეთანხმა, რომ ასე მოხდებოდა. ყოველ კვირას ოჯახი გადახედავდა მათ მიზანს და წმიდა წერილის მუხლებს, რამაც მათ კანონიერი საფუძველი მისცა, რაზე დგომითაც ასეთ ნაყოფებს ელოდნენ. რა თქმა უნდა, ამ მამაკაცმა იცოდა, რომ მას თავისი წილი უნდა შეესრულებინა.

წელი გადიოდა და საკმაო დარწმუნებით რამდენიმე დიდი კონტრაქტი რეალური შესაძლებლობა გახდა, მაგრამ მულტი მილიონიანი საქმეები დიდ კორპორაციებში სწრაფად ვერ აღწევენ მიზანს. დაახლოებით ნახევარი წელი იყო გასული, როცა ამ კაცმა ხელში ჩაიგდო დიდი ფასდაკლება მისი კომპანიისთვის, იმდენად დიდი, რომ დაახლოებით მისი კომპანიის მთელი წლის პროდუქციის 40 %-ს ითვლიდა. ამ საქმის ჩეკით შეეძლო, მისი ერთ-ერთი საიჯარო ფართის ღირებულება დაეფარა. წლის ბოლოსკენ კიდევ ერთმა კორპორაციამ მიუთითა, რომ ისინი ნამდვილად მოაწერდნენ ხელს მრავალ მილიონიან კონტრაქტს, რომელსაც ჩემი მეგობარი სთავაზობდა. მაგრამ ამ საკითხის

დასახური თარიღი ნელ-ნელა იწევდა. საბუთებს მოამზადებდნენ, შემდეგ თარიღი გადაიდებოდა და დოკუმენტების გაკეთებაც თავიდან ხდებოდა საჭირო და შემდეგ თარიღი ისევ იცვლებოდა. გვიანი შემოდგომა იყო, როცა ჩემმა მეგობარმა მითხრა, რომ ჯგუფი, რომელიც მენეჯმენტს აგვარებდა, შეიცვალა და ახალი ჯგუფი ჩაუდგებოდა სათავეში ყველაფერს.

ჩემი მეგობარი მიწაზე იყო დანარცხებული; მან იცის, ეს რას ნიშნავდა. მომავალი მენეჯმენტის გუნდს არაფერი ეცოდინებოდა დაუმთავრებელ კონტრაქტზე, რომელიც, რა თქმა უნდა, ახლა გაუქმებული და ანულირებული იყო. მას სულ თავიდან უნდა დაეწყო პროცესი ახალ გუნდთან ერთად. ახალმა მენეჯმენტის გუნდმა, მოწყალება გამოიჩინა რომ მისი კომპანიის შეთავაზებისთვის თავიდან გადაეხედათ. მისი გვიან ნოემბერში გადახედვის შემდეგ თქვეს, რომ სურდათ, წინ წაეყვანათ საქმე. მაგრამ კვლავ, დოკუმენტები დაყოვნდა და ხელახლა დაიწერა. ახალ წლამდე ორი დღით ადრე ჩემს მეგობარს დაურეკეს და უთხრეს, რომ სურდათ შეხვედროდნენ და ხელი მოეწერათ დოკუმენტებისთვის და თუ იმ დღეს შეხვედრასა და ხელმოწერას შეძლებდა, ნაღდი ფულით გადაუხდიდნენ. ჩემმა მეგობარმა საკმარისი თანხა გამოიმუშავა ამ საქმეზე თავისი მიზნის მისაღწევად, რომ შეძლებოდა ორივე სახლი გამოესყიდა იმ წელს, რისკენაც მან და მისმა ოჯახმა მიმართეს თავიანთი რწმენა.

ეს მხოლოდ სამეფოს პრინციპების სწავლამ გააკეთა, რამაც შესაძლებლობა მისცა და უბიძგა წარმოედგინა ასეთი ამაღლებული მიზანი. მანამდე ასეთი დიდი ანგარიშისთვის არასდროს მიუღწევია და ამხელა თანხა არასდროს გამოუმუშავებია წინა წლების განმავლობაში, რაც მიუთითებდა, რომ მისი მიზნის შესრულება შესაძლო იყო. მან მითხრა, რომ დიდი ზეიმი ჰქონდათ ამ გამარჯვების აღსანიშნად!

კიდევ ერთი, „ეს მართლა მოხდა“, ისტორია ჩემს ერთ-ერთ შვილს გადახდა. რა თქმა უნდა, ყველა ჩემი შვილი მთელი ცხოვრება სამეფოს ფუნქციონირებას უყურებდნენ. ისინი ყველანი იყენებდნენ იმ პრინციპებს, რასაც განვიხილავ და უნახავთ, ღმერთი როგორ ახდენდა საოცრებებს. მიუხედავად იმისა, რომ 20-დან 30 წლამდე ასაკის არიან, მათ, ყველას გადახდილი აქვთ თავიანთი მანქანის საფასური; მათ

უმრავლესობას საკუთარი სახლისთვისაც გადახდილი ან თითქმის მთლიანად გადახდილი აქვთ. ჩემს უფროს შვილს, ტიმს სურდა, სახლი ნაღდი ფულით ეყიდა. ამრიგად, მან დათესა თავისი თესლი და ერწმუნა ღმერთს სარფიანი საქმისთვის სახლთან დაკავშირებით მისი ფინანსური შესაძლებლობების ფარგლებში. ის ძალიან ხელმარჯვეა კონსტრუქციებში, ამიტომ არც შესაკეთებელი სახლის ყიდვის ეშინოდა.

გარკვეული დრო დაუთმო სახლების ძებნას, მაგრამ ვერ ნახა ისეთი, იდეალურად რომ დამთხვეოდა ყველაფერს. მაგრამ ერთ დღეს მანქანით მიდიოდა, როცა შენიშნა სახლი, რომელიც იყიდებოდა. ეს სახლი მანამდე არ ენახა. იგი დაგირავებული იყო და ნახვისთანავე მიხვდა, რომ ხელის შევლება სჭირდებოდა, თუმცა გარედან სრულყოფილი ჩანდა. დაურეკა უძრავი ქონების გაყიდვების აგენტს და სახლის ფასი ჰკითხა. ყურებს ვერ უჯერებდა - 37 000 $. „ეს როგორ შეიძლება იყოს შესაძლებელი?“ - ფიქრობდა იგი.

აგენტმა გამოიკვლია სახლის შესახებ და საოცარი ისტორია მოუყვა. სახლი ნამდვილად დაგირავებული იყო და 6 თვის წინ 110 000 $-ად იყო შეფასებული. ეს გირაოს ფასი იყო, თუმცა რეალურად სახლი რამდენიმე წლით ადრე 160 000 $-ად იყო გაყიდული. როგორც ჩანს, არავის გამოუჩენია სახლისადმი ინტერესი ბოლო ექვსი თვის განმავლობაში მას შემდეგ, რაც გასაყიდ სიაში შეიტანეს. შემდეგ ბანკმა ფასის დაწევა დაიწყო, არ იცოდნენ, რატომ არავინ არ გამოიჩინა ინტერესი? როცა ტიმი და გაყიდვების აგენტი ჩაეძიენ, დაინახეს თუ რატომ არ იყო არანაირი ინტერესი ამ სახლისადმი. იგი სრულიად სხვა ქალაქის სიაში ეწერა, სხვა მისამართით და ტელეფონის ნომერიც კი არასწორად იყო მითითებული. ამრიგად, არავინ იცოდა სახლი იქ იყო. სახლი, სოფლის პატარა გზაზე, ყრუ ქუჩაზე იყო, სადაც თითქმის არ იყო მოძრაობა. ფასი უბრალოდ უფრო და უფრო ქვევით ჩამოდიოდა, სანამ ტიმმა შეამჩნია იგი. გასაოცარია არა? მე ტიმს ვუთხარი, რომ სახლი მისთვის იმალებოდა! მან ხელახლა შეღება იგი, რაღაცები მოაწესრიგა და 160 000 $-ად გაყიდა.

ჩემი გოგონა ემი თაყვანისცემას უძღვება „რწმენით სიცოცხლის ეკლესიაში“. მას და ჯეისონს უფრო დიდი სახლი სჭირდებოდათ, რადგან მათი ოჯახი 4 წევრიდან 5 წევრამდე

იზრდებოდა. იმ წელს, 2017 წლის ზაფხულში ოჰაიოში ძალიან კარგი ფასები იყო და სახლის გაყიდვის შესახებ ინფორმაციის განთავსებიდან, ერთ კვირაში იყიდებოდა. მათ იმედი ჰქონდათ, რომ იპოვიდნენ დიდ სახლს 250,000 $-დან 300,000 $-ის ფარგლებში, 2-4 ჰა მიწით, სასურველ სიაში იყო საკუთრებაზე წყლის ქონაც, თუმცა ვერაფერი ნახეს. იმ ტერიტორიაზე ნახევარ ჰექტარზე გადაჭიმული რანჩოების ფასი იმ ზაფხულს 200,000$-ს აღემატებოდა. მას შემდეგ, რაც უამრავი სახლი მოიარეს, შეწყვიტეს ძებნა და ილოცეს. დათესეს, რათა ღმერთს მიმართულება მიეცა და უფალს უთხრეს: „ზედმეტად დაკავებულები ვართ იმისთვის, რომ ასე ვეძებოთ. შენ იცი, სად არის ჩვენი სახლი და გთხოვთ, რომ სწორ დროს გვაჩვენო?! მეტს აღარ მოვძებნით ინტერნეტში და არც ჩვენს უძრავი ქონების გაყიდვების აგენტს დაველაპარაკებით ამ სახლზე!“

მაგრამ ერთ ღამეს საინტერესო რამ მოხდა. სახლში მისვლისას მათი ოთხი წლის გოგონამ უთხრა: „დედა, გადასვლის დროა!“ „რას გულისხმობ?“ - ჰკითხა ემიმ. „დროა, გადავიდეთ სახლში, რომელშიც ჩემს ოთახამდე დიდი კიბეები ადის!“ - თქვა ოთხი წლის გოგონამ. „რა სახლი? სიზმარში ნახე?“ - ჰკითხა ემიმ. მისმა გოგონამაც უთხრა, რომ სიზმარი ნახა. იმ ღამით, როცა ბავშვები დააძინეს, ემი საუბარს ვერ ივიწყებდა, ჯეისონს უთხრა, რომ იქნებ ინტერნეტში მოეძებნათ სახლები.

დიახ, რეალურად იყო დაგირავებული სახლი სიაში, ის ორ სართულიანი იყო, 4 ჰა მიწით და ტბით მის წინ. თუმცა ფასი 26 000$-ით აღემატებოდა მათი შესაძლებლობის მაქსიმუმს 300 000$-ს, რისთვისაც დათესეს. იფიქრეს, რომ ყოველთვის შეიძლება ნაკლები შესთავაზო, ამრიგად თავიანთ უძრავი ქონების გაყიდვების აგენტს დაურეკეს. აგენტი მეორე დღეს ფლორიდაში მიდიოდა მაგრამ შეეძლო ეჩვენებინა მათთვის სახლი, თუ დილით, ადრე, 9 საათზე წავიდოდნენ. ჯეისონმა და ემიმაც უთხრეს რომ იქ შეხვდებოდნენ!

აგენტი გვიან გამოვიდა სახლიდან, მაგრამ სახლი სრულყოფილი ჩანდა. სახლი, 4 ჰა მიწა და ტბა მის წინ, ყველაფერი სრულყოფილი ჩანდა. ბონუსი იყო ისიც, რომ მთელ საკუთრებას ტყე ეკრა გარს; გამაოგნებელი იყო. როცა სახლში შევიდნენ, მათი გოგონა კივილით ავიდა დახვეულ კიბეზე მის ოთახამდე. გრძელი ამბავი რომ შევამოკლო, ჯეისონმა და ემიმ თქვეს, რომ

სურდათ შეთავაზება გაეკეთებინათ. როცა აგენტმა სახლის დეტალები შეამოწმა, აღმოაჩინა, რომ ყველა შეთავაზება ძალაში მხოლოდ იმ დღის შუადღემდე იყო. მხოლოდ ერთი საათი იყო დარჩენილი! მათი ოთხი წლის გოგონას რომ არ ეთქვა სიზმრის შესახებ და იმ ღამით ინტერნეტში არ შეემოწმებინათ, ამ სახლს დაკარგავდნენ.

მათ შესთავაზეს მოთხოვნილი 326 000 $ და შეთანხმებას მიაღწიეს. ისეთი აღელვებულები იყვნენ! ინსპექციის დროს, მიუხედავად იმისა რომ სახურავი კარგ მდგომაროებაში იყო, ინსპექტორმა თქვა, რომ მას ხუთ წელიწადში დასჭირდებოდა შეცვლა. ჯეისონს იდეა გაუჩნდა. მან გადაწყვიტა სახურავის შეკეთების საჭიროების გამო ბანკისთვის ფასის დაკლება ეთხოვა. აგენტმა უთხრა, რომ არც კი ეცადათ, რადგან სახლი ისეთი იყო შემოთავაზებული: „როგორიც იყო“ და არასდროს ენახა ბანკს, ფასი დაეკლო დაგირავებულ სახლზე იმ დეფექტების გამო, რაც მას ჰქონდა. მაგრამ ჯეისონმა და ემიმ სულში იგრძნეს, რომ წერილი უნდა დაეწერათ ბანკში ფასდაკლებისთვის. გამოიცანით, რა მოხდა? ბანკმა მათ სახლი 296 000 $-ად მიჰყიდა, იმ 300 000$-ზე ნაკლებად, რაშიც ღმერთს ერწმუნენ დასახარჯად. ღმერთმა ზუსტად ისე გამოაჩინა ეს სახლი, როგორც მათ ილოცეს. როცა შემფასებელს ჰკითხეს, თუ რა იყო ამ სახლის ღირებულება, მან 500 000 $-ად დააფასა იგი. მეგობარო, ეს ორმაგი თანხაა!

როგორც ხედავთ, ყველა ჩემი შვილი სიამოვნებას იღებს სამეფოს სტილით ცხოვრებით. რეალურად, ჩემმა უმცროსმა შვილმა ქირსთენმა ახლახანს ნაღდი ფულით შეიძინა თავისი პირველი სახლი წელს 20 წლის ასაკში. როგორ? მათ იციან სამეფოს გზით, როგორ მიიღონ ყველაფერი?!

თავი 8

ორმაგი წილი

ახლა, მინდა, კიდევ უფრო ჩაუღრმავდე, თუ როგორ მოქმედებს შაბათის მშვიდობა და როგორ შეგიძლია შენი ცხოვ–რება მისში მოაქციო?! მინდა, ჩვენს ისტორიას დავუბრუნდე საიუბილეო წელთან დაკავშირებით და ჩვენს ტექსტს შევხედოთ! აქ მოცემულია ღვთის პასუხი ხალხისადმი, როცა იკითხეს: როგორ უნდა ეცხოვრათ მოსავლის გარეშე სამი წელი? კარგი კითხვაა!

> *„თუ იკითხავთ: რა ვჭამოთ მეშვიდე წელს, როდესაც არც დავთესავთ და არც მოსავალს ავიღებთო?! ვბრძანებ ჩემს კურთხევას თქვენზე მეექვსე წელს და იგი მოიყვანს სამი წლის მოსავალს. დათესავთ მერვე წელს, მაგრამ მეცხრე წლამდე ძველი მოსავლიდან შეჭამთ, ვიდრე მოიწევა მისი მოსავალი, ძველი ჭამეთ! “*
>
> – ლევიანთა 25:20-22

ამ ტექსტში ვხედავთ, რომ საიუბილეო წელი, ისევე, როგორც მისი წინა შაბათის წელი, შესაძლებელი იყო იმ უზარმაზარი მოსავლის გამო, რომელსაც მეექვსე წელს აიღებდნენ, ამ შემთხვევაში ორმოცდამერვე წელს (ბოლო საიუბილეო წლიდან). ამ უზარმაზარი მოსავლის გარეშე, შაბათის მშვიდობა შეუძლებელი იქნებოდა. მოდი, კიდევ ერთ ადგილს შევხედოთ ბიბლიიდან, რომელიც, დარწმუნებული ვარ, კიდევ უფრო ცხადს გახდის ამას.

„და აგროვებდნენ დილდილობით, ვისაც რამდენი სჭირდებოდა საჭმელად; მზის მცხუნვარებაში კი დნებოდა. მეექვსე დღეს ორჯერ მეტი პური შეაგროვეს, ორ-ორი ღომერი თითოეულზე და მივიდა თემის ყველა მთავარი და აუწყეს მოსეს. უთხრა მათ: „აი, რა თქვა უფალმა: ხვალ უქმეა, უფლის წმიდა შაბათი; რასაც გამოაცხობთ, გამოაცხვეთ და რასაც მოხარშავთ, მოხარშეთ; რაც მოგრჩებათ დილისთვის შეინახეთ!“

მათაც მოიტოვეს დილამდე, როგორც ბრძანა მოსემ, არც ამყრალდა და არც მატლი გასჩენია. უთხრა მოსემ: „ჭამეთ დღეს, რადგან უფლის შაბათია! დღეს ვერაფერს იპოვით ველზე. ექვს დღეს აგროვეთ, მეშვიდე დღეს კი - შაბათია! არაფერი იქნება ამ დღეს“.

და აი, მეშვიდე დღეს ზოგიერთი გავიდა ასაკრეფად, მაგრამ ვერ იპოვეს.

უთხრა უფალმა მოსეს: „როდემდე უნდა არღვევდეთ ჩემს მცნებებსა და რჯულს? იცოდეთ, შაბათი რომ მოგცათ უფალმა, ამიტომ მოგცათ მეექვსე დღეს ორი დღის პური; იჯდეს თითოეული თავისთან, არავინ არსად გავიდეს მეშვიდე დღეს“.

და ისვეენებდა ხალხი მეშვიდე დღეს!“

– გამოსვლა 16:21-30

ეს ადგილი, რა თქმა უნდა, ლაპარაკობს მანნაზე, რომელიც ზეციდან მოდიოდა ყოველ დღე ხალხის გამოსაკვებად და აღწერს, რომ ის არ ჩანდა მეშვიდე დღეს, შაბათს. დღიდან დღემდე ვერ შეინახავდნენ, რადგან ძალიან მალე ლპებოდა. მხოლოდ მეექვსე დღეს შეეძლოთ, შეეგროვებინათ და შეენახათ მეორე დღემდე გაფუჭების გარეშე. საინტერესო აღნიშნვა იმასთან დაკავშირებით, თუ რატომ ფუჭდებოდა მანნა ასე სწრაფად ყოველ დღე შეგვიძლია **მეორე რჯულის 8:16**-ში ვიპოვოთ.

„გკვებავდა უდაბნოში მანნით, რომელსაც არ იცნობდნენ შენი მამები, რომ თავმდაბლობა ესწავლებინა შენთვის და გამოეცადე, რათა ბოლოს სასიკეთოდ მოგწეოდა“.

ღმერთი წვრთნიდა ერს, რათა იგი ეძიათ ყოველ დღე საკვებისთვის და, რა თქმა უნდა, ყველაფრისთვის მათ ცხოვრებაში. ღმერთმა იცოდა, რომ ისინი გაცილებით მეტისკენ მიდიოდნენ, ვიდრე მხოლოდ საკვების საჭიროება იყო; ისინი მალე გალავნიანი ქალაქების და გიგანტების პირისპირ აღმოჩნდებოდნენ. მათი მტკიცე ნდობა ღვთისადმი ასეთ სიტუაციებში გახდებოდა ის, რაც სიცოცხლესა და სიკვდილს განასხვავებდა.

მოდი, დავუბრუნდეთ **გამოსვლის 16:29**-ს. აქ ცხადად შეგიძლიათ, დაინახოთ, რომ შაბათის სიმშვიდე მხოლოდ მეექვსე დღეს მიცემული ორმაგი წილის მეშვეობით იყო შესაძლებელი.

> *„იცოდეთ, შაბათი რომ მოგცათ უფალმა, ამიტომ მოგცათ მეექვსე დღეს ორი დღის პური; იჯდეს თითოეული თავისთან, არავინ არსად გავიდეს მეშვიდე დღეს!“*
>
> – გამოსვლა 16:29

ხედავთ ამას? შაბათის სიმშვიდეს მხოლოდ ორმაგი წილი ხდიდა შესაძლებელს. ეს იმდენად მნიშვნელოვანია, რომ მინდა, გთხოვოთ, რომ ჩაიწეროთ!ს

შაბათის სიმშვიდე შეუძლებელია ორმაგი წილის გარეშე!

ნება მომეცით, სხვა კონტექსტში ჩავსვა! თუ საკმარისზე მეტი არ გაქვს, ვერასდროს შეძლებ დედამიწის სირბილისა და ოფლის წყევლის სისტემისგან დასვენებას. როგორც მე და დრენდა ვეუბნებით ხალხს, სადაც არ უნდა წავიდეთ: „თუ ფულის საკითხს არ გადაჭრი, ვერასდროს აღმოაჩენ შენს დანიშნულებას!“ რატომ? რადგან, საკმარისზე მეტის გარეშე, არ გექნება არჩევანი და თავის გატანის მონა იქნები მთელი ცხოვრება. გახსოვთ, როცა აბრაამის კურთხევის სარგებლებზე წავიკითხეთ მეორე რჯულის 28:11-13-დან წინა თავში. იქ ცხადად დავინახეთ, რომ თავის გატანით ცხოვრება არაა შენი დანიშნულება! იმ შემთხვევაში თუ დაგავიწყდათ, მოდი კიდევ ერთხელ გადავხედოთ.

"სიუხვეს მოგცემს უფალი ყველა სიკეთეში, შენი მუცლის, საქონლისა და მინდვრის ნაყოფებში, იმ მიწაზე, რომლის მიცემაც შეჰფიცა შენს მამებს უფალმა!

გაგიხსნის უფალი თავის საგანძურს, ზეცას, რათა თავის დროზე მისცეს წვიმა შენს მიწას და აკურთხოს ყოველი საქმე შენს ხელში; მრავალ ერს ასესხებ შენ და თავად კი არ ისესხებ! თავად გაქცევს უფალი და არა კუდად, მაღლა იქნები და არა ქვემოთ!"

– მეორე რჯული 28:11-13

სიღარიბე, თავის გატანა და გაკოტრება არაა შენი დანიშნულება. შენ გამსესხებელი უნდა იყო და არა მსესხებელი, თავი და არა კუდი! ეს სიუხვეა სწორედ სამეფო. ესაა: შაბათის სიმშვიდე, საკმარისზე მეტი, ორმაგი წილი!

ვიცი, რასაც ფიქრობ: „ეს, რა თქმა უნდა, კარგი იქნებოდა, გარი, მაგრამ ჩემი ცხოვრება სულაც არ გამოიყურება ახლა ასე!" არა უშავს, ჩვენ უკან არ ვიხედებით, არამედ ვუყურებთ იმას, რასაც ღმერთი ამბობს და მოველით იმას, რასაც სამეფო ამბობს ჩვენს შესახებ. სწორი სურათის გარეშე, იმის ცოდნის გარეშე, თუ როგორი უნდა იყოს ჩვენი ცხოვრება, ხრიკებსა და ხაფანგებში გავებმებით და დედამიწის წყველის სისტემის დამახინჯებულ აზროვნებას დავუჯერებთ. რწმენა თანხმობაში რჩება იმასთან, რასაც ღმერთი ამბობს და არა ჩვენს გარემოებებთან.

სანამ გაგიზიარებთ, როგორ გვასწავლა ღმერთმა მე და დრენდას ორმაგი წილის შესახებ, მინდა მოგითხროთ ისტორია, რომელიც მჯერა, რომ უდიდესი ისტორიაა ორმაგ წილთან დაკავშირებით ახალ აღთქმაში.

რწმენა თანხმობაში რჩება იმასთან, რასაც ღმერთი ამბობს და არა ჩვენს გარემოებებთან.

ისტორია, რომელიც მინდა გაჩვენოთ, ბევრჯერ მოგისმენიათ, თუმცა, ალბათ, არა ორმაგი წილის, ან სამეფოს იმ გაგების კონტექსტში, რაც ახლა გაქვთ. ისტორიას ლუკას მე-15 თავში ვპოულობთ, ესაა უძღები ძის ისტორია. კარგად მომისმინეთ! ვიცი, რომ აქამდეც წაგიკითხავთ, მაგრამ, მოდი, განახლებული დამოკიდებულებით კიდევ ერთხელ გადავხედოთ.

„კიდევ თქვა: „ერთ კაცს ორი ვაჟი ჰყავდა. უმცროსმა ვაჟმა უთხრა მამას: მომეცი ჩემი წილი ქონება! და გაუყო შვილებს მამამ ქონება. რამდენიმე დღის შემდეგ უმცროსმა ვაჟმა აიღო თავისი წილი, წავიდა შორეულ ქვეყანაში და თავაშვებული ცხოვრებით მთელი თავისი ქონება გაანიავა. ყველაფერი რომ შემოეხარჯა, იმ ქვეყანაში დიდი შიმშილობა ჩამოვარდა და გაჭირვებაში ჩავარდა. ადგა და იმ ქვეყნის ერთ მცხოვრებს მიეკედლა, რომელმაც თავის მინდვრებში გაგზავნა ღორების საძოვებლად. და ნატრობდა, მუცელი იმ რკოთი მაინც ამოეყორა, ღორები რომ ჭამდნენ, მაგრამ იმასაც არავინ აძლევდა.

როცა გონს მოეგო, თქვა: მამაჩემის რამდენ მოჯამაგირეს აქვს საკმარისზე მეტი პური, მე კი შიმშილით ვკვდები. ავდგები, წავალ მამასთან და ვეტყვი: შევცოდე ზეცის წინააღმდეგ და შენ წინაშე! ღირსი აღარ ვარ, რომ შენს ძედ ვიწოდებოდე. მიმიღე როგორც ერთი შენი მოჯამაგირეთაგანი! ადგა და წავიდა თავის მამასთან.

ჯერ კიდევ შორს იყო, მამამ რომ დაინახა, შეებრალა, გაიქცა, კისერზე მოეხვია და დაკოცნა. უთხრა ვაჟმა: მამა! შევცოდე ზეცის წინააღმდეგ და შენ წინაშე! ღირსი აღარ ვარ, შენს ძედ ვიწოდებოდე.

მამამ კი უთხრა თავის მონებს: სასწრაფოდ მოუტანეთ საუკეთესო სამოსელი და ჩააცვით, ხელზე ბეჭედი გაუკეთეთ და ფეხზე სანდლები ჩააცვით! მოიყვანეთ ნასუქი ხბო და დაკალით! ვჭამოთ და ვიმხიარულოთ! ვინაიდან ეს ჩემი ვაჟი მკვდარი იყო და გაცოცხლდა, დაკარგული იყო და გამოჩნდა. და იწყეს მოლხენა.

უფროსი ვაჟი კი მინდორში იმყოფებოდა. უკან რომ ბრუნდებოდა და სახლს მიუახლოვდა, სიმღერისა და ცეკვა-თამაშის ხმა შემოესმა. დაუძახა ერთ მსახურთაგანს და ჰკითხა: ეს რა ამბავია? მან უთხრა: შენი ძმა დაბრუნდა და მამაშენმა ნასუქი ხბო დაკლა, რაკი ჯანსაღი დაუბრუნდა.

ის გაბრაზდა და შესვლა აღარ უნდოდა. გამოვიდა მამამისი და ეხვეწებოდა. მაგრამ მან უთხრა: რამდენი წელია გემსახურები, არასდროს გადავსულვარ შენს ბრძანებას და ციკანიც კი არასოდეს მოგიცია, რომ ჩემს მეგობრებში მემხიარულა. ხოლო, ეს შენი ვაჟი რომ მოვიდა, რომელმაც

თავისი ქონება მეძავებთან გაანიავა, ნასუქი ხბო დაუკალი. მან კი მიუგო: შვილო, შენ მუდამ ჩემთან ხარ და რაც კი რამ გამაჩნია, შენია! მაგრამ ახლა უნდა ვიხაროთ და ვიმხიარულოთ, რადგან ეს შენი ძმა მკვდარი იყო და გაცოცხლდა, დაკარგული იყო და ნაპოვნ იქნა“.

– ლუკა 15:11:32

ამ ისტორიაში ვხედავთ, რომ უმცროსი ძე ტოვებს სახლს ქონების თავის წილთან ერთად. ამ ისტორიის მნიშვნელოვანი დეტალია ის, რომ იგი მემკვიდრეობის მის წილზე მიუთითებს. ამიტომ მოინიშნეთ, რომ ამ უმცროსმა ძემ უკვე მიიღო მემკვიდრეობის წილი; ის ვეღარ განაცხადებს პრეტენზიას ქონებაზე.

„უმცროსმა ვაჟმა უთხრა მამას: მომეცი ჩემი წილი ქონება. და გაუყო შვილებს მამამ ქონება“.

შემდეგ ისტორია გვიყვება, თუ სად წავიდა ეს უმცროსი ძე: შორეულ ქვეყანაში. მნიშვნელოვანია გესმოდეთ, რომ უმცროსმა ძემ მამის სახლი მიატოვა, რაც მიუთითებს, რომ მან უკან დატოვა თავისი უზრუნველყოფა, დაცვა და იმ ერის კანონები, რომელშიც მისი მამის სახლეული ცხოვრობდა. ის შორეულ ქვეყანაში წავიდა, სადაც კანონებიც განსხვავდებოდა და ცხოვრების სტილიც. დარწმუნებული ვარ, რომ ამ უმცროს ძეს მართლა არ ჰქონდა წარმოდგენა, თუ რას აკეთებდა. ის სიამოვნებას იღებდა ძედ ყოფნის უპირატესობებით მამის სახლში ცხოვრებისას. როცა იქ ცხოვრობდა, ყველაფერი, რაც მამამისს ჰქონდა, მისთვისაც ხელმისაწვდომი იყო. მაგრამ რაღაც მიზეზით, იგრძნო, რომ რაღაც აკლდა, რომ ტოვებდა რაღაც შესაძლებლობას, რაც სადღაც სხვაგან იყო.

თუ ჯერ კიდევ ვერ მიხვდით, რეალურად იესო კაცობრიობის ისტორიას, ადამის ისტორიას ყვება. სწორედ ადამია უმცროსი ძე ამ ისტროიაში, რომელმაც მამის სახლი დატოვა. ადამი იყო ის, ვინც იგრძნო, რომ სადმე სხვაგან იმაზე უკეთესი მომავალი ექნებოდა, ვიდრე მისი მამის, ღვთის მსახურების გაგრძელება იყო. ვიცი, რასაც ფიქრობთ: „ნუ, თუ ადამია უმცროსი ძე, მაშინ

ვინღაა ის უფროსი ძე ამ ისტორიაში, რომელიც დარჩა?“ ამ კითხვას განხილვის ბოლოსკენ გადავამისამართებ, მაგრამ ახლა უბრალოდ გახსოვდეთ, რომ ადამია ის უმცროსი ძე, რომელიც წავიდა.

მიუხედავად იმისა, რომ ყველაფერი ჰქონდათ, ადამი და ევა მოტყუვდნენ, რადგან დაიჯერეს, რომ სადმე, სხვაგან იყო მეტი, ვიდრე მამის სახლში დარჩენა. როცა ადამი აჯანყდა მამის სახლის წინააღმდეგ და არჩია მიეტოვებინა, იგი ახალი ხელისუფლების, ახალი სამეფოს ქვეშ მოექცა, რომელიც ახალი კანონებით მოქმედებდა. ბიბლია მას სიბნელის სამეფოს უწოდებს, რომელსაც სატანა მართავს. დარწმუნებული ვარ, რომ ადამი შოკირებული იყო ამ ახალი სამეფოს სიღარიბითა და უიმედობით. უპირველესად, ყველაფერი დიდებულად გამოიყურებოდა. სანამ ფული გამოელეოდა, ყველაფერი ერთი დიდი წვეულება იყო! მაგრამ იმ დროისთვის, როცა გააცნობიერა, რომ შეცდომა დაუშვა, უკვე ძალიან გვიანი იყო. შემდეგ გაფლანგული მემკვიდრეობით აღმოაჩინა, რომ დაიკარგა. მისი გონება, რომელიც ერთ დროს ხედვით იყო სავსე, ახლა ცოცხლად დარჩენის ყოველდღიურ დავალებაზე კონცენტრირდა. აღარ იქნება არანაირი ხვალ. ყოველთვის იქნება დღეს და დღევანდელ დღეს აღთქმები არ აქვს.

> *„რამდენიმე დღის შემდეგ უმცროსმა ვაჟმა აიღო თავისი წილი, წავიდა შორეულ ქვეყანაში და თავაშვებული ცხოვრებით მთელი თავისი ქონება გაანიავა“.*

ახლა უმცროსმა ძემ საკუთარი თავი იმ სამეფოში აღმოაჩინა, რომელიც სრულიად გაკოტრებულია, სამეფოში, რომელშიც მუდმივად სასტიკი შიმშილობის მდგომარეობაა. ძე ცდილობს, გადახარშოს ის ყველაფერი, რასაც ხედავს - ადამიანები შიმშილისგან კვდებიან. ასეთი სიუხვის მქონე სახლიდან წამოსულს, მის გონებას უჭირს, აღიქვას ნანახი. მაგრამ შიმშილისგან გამოწვეული მუცლის ტკივილი ახსენებს, რომ, რასაც ხედავს, რეალობაა. გადარჩენისთვის ის ახლა საკუთარ თავს ქუჩაში მათხოვრობას აიძულებს. ამ სიბნელის სამეფოში მიწა მხოლოდ ეკალსა და სარეველას აღმოაცენებს და იმისთვის, რომ მან ნაყოფი გამოიღოს, ტანჯვა და ოფლის ღვრაა აუცილებელი.

იმდენად სჭირდება, ძე ვიღაცებს ემუდარება, რომ დაეხმარნონ. მაგრამ ყველა ერთ ნავში ზის. არავინ მისცემს ბევრს, რადგან ყველა იგივე სასტიკ შიმშილობას განიცდის, რასაც ის.

აქ ხდება გარდამტეხი მომენტი უმცროსი ძისთვის, ცვლილება, რომელმაც გავლენა მოახდინა შენსა და ჩემზე და მთელ კაცობრიობაზე. პირველად მის არსებობაში, უმცროსი ძე იწყებს ხვეწნას, გადაუხადონ, როგორც მსახურს, მოჯამაგირეს, ყოველდღიური საქმიანობებისთვის. ეს არის სრული დამახინჯება მისი ჭეშმარიტი იდენტობისა და იმის, თუ ვინ არის ის რეალურად. ის უკვე აღარაა ძალიან პრესტიჟული, პატივისა და დიდების მქონე კაცის შვილი, ის კარისკაცია, ან ყასაბი, ან უძრავი ქონების გაყიდვების აგენტი, ან ფოსტალიონი და სია შეიძლება გაგრძელდეს და გაგრძელდეს. ახლა მას იცნობენ იქიდან გამომდინარე, თუ რას აკეთებს და არა იმის გამო, თუ ვინ არის! მან დაკარგა თავისი იდენტობა! ამაზე ხაზგასასმელად იესო ამბობს, რომ ის იმდენად უიმედო იყო, ღორების მოჯამაგირედ დაიწყო მუშაობა. ღორები უწმიდურად ითვლებოდა ებრაელებისთვის. იესო უყვება ხალხს, რომ ეს უმცროსი ძე იმდენად სასოწარკვეთილი იყო, მან თავისი ცხოვრების ყველა მიზნის აღქმა დაკარგა რაც კი ოდესმე ჰქონია. ის ახლა შერცხვენილი ცხოვრებით ცხოვრობს. ის სიდიადე, რითიც ერთ დროს სიამოვნებას იღებდა, ახლა შორეული მოგონებაა.

> *„ყველაფერი რომ შემოეხარჯა, იმ ქვეყანაში დიდი შიმშილობა ჩამოვარდა და გაჭირვებაში ჩავარდა. ადგა და იმ ქვეყნის ერთ მცხოვრებს მიეკედლა, რომელმაც თავის მინდვრებში გაგზავნა ღორების საძოვებლად. და ნატრობდა, მუცელი იმ რკოთი მაინც ამოეყორა, ღორები რომ ჭამდნენ, მაგრამ იმასაც არავინ აძლევდა“.*

იმედი მაქვს, ხედავთ პარალელს ამ ისტორიასა და დღევანდელ კაცობრიობას შორის. როცა ორი ადამიანი ხვდება ერთმანეთს, რა კითხვას სვამენ? „რას საქმიანობ?“ ან „სად მუშაობ?“ როცა ადამიანს ჰკითხავ, თუ ვინაა? ისინი ძირითადად გპასუხობენ იმას, თუ რას საქმიანობენ. რატომ? რადგან დედამიწის წყევლის სისტემაში, ყველამ დავკარგეთ ჩვენი იდენტობა და სასოწარკვეთილნი ვცდილობთ მის პოვნას. ჩვენ ვბაძავთ ყველას,

ვინც ყურადღებას იპყრობს და ჩანს, რომ რაიმე მნიშვნელობა აქვს. ეს ყველაფერი მოდის ადამის გადაწყვეტილებიდან, მიეტოვებინა მამის სახლი. გადარჩენისკენ მომართულ ჩვენს გონებაში, დავკარგეთ იმის აღქმა, თუ ვინ ვართ რეალურად? მაგრამ გამხნევდით, ეს ახალგაზრდა ძე ჩვენს ისტორიაში საღორეში არ დარჩენილა; და როცა ისტორიას განვაგრძობთ, იმედია, აღმოაჩენთ, რომ არც თქვენ უნდა დარჩეთ იქ.

ბიბლია ამბობს, რომ ერთ დღეს ეს უმცროსი ძე გონს მოეგება და ახსენდება მამამისის სახლი, სადაც მის მსახურებსაც კი იმაზე მეტი აქვთ, რისი ჭამაც შეუძლიათ. წარმომიდგენია, უკიდურესად მშიერს როგორ ახსენდებოდა ყველა ის დიდებული სადილი, რითიც ერთ დროს სიამოვნებას იღებდა. ბიძაჩემი ჰაროლდი რადიო შტურმანი იყო B-17-ზე მეორე მსოფლიო ომის დროს. იგი ფერმერების დასახლებიდან, ფერმერების ოჯახიდან იყო. ყოველ კვირას, დედამისი ამზადებდა: შემწვარ ქათამს, კარტოფილის პიურეს, სახლში გამომცხვარ პურს, მწვანე ლობიოს და კიდევ ბევრ გემრიელ ბოსტნეულს. რა თქმა უნდა, ყოველთვის იყო სახლში დამზადებული ღვეზელი ან ნამცხვარი დესერტისთვის. როგორც პირველმა წყარომ, ვიცი, რა საოცარი იყო ეს კერძები, რადგან დედამისი ბებიაჩემი იყო.

ბიძაჩემის თვითმფრინავი გერმანიაში ჩამოაგდეს ომის დროს და თვეების გატარება მოუწია გერმანიის საკონცენტრაციო ბანაკში. იქ საკვები თითქმის არ არსებობდა. ერთ დღეს, ბიძაჩემს ვკითხე: როგორ გადარჩა იმ დღეებში? მითხრა, რომ ერთადერთი, რაზეც ფიქრი შეეძლო, იყო სახლში დედამისის შემწვარ ქათამთან და კარტოფილის პიურესთან დაბრუნება. დარწმუნებული ვარ, რომ ამ უმცროს ძესაც იგივენაირი განცდა ჰქონდა და აცნობიერებდა: რა აკლდა? მაგრამ პრეტენზიას ველარ განაცხადებდა ქონებაზე, რადგან უკვე მიიღო ყველაფერი, რაც მამამისის ქონებიდან ეკუთვნოდა. ამიტომ გეგმაზე დაიწყო ფიქრი. სახლში წავიდოდა და მამას შეეხვეწებოდა, რომ მსახურად დაექირავებინა. მის გონებაში, მსახურად, მოჯამაგირედ მუშაობა ერთადერთი გამოსავალი იყო.

„როცა გონს მოეგო, თქვა: მამაჩემის რამდენ მოჯამაგირეს აქვს საკმარისზე მეტი პური, მე კი შიმშილით ვკვდები. ავდგები, წავალ მამასთან და ვეტყვი: შევცოდე ზეცის

წინააღმდეგ და შენ წინაშე. ღირსი აღარ ვარ, რომ შენს ძედ ვიწოდებოდე. მიმიღე როგორც ერთი შენი მოჯამაგირეთაგანი! ადგა და წავიდა თავის მამასთან“.

ამრიგად, გაემართა სახლისკენ გეგმით, რომ შეევედროს მამას, სულ მცირე ღამის გასათევისა და საკვების სანაცვლოდ, მუშაობის შანსი მისცეს. მაგრამ ბიბლია ამ ისტორიის საოცარ დასასრულს გვიყვება. როცა სახლს მიუახლოვდა, მამამ დაინახა შორიდან და მის შესახვედრად და ჩასახუტებლად გაიქცა. ამ წუთიდან, ისტორიას მამის სიყვარულის ამბავი უნდა ერქვას, რადგან მამა ეხუტებოდა მას, იმის მიუხედავად, რომ ღორის ნაკელით იყო დაფარული. იესოს ებრაელმა აუდიტორიამ იცოდა, რომ ასეთი ქცევით ჩახუტება მამას სულიერად უწმიდურს გახდიდა. მაგრამ მამა გააზრებულად გახდა უწმიდური თავისი შვილის გულისათვის. შემდეგ ის ითხოვს საუკეთესო სამოსს, რაც კი აქვს, აცმევს ვაჟს და ფარავს მის ჭუჭყს. მან აიღო თავისი ბეჭედი, რომელიც მის ძალაუფლებას წარმოადგენდა და ვაჟს ისევ თითზე გაუკეთა. ფეხსაცმელს აძლევს, რაც გამოხატავს, რომ მას კვლავ აქვს წვდომა მთელს მის ქონებაზე. მაგრამ ბოლო, რასაც მამა მას აძლევს, უფროსი ძის გაცოფებას იწვევს. მამა ნასუქი ხბოს დაკვლას ბრძანებს მისი ძის დაბრუნების აღსანიშნავად. უმცროს ძეს, მიუხედავად იმისა, რომ არ იმსახურებდა, კვლავ მიეცა ძედ ყოფნის პოზიცია და უპირატესობები, ღიად და ცხადად პატივდებული გახდა როგორც ძე და სრულიად აღდგა მისი უწინდელი ძის პოზიცია სახლში.

კარგი, რა საერთო აქვს ამ ყველაფერს ორმაგ წილთან? ყველაფერი. იესომ გამოიყენა ეს ისტორია, სადაც უმცროსი ძე მიდის და უკან ბრუნდება, რადგან მისი აუდიტორია, ებრაული კულტურა გაიგებდა, რასაც ისტორია გულისხმობდა და რის თქმასაც ახლა ვაპირებ თქვენთვის. ებრაულ კულტურაში, უფროსი ძე ავტომატურად იღებდა ორმაგ წილს. თუ გახსოვთ, უფროსი ძე არსად წასულა, უმცროსი ძე იყო ის, ვინც წავიდა და უკან დაბრუნდა. ისიც გემახსოვრებათ, რომ, როცა წავიდა, თან წაიღო ქონების თავისი კანონიერი წილი. ახლა პრეტენზიას ველარ განაცხადებდა ქონებაზე ან რაიმეზე მასში. მაგრამ როცა უმცროსი ძე დაბრუნდა და მამამ აღადგინა იგი ძედ

და განსაკუთრებით კი მაშინ, როცა ნასუქი ხბო მისცა მისი დაბრუნების აღსანიშნავად, უფროსი ძე გაცოფდა. უფროსი ძის გონებაში, ეს ხბო ეკუთვნოდა მას, რადგან მისი ქონების წილიდან იყო.

სწორედ აქ არის მთავარი მომენტი. მიუხედავად იმისა, რომ უმცროს ძეს უკვე მიღებული ჰქონდა თავისი წილი ქონებიდან, იგი აღდგენილი იქნა, როგორც ძე და ახლა მეორე წილით იღებდა სიამოვნებას. ეს გულისხმობდა იმას, რომ ის რეალურად ქონების ორმაგ წილს იღებდა. უფროსი ძმის პერსპექტივიდან ეს უსამართლობა იყო და გაბრაზებული ეუბნება მამას ამის შესახებ. ის აცხადებს, რომ ერთგულად მუშაობდა მისთვის მთელი ეს წლები და რომ უმცროს ძმას ოჯახის შერცხვენის მეტი არაფერი გაუკეთებია. მაშინ რატომ უნდა მიეღო ორმაგი წილი?

იყო ეს სამართლიანი? დედამიწის ტანჯვისა და ოფლის წყევლის სისტემის გადმოსახედიდან ყველა ვიტყოდით, რომ არ იყო. ალბათ, უფროსი ძის მხარს დავიჭერდით, რომელიც ერთგულად შრომობდა და შეეძლო, პრეტენზია განეცხადებინა უსამართლობის გამო იმის საფუძველზე, რაც მან მამას გაუკეთა.

მაგრამ რის საფუძველზე ვსჯით, თუ რა არის სამართლიანი? განა მამა არ განსჯის და წყვეტს თუ ვისდამი სურს თავისი კეთილგანწყობა გამოავლინოს? დედამიწის წყევლის სისტემის წვრთნა, რომელიც ყველას გვექნებოდა, გვეტყოდა, რომ თუ მამა უმცროს ძეს ქონების კიდევ ერთ წილს მისცემდა, უფროს ძეს ნაკლები დარჩებოდა. მაგრამ ასე არაა. მამა იმდენად მდიდარია, რომ მსახურებსაც კი საკმარისზე მეტი აქვთ. და რამდენად მეტი ექნება ძეებისთვის!

სატანას არ სურს, იცოდე, თუ რამდენად დიდებულია ჩვენი ღმერთი ან ვინ ხარ შენ რეალურად?! ის დასაწყისიდანვე ტყუილებს ხლართავდა მამის შესახებ. სადაზღვევო პოლისები ამბობენ, რომ, როცა უბედური შემთხვევა ხდება, ეს ღვთის ნამოქმედარია. რელიგიური ორგანიზაციები აცხადებენ, რომ ღმერთს სიამოვნებს სიღარიბის აღთქმა. ხალხი აცხადებს, რომ ღმერთი ცუდ რაღაცებს უკეთებს კარგ ადამიანებს. სატანა გაბრმავებს, რათა ვერ დაინახო: ვინ ხარ და რამდენად დიდებულია შენი მამა, რათა გონს არ მოეგო და არ დაუბრუნდე მას მთელი შენი გულით?! შემიძლია, დაგარწმუნოთ, რომ, როცა

მისკენ მიტრიალდებთ, იგივენაირად მიგიღებთ, როგორც ეს უმცროსი ძე ამ ამბავში.

„ვინ არის უფროსი ძე?“ - იკითხავთ. მოდი, ვნახოთ, თუ გამოიცნობთ!

> *„უფროსი ვაჟი კი მინდორში იმყოფებოდა. უკან რომ ბრუნდებოდა და სახლს მიუახლოვდა, სიმღერისა და ცეკვა-თამაშის ხმა შემოესმა. დაუძახა ერთ მსახურთაგანს და ჰკითხა: ეს რა ამბავია? მან უთხრა: შენი ძმა დაბრუნდა და მამაშენმა ნასუქი ხბო დაკლა, რაკი ჯანსაღი დაუბრუნდა.*
>
> *ის გაბრაზდა და შესვლა აღარ უნდოდა. გამოვიდა მამამისი და ეხვეწებოდა. მაგრამ მან უთხრა: რამდენი წელია გემსახურები, არასდროს გადავსულვარ შენს ბრძანებას და ციკანიც კი არასოდეს მოგიცია, რომ ჩემს მეგობრებში მემხიარულა. ხოლო, ეს შენი ვაჟი რომ მოვიდა, რომელმაც თავისი ქონება მეძავებთან გაანიავა, ნასუქი ხბო დაუკალი.*
>
> *მან კი მიუგო: შვილო, შენ მუდამ ჩემთან ხარ და რაც კი რამ გამაჩნია, შენია. მაგრამ ახლა უნდა ვიხაროთ და ვიმხიარულოთ, რადგან ეს შენი ძმა მკვდარი იყო და გაცოცხლდა, დაკარგული იყო და ნაპოვნ იქნა“.*

სატანას არ სურს, იცოდე, თუ რამდენად დიდებულია ჩვენი ღმერთი ან ვინ ხარ შენ რეალურად.

უფროსი ძე ამბობს, რომ მთელი ამ წლების განმავლობაში მამამისს ემონებოდა, თუმცა მთელი ეს დრო მამამისს ახალგაზრდა თხაც კი არ მიუცია მისთვის, რათა მეგობრებთან ერთად ეზეიმა. ნება მომეცით, განვმარტო: რას ამბობს იგი? „მამა, შენ უსამართლო ხარ!“ მაგრამ ყურადღება მიაქციეთ: რას პასუხობს მამა? „შენ ყოველთვის ჩემთან ხარ, და ყველაფერი, რაც მაქვს, შენიცაა“.

შეჩერდით!!!

ახლა, შეგიძლიათ გამოიცნოთ უფროსი ძე ვინაა? უფროსი ძე ზედმეტად დაკავებული იყო მამისადმი მონობით, საკუთარი სიმართლის არასწორი აღქმით, რათა ესიამოვნა მამის სიკეთით. ყველაფერი რაც მამის იყო, მისიც იყო მთელი ეს დრო.

მართალი ხარ, უფროსი ძე წარმოადგენს პირველი აღთქმის რჯულს. პირველ ძეს არასდროს შეეძლო ესიამოვნა მამის სახლის უპირატესობებით, რადგან ზედმეტად დაკავებული იყო მამის მოწონების დასამსახურებლად. მიუხედავად იმისა, რომ უფროს ძეს ჰქონდა ორმაგი წილის უფლება, რეალურად მხოლოდ უმცროსი ძე იღებდა ამით სიამოვნებას.

შენ უმცროსი ძე ხარ!

შენ ორმაგი წილი გაქვს. შენ ხარ ძე, რომელიც მიღებულია არა იმაზე დაფუძნებით, თუ რას აკეთებ, არამედ იმაზე, თუ ვინ ხარ ქრისტეში? - ღვთის ძე და ასული, სიამოვნებას იღებ იმ მემკვიდრეობით, რომლისთვისაც შრომა არ დაგჭირდა, არამედ უსასყიდლოდ მიიღე შენი მამისაგან.

თავი 9

საკმარისზე მეტი!

მესმის, რომ შეიძლება სკეპტიკურად ხართ განწყობილი ამ თავის სათაურისადმი, მაგრამ აი, საითკენ ხარ მიმართული? საკმარისზე მეტისკენ. არა იმიტომ, რომ მე ფულის კეთების სქემის უახლეს და უმაგრეს გზას გაჩვენებთ, არამედ, რადგან, როგორც ღვთის ძისთვის, შენი კანონიერი უფლებაა, ისიამოვნო მამაშენის სახლის სიკეთით და კეთილდღეობით. ორმაგი წილის, საკმარისზე მეტის ქონის არსი შეიძლება შეუძლებელი ჩანდეს ახლა წარმოსადგენად იმასთან შედარებით, სადაც ახლა ხედავ შენს თავს შენი ცხოვრების ამ ეტაპზე. მაგრამ აი, სწორედ აქედან უნდა დაიწყო შენი თავისუფლების მოგზაურობა, შენს აზროვნებაში. თუკი შენი ფიქრები, არ ეთანხმება ღვთის სიტყვას, ვერასდროს ისიამოვნებ მისი უპირატესობებით. ამრიგად, შენი მზერა იქიდან, რასაც შენ გარშემო ხედავ, გადაიტანე და მიაპყარი იმას, რასზეც ღმერთი ამბობს რომ შენია თავის სამეფოში. შეწყვიტე კამათი იმაზე, რასაც ღმერთი ამბობს, რადგან შენს ცხოვრებაში ვერ ხედავ. ამის ნაცვლად, დაიწყე შენს გარემოებებთან კამათი ღვთის სიტყვით, ირწმუნე რომ მათ უნდა მოაწესრიგონ ყველაფერი, რასაც ღმერთი ამბობს, რომ შენია. მეც ერთი ჩვეულებრივი, შენნაირი

ორმაგი წილის, საკმარისზე მეტის ქონის არსი შეიძლება შეუძლებელი ჩანდეს ახლა წარმოსადგენად იმასთან შედარებით, სადაც ახლა ხედავ შენს თავს შენი ცხოვრების ამ ეტაპზე. მაგრამ აი, სწორედ აქედან უნდა დაიწყო შენი თავისუფლების მოგზაურობა – შენს აზროვნებაში.

ბიჭი ვარ, რომელმაც უბრალოდ გააკეთა ის, რაზეც ახლა თქვენ გეუბნებით, რომ გააკეთოთ. ირწმუნე რასაც ღმერთი ამბობს! უფლისს სიტყვა ვერ დამარცხდება და ცვლილებას მოიტანს ნებისმიერ სიტუაციაში. მაგალითად, აქ არის წერილი რომელიც ერთი სკეპტიკოსი მსმენელისგან მივიღე, მას ყველაფერი მოსმენილი ჰქონდა, ან ჰქონდა კი?

„ვაპირებ, ვცადო 22 წლიანი წვალება რამდენიმე წინადადებაში მოვაქციო, რამდენადაც შევძლებ. მეც და ჩემი ქმარიც ქრისტიანულ ოჯახებში გავიზარდეთ და რეგულარულად ვესწრებოდით მსახურებებს. ჩართულებიც კი ვიყავით ახალგაზრდულ მსახურებაში, საკვირაო სკოლაში და ა.შ. როცა დავქორწინდით, ჩვენი პირველი წელი ფინანსურად კარგი იყო... ეს იყო დახლოებით 22 წლის წინ. მას შემდეგ „ფულის საკითხი“ ტკივილისა და წვალების მუდმივი წყარო გახდა და ჩემი რწმენა ყოველთვის ირყეოდა, რადგან არ მესმოდა, თუ რატომ არ ხდებოდა ის, რაზეც წმიდა წერილი ამბობდა, რომ უნდა მომხდარიყო. თუკი ღვთის სიტყვა მარადიული და შეურყეველი იყო და ის იგივეა გუშინ, დღეს და საუკუნოდ, მაშინ რა გამოდის? ის ან მოწამე იყო, ან მატყუარა ან ფსიქიურად დაავადებული!

2013 წლის 28 იანვარს ჩემს ქმარს ვუთხარი: „ან ღმერთი გამოაჩენს ან მე მივდივარ!“... ყელში ამომივიდა ეკლესია და ღმერთი. როცა სახლი დავტოვე რამდენიმე საქმის მოსაგვარებლად, ჩემმა ქმარმა საბოლოოდ დაიწყო სულიწმიდის ძიება და ერთ ჩვენს მეგობარს დაურეკა სასაუბროდ. როცა დაასრულა საუბარი, მან უთხრა, რომ ჩვენთვის რაღაც ჰქონდა, რისთვისაც უნდა მოგვესმინა - გარი ქისი. მან გაგვიზიარა თავისი დამოწმება, რაც მას გადახდა თავს. ამრიგად, როცა სახლში წავედი, ჩემმა ქმარმა მითხრა, რაც მეგობარმა უთხრა და რომ მეორე დღეს აპირებდა მის აღებას.

„არ ვიცი, რა მოხდა (რადგან საკმარისი მქონდა მოსმენილი პასტორებისა და მასწავლებლებისგან ამ „სულიერი რაღაცების“ შესახებ), მაგრამ დავურეკე და ვკითხე, იმ საღამოს თუ ეცალა. თოვლიან ღამით, ძალიან გვიან მოვახერხე მის სახლამდე მიღწევა. როცა მანქანას ვმართავდი, ღმერთს ვუთხარი: „ჯობია ეს ის იყოს!“

მეორე დღეს მოსმენა დავიწყეთ და ორივე სრულად მოგვიცვა ამან. ყველაფერმა აზრი შეიძინა. ყველა ეს მუხლი: რწმენა, აღთქმულზე მტკიცედ ჩაჭიდება. ფაზლის ყველა ნაწილი

საბოლოოდ თავის ადგილას იყო. რამდენიმე წლის წინ გვქონდა გაგონილი სამეფოზე, <u>მაგრამ</u> არავინ შეწუხებულა **პროცესის** შესახებ სწავლებით... როგორ უნდა მიაღწიო იმას, რომ თქვა: „**აი ესეც ასე!**“.

ამრიგად, მაშინვე პრაქტიკაში მოვიყვანეთ ნასწავლი...ფული გვჭირდებოდა გირაოს გადასახდელად. ხუთშაბათი იყო და ჩემს ქმარს ახალი დამთავრებული ჰქონდა მუშაობა ჩემი მშობლების სახლში...ისინი მეკითხებოდნენ, რამდენი უნდა გადაეხადათ ჩემი ქმრისთვის (იცოდნენ რომ რთული სიტუაცია გვქონდა). მეც ვუთხარი: „რამდენსაც ისურვებთ!“ ეს არ იყო საკმარისი გირაოს გადასახდელად...**მაგრამ** ჯერ მხოლოდ ხუთშაბათი იყო.

პარასკევს შეხვედრა დავგეგმეთ მეგობართან, რომელმაც დისკები გვათხოვა. ძლიერი თოვლიანი ქარიშხალი იყო, მაგრამ მეც და ჩემს ქმარსაც გვინდოდა დავმსხდარიყავით და მასთან გვესაუბრა სამეფოზე და იმაზე, თუ როგორ მოქმედებს.

სანამ წამოვიდოდით, მას უნდოდა გველოცა და ჩეკი გამოგვიწოდა...უფალმა ჩაუდო გულში დაეთესა ჩვენს ცხოვრებაში. ეს ძალიან ემოციური იყო ჩვენთვის. შემდეგ ჩეკი გავხსენით ... ეს **საკმარისზე მეტი** იყო გირაოსა და სხვა წვრილი გადასახადების გადასახდელად!

ჩემს ქმარს ვუთხარი, რომ ეს იყო, რაც მჭირდებოდა! ჩეკს სურათი გადავუღე ღვთის ერთგულების სახსოვრად. მტერს არ მოეწონა, რაც იხილა და მაშინვე (მართლა მაშინვე!!!) ეცადა ჩვენი თესლი მოეპარა. გადავწყვიტეთ რომ ეს ჭეშმარიტება იყო და არ ვაპირებდით არაფრის ლაპარაკს, რაც ჩვენს მომავალს გაანადგურებდა. ის ჯიუტი იყო...მაგრამ მყარად ვიდექით.

(ახლა, სანამ გავაგრძელებ მინდა გესმოდეთ, რომ მე ხისთავა იტალიელი ვიყავი, ვისაც ყელში ჰქონდა ამოსული „აყვავების შესახებ სწავლებები“, რაც მუდმივად მესმოდა...და ჩემმა ქმარმა იცოდა ეს. ნამდვილი სასწაული ის იყო, რომ მე მთლიანად ჩავეჭიდე მას...ზოგჯერ ჩემი ქმარი მიყურებს და უკვირს: რა მოხდა?!

ჩვენი რწმენა გამოვათავისუფლეთ და დავთესეთ რათა მიგვეღო სასწრაფო კონტრაქტი ჩვენი სამშენებლო კომპანიისთვის 3/13-ზე 150 000 $-ის ოდენობით, რათა დაგვიანებული გადასახადები გადაგვეხადა. 5/13 აპრილს ორი კონტრაქტი მივიღეთ, რომელიც ჯამში 450 000 $-ს შეადგენდა, **ერთ**

ᲓᲦᲔᲨᲘ!!!!! ეს მხოლოდ ორი თვის შემდეგ იყო, რაც სამეფოს პრინციპების გამოყენება დავიწყეთ.

ჩვენი შვილებიც ჩაერთვნენ და მათაც დაინახეს: „აი ესეც ასე!“ მომენტები. ახლა საკუთარი სია შექმნეს და საკუთარი ყულაბებიდან თესავდნენ იმისთვის, რაც სურდათ. ჩვენ მუხლები გვაქვს ყველა ოთახში და ჩვენი ხუთი წლის შვილი მათთან მიდის და აცხადებს: „მწამს, რომ მივიღე!“.

ისეთი მადლიერები ვართ რომ ახლა მეტი თანხა გვაქვს, რათა გავცეთ და ერთი დღით უფრო ახლოს ვართ ვალებისგან სრულ თავისუფლებასთან და ჩვენი დანიშნულების აღსრულების შესაძლებლობასთან!

მადლობა, პასტორო გარი, რათა დრო გამოყავით ჩემ გამოგზავნილ ელ-წერილებზე საპასუხოდ! გვესმის, რომ თქვენი დრო შეზღუდულია და ის ფაქტი, რომ დრო გამოყავით ამის გასაკეთებლად, გვაჩვენებს, თუ რამდენად გინდათ ღვთის დიდებული სამეფოს ამ საოცარი უწყების შესახებ გაზიარება“.

ასეთ წერილებს ყოველ დღე ვიღებ. შენი და ჩემი მსგავსი ადამიანები აღმოაჩენენ ჭეშმარიტებას, თუ ვინ არიან ქრისტეში, სწავლობენ როგორ მოქმედებს ღვთის სამეფო და სიამოვნებას იღებენ მისი უპირატესობებით. ამრიგად, როგორ აღმოვაჩინეთ მე და დრენდამ ორმაგი წილის პრინციპი? ვაპირებ ამ თავში გითხრათ და ვიცი, რომ ჩვენი ისტორიები გაგამხნევებთ.

როცა მე და დრენდამ ღვთის სამეფოს წესებისა და პრინციპების შესწავლა დავიწყეთ, ჩვენი ცხოვრება რადიკალურად შეიცვალა, როგორც წიგნის პირველ ნაწილში გითხარით, ხელგაწვდილი ცხოვრებიდან, პანიკურ შეტევებთან გამკლავებიდან, ანტი-დეპრესანტებიდან და უკიდურესი უიმედობისგან მიზნისა და უზრუნველყოფის ცხოვრებამდე მივედი. ვხედავდით, როგორ ხდებოდა კვლავ და კვლავ ჩვენს ცხოვრებაში ისეთი რამ, რაც გაგვაჩერებდა და ვიტყოდით: „ეს დაინახე? ვაუ!“ მუდმივად ვხედავდით როგორ მოქმედებდა ღვთის სამეფო ისევე, როგორც ბიბლიაში და ვსვამდით კითხვას: „როგორ ან რატომ მოხდა ეს?“ ან „რომელ პრინციპში მოვექეცით?“ მიუხედავად იმისა, რომ საკმარისზე მეტით ვიღებდით სიამოვნებას, ორმაგ წილს ისე ცხადად ვერ ვხედავდით, როგორც იმ ისტორიებში რომლის შესახებაც უნდა გიამბოთ. ჩვენ ვიღებდით სიამოვნებას ორმაგი წილით, უბრალოდ არ ვიცოდით, რომ ამისთვის ორმაგი

წილი დაგვერქმია, სანამ ღმერთმა ჩვენი გაგება არ გაზარდა ამ საკითხში. სანამ ავხსნი, თუ როგორ დაგვეხმარა ღმერთი უკეთესად გაგვეგო ორმაგი წილის შესახებ, მინდა კიდევ ერთხელ მიმოვიხილო ჩვენი საკვანძო მუხლი (ფრჩხილებში ჩაწერილი სიტყვები ჩემი აღნიშვნებია და არაა მუხლის ნაწილი).

> *„ესე იგი, შაბათის სიმშვიდე კვლავ რჩება ღვთის ხალხისთვის. ვინაიდან, ვინც მის სიმშვიდეში [რწმენაში] შევიდა, მანაც ისევე დაისვენა თავისი საქმეებისგან [დედამიწის ტანჯვის, ოფლის ღვრის და თავის გატანის წყევლის სისტემისგან], როგორც ღმერთმა თავისისგან [რადგან მან დაასრულა]“.*
>
> – ებრაელთა 4:9-10

ახლა უკვე იცით, რომ შაბათის სიმშვიდე არის აღთქმა ყველა ახალი აღთქმის მორწმუნისადმი ქრისტეში და არაა მხოლოდ ძველი აღთქმის დეტალი. ახლა ისიც იცით, რომ შაბათი შეუძლებელია საკმარისზე მეტის ქონის გარეშე ან, როგორც გამოსვლის მე-16 თავში ვხედავთ, ორმაგი წილის გარეშე. გთხოვთ, ორმაგ წილში სიარული ნუ აგერევათ და გეგონებათ, რომ ყოველთვის ხელთ გექნებათ დიდი რაოდენობით ზედმეტი ნაღდი ფული, როცა ღმერთი რაიმე პროექტის განხორციელებას გთხოვთ.

ყოფილა დრო ჩემს ცხოვრებაში, როცა იესომ მითხრა, დამეწყო პროექტი, როცა ბანკში ფული საერთოდ არ მქონდა. გვიან მივხვდი, რომ ღმერთი არასდროს ნერვიულობს ფულზე და იცოდა, საიდან მოვიდოდა?! მაგრამ მან არ დაუშვა, რომ გამოვლენილიყო და მტერს მისი მოპარვის შანსი ჰქონოდა მანამ, სანამ მართლა საჭირო გახდებოდა. ნება მომეცით, გაგაფრთხილოთ, მხოლოდ იმ სიტუაციებში მიიღეთ წინ წასვლის გადაწყვეტილება, როცა დარწმუნებული ხარ, რომ სულიწმიდისგან მოისმინე, რათა ასე მოიქცე. კვლავ ვიტყვი, თუ იესო არ გეტყვის, რომ დაიწყო პროექტი მაშინ, როცა ამის ფინანსები არ გაქვს, არაფერი დაიწყო. დაელოდე ღვთის დროს და უზრუნველყოფას მისგან.

ზოგადად, როგორც მორწმუნეები მოწოდებულნი ვართ ფინანსურად ჩქეფდეს ჩვენი ცხოვრება. ჩვენ არ ვართ მათხოვრები, არამედ შეგვიძლია, ყოველთვის ვიყოთ გულუხვნი, როგორც ჩვენი მამაა. ამას მხოლოდ იმიტომ ვახსენებ, რომ ძალიან ბევრი წერილი მივიღე, როცა ადამიანები პირდაპირ გადახტდნენ და ღვთის დროს ასცდნენ. მომისმინეთ, რადგან ღმერთი რაღაცას გაჩვენებს, არ ნიშნავს, რომ დროა, მისკენ წახვიდე. ხშირად ის გაჩვენებს რაღაცას, რათა მოგცეს მიმართულება და მოსამზადებელი დრო. ჩემს გამოცდილებაში დრო ისევე მნიშვნელოვანია, როგორც უპირველესად მიმართულების მოსმენა.

მას შემდეგ, რაც იოანე ნათლისმცემელმა მონათლა იესო მდინარე იორდანეში უდაბნოში 40 დღისა და ღამის გატარების შემდეგ, მან თავის მშობლიურ ქალაქში დაიწყო მსახურება. იესო ადგილობრივ სინაგოგაში მივიდა, აიღო ესაიას გრაგნილი და 61-ე თავი წაიკითხა. ეს მოვლენა ლუკას 4:18-21-შია აღწერილი.

> *„უფლის სულია ჩემზე, რადგან მან მცხო გლახაკთა სახარებლად, მომავლინა გულშემუსვრილთა განსაკურნებლად, ტყვეთათვის თავისუფლების გამოსაცხადებლად და ბრმათათვის თვალის ასახელად, ჩაგრულთა გასათავისუფლებლად. უფლის შეწყალების წლის გამოსაცხადებლად. დახურა წიგნი, მსახურს გადასცა და დაჯდა; სინაგოგაში ყველა მას მისჩერებოდა. და დაუწყო მათ ლაპარაკი: „დღეს აღსრულდა ეს წერილი, თქვენ რომ მოისმინეთ“.*

რა თქმა უნდა, გაცოფდნენ მასზე, რადგან მან თქვა, რომ მასზე იყო დაწერილი ეს. მაგრამ ყურადღება მიაქციეთ, სადაც იესომ კითხვა შეწყვიტა. ესაიას 61-ის პირველი და მეორე მუხლები რეალურად ამბობს:

> *„წარმომგზავნა გულშემუსვრილთა განსაკურნებლად, ტყვეთათვის თავისუფლების გამოსაცხადებლად და პატიმართა განსათავისუფლებლად. უფლის სასურველი წელიწადისა და ჩვენი ღვთის შურისგების დღის გამოსაცხადებლად, რათა ვანუგეშო ყველა მგლოვიარე“.*

ყურადღება მიაქციეთ, რომ იესო წინადადების შუაში გაჩერდა. მას არ წაუკითხავს: „შურისგების დღის გამოსაცხადებლად“. რატომ? რადგან მას სურდა გაჩერებულიყო წინადადების პირველ ნაწილზე: „უფლის შეწყალების წელზე“. რომელია უფლის შეწყალების წელი? საიუბილეო წელი! იესო რეალურად აცხადებდა, რომ ყველაფერი, შაბათის დღის ჩრდილი, შაბათის წელი და საიუბილეო წელი იმას გვაჩვენებდა, რაც ახლა აღსრულდა, რადგან ის მოვიდა. ესაიას მთელი 61-ე თავი გვეუბნება: რა გააკეთა იესომ ჩვენთვის?! ორმაგ წილთან დაკავშირებით, მე-7 - მე-9 მუხლებს გადახედეთ.

> *„ნაცვლად სირცხვილისა ორმაგად განდიდდებიან; დამცირების წილ იყიჟინებენ, თავიანთ მიწაზე ორმაგს დაეუფლებიან და საუკუნო სიხარულს დაიმკვიდრებენ. რადგან მე, უფალს, მიყვარს სამართალი და მძულს ძარცვა და უსამართლობა; სამართლიანად მივცემ მათ თავიანთ საზღაურს და სამარადისო აღთქმას დავუდებ მათ. და ცნობილი იქნება მათი თესლი ერებში და მათი შთამომავლობა - ხალხთა შორის, ყველა მათი მნახველი იცნობს მათ, რადგან უფლის მიერ კურთხეულის თესლია ისინი“.*
>
> – ესაია 61:7-9

ნამდვილად მესმის სირცხვილის ქონა დასუსტებული ფინანსური საკითხების გამო. იმდენჯერ მიგრძვნია თავი დამცირებულად და შერცხვენილად ჩვენი ფინანსური სიტუაციის გამო. მახსოვს, ერთხელ დაახლოებით 20 მეგობარი შევკრიბე ადგილობრივ რესტორანში ვახშამზე. არ მახსოვს, რა განსაკუთრებულ შემთხვევას აღვნიშნავდით, მაგრამ დავთანხმდი, ღონისძიების–თვის მე გადამეხადა. მახსოვს ვახშამზე როგორი დაძაბული ვიყავი, რადგან ნამდვილად არ მქონდა ფული ასეთი ღონისძიების მასპინძლობისთვის. ფული, რომელსაც ბიზნეს გარიგებიდან ველოდებოდი, რაზეც ვმუშაობდი, დაგვიანდა. ერთადერთ

რადგან ღმერთი რაღაცას გაჩვენებს, არ ნიშნავს, რომ დროა, მისკენ წახვიდე. ხშირად, ის გაჩვენებს რაღაცას, რათა მოგცეს მიმართულება და მოსამზადებელი დრო.

საკრედიტო ბარათზე, რომელიც მქონდა და გაუქმებული არ იყო, თანხა თითქმის ამოწურულიყო, ამიტომ არ ვიცოდი, კიდევ ერთხელ რამდენად იმუშავებდა. როგორც ვფიქრობდი, ვახშმის ბოლოს ბარათი უარყვეს. იძულებული გავხდი, თავმდაბლურად, უდიდესი დამცირებით მეთხოვა ერთ-ერთი სტუმრისთვის რომ გადაეხადა ღონისძიების ხარჯები.

ოჰ, ასეთი ძალიან ბევრი ისტორია მაქვს, მაგრამ დარწმუნებული არ ვარ, რომ ახლო-მახლოს საკმარისი ხელსახოცი გქონდეთ, რათა ამდენი აიტანოთ. დიდება ღმერთს, იესოს მეშვეობით ყველამ, ვინც დაგვინახავს, უნდა აღიაროს, რომ ჩვენ უფლისგან კურთხეული ხალხი ვართ!

ორმაგი წილი შენია, იესოა შენი შაბათის სიმშვიდე და ისაა შენი ორმაგი წილი! თუკი ჩემი წინა წიგნებიდან რომელიმე წაგიკითხავთ, იცით, რომ ღმერთმა ბევრი მასწავლა სამეფოს შესახებ ირმებზე ნადირობის მეშვეობით. რეალურად, ირმებზე ნადირობა იყო ის საშუალება, რომლითაც ღმერთმა თავიდან ჩემი ყურადღება მიაპყრო სამეფოსადმი. წლების განმავლობაში წარუმატებლად ვნადირობდი ირმებზე. მიუხედავად იმისა, რომ დროს და ფულს ვდებდი ჩემს ძალისხმევაში, ყოველგვარი წარმატებისა და ირმის ხორცის გარეშე ვამთავრებდი. გულწრფელად რომ ვთქვა, ირმისთვის არც კი მომირტყამს. კონკრეტულად იმ წელს ვფიქრობდი მომავალ ირმებზე ნადირობის სეზონზე, როცა ღმერთი დამელაპარაკა და მითხრა: „რატომ არ მაძლევ ნებას, დაგეხმარო ირმებზე ნადირობაში წელს?!“ რა თქმა უნდა, წარმოდგენა არ მქონდა: რას გულისხმობდა?! მაგრამ მან მითხრა ამელო ჩეკი, უკან დამეწერა „ჩემი 1987 წლის მამალი ირმისთვის“ რაღაც თანხასთან ერთად და გამეგზავნა მსახურებაში, რომელზეც ის მიმითითებდა. მან ისიც მითხრა, რომ მე და დრენდას ხელები უნდა დაგვესხა ჩეკზე და მარკოზის 11:24 განგვეცხადებინა მასზე ლოცვისას.

მარკოზის 11:24 ამბობს:

> *„ამიტომ გეუბნებით: ყველაფერს, რასაც ლოცვაში ითხოვთ, გწამდეთ, რომ მიიღებთ და მოგეცემათ!“*

გრძელი ამბავი რომ შევამოკლო, სრულიად უცნობ ადგილას წავედი იმ წელს და დაახლოებით 40 წუთში მოვინადირე ჩემი

მამალი ირემი. მე და დრენდა ამ ნაბიჯებს მივყვებით უკვე 30 წელია და მას შემდეგ ყოველთვის ვინადირებ ჩემს ირემს 30-დან 40 წუთამდე დროში. წლების განმავლობაში მინახავს, ღმერთი საოცრებებს როგორ სჩადიოდა ჩვენი ნადირობისას და რამდენიმე გაკვეთილიც ვისწავლე სამეფოს კანონების შესახებ ასევე ნადირობის მეშვეობით (ყველა ეს ადრეული ისტორია ჩაწერილია ჩემს წიგნში, „რწმენით ნადირობა”).

ძირითადად მშვილდ-ისრით ნადირობას მეტად ვანიჭებ უპირატესობას თბილ შემოდგომის ფერებში, ვიდრე აქ ოჰაიოში ცივ, იარაღით ნადირობის სეზონს. მოსანადირებელი ირმების რაოდენობის ლიმიტი საკმაოდ ხელგაშლილია ოჰაიოში. ნებისმიერ წელს ლიმიტი წელიწადში ექვსი ირემია. არასდროს დამჭირვებია ამდენი ირმის მონადირება ოჯახის გამოსაკვებად. ჩემი საყინულე, როგორც წესი, საკმაოდ ივსება ორი ან სამი ირმით წელიწადში. იმის დასაფასებლად, რის თქმასაც ახლა ვაპირებ, უნდა იცოდეთ, რომ მთელი ამ წლების განმავლობაში ნადირობის დროს არასდროს მისვრია ორი ირმისთვის ერთ დღეს ერთი ხიდან. სხვათა შორის, თუ მონადირე არ ხართ, დიახ, ჩვენ მშვილდ-ისრით ხიდან ვნადირობთ. როგორც წესი, როცა ირემს ვკლავდი, ტყეს ვტოვებდი და შემდეგ დღეს ვბრუნდებოდი სხვა ირმის მოსანადირებლად. მაგრამ იმ კონკრტულ საღამოს, ნადირობისას, ღმერთს უნდოდა, რაღაც ესწავლებინა ჩემთვის.

ეს ერთ-ერთი იყო შემოდგომის სრულყოფილ სანადირო დღეთაგან, ოდნავ ღრუბლიანი იყო და მცირე ცვარი ასველებდა დროდადრო მიწას. კვირა საღამო იყო, ცოტა დაღლილი ვიყავი იმ დილით ეკლესიაში რამდენიმე მსახურების ჩატარებისგან და მოუთმენლად ველოდი ტყეში გასვლას. დრენდა რაღაცების საყიდლად მიემართებოდა და მე და ის შევთანხმდით, რომ კარგი ღამე იყო საყინულეში ირმის ხორცის ჩასადებად. კამუფლიაჟს ვირგებდი და რაღაც ნივთებს ვაგროვებდი, როცა გამოვიდა და მანქანისკენ წავიდა. გარეთ გამოვედი, როცა მანქანას ქოქავდა. როგორც კი მანქანა დაქოქა, ფანჯრის მინა ჩამოწია და მითხრა: „ორმაგი პორცია“. არ ვიცოდი, ეს რატომ თქვა, თუმცა მოგვიანებით მითხრა, რომ გაიგო როგორ უთხრა ეს უფალმა და იგრძნო, რომ ჩემთვისაც უნდა ეთქვა.

იმ წელს სამი ირმისთვის დავთესეთ და იმ სეზონზე ჩვენი ნადირობის პირველი დღე იყო. სწრაფად ვაკოცე და ვუთხარი,

რომ ვეთანხმებოდი, შემდეგ კი ტყისკენ გავეშურე. ჩემს საკუთარ ტერიტორიაზე ვნადირობ ხოლმე, შესაბამისად, ზუსტად ვიცოდი, სადაც მივდიოდი. როცა ჩემი ხის სადგომზე ავცოცდი, რამდენჯერმე ჩავსტვინე ირმის მოსაზიდად. 15 წუთში დიდი, რვატოტა ირემი გამოიქცა, მე 35 მეტრის სიშორიდან ვესროლე და ჩემი მამალი ირემი ძირს ეგდო. ეს საოცარი იყო! ჩამოვძვერი ხიდან და ირმისკენ წავედი, მაგრამ შემდეგ გამახსენდა, რაც მითხრა დრენდამ, ორმაგი წილი, ამიტომ ირემი იქ დავტოვე სადაც დაეცა, ჩემს ხესთან დავბრუნდი და სადგომზე ავცოცდი.

აღელვებული ვფიქრობდი იმაზე, რომ, რადგან ხიდან ჩავედი, გარშემო ვიარე, შემდეგ უკან დავბრუნდი და ხეზე ავცოცდი, ყველგან ჩემი სუნი დავტოვე, რაც ბუნებრივია ძალიან ამცირებდა იმის შანსს, რომ ნადირობისთვის კანონიერად დარჩენილ რამდენიმე წუთში კიდევ ერთ ირემს მოვკლავდი. მაგრამ ხეზე ყოფნიდან 15 წუთში პატარა ირემმა გამოიარა ზუსტად ჩემი ხის ქვეშ და სრულყოფილი სროლით დავაგდე. ვაუ, ორი გასროლა და ორი ირემი მიყოლებით ერთი და იმავე ხიდან! ეს აქამდე არასდროს გამიკეთებია. ამან ჩემი ყურადღება მიიპყრო და ვიცოდი, რომ ეს ის ორმაგი წილი იყო, რაზეც დრენდა ლაპარაკობდა.

შემდეგი ხუთი წლის განმავლობაში, იგივე გამოცდილება მქონდა. ყოველთვის, როცა მშვილდ-ისრით სანადიროდ გავ-დიოდი, ორ ირემს ვინადირებდი ერთი და იმავე ხიდან, რამ-დენიმე წუთის დაშორებით. ვიცოდი ეს ჩვეულებრივი ამბავი არ იყო, ამიტომ დავიწყე ორმაგ წილში ჩაღრმავება, გავაცნობიერე რა, რომ ღმერთი კიდევ ერთხელ მასწავლიდა ახალ გაკვეთილს თავისი სამეფოს შესახებ.

ყოველთვის მიყვარდა იარაღები და რა თქმა უნდა, მიყვარს ნადირობა. ჩემი პირადი იარაღების კოლექცია მაქვს, რომელთაც ნადირობისას ვიყენებ და ძალიან ბედნიერი ვიყავი იმ იარაღებით, რომელთაც ვფლობდი. მე და დრენდას 25 ჰა მიწა გვაქვს, საიდანაც 10 ჰა ტყეა, ხოლო 5 ჰა ჭაობი. ყოველ შემოდგომას, ჭაობი ან დამშრალია ან წყლით სავსე, იმის მიხედვით თუ რამდენად ნალექიანი იყო ზაფხული.

კონკრეტულად იმ წელს, საკმაოდ წვიმიანი ზაფხული გვქონდა, შესაბამისად ჭაობი წყლით სავსე იყო, როცა შემოდგომაზე იხვების სეზონი მოდიოდა. იხვები ყოველთვის

მოდიოდნენ, როცა ჭაობში წყალი იყო, მაგრამ ყურადღება არასდროს მიმიქცევია მათთვის. ამ წელს, იმდენად დიდი გუნდები მოდიოდნენ ჭაობში, რომელშიც ძალიან მაღალი წყალი იდგა, თავი ვერ შევიკავე. მიუხედავად იმისა, რომ წარსულში იხვზე არასდროს მენადირა, ვიფიქრე ჭაობში ჩავსულიყავი და მეცადა. საოცარი ნადირობა იყო! ყველგან იხვი ბინადრობდა და იმ წელს რამდენჯერმე გვქონდა სადილად ეს ფრინველი.

იმ წელს იხვებზე ნადირობისას აღმოვაჩინე, რომ ხშირად ისინი სცდებოდნენ იარაღის სასროლ მანძილს. ჩემს ყოველდღიურ, ყველაფერზე სანადირო იარაღს ვიყენებდი, რომელსაც ზოგადად კურდღლებისა და ხოხბებისთვის ვხმარობდი, მაგრამ როცა იხვები სასროლ მანძილზე შორს მიფრინავდენენ, გამახსენდა, რომ გაგონილი მქონდა ახალ იარაღზე, რომელიც მხოლოდ იხვებზე სანადიროდ იყო შექმნილი. თოფი შენიღბული იყო და სპეციალური იხვისთვის განკუთვნილი ტყვიები ჰქონდა, რომელსაც გაცილებით მძლავრად და გაცილებით შორ მანძილზე ისროდა. მახსოვს, ვფიქრობდი, რომ როდესმე მენახა.

ისე მოხდა, რომ ადგილობრივ სპორტული საქონლის მაღაზიაში ვიყავი იხვებზე ნადირობის სეზონის დამთავრებიდან ერთ თვეში და თვალი მოვკარი იარაღების თაროს, რომელსაც წყლის ფრინველების იარაღი ეწერა. თვალი შევავლე, მაგრამ რადგანაც 2000 $ ღირდა და უახლოესი 10 თვე არ დამჭირდებოდა შემდეგ იხვების სეზონამდე, გადავწყვიტე მომეცადა და ჯერ არ მეყიდა. მაგრამ დაუფიქრებლად, ხმამაღლა ვთქვი: „უფალო, ეს მინდა!“ ამაზე ბევრი არ მიფიქრია, ისე დავტოვე მაღაზია. რამდენიმე კვირის შემდეგ გაყიდვების კორპორაციულ შეხვედრაზე სიტყვით გამოვდიოდი, არა ეკლესიის მსახურებაზე, არამედ გაყიდვების კორპორაციულ შეხვედრაზე. ჩემი პრეზენტაციის ბოლოს მთავარმა, აღმასრულებელმა დირექტორმა მადლობა გადამიხადა და თქვა: „გვინდოდა, დღევანდელი გამოსვლისთვის საჩუქრით გადაგვეხადა მადლობა“. შოკირებული ვიყავი, როცა ზუსტად ისეთი იარაღი ამოიღო, რომელიც სპორტული საქონლის მაღაზიაში ვნახე რამდენიმე კვირის წინ. ჩემმა სიტყვებმა: „უფალო, ამას ავიღებ!“ და ფაქტმა, რომ ადრე იარაღებს გავცემდი, ეს გამოიღო ნაყოფად.

ამ სერიის პირველ წიგნში *შენი ფინანსური რევოლუცია: ერთგულების ძალა*, ვლაპარაკობ იმ პრინციპებზე, რამაც ამ

იარაღის გამოჩენა განაპირობა. მე ამას ნამგლის პრინციპს ვუწოდებ და მისი ნახვა მარკოზის 4:26-29-ში შეგვიძლია. თუ ჯერ არ წაგიკითხავთ გირჩევთ, რომ ეს წიგნი მოიძიოთ. ამ იარაღის გამოჩენა, რა თქმა უნდა, გასაოცარი იყო, მაგრამ ეს არაა ის ისტორია, რაზეც მინდა ფოკუსირება. უბრალოდ უბიძგებს იმ ისტორიას, რაც მინდა გიამბოთ.

მას შემდეგ, რაც ეს იარაღი გამოჩნდა და მივხვდი, როგორ მოვიყვანე ეს ნაყოფი მოძრაობაში, ერთ დღეს ცოტა ხნით დავფიქრდი იმ სხვა იარაღებზე, რასაც ვისურვებდი, რომ მქონოდა. ყველაფრის შემდეგ ათობით იარაღი მქონდა დათესილი. ამრიგად, ვიფიქრე ექსპერიმენტს ჩავატარებდი სამეფოს კანონებთან დაკავშირებით. ერთადერთი იარაღი, რომელიც ჩემს კოლექციაში არ მქონდა, იყო ზემოდან და ქვემოდან სასროლი იარაღი. ისინი ძალიან ლამაზია და როგორც წესი, არც იაფი ღირს. ამრიგად, ვთქვი: „უფალო, ვისურვებდი, რომ მქონდეს ერთი ასეთი მშვენიერი ზემოდან და ქვემოდან სასროლი იარაღი!“

დაახლოებით ერთი თვის შემდეგ მსახურების პარტნიორისგან მივიღე ზარი, მან მითხრა, რომ სურდა ჩემთვის იარაღი ეყიდა, ზემოდან და ქვემოდან სასროლი იარაღი. ამან ძალიან ამაღელვა, მან მითხრა, რომ მას ფოსტით გამომიგზავნიდა. რამდენიმე დღის შემდეგ ფოსტით მივიღე ორი მშვენიერი ზემოდან და ქვემოდან სასროლი იარაღი, უბრალოდ საოცარია! ყურადღება მიაქციეთ, რომ ორი იარაღი მივიღე. „ვაუ!“ - გავიფიქრე. პარტნიორს დავურეკე და მადლობა გადავუხადე იმ მშვენიერი იარაღებისთვის, რომლებიც გამომიგზავნა. რამდენიმე დღეში კიდევ ორი გამომიგზავნა. როცა ისევ დავურეკე მადლობის სათქმელად, მითხრა: „იმხელა შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე იმან, რომ პირადად დამირეკე მადლობის სათქმელად, მომინდა კიდევ ორი გამომეგზავნა!“ აღფრთოვანებული ვიყავი ამ საჩუქრებით, მაგრამ თან ნელ-ნელა რაღაცის თარგს ვხედავდი. ორი იარაღი თითო ჯერზე? ორმაგი წილივით ჟღერს.

დაახლოებით ორი თვის წინ, ეკლესიაში ვასწავლიდი დილით და შემდეგ იგივე ქალაქში სხვა ეკლესიაში უნდა მესწავლებინა საღამოს. დილის მსახურების შემდეგ, ერთი კაცი მოდის ჩემთან და მეუბნება: „ლამაზი, ბრაუნინგის ნახევრად ავტომატური იარაღი მაქვს და ვაპირებ გამოგიგზავნო!“ კვლავ ძალიან

ავღელდი. უცნაურია, მაგრამ საღამოს მსახურებაზე სხვა ეკლესიაში, ერთი კაცი მოდის და მეუბნება: „ახლახანს ვიყიდე ახალი ბრენდის თოფი, რომელიც ჯერ ისევ ყუთში დევს და მინდა, გაჩუქო!“ ეს იყო ლამაზი მარლინი 30/30, იარაღი, რომელსაც დიდი ხანია ვეტრფოდი, მაგრამ არასდროს მქონია. კვლავ გაოცებული ვიყავი, მაგრამ მივხვდი - ორმაგი წილი.

რამდენიმე კვირა იყო გასული, როცა ისევ იგივე მოხდა - ორი იარაღი მაჩუქეს ერთ დღეს. ერთადერთი რისი თქმაც შემიძლია ისაა, რომ კარგი იარაღებით კურთხეული კაცი ნამდვილად ვარ. მაგრამ როგორც ჩემს ნაამბობ ყველა ისტორიაში, ყოველთვის ვკითხულობ: „როგორ მოხდა ეს?“ რა თქმა უნდა, უკვე გითხარით, რომ წარსულში ბევრი იარაღი დამითესავს, თუმცა მანამდე არასდროს მითქვამს: „უფალო, ამას ავიღებ!“ კვლავ ვიტყვი, რომ ეს ნამგლის პრინციპია, რაც აუცილებლად უნდა იცოდეთ. მაგრამ ნამგლის პრინციპის მიღმა, ორმაგი წილის პრინციპშიც ვიყავი მოქცეული ძალიან ცხადად, მკაფიოდ და მინდოდა, მცოდნოდა ზუსტად: როგორ ვაკეთებდი ამას. მჯერა უფალმა მაჩვენა, რომ ბევრმა ჩვენგანმა გამოტოვა სამეფოდან მომკის ეს ძალიან მნიშვნელოვანი ასპექტი და ვაპირებ, შემდეგ თავში რაღაც დრო დავუთმო ამ საკითხს. მაგრამ სანამ ამას ვიზამ, უნდა გაგიზიაროთ: როგორ გაგრძელდა ის წელი?

მას შემდეგ, რაც ფოსტით იარაღები მივიღე, აი, რა მოხდა?! და ეს ერთ-ერთი ყველაზე გასაოცარი ისტორიაა, რაც ორმაგ წილთან დაკავშირებით მოხდა და ძალიან ცხადად, მკაფიოდ, ზედმეტი კითხვების გარეშე იყო ორმაგი წილის მაგალითი. ეს ამბავი ჩემს მანქანებს უკავშირდება, განსაკუთრებით ჩემს მარგალიტისებრ, თეთრ კადილაკის ესკელადეს, რომელიც მაჩუქეს და რომელიც რამდენიმე თავის წინ ვახსენე. როგორც უკვე ვთქვი ამ წიგნში, მე და დრენდას დიდად არ გვაინტერესებს მანქანები. როგორც წესი, მანამდე გვყავს მანქანა, სანამ დადის და ნორმალურად გამოიყურება.

ამ ისტორიაში კვლავ უნდა ვახსენო, რომ მე და დრენდამ რამდენიმე მანქანა გავეცით მანამდე, მაგრამ რწმენით არ განგვიცხადებია, რომ გვჯეროდა მოვიმკიდით ამ გაცემით. მაგრამ თუ ეს ისტორია გახსოვთ, როცა კონფერენციის დღეებში იმ ნაქირავებ ესკელადეს ვატარებდით, ვთქვით: „ეს მოგვწონს; ვფიქრობთ, ასეთი უნდა გვყავდეს!“ მართლა არ ველოდით რომ

ვიღაც უბრალოდ დაგვირეკავდა და გვეტყოდა, რომ სურდა, ჩვენთვის ასეთი ეყიდა. მაგრამ, რა თქმა უნდა, სწორედ ეს მოხდა. და რა თქმა უნდა, არავისთვის გვითქვამს, რომ ასეთი მანქანა გვინდოდა. ამრიგად, როგორც უკვე გითხარით, მარგალიტისებრი, თეთრი, ესკელადეს მოკლე ვერსია გამოჩნდა და ეს მართლა გასაოცარი იყო. მიყვარს ეს ისტორია.

მაგრამ ამ ისტორიაში არის კიდევ უფრო გასაოცარი რამ, რაც წინა ზაფხულს მოხდა. ამ ესკელადეს დაახლოებით წელიწადნახევარი ვატარებდით გასულ ზაფხულამდე, როცა ერთ დღეს შევნიშნე, რომ ძრავის შესამოწმებელი შუქი აინთო. „დიდი არაფერია!“ - გავიფიქრე, თუმცა მინდოდა გადამემოწმებინა, ამიტომ გადამყიდველს ვაჩვენე. მათ თქვეს, რომ ისეთი არაფერი იყო. სენსორი გამონაბოლქვში ცოტაოდენ ზეთს აღიქვამდა, მაგრამ ეს პრობლემას არ გამოიწვევდა. ძრავი იმდენ ხანს გაძლებდა, სანამ მე მენდომებოდა მისი ტარება. ვკითხე ზეთს რატომ აღიქვამდა? ჩემს ესკელადეს ყიდვის შემდგომი გამონაბოლქვის სისტემა ჰქონდა დამონტაჟებული და მათი აზრით, სწორედ ამ მიზეზით აჩვენებდა. კვლავ გავიმეორებ, რომ მათი თქმით, ძრავი კარგ მდგომარეობაში იყო და კიდევ დიდხანს იმუშავებდა.

მე მივყვები მეფეს და მის სამეფოს, მაგრამ სამეფოში საკმარისზე მეტს, ორმაგ წილს ვნახულობ!

ერთ დღეს ჩვეულ საუბარში იმ ადამიანთან, რომელმაც მანქანა მომცა, ვახსენე სენსორის ანთების პრობლემა. მან მითხრა: „კი, ეს GMC-ის სხვა მანქანებზეც მინახავს“. „რეალურად“, თქვა მან, „ძველებში საკმაოდ გავრცელებულია“. მან გააგრძელა იმის თქმა, რომ ეს არანაირ გავლენას არ მოახდენდა მანქანაზე და რომ ამ მანქანის მართვა კიდევ ათი ან მეტი წელი შემეძლებოდა პრობლემის გარეშე.

მან იცოდა, რომ მე და დრენდას სახლი გვქონდა ფლორიდაში ახალი შეძენილი. გაოცებული ვიჯექი, როცა მითხრა: „იცი, რას გეტყვი, ამით ფლორიდაში წადი და იქ გამოიყენე და კიდევ ერთს გიყიდი აქ, ოჰაიოში გადასაადგილებლად!“ დიახ, ახლა ორი მარგალიტისებრი, თეთრი ესკელადეს მოკლე ვერსია მაქვს, რომლებიც ყველამხრივ სრულყოფილები არიან, გარდა იმ სენსორისა, რომელიც ათასში ერთხელ ინთება იმ პირველ

მანქანაზე. ორივე ყველამხრივ სრულყოფილია! ეს ერთ-ერთი იყო „ეს დაინახე?“ მომენტებიდან. მე და დრენდამ საკუთარ თავებს უნდა ვუბრწკინოთ ხოლმე, როცა ამ საოცარი მანქანებით დავდივართ. ჩვენ არც ერთი მათგანისთვის არ გადაგვიხდია ფასი. მაგრამ ამ შემთხვევაში ვიცოდით, რომ ეს ორმაგი წილი იყო.

ამ ამბებს სატრაბახოდ არ გიყვებით, მაგრამ მეგობარო, მე კურთხეული ვარ! სიამოვნებას ვიღებ ორმაგი წილით, რომელიც, როგორც უკვე იცით, საკმარისზე მეტის ქონაა. იარაღებით სავსე იარაღების საცავი მაქვს, რაც საკმარისზე მეტია. ორი იდენტური ესკელადე მაქვს, რომელთათვისაც ფასი არ გადამიხდია. ვფიქრობ, დამეთანხმებით, რომ ეს საკმარისზე მეტია! მე არ მოგიწოდებთ, ეძიოთ მატერიალური რაღაცები, არა! მე არ ვეჭიდები და არ ვაღმერთებ საგნებს! მე მივყვები მეფეს და მის სამეფოს, მაგრამ სამეფოში საკმარისზე მეტს, ორმაგ წილს ვპოულობ!

მოიცადეთ, მე ჯერ არ დამიმთავრებია უფლის სიკეთეზე და ორმაგ წილზე დამოწმება!

ჩემს ცოლს ბოლო 20 წლის განმავლობაში უნდოდა სანაპიროს სახლი. არა, ნება მომეცით, სხვანაირად ვთქვა! სულ უნდოდა! უბრალოდ ძალიან უყვარს ოკეანე! ასეა თუ ისე, უკვე წლების განმავლობაში ათვალიერებდა საკუთრებებს ოკეანეზე. წარსულში, როცა გამოჩნდებოდა სახლი, რომელიც მოსწონდა, ჩვენი თანხები მსახურების პროექტებში მიდიოდა და გვიწევდა, დავლოდებოდით. წელს, სარდაფში ვლოცულობდი და თან ველო-ტრენაჟორზე ვვარჯიშობდი. უეცრად უფალმა ძალიან ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე: „უთხარი დრენდას რომ ფლორიდაში წავიდეს, იმ ქალაქში, სადაც სახლის ქონა უნდა და უთხარი, რომ ამ კვირაში იყიდოს სახლი ოკეანეზე!“ ვაუ, ამ კვირაში?! ძლიერი გადაუდებლობის განცდა იყო ჩემს სულში, როცა ეს მოვისმინე. ამრიგად, დრენდას ვუთხარი ის, რაც უფალმა მითხრა და იმ ქალაქში მცხოვრებ ჩვენს მეგობარს შევეხმიანეთ, რათა გვეკითხა, თუ შეძლებდა რამდენიმე დღე დრენდა ქალაქში ეტარებინა სახლების სანახავად. თქვა, რომ ამას სიამოვნებით გააკეთებდა.

ასე რომ, დრენდამ ინტერნეტში შეამოწმა და ჩამოწერა 25 სახლის სია, რომელთა ნახვაც სურდა. იქ ჩასვლისას დრენდამ

25 სახლიანი სია 5-მდე დაიყვანა, მათ შორის ოთხი შესაძლო ვარიანტი იყო და ერთი ძალიან მოეწონა. ამ დროს მეც ჩავფრინდი და შევუერთდი. მანაც მაჩვენა ხუთივე, ისიც, რომელიც ძალიან მოეწონა. ეს 5 2-მდე დავიყვანეთ: ერთი რომელიც მას ძალიან მოეწონა და მეორე სახლი, რომელიც ასევე ძალიან კარგი იყო, თუმცა არა ისეთი, რომელიც მას მოეწონა. უნდა ვაღიარო: როცა ის სახლი ვნახე, რომელიც მას ძალიან მოეწონა, ვიცოდი, რომ ეს დრენდასი იყო და მასზე შეთავაზების გაკეთებით დავასრულეთ. მეპატრონე დასთანხმდა ჩვენს შეთავაზებას და კონტრაქტი გავაფორმეთ ჩვენი ახალი სახლისთვის.

რამდენიმე კვირის შემდეგ, როცა სახლში, ოჰაიოში ვისვენებდით, დრენდამ დაიჩურჩულა: „ეს ჩემი სახლია!“ „ვიცი,“ - ვუთხარი მე, - „ეს შენი სახლია. ღმერთმა მითხრა, რომ შენთვის ოკეანეზე სახლი მეყიდა იმ კვირაში, როცა იქ გაგაგზავნე“.

„არა“ - თქვა მან, - „შენ არ გესმის! ეს არის ჩემი სახლი“. მან დაიწყო იმის ახსნა, რომ წლების განმავლობაში ეძებდა იქ სახლს და ერთ დღეს ამ სახლის სურათი ნახა უძრავი ქონების გაყიდვების რეკლამაში. ნახვისთანავე ძალიან მოეწონა. ყველაფერი მოსწონდა მასში, ესპანურ-ხმელთაშუაზღვისპირული არქიტექტურა, იატაკის ნახაზი, ადგილმდებარეობა, ყველაფერი. გაიხსენა როგორ დაადო თითი სურათს და თქვა: „უფალო, ეს სახლი მინდა!“ მაგრამ იცოდა, რომ ეს სახლი ძალიან ძვირი იყო და ჩვენი თანხები უკვე სხვა პროექტებს მივუძღვენით, ამიტომ გააგრძელა ისეთი სახლების ძებნა, რომლებიც ჩვენს შესაძლებლობებში ჯდებოდა. მაგრამ არც ერთი სახლი არ გამოვიდა, კონტრაქტის დადებამდე არ მისულა საქმე. მშვიდობა არ გვქონდა სხვა სახლის შესახებ.

ისიც უნდა იცოდეთ, რომ დაახლოებით, ორი წლით ადრე დავთესეთ ამ ქალაქში ოკეანის სანაპიროს სახლისთვის. ჩვენი აღიარება მთელი ეს დრო იყო, რომ გვქონდა სანაპირო სახლი ამ ქალაქში, უკვე გვქონდა და მაშინ მივიღეთ, როცა მისთვის დავთესეთ. კონკრეტული დრო და ადგილიც მახსოვს, როცა ხელი ჩავჭიდეთ ერთმანეთს და შევთანხმდით დრენდას ოკეანის სანაპიროს სახლის გამო. მაგრამ ახლა, როცა კონტრაქტი დავდეთ, დრენდას უეცრად გაახსენდა სურათი, რომელიც ორი წლის წინ ნახა და მიხვდა რომ ეს იგივე სახლი იყო, მისი სახლი!

სახლის ისტორიის გამოკვლევის შემდეგ აღმოვაჩინეთ, რომ

მეპატრონე ნამდვილად ცდილობდა სახლის გაყიდვას რამდენიმე წლის წინ, მაგრამ არ გაიყიდა და ბაზრიდან აიღო. სწორედ მაშინ ნახა დრენდამ მისი სურათი უძრავი ქონების სიაში. ახლა მეპატრონემ გადაწყვიტა თავიდან განეთავსებინა იგი სიაში, რაც ხსნის ჩემს გადაუდებლობის განცდას დრენდას ოკეანეზე გაგზავნის თაობაზე ასეთი მითითებით: „ამ კვირაში უნდა იყიდო სახლი!“ დრენდა გეტყვით, რომ ზოგადად ასე ნამდვილად არ ვხარჯავ ფულს. სწორი დრო ყველაფერია. ამ დროს ჩემი ფული სხვა პროექტებში არ იყო ჩართული და შესაძლო იყო სახლისთვის გამოყოფა. დარწმუნებული ვარ ბევრი ადამიანი ნახულობდა ამ სახლს და სწორედ ეს იყო გადაუდებლობის განცდის მიზეზი. ჩვენდა გასაოცრად, ფასი არ იყო გაზრდილი მას შემდეგ, რაც ის ორი წლის წინ დრენდამ პირველად ნახა. მჯერა რომ ღმერთი ინახავდა მას მისთვის!

მაგრამ აი, ამ ისტორიის ორმაგი წილის ნაწილი. როცა კონტრაქტი დადებული გვქონდა და დასრულებას ველოდებოდით, დრენდას დედამ დარეკა. ისინი 32 წლის განმავლობაში ფლობდნენ სახლს კანადაში. წლების განმავლობაში რამდენჯერმე ვიყავით იქ ნამყოფები და ძალიან მოგვწონდა სახლიც და ადგილმდებარეობაც. სახლი კუნძულზეა, ზუსტად წყალზე. რეალურად, ოკეანე მხოლოდ 9 მეტრითაა დაშორებული უკანა მხრიდან. დრენდას მშობლები ბერდებოდნენ და გადაწყვიტეს აღარ უნდოდათ მასზე ეზრუნათ და ხარჯები გაეწით. ისინი ჩვენთან მოვიდნენ და გვკითხეს მისი ყიდვით ხომ არ ვიყავით დაინტერესებულნი, მეც ვუთხარი, რომ არა. სახლი 31 საათის სავალზე იყო მანქანით ოჰაიოდან და მიუხედავად იმისა, რომ ძალიან მიყვარდა ის ადგილი, არ ვფიქრობდი, რომ ხშირად მოვახერხებდი ჩასვლას სამოგზაურო დროის გამო. ამრიგად, მათ სახლი უძრავი ქონების გაყიდვების სიაში მოათავსეს, თუმცა ბაზარზე გატარებული ორი წლის შემდეგ, არც ერთ მყიდველს არ გამოუჩენია სერიოზული ინტერესი.

არ იფიქროთ რომ ორმაგი წილი ორი რაღაცის ქონითაა შეზღუდული. რეალურად, ორმაგი წილი უბრალოდ საკმარისზე მეტის ქონას ნიშნავს.

ამრიგად, ახლა, სანამ ველოდით გარიგების დასრულებას ოკეანის სანაპიროს სახლზე, დაგვირეკეს და აგვიხსნეს, რომ

წარუმატებლად ცდილობდნენ სახლის გაყიდვას და ახლა სურდათ, ფასი გაენახევრებინათ, თუ ჩვენ გვინდოდა მისი ყიდვა, რათა ოჯახში დარჩენილიყო. ჩემი შვილები იქ სიარულში გაიზარდნენ და ნამდვილად ლამაზი ადგილია. ამრიგად, მე და დრენდამ ვილოცეთ ამის შესახებ და ვთქვით, რომ ვიყიდდით. ხელზე ზუსტად ის თანხა გვქონდა, რაც საკმარისი იყო მის შესაძენად. ამის გარდა, ჩემი კომპანიისთვის თვითმფრინავი შევიძინეთ გასულ წელს, რაც საშუალებას გვაძლევდა 5 საათში ჩავსულიყავით იქ ნაცვლად 31 საათისა, რაც მანქანას სჭირდებოდა. ამან იქ ჩასვლა გაცილებით უფრო შესაძლო გახადა.

მას შემდეგ, რაც ორივე სახლის ყიდვა დავასრულეთ, ერთ დღეს ოფისში ვიჯექი, როცა უეცრად გონება გამინათდა: „მოიცადეთ, ეს ორმაგი წილია!“ ჩემი ცოლი წლები ოცნებობდა ოკეანის სახლზე. ახლა, ორი თვის შუალედში მიიღო სახლი, რომელიც აშშ-ს სამხრეთ ნაწილშია, რომელიც ძალიან თბილია ზამთარში, თუმცა ზედმეტად ცხელია ზაფხულში გამოსაყენებლად. მაგრამ სახლი კანადაში სრულყოფილი ტემპერატურისაა ზაფხულში, თუმცა ზედმეტად ცივია ზამთარში. მივხვდით, რომ ახლა ორივე სეზონისთვის აქვს ოკეანის სახლი. დაუჯერებელია! ნამდვილად ვთქვით: „ეს დაინახე?“ როცა ორივე გარიგება დასრულდა. ვფიქრობ, დამეთანხმებით, რომ ამას ორმაგი წილის სუნი ასდის! გასაოცარია!

რამდენიმე მაგალითი გამოვიყენე იმისა, თუ როგორ მოიტანა ღმერთმა ორი რაღაცა ჩემთან და დრენდასთან, რომელიც დარწმუნებული ვარ ღმერთმა გამოიყენა, რათა ცხადად დაგვენახა, როგორ მოქმედებს ორმაგი წილი. მაგრამ უნდა დავრწმუნდე, რომ არ იფიქრებთ, რომ ორმაგი წილი ორი რაღაცის ქონითაა შეზღუდული. რეალურად, ორმაგი წილი უბრალოდ საკმარისზე მეტის ქონას ნიშნავს. ღმერთი ორი რაღაცის ქონის ამ ძალიან ცხად მაგალითებს იყენებდა ჩემი ყურადღების მისაპყრობად ორმაგ წილთან დაკავშირებით. იმედი მაქვს, ორმაგი წილის და შაბათის სიმშვიდის რეალურობა დაიჭირეთ! ცხოვრება ისეთი საოცარია სამეფოში! როცა ამ თავს ვწერ, ჩვენს კანადის სახლში ვზივარ და ფანჯრიდან ოკეანეს გავყურებ. სახლიდან 25 მეტრში, სანაპიროზე თოლიები და იხვები დაფრინავენ. აქ არის სიმშვიდე, არანაირი ზედმეტი ძალისხმევა არაა, მისთვის გადახდილია და ნამდვილად კურთხევაა ჩემთვის. მე ჩემს დანიშნულებას ვასრულებ, მამაჩემის სამეფოს კეთილ

უწყებას გიზიარებთ ძე მის სახლში, მოქალაქე მის დიდებულ სამეფოში და სიამოვნებას ვიღებ ორმაგი წილით!

მე და დრენდას იმდენი ისტორიის დაწერა შეგვიძლია იმაზე, თუ როგორი გავლენა ჰქონდა ჩვენს ცხოვრებაზე ღვთის სამეფოს და კანონებს, რომლებიც მას მართავს, ისევე როგორც იმ ათასობით ადამიანის ცხოვრებაზე, რომლებიც ყოველდღიურად გვიგზავნიან თავიანთ ისტორიებს. როგორც უკვე გაგიზიარეთ, ეს ყველაფერი ბიბლიაში შეგიძლიათ წაიკითხოთ, მაგრამ ისეთი ამაღელვებელია შენს თვალწინ დაინახო გაცოცხლებული ბიბლია!

პატარა აღნიშვნა, მინდა, აქ დავამატო. ცოტათი სარისკოა ჩემთვის, ადამიანებს მოვუყვე, როგორ გვაკურთხა ღმერთმა მე და დრენდა და ჩვენ მიერ გამოვლილი გზა. ადამიანებს ხშირად არასწორად ესმით ეს ყველაფერი. ზოგჯერ შეიძლება იფიქრონ, რომ ჩვენ ამაყები და ამპარტავნები ვართ. ან ფიქრობენ, რომ მათ მეათედსა და შესაწირავებს ვიღებთ და ჩვენი თავისთვის ვხარჯავთ. გთხოვთ, გაიგეთ, რომ მე და დრენდა არანაირ ფულს არ ვიღებთ ჩვენი სატელევიზიო გადაცემიდან, არც ჩვენი რესურსების გაყიდვებიდან. დიახ, ჩვენ გვაქვს ხელფასი ეკლესიიდან, რომელსაც ვმწყემსავთ. მაგრამ ჩვენ ვფლობთ და ყოველთვის ვფლობდით ბიზნესებს და ღმერთი აკურთხებს მათ. უბრალოდ მინდოდა, დავრწმუნებულიყავი, რომ იცით, როგორი გულით გიზიარებთ ჩვენს პირად ისტორიებს. ვიგრძენი, რომ უნდა მეთქვა, რაც მართლა ვნახეთ, რომ მოხდა და რაც ღმერთმა გვასწავლა ამ მოვლენების შესახებ. შედეგები რის შესახებაც გიზიარებთ არ არის გარი და დრენდა ქისების შედეგები; ჩვენ ასეთი კარგები არ ვართ! არა, რასაც ვხედავთ და რითიც სიამოვნებას ვიღებთ, არის ჩვენი მამისა და მისი სამეფოს შედეგები ჩვენს ცხოვრებაში. ჩვენ გიზიარებთ ამ ისტორიებს, რადგან უბრალოდ გვინდა, გაიგოთ! ჰეი, ჩვენ არაფრიდან, ნულიდან მოვედით და ერთადერთი მიზეზი, რის გამოც ამ წიგნს ვწერ, შენ ხარ! მინდა, იცოდე, როგორ მოქმედებს იგი, რათა შეგეძლოს გაიგო და მიიღო ყველაფერი, რაც ღმერთს შენთვისაც აქვს?!

მინდა, გაიგოთ, რომ მე მთელი ჩემი არსებით მძულს სიღარიბე! ის ცხრა წელი, როცა მუდმივ სტრესსა და შიშში ვცხოვრობდი, პირდაპირი მნიშვნელობით იყო ჯოჯოხეთში

ცხოვრება ამ დედამიწაზე! იმედი მაქვს, გემახსოვრებათ, რომ შაბათის სიმშვიდე თქვენიცაა, ისევე როგორც ჩემი! შემდეგ თავში ვაპირებ, დაგეხმაროთ, გაიგოთ, თუ როგორ მოექცეთ შაბათის სიმშვიდეში?!

პატარა აღნიშნვა ამ თავისთვის. როგორც კი წინა წინადადების დაწერა დავასრულე, ჩემი მდივანი შემოვიდა ჩემს ოფისში და მითხრა, რომ ჩემთვის რაღაც ყუთი მოვიდა. გამაოცა, როდესაც გავხსენი და მასში ორი ძალიან კარგი იარაღი ვიპოვე. ვაუ, ეს ისეთი გამამხნევებელი იყო! თითქოს ღმერთი „ამინს“ მეუბნებოდა იმაზე, რაც ახლა ვთქვი.

მას შემდეგ, რაც ეს წიგნი დაიბეჭდა და წიგნებით დატვირთული პირველი სატვირთო მივიღე, ძალიან აღელვებული ვიყავი იმით, რომ ამ პრინციპების შესახებ პირველად ჩვენი ატლანტას „რევოლუციის“ კონფერენციაზე მესწავლებინა. ასევე ძალიან აღელვებული ვიყავი, რადგან ჩემი ახალი წიგნი თან მქონდა და შემეძლო, ხალხამდე მიმეტანა. დარბაზში წასასვლელად ვემზადებოდი, როცა ჩემმა მდივანმა დამირეკა და მითხრა, რომ ზარი იყო ჩემთვის მამაკაცისგან, რომელმაც იარაღების პირველი წყვილი გამომიგზავნა და ამბობდა, რომ ახლავე უნდა დამლაპარაკებოდა. სასწრაფოდ დავურეკე. ისეთი აღფრთოვანებული მიხსნიდა, რომ ახლა UPS-ის ოფისში იყო და კიდევ ორი იარაღი გამომიგზავნა! გარდა ამისა, მან დრენდასაც გამოუგზავნა იარაღი და რადგანაც იცოდა რომ დრენდა არ ნადირობდა, მან მას 1500 $ გამოუგზავნა 100$-იანი ჩეკებით. შოკირებული ვიყავი. ვიგრძენი, რომ კვლავ ღმერთი ადასტურებდა იმას, რასაც ვაკეთებდი და ამ გზით მეუბნებოდა, რომ გამეგრძელებინა. ადამიანებმა უნდა იცოდნენ ეს: ღმერთს სურს, რომ შენ ეს იცოდე! ასეა თუ ისე, სახლში მისულმა აღელვებულმა გავხსენი ყუთი. მე და დრენდამ ერთმანეთის შესაფერისი ბრაუნინგის ზემოდან და ქვემოდან სასროლი იარაღები მივიღეთ, ყველაზე ლამაზი, რაც ოდესმე მინახავს. ამას გარდა ჩემთვის იყო ბრაუნინგის ოქროსფერი ნახევრად ავტომატური 20 კალიბრიანი იარაღი და რა თქმა უნდა, დრენდასთვის 1500 $. ორმაგი წილი!

შეიძლება გიკვირდეთ, რატომ ამდენი იარაღი?! უნდა ვაღიარო, რომ ახლა ძალიან ბევრი კარგი იარაღი მაქვს, არც ერთი არაა იაფიანი და მეც იგივე შეკითხვა დავსვი. ღმერთმა

გამაგებინა, რომ მან ამდენი ძალიან ძვირიანი და კარგი იარაღი გამომიგზავნა, რათა დამენახა, თუ რამდენად ფართოა მისი რესურსები, რომ მისი უზრუნველყოფა სცდება ჩემს მოლოდინებს და სცდება თავის გატანას. მე ამას მივხვდი! მე ამას ვხედავ!

თავი 10

ორმაგი წილის საიდუმლოება

ახლა ვისაუბრე იმაზე, თუ რა არის შაბათის სიმშვიდე და როგორაა შესაძლებელი ეს ორმაგი წილის მეშვეობით. კითხვა, რომელიც შენს გონებაში უნდა ჟღერდეს, ასეთია: „როგორ უნდა მოვექცე ორმაგი წილის პრინციპში?“ მიხარია, რომ იკითხეთ! ამ კითხვაზე პასუხის საპოვნელად, მოდი, დავუბრუნდეთ ისტორიას, სადაც იესომ 5000 კაცი გამოკვება ხუთი პურით და ორი თევზით.

„უკვე გვიანი იყო; მივიდნენ მასთან მოწაფეები და უთხრეს: „ეს ადგილი უდაბურია და თანაც უკვე გვიანია. გაუშვი ეს ხალხი გარშემო სანახებსა და სოფლებში, რომ საზრდო იყიდონ თავიანთთვის!“

მაგრამ მიუგო მათ და უთხრა: „თქვენ მიეცით მათ საჭმელი!“

უპასუხეს: „წავიდეთ, ორასი დინარის პური ვიყიდოთ და ამათ მივცეთ საჭმელად?“

უთხრა: „რამდენი პური გაქვთ? წადით, ნახეთ!“

ნახეს და უთხრეს: „ხუთი პური და ორიც თევზი“.

მაშინ უბრძანა მათ, ყველანი ჯგუფ-ჯგუფად დამსხდარიყვნენ მწვანე ბალახზე. და დასხდნენ მწყობრად, ასასად და ორმოცდაათ-ორმოცდაათად. აიღო ხუთი პური და ორი თევზი, ზეცას ახედა, აკურთხა, პურები დატეხა და მოწაფეებს მისცა, რომ მათთვის ჩამოერიგებინათ. ორი თევზიც ყველას გაუნაწილდა. ყველამ ჭამა და გაძღა. დარჩენილი ნატეხებით კი თორმეტი გოდორი გაავსეს. და

ხუთი ათასამდე მამაკაცი იყო პურის მჭამელი“.

– მარკოზი 6:35-44

ჩვენ უკვე ვილაპარაკეთ ამ ისტორიაზე, თუმცა აქ რამდენიმე ძალიან დიდი გასაღებია ორმაგი წილის შესახებ. ამ ისტორიაში, იესომ ზებუნებრივად გაამრავლა პური და თევზი და ყველამ იქამდე ჭამა, სანამ არ დაკმაყოფილდა. ვვარაუდობ, რომ იქ დაახლოებით 20 000 ადამიანი იქნებოდა, ქალებისა და ბავშვების ჩათვლით; და ამდენი ადამიანი გამოიკვება ხუთი პურითა და ორი თევზით, სანამ ყველა არ გაძღა და ეს ნამდვილად ღვთიური რამაა. ამიტომ შეგვიძლია, ვიზეიმოთ სამეფოს მოქმედება. მაგრამ მხოლოდ ხალხის გამოკვება არაა სრული სურათი იმისა, თუ რა მოხდა და თუ აქ გაჩერდებით ორმაგი წილი გამოგრჩებათ. მოდით, ცოტა მეტად ჩავუღრმავდე!

ᲐᲠᲡᲔᲑᲝᲑᲡ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲣᲙᲔᲗᲔᲡᲘ ᲒᲖᲐ, ᲕᲘᲓᲠᲔ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲓᲐᲙᲛᲐᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲐᲖᲔ ᲤᲝᲙᲣᲡᲘᲠᲔᲑᲐᲐ. ᲒᲔᲕᲠᲡ ᲕᲔᲠ ᲐᲐᲨᲔᲜᲔᲑ ᲓᲐᲙᲛᲐᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲐᲖᲠᲝᲕᲜᲔᲑᲘᲗ. ᲮᲔᲓᲕᲐ ᲨᲔᲖᲦᲣᲓᲣᲚᲘᲐ ᲓᲐᲙᲛᲐᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲝᲜᲔᲖᲔ ᲓᲐ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲓᲦᲔᲕᲐᲜᲓᲔᲚ ᲓᲦᲔᲖᲔᲐ ᲤᲝᲙᲣᲡᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ.

„ყველამ ჭამა და გაძღა. <u>დარჩენილი ნატეხებით კი თორმეტი გოდორი გაავსეს.</u> და ხუთი ათასამდე მამაკაცი იყო პურის მჭამელი“.

ამრიგად, რას გვეუბნება ტექსტი? მას შემდეგ რაც ყველა დაკმაყოფილდა, 12 კალათა გაივსო პურისა და თევზის დარჩენილი ნატეხებით. ორმაგი წილის განმარტება საკმარისზე მეტის ქონაა. საკმარისია დაკმაყოფილება, მაგრამ ნარჩენების 12 კალათი მას შემდეგ, რაც ადამიანები დაკმაყოფილდნენ, ორმაგი წილია, საკმარისზე მეტია. მინდა, რომ კარგად გაგიჯდეთ ეს განმარტება გონებაში. მინდა გონებაში მკაფიო სურათი გქონდეთ იმის, თუ რა განსხვავებაა დაკმაყოფილებასა და ორმაგ წილს შორის. არ მაქვს დრო, რომ აქ უფრო ჩავუღრმავდე, თუ როგორ გამოათავისუფლა ღმერთმა სამეფოს ძალაუფლება ამ

სიტუაციაში ისტორიის პირველი ნაწილის აღსასრულებლად - 5000 ადამიანის დასაკმაყოფილებლად. მაგრამ შეგიძლიათ სრული განმარტება ნახოთ ამ სერიების პირველ წიგნში, *შენი ფინანსური რევოლუცია: ერთგულების ძალა.*

ამის ნაცვლად, მინდა, ორმაგ წილზე ვფოკუსირდე, გადმოდინებაზე და თუ როგორ მოხდა ეს ამ ისტორიაში. დიახ, გასაოცარი ამბავია - 20 000 ადამიანი დაკმაყოფილდა, ვაუ! მაგრამ სამეფოში გაცილებით მეტია, ვიდრე უბრალოდ დაკმაყოფილება, მიუხედავად იმისა, რომ ნამდვილად გჭირდება დაკმაყოფილდე, სანამ გადმოდინებამდე მიხვალ. დაკმაყოფილება ძალიან კარგია, მაგრამ რას იტყვი ხვალინდელ დღეზე? იმის თქმას ვცდილობ, რომ თუ შენი მიზანი მხოლოდ დაკმაყოფილებაა, რა მოხდება, თუ ისევ მოგშივდება? მრავალი ქრისტიანია დაკმაყოფილების მდგომარეობაში, მაგრამ მათ გამოტოვებული აქვთ ორმაგი წილი. სწორედ ორმაგ წილს მოაქვს ღვთის შაბათის მშვიდობა. დაკამყოფილება მხოლოდ საკითხის დროებითი გადაწყვეტაა. ის არ წყვეტს უზრუნველყოფის პრობლემას. იმის ცოდნა, რომ ისევ მოგშივდება მაშინაც კი, როცა იმ წუთას არ გშია, კვლავ შიშს უღებს კარს, რაც იწვევს, რომ ირბინო და იმუშაო თავის გატანაზე ორიენტირებული აზროვნებით. არა, არსებობს ცხოვრების უკეთესი გზა, ვიდრე მხოლოდ დაკმაყოფილებაზე ფოკუსირება! ბევრს ვერ ააშენებ დაკმაყოფილებული აზროვნებით. ხედვა შეზღუდულია დაკმაყოფილების დონეზე და მხოლოდ დღევანდელ დღეზეა ფოკუსირებული. დედამიწის ტანჯვისა და ოფლის ღვრის წყევლის სისტემაში თავის გატანის მიზანია, მხოლოდ დაკმაყოფილებაზე იფიქრო.

დაკმაყოფილებული მხოლოდ დღეს ჭამს; ორმაგი წილი ხვალისთვის აშენებს!

ნება მომეცით, მოვიყვანო მაგალითი, თუ როგორ აზროვნებს კულტურა და ეკლესიის დიდი ნაწილი. ნებისმიერს ჰკითხე: როგორაა ფინანსურად? და ბევრ პასუხს მიიღებ, რომელთაგან ალბათ, ბევრი არ იქნება დადებითი. მაგრამ კარგსაც თუ მოისმენ, ვიღაც თუ იტყვის: „ყველაფერი კარგადაა,“ ჰკითხეთ: „რამდენი ხნით გაქვთ თქვენი ბინის გადასახადი გადახდილი?“

ალბათ, გაოცებულნი შემოგხედავენ და გეტყვიან: „სახლის საფასური არ გვაქვს გადახდილი! უბრალოდ ვიგულისხმე, რომ გადასახადებს ვიხდით და რაღაც თანხა ბანკშიც გვაქვს“. „დიდებულია!“ - იტყვი შენ, „მართლა კარგად ახერხებთ. მითხარით, დაახლოებით 10 000 $ გაქვთ ბანკში?“ რა თქმა უნდა, სავარაუდოდ, არავინ იკითხავს ამას, მაგრამ თუ იკითხავდით და გიპასუხებდნენ, იტყოდნენ: „არა, მაგრამ 800 $ გვაქვს“. სერიოზულად, ეს ადამიანები ფიქრობენ, რომ ფინანსურად კარგად არიან, რადგან კარგი მანქანა ჰყავთ, კარგი სახლი აქვთ და ცოტა თანხა ბანკში. ისინი დამაკმაყოფილებელი ცხოვრების წესით ცხოვრობენ. მაგრამ აქ მეტია! რას იტყვით იმაზე, როცა სახლის საფასური გადახდილია და ბანკში 100 000 $ ან 500 000 $ გაქვთ? ეს ადამიანთა უმრავლესობისთვის საკმარისზე მეტით ცხოვრების სურათი იქნება. დაკმაყოფილება კარგია და აუცილებელი, მაგრამ საკვების საკუჭნაოში პურისა და თევზის 12 კალათის ქონა საკმარისზე მეტია და სწორედ აქაა სიმშვიდე!

ერთ დღეს კლიენტთან დავჯექი და მასთან ერთად განვიხილავდი მის ფინანსებს. როცა ვალებს გავდიოდი, შევამჩნიე, რომ 40,000 დოლარი ჰქონდა ვალი საკრედიტო ბარათებზე. მისი აქტივების გადახედვისას კი ვნახე, რომ მას ანგარიშზე 40 000 $ ჰქონდა ნაღლი ფული. „ჯო!“ - ვუთხარი მე - „ამას დიდი ფიქრი არ სჭირდება. შენ საკმარისი ფული გაქვს იმისთვის, რომ სამი საკრედიტო ბარათის ვალი სრულად დაფარო. საკრედიტო ბარათზე ვალი 18 %-ით იზრდება, მაშინ როცა შენს ანგარიშზე მხოლოდ 1 %-ით იზრდება თანხა. ნაღდი ფულით გადაიხადე ვალები! მაგრამ იცით რა? ჯომ თქვა, რომ არ სურდა ასე მოქცეულიყო. დაბნეული ვიჯექი და ვკითხე: რატომ? მან მითხრა, რომ ანგარიშზე თანხის ქონა მას უსაფრთხოებისა და სიმდიდრის განცდას აძლევდა. მე მას შევხედე. „რას გულისხმობ, როცა ამბობ, რომ თავს მდიდრად გრძნობ? ეს ილუზიაა. მიუხედავად იმისა, რომ ანგარიშზე 40 000 $ გაქვს, რეალურად არ გაქვს ეს თანხა, რადგან ვალი გაქვს 40 000 $. შენი აღქმა მცდარია და ძალიან ბევრ ფულს იხდი იმაში, რომ სიცრუის გჯეროდეს!“

დაახლოებით, ერთი საათის განმავლობაში ვილაპარაკეთ, მაგრამ მაინც ვერ გაიგო, თუ რატომ უნდა გადაეხადა, სულ მცირე, არსებული თანხის დიდი ნაწილი ვალებში, რამაც გამახსენა, რომ ბევრს მუშაობდა. კიდევ ერთი საათის შედეგ დავნებდი და

სახლში წავედი. ის მოტყუებული იყო; ტყუილად ცდილობდა ამ თანხის ანგარიშზე შენახვას. ვიცი, სასიამოვნო განცდა იყო როცა ფოსტაზე წერილი მოდიოდა, სადაც ეწერა, რომ მას 40,000 $ ჰქონდა ბანკში. მაგრამ მისი მდგომარეობის რეალური სურათის დასანახად საკრედიტო ბარათების ჩეკებიც უნდა გაეხსნა.

კმაყოფილება კარგია და მას შეუძლია უსაფრთხოების მცდარ განცდაში გაგახვიოს. უბრალოდ ცოტა წინ უნდა გაიხედო და იცოდე, რომ ის, რაც ახლა შთანთქე ვერ უზრუნველყოფს იმას, რაც რამდენიმე საათის შემდეგ დაგჭირდება. ისევ მოგშივდება. თუ მხოლოდ სწრაფ გამოსავალს, უზრუნველყოფით სწრაფ დაკმაყოფილებას ეძებ, გამოტოვებ იმ ერთადერთს, რასაც მართლა შეუძლია შენი ცხოვრების შეცვლა - ორმაგ წილს.

როცა ჩვენ ყველანი დედამიწის ტანჯვისა და ოფლის წყევლის ფინანსურ სისტემაში გავიზარდეთ, ერთ რაიმეზე ვოცნებობდით, გაჩერებაზე! ეს წინა თავშიც ვახსენე. ჩვენ არ ვოცნებობთ მეტ სამუშაოზე ან კიდევ ერთ შესაძლებლობაზე, რადგან, გულწრფელად რომ ვთქვათ, უკვე ყელში გვაქვს ამოსული ცხოვრება და ძლივს ვიკავებთ თავს შემდეგ არდადეგებამდე. ხედავთ, მონები არ ოცნებობენ მეტ სამუშაოზე. მონები რაიმეზე ოცნებობენ? - პარასკევ საღამოზე და არა ორშაბათ დილაზე. რატომ? რადგან მონებს მხოლოდ ერთი ოცნება აქვთ - გაჩერება. მომისმინეთ, გადატვირთული და „ერთი სული მაქვს, როდის გავჩერდები?!“ აზროვნება ვერსად წაგიყვანს. ანგელოზიც რომ მოვიდეს შენს საძინებელში და იდეა მოგაწოდოს ღვთისგან, შენი აზროვნება კვლავ უკან დაგხევს. ეს ჩაიწერეთ!

დაკმაყოფილების მილმა უნდა გაიხედო, რათა ორმაგ წილს ჩაეჭიდო!

ეს წინადადება ორმაგი წილის გასაღებია. ვიცი ახლა მასში დიდ აზრს ვერ ხედავთ, მაგრამ დაინახავთ! იმის საჩვენებლად თუ რას ვგულისხმობ, მინდა კიდევ ერთხელ შეხედოთ 5000 კაცის გამოკვების ისტორიას იოანეს სახარებიდან მარკოზის სახარების ნაცვლად. იოანეს პერსპექტივიდან იგივე ისტორიაში პატარა დეტალებს ვხედავთ, რასაც მარკოზის ვერსიაში ვერ ვპოულობთ.

„იესომ პურები აიღო, მადლი შესწირა და მოწაფეებს ჩამოურიგა, მოწაფეებმა კი - იქ მსხდომთ; ასევე თევზიც, ვისაც რამდენი უნდოდა. რომ დანაყრდნენ, თავის მოწაფეებს უთხრა: „მოაგროვეთ ნარჩენები, რომ არაფერი დაიკარგოს!“

– იოანე 6:11-12

ისტორიის ამ ვერსიაში, ვხედავთ რომ იესომ უთხრა მათ წასულიყვნენ და ნარჩენები თუ ნაწილები შეეგროვებინათ, რათა არაფერი დაკარგულიყო. მინდა ეს გაიგოთ. მას მოუწია მათთვის ეს ეთქვა, რადგან გამოსავალს ვერ ხედავდნენ. თავი მათ ადგილას წარმოიდგინეთ. მაძღარი და დაკმაყოფილებული ხარ და ერთადერთი რაც გინდა, არის წამოწვე და წაუძინო. დედამიწის წყევლის წვრთნისა და მონური მენტალიტეტის გამო, როცა დაკმაყოფილებული ხარ ფიქრობ, რომ გაჩერების დროა. ხედავთ, მონური მენტალიტეტი მხოლოდ მაშინ მუშაობს, როცა ვალდებულია და როცა არაა იძულებული, როცა კმაყოფილია, იგი ჩერდება. იესოს მოუწია ეთქვა მათთვის, რომ მოეგროვებინათ ის, რაც თვალწინ ჰქონდათ. ეს ნამტვრევები მათ გარშემო იყო მიმოყრილი მიწაზე, თუმცა არაფერს აკეთებდნენ მათ ასაგროვებლად. მაგრამ მათ გონებაში რომ ჩავიხედოთ, უღირდათ ეს ნატეხები ჩიტების საჭმელად დაეტოვებინათ?

იესო ცდილობდა, მათთვის რაღაც ესწავლებინა, რაღაც ძალიან მნიშვნელოვანი. იესო კომენტარს აკეთებს მას შემდეგ, რაც ეუბნება, რომ ნარჩენები ააგროვონ, რათა არაფერი დაიკარგოს! მაგრამ ეს რას ნიშნავს? ყველა მაძღარია, ყველა კმაყოფილია და არავის სურს მეტი პური და თევზი, ნუ, სულ მცირე იმ წუთას. მაგრამ აი პრობლემაც - არ არსებობს შაბათის სიმშვიდე იმაზე მეტის მოგროვების გარეშე, რაც გჭირდება. როცა ისრაელიანები მანნას აგროვებდნენ მეექვსე დღეს, მათ მითითება ჰქონდათ მიღებული, რომ იმაზე მეტი მოეგროვებინათ, ვიდრე სჭირდებოდათ. მათ მიერ საჭიროზე მეტის მოგროვება იმ დღეს ხდებოდა მათი უზრუნველყოფა მეშვიდე დღეს, დასვენების დღეს. იესო ასწავლიდა მოწაფეებს გაეხედათ დაკმაყოფილების მიღმა და დაენახათ სამეფოს სრული უზრუნველყოფა. კვლავ ვიტყვი, შენ ვერ ააშენებ დაკმაყოფილებით, მაგრამ შეგიძლია აშენო ორმაგი წილით.

დაკმაყოფილებულმა შთანთქა დღევანდელი პური, მაგრამ დარჩენილი 12 კალათა გაძლევს არჩევანის საშუალებას ხვალ.

აი, აქ არის საკვანძო პრინციპი, რაც მინდა რომ დაინახოთ!

მიუხედავად იმისა, რომ მოწაფეები ვერ ხედავდნენ ნარჩენებს, სანამ იესო მიუთითებდა, ღმერთს **უკვე მიცემული ჰქონდა მათთვის შაბათის სიმშვიდე**, ორმაგი წილი. ისინი უბრალოდ ვერ ამჩნევდნენ ამას. სამეფომ უკვე უზრუნველყო საკვები, გაამრავლა პური და თევზი და გამოკვება ყველა ეს ადამიანი - მაგრამ სამეფო ყოველთვის გამარაგებს ორმაგი წილით. ღმერთი არასდროს აპირებს მხოლოდ დამაკმაყოფილებლით მოგამარაგოს; **ის ყოველთვის მოგამარაგებს საკმარისზე მეტით**. საქმე იმაშია, რომ შეიძლება ვერ ხედავდე!

> *„მიეცით და თქვენც მოგეცემათ: კარგი საწყაო, დატკეპნილი, გატენილი და პირთამდე სავსე მოგეცემათ თქვენსავე კალთაში! რადგან რომელი საწყაოთიც მიუწყავთ, იმითივე მოგეწყვებათ თქვენ“.*
>
> – ლუკა 6:38

გაეცით და მოგეცემათ: კარგი საწყაო, დატკეპნილი, გატენილი. მაგრამ აქ არ მთავრდება ეს მუხლი. შენი დატკეპნილი და გატენილი საწყაო არის შენი უზრუნველყოფა იმ დღისთვის. მაგრამ მუხლი გრძელდება და ამბობს: „პირთამდე სავსე!“ პირთამდე სავსე, გადმომდინარე არის ორმაგი წილი. ღმერთი ყოველთვის უზრუნველყოფს ორმაგი წილით და არასოდეს მხოლოდ საკმარისით!!! მაგრამ თუ ამის შესახებ არ იცი და გადმოდინებას დაიწყებს, ნებას მისცემ რომ ძირს დაიქცეს, რადგან მხოლოდ დასაკმაყოფილებელ პორციაზე ხარ ფოკუსირებული, იმაზე რაც შენს წინაა და არ ხარ მზად გადმომდინარის დასაჭერად. ასე მოქცევით ვერ დაიჭერ და ვერ ისიამოვნებ ორმაგი წილით. მაგრამ თუ გააანალიზებდი, როგორ მოქმედებს სამეფო, გეცოდინებოდა სრული უზრუნველყოფის მოლოდინზე, მზად იქნებოდი ისე სამოქმედოდ, რომ მთლიანად დაიჭირო ის, რასაც ღმერთი გაძლევს.

ნება მომეცით, კიდევ ერთი მაგალითი მოვიყვანო.

> *„მიუგო სიმონმა პასუხად: „მოძღვარო, მთელი ღამე ვიშრომეთ და ვერაფერი დავიჭირეთ. მაგრამ შენი სიტყვისამებრ ჩავუშვებთ ბადეს“. ასეც მოიქცნენ და იმდენი თევზი მოიმწყვდიეს, რომ ბადეები ეხეოდათ. ნიშანი მისცეს მეწილეებს მეორე ნავში, რომ მოსაშველებლად მოსულიყვნენ. მოვიდნენ და ორივე ნავი ისე აავსეს, რომ იძირებოდნენ. ამის მნახველი სიმონ-პეტრე იესოს წინაშე მუხლებზე დაეცა და უთხრა: „გამშორდი, უფალო, რადგან ცოდვილი კაცი ვარ“. რადგან გაოგნებამ შეიპყრო ისიც და ყველა მასთან მყოფიც იმ თევზის სიმრავლის გამო, მათ რომ დაიჭირეს; ასევე დაემართათ იაკობსა და იოანეს, ზებედეს ძეებს, სიმონის მეწილეებს. უთხრა იესომ სიმონს: „ნუ გეშინია, ამიერიდან ადამიანებს დაიჭერ“.*
>
> – ლუკა 5:5-10

ეს იმ ისტორიის ნაწილია, რომელიც უკვე წავიკითხეთ. პეტრეს ჰქონდა ორი ნავი, რომელიც თევზის სიმრავლის გამო ლამის ჩაიძირა და ეს ყველაფერი სამეფოს გამო. ეს სრულიად ეწინააღმდეგებოდა თევზაობისადმი მის გაგებას და ამან გააოცა იგი. მაგრამ რა მოხდებოდა შემდეგში, როცა იესო ეტყოდა: „ჰეი, პეტრე შედი ღრმა წყლებში და იმდენ თევზს დაიჭერ რამდენსაც მოისურვებ“? ფიქრობთ, რომ ორი ნავით წავიდოდა? მეც ასე მგონია. რაც შეიძლება მეტ ნავს წაიყვანდა, თავისი მეგობრებისგან ითხოვებდა. რატომ? რადგან მას განსხვავებული მოლოდინი და ცოდნა ექნებოდა იმის შესახებ, თუ როგორ მოქმედებს სამეფო.

მთელი ამ განხილვის მთავარი აზრია, დავრწმუნდე გაიგეთ, რომ უბრალოდ ვერ ხედავთ იმ მთელ უზრუნველყოფას, რასაც ღმერთი იძლევა! რა თქმა უნდა, უმეტესად ეს უზრუნველყოფა არ იქნება პირდაპირ დოლარის კუპიურების ფორმით. მაგრამ ეს იქნება იდეების, ღვთიური შეხვედრების, სულიწმიდის მიერ მოცემული მიმართულებების ფორმით. თუ არ ვართ მომზადებულები სწორი გაგებით ორმაგი წილის შესახებ, დედამიწის წყევლის თავის გატანის წვრთნის გამო უბრალოდ გვერდით ავუვლით ამ ყველაფერს.

პურის გამრავლების ისტორიაში, იესო ცდილობს თავის მოწაფეებს ასწავლოს, თუ როგორ მოქმედებს სამეფო და რისი მოლოდინები უნდა ჰქონდეთ? რადგანაც მათი მონური აზროვნება ვერ ხედავდა გარშემო არსებული პურის პოტენციალს, მას უნდა მიეთითებინა, რომ შეეხედათ: „რას ხედავთ? შეხედეთ! თქვენ ვერ ხედავთ ყველაფერ იმას, რაც ღმერთმა გაამზადა თქვენთვის!“

მინდა, ერთი წუთით შეგახსენოთ გამოსვლის მე-16 თავის შესახებ, რადგანაც კიდევ ერთი რამაა რაზეც მინდა, რომ მიგითითოთ.

„და აგროვებდნენ დილდილობით, ვისაც რამდენი სჭირდებოდა საჭმელად; მზის მცხუნვარებაში კი დნებოდა. მეექვსე დღეს ორჯერ მეტი პური შეაგროვეს, ორ-ორი ღომერი თითოეულზე და მივიდა თემის ყველა მთავარი და აუწყეს მოსეს. უთხრა მათ: „აი, რა თქვა უფალმა: ხვალ უქმეა, უფლის წმიდა შაბათი; რასაც გამოაცხობთ, გამოაცხვეთ და რასაც მოხარშავთ, მოხარშეთ; რაც მოგრჩებათ დილისთვის შეინახეთ!“

მათაც მოიტოვეს დილამდე, როგორც ბრძანა მოსემ, არც ამყრალდა და არც მატლი გასჩენია. უთხრა მოსემ: „ჭამეთ დღეს, რადგან უფლის შაბათია! დღეს ვერაფერს იპოვით ველზე! ექვს დღეს აგროვეთ, მეშვიდე დღეს კი - შაბათია! არაფერი იქნება ამ დღეს.“

და აი, მეშვიდე დღეს ზოგიერთი გავიდა ასაკრეფად, მაგრამ ვერ იპოვეს.

უთხრა უფალმა მოსეს: „როდემდე უნდა არღვევდეთ ჩემს მცნებებსა და რჯულს? იცოდეთ, შაბათი რომ მოგცათ უფალმა, ამიტომ მოგცათ მეექვსე დღეს ორი დღის პური; იჯდეს თითოეული თავისთან, არავინ არსად გავიდეს მეშვიდე დღეს!“

და ისვეენებდა ხალხი მეშვიდე დღეს“.

– გამოსვლა 16:21-30

როგორც ვამბობდით, ორმაგი წილია ის, რაც შაბათის სიმშვიდეს შესაძლებელს ხდის. მაგრამ გასაოცარია, მიუხედავად

იმისა, რომ ღმერთი უკვე აძლევდა მათ ორმაგ წილს მეექვსე დღეს, ბევრი მათგანი კვლავ გადიოდა გარეთ და ეძებდა, თუმცა ვერაფერს პოულობდა შაბათს. ეს იმას არ ნიშნავს, რომ ღმერთი ერთგული არ იყო მათ უზრუნველყოფაში. ისინი უბრალოდ ვერ ხედავდნენ ამას, რადგანაც სწორი გაგება არ ჰქონდათ ორმაგი წილის შესახებ, რაც მეექვსე დღეს უკვე ჰქონდათ მიცემული. მათ ჩვეულებისამებრ მხოლოდ ერთი დღის სამყოფი შეაგროვეს. ახლა, როცა მეშვიდე დღეს მოშივდათ, ვერაფერი იპოვეს. შეიძლება მათი გადმოსახედიდან ღმერთმა უღალატა. მაგრამ ღმერთს არ უღალატია; მათ უბრალოდ არ იცოდნენ ორმაგი წილის პრინციპის შესახებ. რომ სცოდნოდათ, სხვანაირად დაგეგმავდნენ.

რამდენი ადამიანი დადის დღეს აქეთ-იქით და ეძებს იმას, რაც სჭირდება, არ იციან რომ ღმერთმა უკვე გამოაგზავნა. ვფიქრობ, ძალიან საინტერესოა ამ ნაწყვეტში, რომ ღმერთი რეალურად გაბრაზდა მათზე, რადგან საკმარისად არ შეაგროვეს!!! მაინტერესებს როგორ იქნებოდა ეს ნაქადაგები ჩვენს ეკლესიებში.

> *„ხოლო ის, ვინც თესლს აძლევს მთესველს და პურს - საჭმელად, მოგცემთ და გაამრავლებს თქვენს თესლს და გაზრდის თქვენი სიმართლის ნაყოფს. რათა ყველაფერში გამდიდრდეთ ყოველგვარი ხელგაშლილობით, რაც ჩვენი მეშვეობით ღვთისადმი გაძლიერებას გამოიწვევს“.*
>
> – მეორე კორინთელთა 9:10-11

პავლე აქ ძალიან მარტივად ხსნის ღვთის სამეფოს ეფექტს ყველა მხრივ მდიდრად გახდომისთვის, რათა შეგეძლოს გულუხვი იყო ყველა შემთხვევაში. მეგობარო, ეს ორმაგ წილს მოითხოვს. ვერ იქნები ყოველთვის გულუხვი საკმარისზე მეტის ქონის გარეშე.

წინა თვეებში, გაგიზიარეთ, თუ როგორ განვითარდა ჩემი ბიზნესი წელიწადში 3-4 მილიონიანი პროდუქციის დონიდან ჩვენს ერთ მომწოდებელთან ერთად 11 მილიონიანამდე წელიწადში იგივე მომწოდებელთან. მთელი ეს ზრდა მხოლოდ ერთ წელში მოხდა. ასევე გითხარით, როგორ მოხდა ეს - ღმერთმა სიზმარში მითხრა, როგორ მოვქცეულიყავი. მაგრამ

ახლა მჭირდება, გითხრათ, რა მითხრა მან, რადგან ახლა ეს უკვე აზრს შეიძენს თქვენთვის. სიზმარში მან უბრალოდ ორი სიტყვა მომცა. ასეა, მხოლოდ ორი სიტყვა. ამ ორმა სიტყვამ ჩემი შემოსავალი ასობით ათასი დოლარით გაზარდა იმ წელს, ისე რომ მე იმაზე მეტი მარკეტინგული გათვლები ან რეკლამა არ გამიკეთებია, ვიდრე მანამდე ვაკეთებდი. არაფერი შემიცვლია ჩემი კომპანიის მოქმედებაში, გარდა ჩემი თავისა. ამ ორმა სიტყვამ მომცა მითითება, შემეცვალა ის, თუ როგორ ვაკეთებდი რაღაცას პირადად მე, რამაც გააოთხმაგა ჩვენი ბიზნესი და ჩემი შემოსავალი. „რა არის ეს ორი სიტყვა?“ - თქვენ იკითხავთ. აი, ეს - დაიჭირე მომენტი!

დიახ, დაიჭირე მომენტი! „სულ ესაა? ამ ორმა სიტყვამ გააკეთა ყველაფერი?“ დიახ, მათ გააკეთეს. მას შემდეგ, რაც გაიგებ, რომ ღმერთი ყოველთვის აგზავნის თავისი უზრუნველყოფის ორმაგ წილს, გაიგებ! რას მეუბნებოდა იგი?

ჩემი კომპანია, ისევე როგორც ყველა გაყიდვების კომპანია, ადამიანების დახმარებისგან იღებს სარგებელს. რაც უფრო კარგად ეხმარება კომპანია ადამიანებს, მეტ თანხას გამოიმუშავებს. მიუხედავად იმისა, რომ ეს სიმართლეა, ასევე სიმართლეა ის, რომ ბევრი გაყიდვების კომპანია ვერ აკმაყოფილებს თავიანთ კლიენტთა საჭიროებებს: ან ცუდი თანმიმდევრული შესრულებით და მომსახურების სერვისით ან ფირმისთვის ახალი კლიენტების მოძიებისა და დაცვის ნაკლებობით.

ჩვენს შემთხვევაში ძალიან დაკავებულები ვიყავით და იმის მიუხედავად, რომ ეს ცუდი რამ არ იყო, ხშირად იმდენად სწრაფად ვერ ვპასუხობდით კლიენტებს, როგორც ვისურვებდი. პირადად მე დამბანდებელ კლიენტებთან ვმუშაობ და ეს ძალიან მომწონს. მაგრამ ჩემი ცხრილის გამო, როცა პოტენციური ინვესტორი კლიენტი რეკავს და გადმომისამართებულია ჩემთან, რათა პირადად გავესაუბრო, ზოგჯერ 24 საათშიც კი ვერ ვურეკავ. კარგი განზრახვები მაქვს, უბრალოდ ვერ ვასრულებ მათ.

უფალი მეუბნებოდა, რომ გადმოდინება, შაბათის სიმშვიდე უკვე იქ იყო, მან უკვე უზრუნველყო იგი. უბრალოდ ვერ ვხედავდი!

როგორც იცით, როცა ადამიანები კითხვებს სვამენ, ის კომპანია უზრუნველყოფს პასუხებს, რომელიც მათ საქმეებს უნდა გაუძღვეს. ზოგჯერ პოტენციურ კლიენტთან დაგვიანებით დარეკვა მათი პირადი დაბანდების საჭიროებების განსახილველად, ძალიან გვიანია. შესაძლოა, უკვე სხვისთვის დაერეკათ, ვისაც უფრო ეცალა მათ კითხვებზე საპასუხოდ. ბევრი რამ შეიძლება წავიდეს არასწორად, მაგრამ გამოსავალი ისაა, რომ, როცა ადამიანებს დასჭირდებათ, იქ იყო პასუხებით.

ამრიგად, როდესაც უფალმა ეს ორი სიტყვა მომცა, ვიცოდი: რას ნიშნავდა? სხვანაირად უნდა შემეხედა ყველაფრისთვის, თუ ვაპირებდი სცენაზე, ტოპ ათეულში ყოფნას და 100 000 $-იანი ბონუსის მიღებას. მომენტი უნდა დამეჭირა! ამრიგად, შევცვალე ის, თუ როგორ ვაკეთებდი რაღაცებს. წესად დავადგინე, რომ თუ ვინმე დაბანდებასთან დაკავშირებული რჩევისთვის დარეკავდა, რამდენიმე წუთში გადავურეკავდი და თუ შესაძლებელი იყო, მაშინვე ვინახულებდი. ჩემი კლიენტები მთელს ქვეყანაში არიან და მხოლოდ ეს ვალდებულება იყო, რთული განსახორციელებელი. მაგრამ დაკისრებული მქონდა ამის გაკეთება. ჩემი კომპანიის მენეჯერს დავურეკე, ავუხსენი, რაც მითხრა ღმერთმა და ვთხოვე, ყველა ჩემი წარმომადგენლისთვის ეთქვა, რომ იგივე დამოკიდებულება ჰქონოდათ, რათა დაეჭირათ ყველა შესაძლებლობა, როცა კი გამოჩნდებოდა. იმ წლის ბოლოს, ტოპ ათეულში ყოფნისთვის საჭირო 11 მილიონზე მეტი გვქონდა გამომუშავებული იმ მომწოდებლისთვის. მაგრამ ამას დამატებული, გვქონდა მილიონებში დაცული დამატებითი ბიზნესი ჩვენი სხვა მომწოდებლებისთვის.

მთავარი გამოცხადების მომენტიც აქაა. არაფერი განსხვავებული არ გაგვიკეთებია, უბრალოდ სწრაფად ვრეაგირებდით, როცა კლიენტს ჩვენთან საუბარი სურდა. ხედავთ, უფალი მეუბნებოდა, რომ გადმოდინება, შაბათის სიმშვიდე უკვე იქ იყო, მან უკვე უზრუნველყო იგი. უბრალოდ ვერ ვხედავდი!

ამრიგად, ორმაგი წილის სამეფოს კანონი იმაში არ მდგომარეობს, თუ როგორ დაადგინო ორმაგი წილი. ორმაგი წილი ყოველთვის აქაა. ღმერთი ყოველთვის ორმაგი წილის დონეზე უზრუნველყოფს!

ღმერთი არასდროს გზავნის უზრუნველყოფას მხოლოდ დღეისთვის! იგი ყოველთვის აგზავნის ორმაგ წილს <u>მასთან ერთად</u>!

კვლავ გავიმეორებ, ჩვენი პრობლემა ისაა, რომ უბრალოდ ვერ ვხედავთ ორმაგ წილს.

<u>მაგრამ უფრო დიდი პრობლემაა ის, რომ არც კი ვიცოდით, რომ იგი მოგვეძებნა!!!</u>

მიყვარს ის, რაც იესომ თქვა: „არაფერი დაიკარგოს!“ ღმერთმა ყველაფერი გამოგზავნა და სურს, რომ სრულად გქონდეს. იგი გაბრაზდა, როცა ადამიანებმა მეშვიდე დღეს დაუწყეს მანნას ძებნა, როცა მას უკვე გამოგზავნილი ჰქონდა ის. მან შეახსენა მოსეს, რომ უკვე მეექვსე დღეს გამოაგზავნა, რათა მოეგროვებინათ და ესიამოვნათ შაბათის სიმშვიდით. რეალურად, ის ეუბნებოდა: „შაბათი ჩემთვის არაა, ის თქვენთვისაა! ამიტომ გამოგიგზავნეთ ორმაგი წილი“. შეგიძლიათ გაიგოთ, რომ იესოც თითქმის იმავეს ამბობს. „ჰეი ხალხო, აკრიფეთ ეს ნაწილები, მე მოგეცით! ღმერთმა გამოაგზავნა ეს თქვენთვის, რათა აკრიფოთ და შეგეძლოთ ისიამოვნოთ ორმაგი წილით და მოსვენება ჰპოვოთ!“

ამ ისტორიაში, როცა იესომ 5000 კაცი ხუთი პურითა და ორი თევზით გამოკვება, მოწაფეებმა ვერ დაინახეს ნატეხები. არც კი ეძებდნენ. მაგრამ იესომ უთხრა: რა უნდა აეკრიფათ და მოსავალი არ დაკარგულა! დღეს სულიწმიდა უნდა დაგვეხმაროს, რათა დავინახოთ დაკმაყოფილების მიღმა და დავიჭიროთ ორმაგი წილი. ის მიგვითითებს იმაზე, რასაც ვერ ვხედავთ, თუკი ვთხოვთ. გასაღები, რაც იმედი მაქვს, უკვე ისწავლეთ, ისაა, რომ ორმაგი წილი უკვე მოგეცა; უბრალოდ გჭირდება დაიჭირო იგი!

რადგან ორმაგი წილი ერთადერთი გამოსავალია დედამიწის ტანჯვისა და ოფლის ღვრის, წყევლის სისტემისგან, სატანას სძულს იგი. ოჰ, მან შეიძლება სცადოს ქრისტიანების დარწმუნება იმაში, რომ თუ ახერხებენ გადასახადების გადახდას, ორ

სამსახურში მუშაობენ ამის შესანარჩუნებლად, ყველაფერი კარგადაა! მაგრამ ქრისტიანი, რომელსაც აქვს ფული ღვთის სამეფოს მხარდასაჭერად და ცხოვრობს ფინანსური შიშისა და საწუხრისგან განთავისუფლებული, სურს, რომ გააჩეროს. სატანის განზრახვაა, მთელი ცხოვრება იყო გაკოტრებული და დამონებული თავის გატანის მწირ ცხოვრების სტილზე, სადაც გავლენა არ გაქვს. ფული გავლენაა! სატანას ნამდვილად ენდომებოდა შენი შეჩერება ღვთის კურთხევისგან. ამიტომაა ის, რის თქმასაც ახლა ვაპირებ, ასე მნიშვნელოვანი შენთვის, რომ გაიგო.

ორმაგი წილი დამალულია!

კარგით, დროა მოწაფეები შევასვენოთ! არსებობდა მიზეზი, რის გამოც მათ ვერ დაინახეს გადმოდინება. რა თქმა უნდა, როგორც ვამბობდით, არც ეძებდნენ, მაგრამ კიდევ ერთი ფაქტორი იყო. შენ როგორც წესი არ აგროვებ ნატეხებს! ვგულისხმობ, რომ მათ გონებაში გარშემო მიმოფანტული პურისა და თევზის ნაწილები უბრალოდ ნატეხები იყო.

რატომ იყო მონეტა, რომელიც პეტრეს გადასახადებისთვის სჭირდებოდა, დამალული თევზის პირში? ვინ იფიქრებდა მის იქ მოძებნას? ვინ იფიქრებდა, რომ პროფესიონალი მეთევზეების ორი ნავი, რომელთაც მთელი ღამე ითევზავეს და ვერაფერი დაიჭირეს, რაბის სიტყვებით ცხოვრებაში ყველაზე მეტ თევზს დაიჭერდა? ვინ იფიქრებდა, რომ ქალს მე-2 მეფეთა წიგნის მე-4 თავიდან, რომელსაც ფული საერთოდ არ ჰქონდა და არაფერი გააჩნდა სახლში გარდა ცოტაოდენი ზეთისა, ვინც მალე თავს გაკოტრებულად გამოაცხადებდა, რაღაცნაირად იმდენი ზეთი ექნებოდა, რომ ყველა თავის ვალს გადაიხდიდა და უვალოდ ცხოვრებას შეძლებდა? ვერავინ. ვინ წარმოიდგენდა, რომ გარი ქისი, რომელიც კლასში ბოლოდან მეორე იყო, დღეს მილიონერი იქნებოდა და მთელს მსოფლიოში ყოველდღიურად ათასობით ადამიანს დაელაპარაკებოდა? ვერავინ! ყველა ამ ისტორიაში ღმერთმა წარმოუდგენელი რამ გამოიყენა მათი სიტუაციის შემოსაბრუნებლად.

სატანის განზრახვაა მთელი ცხოვრება იყო გაკოტრებული და დამონებული თავის გატანის მწირი ცხოვრების სტილზე, სადაც გავლენა არ გაქვს.

თუკი გადმოდინება, ორმაგი წილი ცხადად, გახსნილად იქნებოდა, სატანა დაინახავდა და ეცდებოდა ხელში ჩაეგდო და მოეპარა. აი, რატომ არ ავლენს ღმერთი თავის საგანძურს ცხადად?! ის დამალულია. სატანას სძულს, როცა დაკმაყოფილებული ხარ და სიამოვნებას იღებ უზრუნველყოფით, მაგრამ მას კიდევ უფრო სძულს, თუკი გადმოდინებასა და შაბათის სიმშვიდეში გადააბიჯებ.

ნება მომეცით, გაჩვენოთ რაღაც, რისი გაგებაც გჭირდებათ იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ მოქმედებს ღმერთი მიწიერ სამეფოზე?!

> *„არამედ ვლაპარაკობთ ღვთის სიბრძნეს, იდუმალებაში დაფარულს, რომელიც წინასწარ დაადგინა ღმერთმა საუკუნეთა უწინარეს ჩვენი დიდებისთვის. რაც ვერავინ შეიცნო წუთისოფლის მთავართაგან; ვინაიდან, რომ შეეცნოთ, ჯვარს არ აცვამდნენ დიდების უფალს“.*
>
> – 1 კორინთელთა 2:7-8

ეს მუხლი ცხადად გვაჩვენებს, სატანამ რომ იცოდეს ღვთის გეგმები, ის შეცვლიდა ტაქტიკას! აი, რატომ უნდა იმოქმედოს ღმერთმა დაფარულად?! სატანა იმოქმედებს ნებისმიერი რამისთვის, რაც ცხადია. შენი უხვი უზრუნველყოფა იგივე მიზეზის გამო ვერ იქნება ცხადი იმ მომენტამდე, სანამ მის ხელში ჩაგდებას და აღებას ვერ შეძლებ. ერთი ანდაზა მაქვს, რომელსაც წლებია ვამბობ: ღვთის საგანძური დამალულია არა შენგან, არამედ შენთვის.

დამალული *შენგან შენთვის*!

მრავალი ადამიანი მეუბნება, რომ სურთ, ღმერთმა პასუხების გასაცემად ბოლო წამამდე არ მოიცადოს. მაგრამ, მეგობარო, ღმერთი არ ნერვიულობს! მან იცის, როდისთვის

არის გადასახადი გადასახდელი და ეს შენს სასიკეთოდაა, რომ ღმერთი თავის ხელს ზედმეტად ადრე არ ავლენს, სატანამ რომ არ მიიტაცოს.

> *„მოგცემ ბნელში დაცულ საუნჯეს და გადამალულ საგანძურს, რათა იცოდე, რომ მე ვარ უფალი, ისრაელის ღმერთი, რომელიც გიხმობს შენი სახელით“.*
>
> – ესაია 45:3

გადამალული საგანძური? ჰეი, ეს უკეთესი ვიდრე ჰოლივუდის უდიდესი სცენარი! ნება მომეცით, მაგალითი მოვიყვანო იმისა, თუ როგორ დამეხმარა ღმერთი ჩემს ბიზნეს ცხოვრებაში ორმაგი წილის დაჭერაში! წლების წინ ვიჯექი და ჩემი ფინანსური მომსახურების კომპანიის წლიურ გასავალსა და შემოსავალს ვუყურებდი. მიუხედავად იმისა, რომ კმაყოფილი ვიყავი, ვალებიდან თავისუფალი ვიყავი და ბანკშიც მქონდა გარკვეული თანხა, ვიცოდი, რომ კიდევ მეტი იყო. იმდენ პროექტს ვხედავდი, რომელთა დაფინანსებაც მინდოდა სამეფოში, იმდენ გასაკეთებელს და ამ ყველაფერს ფული სჭირდებოდა.

როცა ამაზე ვლოცულობდი, ღმერთმა ჩემთვის ტერმინ *ნაწილებთან* დაკავშირებით დაიწყო სწავლება. თავიდან არ მესმოდა: რას ამბობდა?! მაგრამ, რაც უფრო მეტს ვლოცულობდი ამ საკითხზე და ვისმენდი, გავიგე. ნაწილები, როგორც იმ ისტორიაში, რომელიც ახლა წავიკითხეთ, შეუმჩნეველი იყო. მათი ღირებულება აღქმული იყო, როგორც უფასური ან იმ ენერგიის გამო, რასაც მათი აგროვება მოითხოვდა, აღიქმებოდა, რომ არ ღირდა ან მათი ღირებულება დაფუძნებული იყო მოძველებული ღირებულების სისტემაზე. ან, შესაძლოა, მათი პოტენციური გამოყენების არასწორი და შეზღუდული აღქმა, ზღუდავდა მათ გაგებას მათი ღირებულების შესაძლო ზრდის შესახებ იქიდან, როგორი აღქმაც იმ წუთას ჰქონდათ.

დარწმუნებული ვარ, ბევრჯერ მოგისმენიათ ადამიანებს როგორ უთქვამთ: „უბრალოდ ყოველთვის ასე ვაკეთებდი“. შემიძლია გითხრათ, რომ ორმაგი წილი, სავარაუდოდ, ასე არ მოვა.

როცა მონაცემებს გადავხედე, ღმერთმა ამიხილა თვალი ბევრ ნაწილზე, რომელთაც მაგიდაზე ვტოვებდი და რომლებიც

რეალურად უნდა ამეკრიფა. ერთ-ერთი პრიორიტეტული, რასაც ყველა კლიენტთან ვაკეთებთ, არის სრული მონაცემების შესწავლა, რათა ვნახოთ: რა აქტივები აქვთ? ისევე როგორც ვალები. შემდეგ ვაკეთებთ ანალიზს, რათა მოვიძიოთ თანხა, რაც შეგვიძლია, გადავანაცვლოთ ვალების დასაფარად. რა თქმა უნდა, ჩვენ ვწერთ მათ იმჟამინდელ გირავნობის სტატუსსა და ინტერესის კურსს სესხების სახეობებთან ერთად მათ მონაცემთა ფურცელზე. იმ დროს კლიენტებს ასევე ვურჩევდით, აეღოთ რამდენიმე კრედიტი მათი სახლის უსაფრთხოებისთვის, რათა გადაეხადათ ყველა მაღალპროცენტიანი ვალი, რაც მათი ინტერესის კურსს ტიპური 21 %-იდან 6-%-მდე ჩამოაგდებდა. ამ მანევრით საშუალო ოჯახი თვეში 500-600$ ზოგავდა. როცა ეს სიტუაცია რეალობაში მოვიდოდა, ჩვენს კლიენტებს უკან თავიანთ ბანკებთან ვაგზავნიდით სესხის გასამყარებლად.

როცა ჩემს მონაცემებს ვსწავლობდი, სულიწმიდამ გირაოს საკითხზე მიმითითა: „რატომ არ გაუმკლავდები ამ გირაოს?“ როცა ამაზე დავფიქრდი, მასში აზრი დავინახე. უკვე მოპოვებული გვქონდა კლიენტის თავდაჯერებულობა; გვქონდა მათი მონაცემები; და ბოლოს და ბოლოს, ისინი ვიყავით, ვინც მათ სთავაზობდა, ვალები გადაეადგილებინათ.

ბიზნესის ამ მხარესთან გამკლავება ჩემგან: მთელი ახალი ბიზნესის სწავლას, ლიცენზიისა და ტრენინგის კურსების გავლას მოითხოვდა, კიდევ ბევრ რამესთან ერთად. უბრალოდ დრო არ მქონდა, ამ ყველაფრის გასაკეთებლად. მაგრამ, როცა ამაზე ლოცვას ვაგრძელებდი, უფალმა შთამაგონა, დამექირავებინა ვინმე, რათა დამეარსებინა და გავძღოლოდი ჩემს გირავნობის კომპანიას, რაც შემდეგ გავაკეთე. იმ ფაქტმა, რომ პირველ წელს, მარტოები, ჩვენით ვაკეთებდით გირავნობის საქმეს, 160 000 $ დამატებითი თანხა შემოიტანა ქსელურ შემოსავალში. ეს იყო თანხა, რომელიც არასდროს მექნებოდა, ნება რომ არ მიმეცა სულიწმიდისთვის, მიეთითებინა ჩემთვის ფრაგმენტზე, რომელსაც ვუყურებდი, მაგრამ ვერ ვხედავდი.

ამის შემდეგ მრავალი ფრაგმენტის დაჭერა დავიწყე, რომლებიც სულიწმიდამ მაჩვენა. ერთ-ერთი ფრაგმენტი, რომელსაც მანამდე ზემოდან ვუყურებდი, ჩემი წინასწარ აკვიატებული აზრების გამო, რაც სხვა ადამიანებისგან მქონდა მოსმენილი, რომ ამ სფეროში შესვლა არ ღირდა, ჩვენთვის

უდიდესი წარმატება გახდა. როცა საბოლოოდ დავჯექი და შევხედე, გავაანალიზე, რომ მთელი ინფორმაცია, რაც კი მქონია მოსმენილი პროდუქციის ამ სფეროსთან დაკავშირებით არასწორი იყო და ცხადად, საოცრად შეესაბამებოდა ჩვენს კომპანიას. ამ ნაწილმა რეალურად ბევრად მეტი შემოსავალი მოიტანა, ვიდრე ჩემს თავდაპირველ ბიზნეს მოდელს ჰქონდა, მილიონობით დოლარი. ეს ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით მრავალ მილიონ დოლარიანი ნაწილი იყო!

ამრიგად, ნება მომეცით, ეს ძალიან ნათელი გავხადო თქვენთვის! ორმაგი წილი გამოცხადებით წარიტაცება! გამოცხადება არის უბრალოდ რაღაც, რასაც სულიწმიდა გაჩვენებს, რაც არ გეცოდინებოდა შენით. ამრიგად, სულიწმიდა გივლენს ან თვალს გიხელს რაღაცისადმი, რაც შენით არ იცოდი. ამას გამოცხადების ცოდნა ეწოდება.

გამოცხადება ორმაგი წილის გასაღებია!

შემდეგ ადამიანები მეკითხებიან: „როგორ გავიგო სულიწმიდის ხმა? როგორ გავიგო, თუ როგორ დავიჭირო ეს დამალული იდეები და შესაძლებლობები?“ დიდებული კითხვებია. ამ წიგნში აღარ მაქვს დრო, ჩავუღრმავდე ღვთის ხმის მოსმენას. ამრიგად, მიგმართავთ სხვა წიგნისკენ, რომელიც დავწერე, სახელად *სულიწმიდით ნათლობა.* მისი ყიდვა ამაზონის ან ჩვენი ვებგვერდის მეშვეობით შეგიძლიათ. იმ წიგნში, მეტ ინფორმაციას ნახავთ იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ მოქმედებს სულიწმიდა უზენაესის დამალული გეგმების გამოსავლენად ჩვენთვის, რათა შევძლოთ, წარმატებულები ვიყოთ აქ, მიწიერ სამეფოზე, სატანას ცხვირწინ; და ვერაფერს შეძლებს ამის წინააღმდეგ. მაგრამ სწორი მიმართულება რომ მოგცეთ, მოდით შევხედო **1 კორინთელთა 14:2**-ს.

> *„ვინაიდან ენებით მოლაპარაკე ადამიანებს კი არა, ღმერთს ელაპარაკება და არავის ესმის, რადგან საიდუმლოებებს ლაპარაკობს სულით“.*

მე-4 მუხლი ამბობს:

„ენით მოლაპარაკე თავის თავს აშენებს“.

შენება აქ ნიშნავს მითითებებისა და გაგების მიცემას. მე მჭირდება ეს და ასევე შენც. როცა აქ ბიბლია ენებით ლაპარაკზე ან როგორც მას პავლე აღწერს, ენებით ლოცვაზე საუბრობს, მინდა, გაგამხნევოთ: მნიშვნელობა არ აქვს რა გაქვს მოსმენილი სულიწმიდის ამ ფუნქციის შესახებ ან ვინმემ თუ გითხრა, რომ ეს მოციქულებთან ერთად გაქრა ან რომ ეს ეშმაკისგანაა. წაიკითხეთ ბიბლია! სულიწმიდით ლოცვა არის უბრალოდ სულიწმიდის ლოცვა შენი მეშვეობით მიწიერ სამეფოზე, რათა აღასრულოს მისი ნება ისე, რომ ბოროტმა არ იცოდეს რა ხდება. სულით ლოცვა ზეციდან გამოცხადების მოსასმენად მთავარი გასაღებია, და გამხნევებთ, რომ ისწავლოთ ის, რაც ვთქვი. და თუ კითხვები გაქვთ, აიღეთ ჩემი წიგნი, ვიცი, ის დაგეხმარებათ მეტი გაგების შეძენაში სულიწმიდის ამ საოცარი ფუნქციის შესახებ თქვენს ცხოვრებაში!

მინდა, ეს წიგნი ორი მუხლით შევაჯამო, რაც ამ თავსაც უკეთებს დასკვნას!

> *„ხოლო მას, ვისაც ჩვენში მოქმედი ძალით შეუძლია განუზომლად მეტის კეთება, ვიდრე ჩვენ ვთხოვთ ან ვფიქრობთ, მას დიდება ეკლესიაში, ქრისტე იესოში და ყველა თაობაში უკუნითი უკუნისამდე, ამინ!“*
>
> – ეფესელთა 3:20-21

ვერასდროს ითხოვ რაიმეს, რაზეც არ გიფიქრია. ახლა ორ თვითმფრინავს ვფლობ, შედარებით პატარას, რომლითაც გასართობად დავფრინავ და ჩემს ბიზნეს თვითმფრინავს, რომელსაც ნებისმიერ ქვეყანაში გასაფრენად ვიყენებ. როცა ბიზნესისთვის თვითმფრინავის ყიდვაზე დავიწყე ფიქრი, ფასით ვიყავი შოკირებული. თვითმფრინავები იაფი არაა! უკან დახევა დავიწყე და ვფიქრობდი: „ბიზნეს თვითმფრინავის გარეშეც გავძლებ. ყველაფრის შემდეგ ეს ძალიან დიდი თანხა.“ მაგრამ კომერციული ავიახაზებით ყოველკვირეულად მიწევდა ფრენა,

ერთ თვეში 23-ჯერაც კი ვიფრინე. ეს ისეთი დამღლელი იყო. დიახ, შემეძლო, მეთქვა, რომ უზრუნველყოფა მქონდა. ყველა ჩემი ფრენა დაფინანსებული იყო; ფულთან დაკავშირებული პრობლემა არ იყო. მაგრამ ჩემი ფრენები დამამშვიდებლის გარდა ყველაფერი იყო. ფრენები უქმდებოდა ან გადაიდებოდა, რაც სრულ აურზაურს იწვევდა. ეს არ იყო შაბათის სიმშვიდე, რაც მჭირდებოდა.

საბოლოოდ, ვაღიარე, რომ ღმერთს ვზღუდავდი. ის ორმაგი წილის ღმერთია. მე და დრენდა, დაახლოებით, ერთი წლის განმავლობაში ვჭოჭმანობდით ამ თვითმფრინავის ყიდვაზე, ვწუხვარ, ამას რომ ვამბობ. საბოლოოდ, ღმერთმა ჩვენი ყურადღება მიაპყრო ამ თვითმფრინავისკენ და გვითხრა, რომ უკვე ორი წელი ცდილობდა მის ჩვენამდე მოტანას! ჩვენ მოვინანიეთ და გადაწყვეტილება მივიღეთ. დავთესეთ ჩვენი თესლი ზუსტად იმ ბიზნეს თვითმრინავისთვის, რომელიც გვინდოდა და გვჭირდებოდა; და როცა ასე მოვიქეცით, ორ თვეში გვქონდა იგი. ამ დროის განმავლობაში ღმერთმა ბიზნესის რაღაც საკითხებთან მეტი გაგება მომცა, მადლი მომანიჭა და ფულიც მქონდა საჭირო დროს.

დიახ, ღმერთი ორმაგი წილის ღმერთია! ქმნის ეს განსხვავებას? განსხვავება ჩემს შემთხვევაში ისაა, რომ შემიძლია ჩემი პირადი თვითმფრინავით ვიფრინო და არა კომერციულით, რაც იგივეა, ველოსიპედით წასვლა რომ შეადარო მანქანით წასვლას შეხვედრაზე, რომელიც 80 კილომეტრშია. მართლა! და ღმერთი ორი წლის განმავლობაში ცდილობდა ამის ჩემამდე მოტანას, მაშინ, როცა მე უბრალოდ კმაყოფილი მივშტერებოდი და ბრმა ვრჩებოდი ორმაგი წილისადმი, რომელიც ღმერთს უკვე ჰქონდა უზრუნველყოფილი ჩემთვის. მე უბრალოდ ამის დანახვა მჭირდებოდა.

შეიძლება ატარებ მანქანას, რომელსაც ისე სჭირდება შეკეთება, რომ ყოველი დაქოქვის წინ ლოცულობ, რომ დაიძრას. შეწყვიტე ცარიელ საბანკო ანგარიშზე ყურება და ამაზე დაფუძნებული თავის გატანის გადაწყვეტილებების მიღება! ამის ნაცვლად, ნება მიეცი ორმაგი წილის ღმერთს, გაჩვენოს წილები, დამალული რაღაცები, რაც გჭირდება, იცოდე, რათა განთავისუფლდე და ისიამოვნო შაბათის სიმშვიდის მშვიდობითა და დასვენებით! ის მოგცემს გეგმას და გაჩვენებს: როგორ

განახორციელო, თუკი ჰკითხავ?! როგორც იესომ თქვა: „რომ არაფერი დაიკარგოს!“ ორმაგი წილი უკვე უზრუნველყოფილია შენთვის!

> *„ესე იგი, შაბათის სიმშვიდე კვლავ რჩება ღვთის ხალხისთვის. ვინაიდან, ვინც მის სიმშვიდეში შევიდა, მანაც ისევე დაისვენა თავისი საქმეებისგან, როგორც ღმერთმა თავისისგან“.*
>
> – ებრაელთა 4:9-10

სხვა წიგნები „შენი ფინანსური რევოლუციის“ სერიაში გარი ქისის მიერ:

ერთგულების ძალა

დასვენების ძალა

სტრატეგიის ძალა

უზრუნველყოფის ძალა

გულუხვობის ძალა

შენი ფინანსური რევოლუცია

დასვენების ძალა

დაიღალე?

დაგღალა ვირთხების რბოლამ?
დაგღალა იმ განცდამ, რომ სადღაც გაიჭედე?
დაგღალა ნერვიულობამ?
დაგღალა უბედურად ყოფნამ?

ასე აღარ უნდა იცხოვრო!

შეუერთდი გარი ქისს აღმოჩენების ამ საოცარ მოგზაურობაში და ისწავლე ახალი სისტემის შესახებ, რომელიც შენი ცხოვრების რევოლუციას მოახდენს, ისევე როგორც მის ცხოვრებაში მოხდა, ცხრა ძალიან ხანგრძლივი, დამღლელი წლის შემდეგ, როცა მისი ფინანსური, ფიზიკური და ემოციური ფიალა უკვე ავსებული იყო.

აღმოაჩინეთ:

1. როგორ შეიცვალა ყველაფერი გარისთვის: როგორ მივიდა იგი ფინანსურად და ფიზიკურად სრულიად უიმედო მდგომარეობიდან ჯანსაღ და სრულ მდგომარეობამდე, დაფარა მანქანების ღირებულება, ვალის გარეშე ააშენა საკუთარი სახლი, წამოიწყო რამდენიმე კომპანია და ასწავლა ასობით ათას ადამიანს ცხოვრების სამეფოს სტილის შესახებ ... დასვენებული ცხოვრებით ცხოვრების შესახებ.

2. როგორ შეიძლება ყველაფერი შეიცვალოს შენთვისაც - როგორ შეგიძლია შენ, იცხოვრო დასვენებული ცხოვრებით.

მაშინაც კი, თუ ყველა, ვისაც იცნობ, დამღლელი, გადარბენებზე მყოფი ცხოვრობს, რათა თავი გაიტანოს, შენ არ ხარ ვალდებული ასე იცხოვრო.

შაბათის სიმშვიდის საკვანძო პრინციპის გაგებით, შეგიძლია რეალური შედეგების დანახვა შენს ცხოვრებაში. შეგიძლია იცხოვრო ადგილას, სადაც შენი საჭიროებები დაკმაყოფილებულია; თავისუფალმა ვირთხების რბოლისგან; თავისუფალმა, რათა იპოვო და წარმატებას მიაღწიო შენს მიზანსა და ლტოლვაში, სადაც თავის გატანის მიღმა ხარობ; და სადაც წუთისოფელს უჩვენებ შედეგებს, რომლებიც განსხვავდება იმისგან, რასაც ისინი ზოგადად ხედავენ.

ნუ დარჩები გაჭედილი! ნუ გააგრძელებ დაღლილობით ცხოვრებას!

აღმოაჩინე ცხოვრების ახალი გზა!

გარი ქისი არის ავტორი, სპიკერი, მეწარმე, ფინანსური ექსპერტი და პასტორი, რომელიც აღძრულია ადამიანებს ცხოვრებაში გამარჯვების მოპოვებაში დაეხმაროს, განსაკუთრებით რწმენის, ოჯახისა და ფინანსების სფეროებში. გარიმ და მისმა ცოლმა დრენდამ რამდენიმე წარმატებული ბიზნესი შექმნეს და არიან დამაარსებლები *„რწმენით ცხოვრება ახლა“*, რომელიც ორ სატელევიზიო გადაცემას უშვებს – *ფულის საკითხის მოგვარება* და *დრენდა*, ასევე მსოფლიო მასშტაბის კონფერენციებსა და პრაქტიკულ რესურსებს. გარდა ამისა, ქისები კოლუმბუსში, ოჰაიოში მწყემსავენ *„რწმენით სიცოცხლის ეკლესიას“*.

GKM GARY KEESEE MINISTRIES

garykeesee.com